

ირაკლი შამათავა

ოდიში
ლილი
მთავარი

(ისტორიული რომანი)

თბილისი 2007
გამომცემლობა „საარი“

შესავალი

უძრუბი მსმის ნითერო ხეოუბსხ

- თ, ღმერთო ჩემთ, რა მშგენიერია და თან რათდენ სევდიანი
- თქვა ხანშიშესულმა ქალმა; - ნუთუ ამისი ავტორი თქვენა ხართ?
- თავისი დინჯი, ჭკვიანი და მრავლისმოქმედი თვალებით შემათვალი-ერა და როცა იჯრმნო, რომ მწერალი ასე თვრამეტი-ცხრამეტი წლისა ძლივს ქწებოდა, - გულდაწყვეტილმა განაცხადა, - „არ მჟერა, რომ ეგ თქვენია....,

მე კი გერაფერი მოვიფიქრე. მინთრული ხმით ფუთხარი: „ქწორი ბრძანდებით, ეგ ჩემი კი არა, ხალხის და ღმერთის კუთვნილებაა მეთქი....“

რატომდაც ამის მერე თრწმუნა ყოველი. გამიმნილა კიდეც, რომ ცოტა არ იყოს ეწყინებოდა, თუ მარტო ჩემს საკუთრებად ჩავთვლიდი....

მშგენიერებისა და გენიალობისა რა მოვახსენოთ, მაგრამ სევდიანი კი უდაგოდ იყო!...

ნაწარმოების გმირი სამეცნიელოს მთავარი, ლევან II დადიანია, რომელსაც ერთი მიზანი აქვს; ააღორძინოს, განახლოს ფენიქსებრ სამშობლო. სიყვარულისა და მოვალეობის ფონზე კი მისი ხასიათი წარმოჩინდება. საკმარისია მხატვრობის ნიჭი გქონდეს, და რომანის სოუეტებს დაწყებული „პროლოგიდან-ებილოგამდე“, ამბის მაუწყებელი სურათებით გააგსებ. და არ დასჭირდება შემოქმედ-ფერმწერს რაიმეს წარმოდგენა, ილუზიონება, რადგან სიტყვებით გაცოცხლებული რეალობა და სინამდგომლე არ მისცემს გასაქანს.

როცა რომანს კითხულობთ შემჩნევთ, რომ პერსონაჟებს „ჯგრის სიმძმე უფრო აშინებთ, ვიდრე ღლით. ხოლო ღმერთთან პარმონიას გერ ამყარებენ, რამეთუ მარტოობის ღვთაებას უკმერეს გუნდრუსა და საკმეველს,, ამიტომაცაა მათი ღოცვის არ სჯერა მკითხველს. თითქოს ნაწერს კი არა აქვს რაიმე ნაკლი, არამედ თვითონ პერსონაჟთა მოქმედებას, საღვთო რიტუალების აღსრულებისას, აკლია მარილი.

მოუხედავად სიმღიდორისა და ფუფუნებისა, ზოგჯერ მთავარს უჩნდება განცდა იმსა, რომ იყოს უბოგარი, ღარიბთაგანი. ოდონდ,

© ირაკლი შამათავა - ოდიშის დიდი მთავარი
საავტორო უფლებები დაცულია

რედაქტორი: ნინო გაბურია
მხატვარი: მაია ფაჯიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი



გამომცემობა „საქონი“

ISBN 978-9941-0-0119-2

სრული ბედნიერების სანაცვლოდ „წინაშტარ იციან, რომ ბედისწერისაგან დაცინვა მოელით, მაგრამ იტანენ. ხომ მაინ არიან მიჩვეულნი მოთ-მქნასა და შეგუებას.“

მოგალეობით დაღლილი დიდი მთავარი ხშირად აღმოუტევებს: „სულ მარტო ვარ ქვეყანაზე. არავის ებმის ჩემი. ასე ჰგონიათ, თუ მთავარი ხარ, ყველაზე ბედნიერი ხარ ქვეყნად. მე კი მგონია, არ შეიძლება კაცი ყველაფრით ბედნიერი იყოს,, მეორევან ამბობს:

„მხოლოდ მე მაიძულებენ უანგაროდ მსახურებას ერისთვი-სო!..“ თუმც მოუხედავად ამ ჩივილისა, მაინც სიამოგნებს, რომ ასე იხარჯება ხალხისთვის, სამთავროსთვის და არ ხახობს, პირიქით, ებმის ქვეყნად რისთვის მოგიდა და რა დააკისრა განგებამ. ამიტომაც გმაყოფილი თაგს არ უმუდრავნებს და თვითონ მწერალიც ვერ ბე-დავს აღიაროს ყოველივე, მაგრამ მაინც ცნადია, რომ ქრისტეს განგ-ლილ ცხოვრებას და გოლგოთის გზას ადარებს თავისას.

ხშირად არიგებენ, ეჩურჩულებიან: „რომ უნდა იწამოს ცხოვ-რება, რომ ფი თავადაა დმერთი და მაშინაც საამო და მშვენიერია, როცა თითქმის არაფერში გიმართლებს,,. ბედმა კი ამ შემთხვევაში მშვენიერი ბანოვანი მოუვლინა დარუნდია შარვაშიძის სახით. ქალი, რომელიც ეხმარება დარდთან და სეგდასთან ბრძოლაში და ერთს ხვდება ქმაყოფილი მთავარი:

- „უმჯობესია ჩემში ჩაიკარგოს სიძულვილი, ვიდრე თაგად ჩაფიკარგო მაში,,. არ უნდა ბოროტებაზე ფიქრმა ვონება მოუწამლოს, მით უმეტეს, როცა სიძულვილზე უკეთეს გრძნობას თაგაზობენ – სიყვარულს.

„და იმ დღიდან მისი თვალები არ ციმციმებენ სეგდით და არც სახე იცინის ძალად,,. უცებ ივიწყებს დიდგაცი თავის სიყვა-რულს. მისი გენიალობა იმაშიც სჭვივის, როცა თაგს აჯერებს, რომ გერაგინ შეკადრებს ატს, გარდა ბედისწერისა და დმერთისა. და ქენიც, ერთ ცნებაში განზოგადებულნი, ჯერჯერობით ვერ უბედავენ ლეგანს გამასხარაგებასა და დაცინვას...

გინ არის დარუნდია შარვაშიძე და რა ადგილი უჭირავს მას რომანში?

უცოდველი ასული, რომელიც მამის თხოვნას და გედრება „მომეშველებს,, იმენს და აფხაზეთის გადარჩენის მიზნით უსიყვარუ-ლოდ თხოვდება დიდ მთავარზე. ქალი, რომელმაც ყველა შეიყვარა, იწამა და რომელსაც დასცინა ცხოვრებამ.

როცა მამა, სეტემბრ შარვაშიძე ამცნობს ძალად გათხოვების ამბავს, ქალიშვილი გაოგნებულია; თითქოს წინათვრმნობა დაღადებს, როცა ეუბნება: „აფხაზი შეუგალნი და პრინციპულნი ხართ და არ მეგონა, გაწირვაც თუ შეგეძლოთ რაღაც მიწის ხაფლეთის გამო დგიძლი შვილის; მე წაფალ, წავალ და არასოდეს შემოფდებამ ამ სამთავროს ფეხს. მაგრამ გახსოვდეს, თუკი რამე შემემთხვა, ბრალი საკუთარ თაგს დასდე, რომ ასე უუძილო გასწირე დარუნდია, მამის კალთას ამოფარებული ქალიშვილი, მამისგანვე ნაადრევებდ უარყოფილი!..

ყველაზე შემზარავი ის არის, რომ როცა წინასწარმეტყველება ახდება და ცხვირმოკვეთილი ბანოვანი ბრუნდება აფხაზეთს, სეტემბას ახსენდება შვილის დანაქადნები და გულში გაივლებს:

„ნეტა კი ასე შერცხვენილი მართლა არ დაბრუნებულიყავით“. და გრძნობს დანაშაულს. ამიტომა, რომ გაურბის შვილთან საუბარს, ვერ უყურებს მის მინორნარევ თვალებს და სოხოვს კიდეც, სახეზე მანდილი აიფაროს და თუკი ადრე შვილის მზეთუნანაგობითა და არამიწიერი სილამაზით თაგს იწონებდა, ახლა შერცხვენილი და დადინისგან უარყოფილი ქალიშვილის მიღება მხოლოდ გვინ დამით იქნა. სიბერეული, უკუნში, რომ არავის ენახა. რცხვენოდა, უწინარეს კი აფხაზ-ჯიქთა გაჭაშნიკებას ერიდებოდა...

მთელი სცენა მაშინ ისახება ჩვენს თვალწინ, როცა მამა ვერ ცნობს თაგის გამოზრდილს.

„-ნეთუ ეს შენ ხარ დარუნდი? – შვილო, შვილო, - გაჰყოთ-და სიმწრით ბერიკაცი. ეს რა მოგვიდია, როგორ გაუმასხარაგებინარ წყვეულ ბედისწერას. გინ გაგიმეტა მსგავსი მშვენება ასე დასამახინ-ჯებლად?“

გულდათუთქველი აფხაზი მთავარი დარუნდიას სილამაზის ხელყოფას მიჩნევს ცოდვად, რამეთუ მას ის წარტაცეს, რამი მიღვმაც არ შეუძლიათ ხელახლა და სჩივის ღმერთთან: „რად არ მომასგენე უფალო ამ სიბერის უამსო!..“

კულმინაციას მაშინ აღწევს თხოობა, როცა ომის გარდაუვა-ლობას გრძნობს აფხაზი მთავარი. რისთვის უნდა ომი? განა იმის-თვის, რომ სახელი და დიდება მთიბოვოს? არა... ეს ომი საჭიროა საკუთარ თავობან გასამარჯვებლად. „შვილი ვერ დაიცვაო, არც იმის გათქმევნებ. და დაგმარცხდე, მოგევდე, მაგრამ მაინც გავიძომოლებ.“ აქ მთავარს სწადია იყრძნოს, რომ არ არის მთლად უუნარო და

არაქათგამოცლილი მოხუცი, რომ ისევ შეუძლია ბრძოლა, დირსების დაცვა და პატივის ამყრელთა შემუსწოდა.

მაშინ, როცა ბედისწერა ასე დასცინის ბერიკაცს, მის გულში ცვალებადობა ხდება. თუკი ადრე ეკლესისთვის და რწმენისთვის იმოძოდა, ქრისტეზე და მრწამსზე ხელი აიღო და საყდარი გადაწვდა. აქ კი უდავოდ ჩაგეხმება მის მიერ ადრე ნათქვამი სიტყვები:

„მიგეჩივ საკუთარი კერპის შექმნას. მე არმაზის საღოცავი გარ უფალო ქარტეხილებისაგან დაფშვნილი და გაცამტვერებული.“ და ნანობს, რომ ბალვი არ არის, თორემ ცხოვრების სხვაგვრად მოიწყობდა. იმიტომ მიიღოტვის დათაებისაკენ, რომ იცის რწმენა მზეს პვავს. ჰოდა, უნდა რომ განანათლოს სულის სიბნელე, რომ შეძლოს გამარჯვება. სამწუხარო ის არის, რომ არმაზის საღოცავივით დათვშნა და გაცამტვერდა მართლაცდა...“

თვალობმაქცობა... ეგოიზმი... სიძულვილი... რომანის ლაიტმოტიფია ერთგვარი... როცა ლეგან დადიანი ბიძამისის წერილს კითხულობს, ფარისევლური რჩევა-დართვებანი გვაფიქრებინებს, რომ ეგ კაცი გამოცდილია და ამასთან კეთილშობილი. ასე მაგალითად:

„— ნდობის გარეშე ერთი უბადრუკი, უსახური ქმნილება ხარ, — უვარების და გამოუსადეგარი, მაგრამ ბიძლია, რომელიც თითქმის ზეპირად შეგასწავლებ, გეუბნება: „ნუ დაუგდებ ყველის ყურს, ვინც მეგთბარს დაგიძახებს და ნუ გაუგდებ შენი გულის ჭიშკარს“. მიმოხედე და მინვდები, რომ შეს გვერდით თითქმის არავინაა, გარდა მარტობისა. ასე არ ყოფილხარ მარტოლენ შენ. მარტობისთვის ყოფილა ყველა დიდგაცი განწრეული.“

„შენ უფლება გაქეს იყო ბერინი, მაგრამ განსოვდეს, ფუფუნება გამეტიჩების უფლებას არ გაძლევს. უნდა ეცადო, მავანის გრძნობებზე ითამაშო, მათ გულისთქმას მიყვე, თორემ თუ ხალხს განუდექ, იცოდე მოგკლაგნების მინარეს....“

იდუმალება. აი ის მანტია, რომელიც ანვევია სამეგრელოს ყოფილ რეგენტს. იგი ისე ქადაგებს, თითქოს ტრიბუნაზე იდგეს...

„გააღმერთე იგი, ვინც თავად დმერთს ემსახურება, მაგრამ იმისთანა დათისმსახურს ნუ მიენდობი, ტაძარში რომ თქროთი მოგარაყებულ ხატთა სამზერად შესვლია სჩვევია,, ამას მაშინ ამბობს, როცა თავის სამლოცველოში ვერცხლის ფრესკებს ათვალიერებს, ხოლო გულნატკებს თვალთ ლეგანის ოქროს სამრეკლო ქატება.“

მართალია, თავის თვისებებს საგმობად და საძრახად მიიჩნევს, მაგრამ მაღალავს, რომ ეს მისი კუთვნილებაა.

გინ არის ვეზირთუცემის შერაბ ქორთოძე, იგივე კორტუგა? და რისთვის დააწინაურა ლეგანმა ასე უცებ?

მოგეხსენებათ ციხის შექნებლობა ახალი დაწყებული იყო. სანამ თავშესაფარი მზად არ იქნებოდა, მანამ ომის დაწყება არასწორ საბრძოლო ტაქტიკად ეწვენებოდა. ლეგანის შორსმჭვრეტელობა იმაში გამოჩდა, როცა დედოფალს შეპარვით უწყო გაფრთხილება:

„მთლად ნუ მიენდობი მაგ კაცს დარუნდია; ქალის ნაზ ბუნების კაცის მოხალადე ხასიათი ყოველთვის ჯაბის. არ მისცე იმის უფლება ფილოსოფიური მჭევრმეტყველებით შთაიჭრას შეს სულში, თორემ შენსავე განცდებზე ითამაშებს ცალსახოვნად. აწონე მისი კაცობა და არ მოიწონო მარტოლენ ხასიათისთვის, რადგან პირფერები მუდამ იცინან, ხოლო მარტოსულებიც თავს განსხვავებით გაჩვენებენ. კაცს ჰეონია, რომ ის თვისება, რომელიც დაფისაგან მოენიჭა საგმობა, ამიტომ ნიღბოსნები მაღლავენ თავიანთ ჭეშმარიტ სახეს და არასოდეს გეცხადებიან ისეთებად, როგორებიც არიან სინამდვილეში. იქნებ ეგ მერაბიც ნიღბოსანია და სასახლე კარიაგალი ჰეონია? ამინდივთ ცვალებადია და მომნუსხველი საუბრით მსმენელის მახეში გაბმაჩვევია. ამიტომ როცა მეტყველებს სანახევროდ უმარჯო. გულისყურს ნუ მიაძყოო მას, რადგან სხვა საქმეებიც არ დაგლევია ჯერ. არ მიიჩნიო თანატოლად, თორემ ეამება დედოფალთან გათანასწორება. სჯობს მთლად მარტოსული იყო, ვიდრე პირფერთან გულგაბსნილი.

დარუნდია კი აშინებს მთაგარს. იქნებ ერთ დღეს ყველაფური წაგართვის მისნაირმათ.

მთაგარი არ იძნევა და პასუხობს: — „ვერაფერს წამართმევენ, რადგან პირატები და მძარცველები შორს არიან ჩემგან“. მაგრამ ერთ რამეში ეჭვდება, ეგებ ქალის სიყვარულში შეეზიარონ, ამბობს კიდეც, — „მხოლოდ ქალი თუ დამიფლეოს გულს, თორემ ჯოჯოები და კალიები რას დამაკლებენ თუ იცი?!”

ანალოგოურ რჩევას აძლევს მამა სამეგრელოს დედოფალს.

— „ნუ მიენდობი იმ ვეზირს; ხომ იცი — სარკე ხარ სამთაგროსი. ზედმეტად არ დაიხსლოფო, თორემ კაცის ენა ისეთი ბოროტია, გინ იცის რას დაგწამებენ. მოხუცს გული მოგრძნობს, რომ ეს მუხთალი სოფელი ისე არ მომასვენებს, სანამ ერთ უბედურებას არ გადაუ-

ქოთლებს ჩემს თავზე. წუთისოფელი შმაგია და ვიცი, რომ უცილობლად დამამცირებს, ფეხებზე გამიგებს. თუ ახალგაზრდას გერარა დამაკლო, ბექერს მაინც მაზღვევინებს“...

ბერიკაცის თქმით ბედი მართლაცდა გასათცარია. თღონდერთი ცუდი ჩვეგაც აქვს. ეგ არის, რომ მან არ იცის და არ ეშინია სეტემან შარვაშიძის, მაგრამ რაა გასაკვრი, თვით დმერთიც კი არ დაინდო ბედისწერამ!

თითქოს ყველაფერი იქითკენ არის მიმართული და მწერალიც წინასწარ ამზადებს მკითხველს, რომ თუკი რომანის შშენიშვნ პერსონაჲს, დარუნდია შარვაშიძეს რამე შეემთხვა, არ გაიკვირვოს, არ თუცნაუროს. ასევე ამჟღვებს მკითხველს, რომ თუკი იმ ქალის ბედი ტრაგიკული იქნა, ცოტათ მაინც დგაროს ცრემლი!..

და მაშინ, როცა ჯალათი აღასრულებს თავის მისიას, ხოლო ლეგანი ამაზრზენად გასცემს თავის საყვარელ ქალს, დაგენანება თვითონ მთავარი. ხოლო დარუნდიას ნათელამი მარტოოდენ უბრალო სიტყვათა წყობა კი არა, არამედ ძახილია მისა, რომ გაიღვიძოს დიდმა მთავარმა. ქალის თქმისამებრ, ტყუილად შესწრა თავი შევრელთ, რამეთუ ისარვებლებს მისი არყოფნით. მისი ვეღრება სულს უფორიაქებს ლეგანს; ეუბნება, მის ღირსია ოდიშელნი, რომ პატივი აპეროთ.“ „დაუკავშირდი ხონთქარს, შაპს, ან რომელიმე მტერს, რომ ცოცხლად მიჰყიდო ისინი, რამეთუ უკეთესის ღირსია არ არიანო!..

„ეკალს ეგ თვისება აქვს; თუ იყრძნო, რომ გასაწრიადაა განწრული, დასწრებს და სხვის გასწროდავ“... წავიდა დარუნდია და აუფორიაქა ლეგანს სული... იქნება მართლა ტყუილად შესწრა თავი სამეცნიეროს?..

ცოტა არ იყოს, მთავარი ახლა უჯერებს დედოფალს; როცა პროცესია დასრულდა და ქვემენებმა კვამლში გახვია სამთავრო, - ასე უთხრეს მთავარს: „მტერი დაიძრა ყოველგან!..

მაგრამ რა ხდება? უმოქმედოდა და მარტო ასე ამბობს:

„ასე უქნიათ ნაცარ-ტტვრად უქცევიათ ეგ უდირსი სამთავროო!..., თვითონ კი მისაღებ ოთახში შედის. აი იქ, სადაც სიმამრისებან მორთმეული მზითვაშორისი საოცრება ელოდა. ისსტრუმენტი, რომელიც აგონებდა მის დაკარგულ სიყვარულს; ბედად შავმა კატამ გადაირბინა. ეგ უბედურების ნიშანია მწერლისეულ ხელოვნებაში. თვითონ მთავარიც ყოველივეს ბედისწერას მიაწერს...“

უბრალო არაა დარუნდიას წასვლაც. მანამდე ანიშნებს დიდ მთავარს. „მაშინ, როცა ჩემზე აგიყრუგდება გული და ფრძნობ, რომ შენ ჩემთან შედარებით პირამიდა ხარ, რომ ჩემზე გაცილებით უკეთესი, - მაშინ შეგევრდომები: იქნებ ამ პირამიდას საძირკველი აქვს და მისი ლიბო ვარ მე?!“ ცოტათ აეჭვებს მთავარს, რომ თუ ჩვენ დაგშორდებით ერთმანეთს, არარათიად იქცევთ შენც და შენი სამთავროცო!...

თვითონ მთავარი მართლაცდა უზომოდაა შეყვარებული, მაგრამ სამთავროზე წინარე არავის ძყენებს. როცა დედოფალი ეგედორება მასთან ერთად იმღეროს, უარს ეუბნება სურვილის შესრულებაზე.

- „ჩემი სიმღერა ქარის ზუზუნს ჰგავს, ყოველ წამს რომ შესაძლოა გრიფალად გადაიქცეს. არ გინდა, არ ღირს, რაღაც უბრალო ანირების გამო სახელი გამიტყდეს. ხომ იცი, თუ აღმოგაჩენენ, რომ უგულო კერძება ხარ, ხელად შეგიძლებენ. აბა რას იტყვის ხალხი. გადარეულა მთავარიც და თვითონ სამეცნიეროს დედოფალი, რომ ძნელბედობის ჟამს, როცა ასე უჭირს ქვეყანას, - დამის ბინდუნდში ისტრუმენტს აკენესებენ!“

კარგად ესმოდა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. ამიტომ ამბობს „შეცდომა იქნება მედოლეები და მესტვირეები ქუჩაში გამოფინონ და გაიძულო სიმღერა და თამაშით!..“

ლეგანს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ სამთავროებთან. მხოლოდ იმერეთის მეფეს გერ ეწყობოდა. ერთი მხრივ ეგ კაცი დიდი ფარისებელი ვინმე იყო. მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გიორგი ლიპარტიანთან, გულში კი ფიქრობდა ყოფილ რეგენტზე:

„ამ კაცს საკუთარი ცხოვრება ვერ მოუწესრიგებია და ხალხის ბედს როგორ განკარგავს? უმჯობესია საკუთარი მოიწესრიგოს, სანამ საკაცობრით ტვირთს მოიკიდებდეს...“

და ისევ გიორგი ლიპარტიანის პორტრეტს მიღებრუნდეთ. უცნაურია მისი შინაგანი სამყარო და სულის ძანიღი, როცა ჩაესმის შემდეგი სიტყვები: თუკი დედა მოგენატრება დაგთამშობლის ხატოან დაიჩოქე, რომ დედაშვილური სითბო იღრძნოთ, - არ იჩიქება და თავს უმხელს იმასაც, რომ დედა არ უყვარს.

ნაწარმოების გმირები განიცდიან სულიერ კატაკლიზმებს. თითოეულს დრო ეთამაშება, ეკეპლუცება და თავს აჯერებენ, რომ არ

იცვლებიან დროსთან მიმართებაში. მხოლოდ უაში იცვლება. და წინდაწინ ჭვრეტენ, რომ იმაზე მეტად დაზარალდებიან გიდრე დღეს არიან დაზარალებულნი.

ცნობრებისგან გაღოთებულ მანდილოსას ეშინია მომავლის. ამიტომაცაა, რომ ნაბიჯს არ დგიას, წინ არ მიიწევს. პალუცინაციებისა და შემზარავი ორონის ქვეშ ვიღაც მუსიკოსს სახით ეწურჩულება და მოქმედებისკენ უბიძებს...

თავადაც კარგად ესმის, რომ „დოზე და რეზე მოიმედე მუსიკის მთელ აკორდებს გერ ააჟღონალებს. „შენ მხოლოდ დოზე მოიმედეს გსურს იყო ბედის კმაყოფილი. მაგრამ ეძიე დანარჩენებიც. ააწყვე, პარმონიაში მოიყვანე და როცა გამონაგონი რაღაცას დაემსგავსება შენი ტანჯული ცნოვრებაც უდავოდ შეიცვლება. შენ არ იმსახურებდი ასეთ მომავალს, მაგრამ რას იზამ, - ასეთი ყოფილა ბედი შენი!“

ისეთი განცდა გიჩნდება, რომ მუსიკოსი ცნობრებაა თვითონ, ან საწუთოს საიდუმლოების შემცნობი. და ჩნდება იღუზია იმისა, რომ მუსიკა ახლაც უკრავს. ისე გიახლებს მისი ნათქვაში და ისე უღერს, როგორც პარმონია, გამდინარი წყლის რაკრაკსავით. თუმც, საყვარდულსაც უკანება. აი მაშინ კი შემზარავი მოსახმენი ხდება დაკრული:

- განა არ იმსახურებ ასეთ ცნოვრებას? განა ყოველივე შენით არ შეჰქმენ? არასოდეს გიბრძოლია, ამიტომაც მონა უკეთესად ცნობრების ღირსი არ არის!

იცის ნებტანმაც რომ უნდა იმრძოლოს, მაგრამ ას ხომ მოკლებულია თმის ნიჭეს?

მაშინ რაღაც ხმა ცნარობს და უკანება:

გულხელდაკრეფით იჯექ და მოგუდე ეგ არაფრისმოქმედი და არაფრისმოქმედი წამები. ერთს გორჩევ მაშინ, ჭრაქი აათე ან სანთული, რომ შეს ძგირფასს მეუღლეს არ მოკლო რომანტიკა...

ნებტანი გრძნობს, რომ დასცინიან. ამ დაცინვას გერ ხვდება და რეალურ რჩევად მიიჩნევს სანთლის ანთებას მეუღლისათვის. აქ შეფარვით უკანებიან, რომ თუკი წახგალ და გაიქცევი შენი ძგირფასი მეუღლის შინაგანი სამყარო განათდება, ნათელი დაისადგურებს და მიწვდება, რომ შენ სანთელივით საჭირო იყავ მისთვის...

გაქცევისაგენ კი დიდი მთავარი უბიძებს. „ეგ რა დაგმართნია დედოფალო, რომ თაკარა შეზეზე საბელმობმულ ძალლს დაატარებს.

„დედოფლობა,, არ გცოდნია, თუ დმერთი გაგრისხვია? სულ სხვა სიმაღლეზე უნდა იდგე დღეს მაინც.

ნებტანის კი ასეთი პასუხი აქვს მომზადებული: (თითქოს თავსაც აცოდებს).

ფარისეგლობა? თპ ეს ოხერი და დაწყევეგლილი ფარისეგლობა. ისედაც ბეგრს გითმენ და გმაღლაც. მოჩენებითი ნიღაბი ბედნიერი ქალისა ჯერაც ღირსეულად დამაქვს. ნუთუ ეგ არ კმარა, რომ კიდევ ახალი საზორუნავით დაფიქმით სული?

ხოლო როცა მთავარი გაქცევისაგენ მოუწოდებს და თან მის დაცვაზე პრეტენზის აცხადებს, ხვდება ბანოვანი, რომ ამ ერთ წუთში იმაზე მეტი შესთაგაზა, რასაც მთელი ცხოვრება გერ მისცემდა გიორგი ლიპარტიანი...

უბრალო არ არის რომანის გმირთა აღსახრული. რამთვის იკლაბეს ნებტანი თაგს? როცა მთავარი უმხელს, რომ ნურასოდეს დაუცრავს მაგ სამეფო ისტრუმენტზე, რამეთუ არც მოსწონს ქალის დაკრული და ამასთან თავის დაკარგულ სიყვარულს აგონებს, ბანოვანი ხვდება, რომ სასახლეში სრულიად ზედმეტია. თვითმკვლელობით აღსახრული კი მთასწავებს მისი სულიერი სამყაროს გამყინვარებაზე. რომ გიორგისთან თანაცხოვრებამ შეცვალა, მიჩქალა მასში არსებული შშენიერებანი.

დარუნდია კი მაშინ კვდება, როცა ამის აუცილებლობას გრძნობს. არც ის სჭირდება ქვეყნად ვინმეს. გერ გაიშლის თმას მეუღლისათვის, გერ მოუვლის შვილებს, გერ მიენმარება ბერიკაცს მარტო-ობის უმმიმებს წუთებში.

ამ დროს მთავარი წარსულის დაბრუნებაზე თცნებობს. უნდა ხელახლა გაიაროს განვლილი გზა, მაგრამ რაღაც იღუმაღება ეწინააღმდეგება. აშინებს, ემუქრება, რომ არ ღირს, რომ ძნელია ყველაფრის ხელახლა განმეორება. აჯობებს იმოქვედოს, დინების არ შეეწინააღმდეგოს.

ნიშანდობლივია რომანში მისი ანდერძი.

ყურში რომ ჩაესმოდა ხმათა მუსიკასავით:

-„ნუ გგონია თავი დმერთი, რადგან მეუფება მეტად როულიაო. და გერ არკვევს მარტოობით განმსჭვალულ სივრცეში გინ ეჩურჩულება და უკანება მთავარის საადმისარებლო სიტყვებს.“

მართალია ეგ სიტყვები სულ ადრეა დაწყებილი, მაგრამ მთავრის სიკვდილის უაშს, თუკი გულდასმით ერთხელ მაინც წაგიკითხავთ ეგ

ეპიზოდი, მიხვდებოდთ, რომ წერალი შეცდა, რამეთუ ის აღსრას-რულის უამს უფრო მძაფრი იქნებოდა.

მოუხდაგვდ იმისა, რომ ბოლოს, ეპილოგამდე არ წერია: „ცუნოვრე ისე, თითქოს რომელიმე ასკეტი ბერი ხარ, ადამიანური მანკიერები-საგან გაძრცვნილიო, მაგრამ სულისშემხუთველი გარემო კი დაჩაგ-რულად აქაც აგრძნობინებს თაქს.

სიშაგის ანგელოზი ეწურჩულება: - რატომ უნდა იგრძნო თავი დაჩაგრულად? თავად დაამცირე ცნოვრება და ნაგვის ურნად აქციეთ ფი. ისეგ მიმდინარეობს ომი და ქიში, ოდონდ წინანდლისა-გან ერთ სახესწაობას შეამჩნევთ – მარტობა ჯაბნის და ერევა...

ამიტომ ჩივის: „ხულელი კი არ გარ სინამდვილეს თვალებში შეგნედ და ვერ აღვიჩება, მაგრამ მაცალე ცოტა ხანს, ხომ ამჩნევ თავს რომ ვიტყუებ, მაგრამ არ ესმის მისი ვედრების არც მარტო-ობას.

ხალხის უმაღლერებას ბოლო არა აქვს. სამეცნიელოსთვის გულ-დაფლეთილ და თავგანწირულ ლევანს სიკვდილის შემდეგ პატივს აყრიან და იწყებენ ბოგის დადიანისეულ სასახლეს.

და ახდა დარუნდია შარვაშიძის ეპიტაფია:

„გერასონეს გაიგებს კაცობრიობა, რისთვის მოვიდა თდიშის დიდი მთავარი, ან რა აწუხებდა მთელი ცნოვრება...“

აფტორისაგან
2007 წლის 6 ოქტომბერი

I ნაწილი

•••

ნოემბრის სუსხიანი დარი იყო. პირქუში ზამთარი ძიძგნი-და ნაზ ბუნებას და გაყინულ არე-მარეს შემზარავ სურათებს უჩვენებდა...

იქნებოდა დაახლოებით მწუხრის პერიოდი. საგვარეუ-ლო სამრეკლომ დედა ზარი აატოკა და იმ საშინელ სიმარტო-ვეში ყრუ გუგუნი, თითქოს სამყაროზე ქრისტეს მეორედ მოს-ვლას იუწყებოდა. იქნებ ამ უცნაური შიშისა და მარტოობის განცდის მიზეზი გახდა მთავრის მოუსვლელობა საყდარში.

უგუნებოდ იყო ოდიშის დიდი მთავარი. თავისთვის, რაღაც გასამართლებელ მიზეზს ეძებდა, მაგრამ გრძნობდა, რომ პირ-მოთნეობითა და თავის მართლებით სცოდავდა ღმერთს.

„მაგრამ რომ მეზარება?!,“ – გაიფიქრა ლევანმა. მომბე-ზრდა თვალთმაქცობა. მაინც ყველას სჯერა ჩემი და წმინდა-ნად დავუსახივარ ხალხს. მაგრამ არა... იქნებ სჯობდეს ერთ-ხელ კიდევ გავერთხო საყდარსა შინა, - სამთავროს კეთილ-დღეობისათვის და პირადი წარმატებისთვის, - ასე წაატანა.

ბრძები მარტივად იჯერებენ ყველაფერს, ხოლო ერთი „მამაო ჩევენოს,“ თქმით ათასობით ყრუს ვითაყვანისმცემლებ. ხალხი ხომ სულელია. თუ დაანახვე, რომ ზედმეტად ღვთის-მოსავი ხარ, ძველ, მამაპაპისეულ ხატებს მიივინყებენ და ახალ სიწმინდეებს შექმნიან თავად; შავ ჰუნეზე ზოგი ბრიყვი, წმინ-და გიორგის ნაცვლად, მე გამომსახავს...

მსგავსი ურნმუნოება ხშირად შემოეპარებოდა სულის ბნელ კუნჭულში. გრძნობდა, რომ სცოდავდა, მაგრამ ღვთაე-ბად თავის დასახვა მაინც დიდ ნეტარებას ანიჭებდა...

ფიქრები ღლიდა დიდ მთავარს და სასონარკვეთილი ხშირად ზღუქუნებდა კიდეც. საყვედურობდა ღმერთს სამყა-როზე მოვლენისათვის... მას ზოგადად მოვალეობანი უთუ-თქავდა გულს. ჯვრის სიმძიმე უფრო აშინებდა, ვიდრე ღლი-

და... და ნანობდა რომ ძლევამოსილი სამთავროს ბელადი იყო,
ამავე სამთავროზე უგონოდ შეყვარებული...

სარკმლიდან გაიხედა. ბუნება მწარედ ტიროდა. ცალკე
დადიანს და ცალკე მისტიურ სამყაროს ტკიოდა სული...

ბნელ ლანდს მოჰკრა თვალი. ვერ გაარჩია, მაგრამ გრძნო-
ბდა, რომ სიშავის ანგელოზი უახლოვდებოდა სასახლეს...

უცნობმა კდემითა და რიდით დააკაკუნა კარებზე. თით-
ქოს შემოესმა ლევანს და უნდოდა ეყვირა, რომ კვლავ განმე-
ორდა კაკუნი...

- სად გაქრნენ ეს წყეული მსახურები? – გაიფიქრა მთა-
ვარმა.

იმავ წამს მსახურის ფორმაში გამოწყობილი ქალი გა-
მოჩნდა. ბატონის რისხვიან მზერაზე ნაბიჯს აუჩქარა. მღელვა-
რება და რიდი ჩაგუბებოდა თვალებში. ეშინოდა?! მერედა რისი?!

მიუხედავად დარბაისლური გამომეტყველებისა და
მყაცრი იერისა, ვერ ვიტყვით, რომ მთავარი გულქვა და სას-
ტიკი იყო. უბრალოდ წესრიგისა და რიტუალების მოყვარული
გახლდათ.

სმენოდა, რომ შორეულ საფრანგეთში მსახურები ბატო-
ნის დაკრულზე ცეკვავდნენ, სასახლის წინამძღოლს თვალებ-
ში შესციცინებდნენ და დავალებას უსიტყვიდ ასრულებდნენ.

მათ ფონზე სრულიად ზარმაცებად წარმოედგინა ში-
მუნვარები თუ ხელქვეითები...

„ფრანგები ბუნებით ამყოლნი არიან, – თავისთვის დაას-
კვნა მთავარმა. ხასიათის თავისი უახლოებაზეა ყოველივე და-
მოკიდებული. იქ, სხვისი ხელქვეითობა ზოგისთვის ნეტარე-
ბას წარმოადგენს. თავისუფლების მოტრფიალე ქართველი კი
სხვის უდელს მიმაგრებას სახრჩობელად ან სასიკვდილო განა-
ჩენად მიიჩნევს.

მაინც რა ყოფილხართ ქართველნი და უწინარეს კი მეგ-
რული შტო. მსახურებიც კი მანეკენებად ვერ ქცეულხართ.

ლევან დადიანი თავისი ხასიათის სისუსტეს მიაწერდა
ყოველივეს. ბოლოს, ისიც კი დაასკვნა, რომ „ბუნებით ამაყს
არაფერი შეცვლისო“, და მოსამსახურეთა დამონებაზე აიღო
ხელი.

•••

გაიღო სასახლის კარი და სასულიერო პირთაგანი შემო-
ვიდა. პირჯვრის გარდასახვა აქაც არ დავიწყნია. მთავარს
ღვთისწყალობა უსურვა პირველ და მერმე...

ის იყო, საყვედური უნდა ეთქვა წირვაზე გამოუცხადებ-
ლობისათვის, მაგრამ მოაგონდა „ხალხის დამპურებელი იყო
ლევანი და მასთან შუღლი სამთავროს დაანაწევრებდა“. აკი
თვითონაც ხვდებოდა, რომ ოდიშს მსგავსი ძლიერება ჯერაც
არ განეცადა. დიდად უხაროდა, რომ ყველაფრის მიუხედავად
მხიარულად ცხოვრობდნენ სამთავროს მკვიდრნი და საყვე-
დურს დუმილი არჩია...

მიხვდა დადიანი მოძღვრის იჭვნეული გამოცხადების
მიზეზს. თავდაპირველად დუმდა, შემდეგ ჩვეული ოსტატო-
ბით სახე მოინალვლიანა, ქვეშეცნეულად, იდუმალად იწყო
ორატორობა.

„უწყი შენ, სულისა ხელმწიფევ, რაოდენ მომქანცა სამ-
თავროზე ზრუნვამ და გარჯამ. ჩვენში ორგულნი მომრავლ-
დნენ და მახვილთა ლესვა იწყეს....“

რაღაც ძალამ უბიძგა ბიბლიურ ჰანგზე ემლერა: „ნუ გგო-
ნიათ, ვითომ დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი. არა
მშვიდობის, არამედ მახვილის მოსატანადო..“. ამას გაიძახის
ცალკე გურიელი, ცალკე სხვა ვაი მთავრები... მათ მიზანს წარ-
მოადგენს დამცრობილნი და განადგურებულნი იხილონ თვი-
სივე მოძმენი. მათ ერთმთავრობას, მთლიანობას მტრობა და
შუღლი ანაცვალეს. და მებრალება ისინი, რამეთუ მსგავსი
სულმდაბლობა დაღუპვას უქადის მათ და ამასთან, წინასწარ
ვიცი, რომ ოდიშის მსგავსად ვერასდროს აყვავდებიან. ვერას-
დროს აღნევს წარმატებას ის, ვინც ყრმას მარტოოდენ იარ-
ალის ლესვას ასწავლის და თვალი კი მკვლელობაზე გაურბის.

„მე ისიც გამიგია, მოძღვარო, რომ ყველაზე დიდ დანა-
შაულს ჩადის ის, ვინც მოძმეს ლახვარს სცემს. მაგრამ ვე-
რაფერს დამაკლებენ მე, დიდ მთავარს...“

კიდევ უნდოდა გაეგრძელებინა, მაგრამ მიხვდა, რომ მოძღვრის წინაშე დანაქადნებმა სიტყვებმა ცოტათი აანერვიულა სასულიერო.

„ეს რა წამოვროშეო“, - წამიერად ინანა, მაგრამ ისიც მოაგონდა, რომ ყოველი შეხვედრა ამგვარად სრულდებოდა; და ეს სიტყვებიც მათი „პაემნის“, დასასრულად მიიჩნია...

- გაცილებით დიდია შრომა და ღვაწლი შენი, მაგრამ ზეციური მამის წინაშე გიფასდება ყოველი. რაოდენ დიდიც არ უნდა იყო, არ დაივიწყო უფალი, თორემ სულ მარტო იქნები მარადის...

- გახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მცირენლოვანი იყავ და ტახტს რეგენტი გიორგი ლიპარტიანი მართავდა?! ასეთი არ იყავ მაშინ!

ყოველ დღესასწაულზე ძვირფასი საჩუქრებით, ნუგბარი კერძებით უმასპინძლდებოდი სამრეკლოსა და საყდარს შეკრებილ უპუროებს. მაშინ მთლად წმინდანი იყავ. – ისე აღმოუტევა მღვდელმთავარმა, თითქოს იმ დროს მისტიროდა.

უკმაყოფილო ქადაგებანი კვლავ გრძელდებოდნენ...

გახსოვს, სასახლიდან რომ ძვირფასი სამკაულები მოიტანე და ხატებს მოაფინე? მანუჩარ I დადიანის ძე იყავ, ყოვლით მდიდარი და შეძლებული, მაგრამ ბიძის რისხვა დაიმსახურე. ყოველთვის ქედმალალი და ამაყი იყავ. ლიპარტიანებმა რომ ქურდი გინოდეს და დაგამცირეს, ამით გულიც დაგწყვიტეს. მაშინ გირჩიე: „უბრალო ბაიები მოართვი დედა ღვთისას და ისიც საკმარისია-მეთქი....“

შორიდან გადევნებდი თვალყურს როგორ იზრდებოდი და ვაჟკაცდებოდი, ყოველ დღესასწაულზე ბაიებითა და ყვავილთა კონებით ცხადდებოდი. დღეს კი... დედის ხათრით მაინც მიახლებოდი სალოცავს.

ტუჩიზე იკბინა მთავარმა. მოაგონდა, რომ დედის გარდაცვალების დღე იყო და ამასთან, მისი დაბადების.

რა უმადური ვყოფილვარ, - თქვა ნაღვლიანად და გულმხურვალე ლოცვას შეუდგა.

•••

ალექსანდრე კახთა მეფის ასული იყო თამარი. უმშვენიერესი მანდილოსანი; ბუნებით ნაზი ქმნილება. საოცრად მიმდობი და მიამიტი...

კახთა მეფეს საკუთარი ასული უცხოობაში ჰყავდა გაზრდილი. სპარსულ, ირანულ ტრადიციებსა და ენას ასწავლიდა ქალიშვილს.

მეფური სისხლის ჩამომავალი იყო და ხშირად სტუმრად ეპატიუებოდნენ ირანში. იმასაც ამბობენ, რომ შაპ-აბას I მონიბლულა ქალის მიმზიდველი აღნაგობით და ხშირად თავისთან ნადიმზე ჰყავდა თამარი საპატიო სტუმრის რანგში...

დესპანებმა ამცნეს კახთა მეფეს, რომ ეგ ურჯულო ასულს მოგტაცებს და აჯობებს რაიმე მყარი მიზეზი მოძებნო, რომ თამარი საქართველოში დააბრუნო...

ალექსანდრე გრძნობდა, რომ თუ ასულს ცოტა ხნითაც დააყოვნებდა უცხოობაში, მისი მოძულე მტერი წაგვრიდა და ამით შეარცხვენდა მას.

ასე მისწერა ალექსანდრემ:

– „თუკი ოდესმე გიგრძვნია რა არის ქალიშვილის სიყვარული, მცირედი ხნით გადმოაბრძანეთ თამარი კახეთს. ქალური სწეულება შეჰყრია დედამისს და ითხოვს უკანასკნელად ასულთან გასაუბრებას...“

ეს რასაკვირველია შეთითხნილი ამბავი იყო. შაპ-აბასი მეფის ნათქვამის სისწორეში უცილობლად დაეჭვდებოდა, ამიტომ, საჭირო იყო ალექსანდრეს თავისი მეუღლე სადმე გადაემალა...

თავისი მეუღლის ოთახში ვიღაც სწეული დააწვინა კახეთის მეფემ, თვითონ დედოფალი კი თავის ერთგულ მოკავშირეებთან, დადიანებთან გაგზავნა. დედოფალს ცდა არ უნდა დაეკლო და თავისი ასული როგორმე დადიანების რძლად გაეხადა...

შაპ-აბასმა მცირედი ხნით უკან დააბრუნა თამარი... რამოდენიმე ხანმა განვლო...

მზითვები გაუგზავნა თეირანიდან შაჰმა კახეთის მეფეს,
თან უთხრა: „შენი ასული დღესვე უნდა მეცოლოსო..“

ცოტათი შეშინებულმა მეფემ სანაცვლოდ ძღვენი მიარ-
თვა ისპაპანს, პასუხად კი უთხრა: „დედის ანდერძის შესრუ-
ლება გადაწყვიტა თამარმა. წასვლამდე დანიშნული იყო სა-
მეგრელოს მთავარზე და ცოტათი ადრე რომ მოგეწერა და
გეთხოვა ჩემთვის, ეგებ რამე გვშველოდა..“ დიდი პატივის-
ცემის ნიშნად მუხისგან დამზადებულ ნარდს გიგზავნი, სპარ-
სული ორნამენტებით, ასევე ხალიჩებს და კახურ ღვინოს...

უნდოდა, ქრთამით მაინც მოელბო შაჰ-აბასი, რადგან ეშ-
ინოდა, ბოროტი ძალით არ გამოელაშქრა საქართველოსკენ...

ასე გადაარჩინა თავისი სათაყვანო ასული კახეთის მე-
ფემ ალექსანდრემ და მტერთან სისხლის არევას დადიანებ-
თან დამოყვრება არჩია...

თამარ და მანუჩარ დადიანს ქორწინების მეოთხე წელს
ვაჟი შეეძინათ. სახელად ლევანი დაარქვეს...

•••

მსახურებისა და მოახლეების მთელი გუნდი ელოლია-
ვებოდა დიდ მთავარს. ფერხთ ეგებოდნენ, ბატონის ნაბრძა-
ნებს უმაღ ასრულებდნენ.

შიმუნვარს ლარნაკი ჩამოჰქონდა. დანარჩენები ეზოში
მსხმოიარე ვარდებს მაკრატლით ჭრიდნენ.

იქვე, ახლო-მახლო, ლამაზ ხეივანში მთვარის მხრჩოლავ
შუქზე ქალის მშვენიერ ბიუსტს მოჰკრავდით თვალს...

გვიან მოაგონდა ლევანს, რომ დედის ანდერძი აუცილე-
ბლად უნდა შეესრულნებინა...

მთავრის ქალი ხასხასა ვარდებს ითხოვდა, სამთავროში
დაწურულ ღვინოს, „მეგრული ნანას,, ამუსიკებას და სხვას...“

გვიან, ძალიან გვიან ასრულდა, მაგრამ მთავარია, რომ
საბრალო ქალბატონის სურვილი მივიწყებული არ იქნა...

•••

სასახლეში გვიან ღამით დაბრუნდა. მისაღებ ოთახში
როიალი იდგა, რომელზეც „უცნობი“, მანდილოსანი ჭირვეულ
მუსიკას ანახლებდა.

ღამის ბინდბუნდში მწარედ ტიროდა სამეფო ინსტრუმენ-
ტი. მოეჩვენა ლევანს, რომ ძალზე უშნოდ უკრავდა სტუმარი.

პირფერი და მლიქვნელი არ იყო, ამიტომაც ეძნელებო-
და დაემალა საკუთარი განცდა.

აშკარად არ მოსწონდა კლასიკა, მაგრამ რაღაც ძალა ზღუ-
დავდა, აკავებდა. არც თვითონ ინება ის ზღუდე და კედელი დაე-
ნგრია, რასაც თავშეკავება ერქვა.

მაშ, რა ექნა მთავარს. მოაგონდა, ბიბლიოთეკაში რომ
მყუდროება მეფობდა და დიდმა მთავარმა მარტოობასთან
დაზავება სწორედ იქ გადაწყვიტა.

მინორული ხმები იქაც შემოესმა. გრძნობდა, რომ მთლად
მარტო იყო დედამინაზე. „ხომ არ ვილოცუ?!,, – მაგრამ უწყო-
და, რომ ღმერთთან ჰარმონიას ვერ დაამყარებდა, რადგან მარ-
ტოობის ღვთაებას უკმერდ გუნდრუკა და საკმეველს...“

ძველ ტილოებს მოჰკრა თვალი. ხელოვნების უნიკალურ
ძეგლებს არ წარმოადგენდნენ, თუმც კი მსოფლიო ხელოვან-
თა ხელთუქმნელ შედევრებზე ძვირფასად ეჩვენა.

ზოგან მამის პორტრეტს მოჰკრა თვალი, ზოგან ნატურ-
მორტს, ზოგან მინიატურულ ჩანახატებს. მოულოდნელად
საკუთარი ყრმობის ამსახველ ფირს წააწყდა. გული დაწყდა,
რომ აშკარად გარდაქმნილიყო. სარკეში ჩაიხედა და ჭალარა
თმის ხილვაზე ადამიანური ყოფა შეიცნო და გაუკვირდა, რომ
სახეზეც წაადრევი სიბერე აღბეჭდვილა...

•••

ჯვრისწერამდე ერთი კვირით ადრე მთავარს უბედურე-
ბა დაატყდა თავს. სიყრმით საოცნებო საქორწინო გვირგვი-
ნის დადგმა არ ეღირსა დადიანთა გვარის წარმომადგენელს...

ოცნება უყვარდა ოდიშის მთავარს. ასე ეგონა, რომ მი-
რაჟთა სამყაროში ცხოვრებით შეეძლო წამიერად დაევიწყე-
ბინა უცილო ხვედრის მნიშვნელობა.

წარმოიდგინა ქალაქი ფაზისი. აიეტისა და ლეგენდების
სამშობლო. მდინარეზე ფაფუკად გადებული ხიდი, რომელ-
ზეც ყველა და ყველაფერი ნაზად, აუტოკებლად მოძრაობს.
ამ ხის ხიდზე ვერ ნახავთ ვერანაირ მარშრუტს, ვერც საბარ-
გოს, ვერც ტვირთმზიდავს.

კდემამოსილება ჩასახვია ლამაზ ქალბატონს სულში...
ყვავილთა თაიგულს ფაფუკად ეხება. უცხო, მინდვრის ყვავი-
ლთა სურნელით ათრობს გაუბედურებულ სამყაროს... დაგე-
ნანება მსგავსი მშვენებანი მოსაკრეფად, მაგრამ რა ადამია-
ნი ხარ, თუ არ მოჰკალი, თუ არ შემუსრე და გაანადგურე ყოვე-
ლი. ამ კონების გარემოცვაში გავიწყდება, რომ მიწის გუნდის-
გან შეკერილი ქმნილება ხარ, მარტომბისთვის და უბედურე-
ბისთვის განწირული...

გაივლის წლები და სიკვდილის მომლოდინე დიდი მთა-
ვარი წარმოიდგენს, თუ როგორ დათქერა გრძელულმა მეე-
ტლემ და როხროხა ეტლმა მისთვის წმიდათაწმიდა.

დღეებიც და მთავარს უნდა ეცოლოს. გვირგვინი და სა-
მეფო ცხოვრება მოელის მდაბიოს ქალიშვილს. მას ჯერ არა-
ფერი უნახავს, გარდა ცრემლისა და უბედურებისა. როცა ეჩ-
ურჩულებიან, რომ დიდი საასახლის დიასახლისი უნდა გახდეს,
- ცქმუტავს, ნერვიულობს, ჭირვეულობს. შიშობს, იქნებ თავი
ვერ გაართვას სიძნელებს. არ უნდა ოჯახი შეარცხვინოს. ისიც
ეფიქრება, ეგებ ვინმემ მდაბიოს ასული უწოდოს. წინასწარ
იცის, რომ დაცინვა მოელის, მაგრამ აიტანს. ხომ მაინც მიჩვეუ-
ლი არის იმას, რომ შეეგულს ყოველივეს.

დადიანთა გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელი მაინც
ეჭვიანობს, ხომ სულით ფაქიზი არსება უნდა ეცოლოს, მაგ-
რამ... „იქნებ მოინდომოს თავისი მშიერ-მწყურვალი დედ-მა-
მის ჩემს ხარჯზე დაპურება“. ლარიბს ყველაზე მეტად უჭირს.
აურაცხელი პრობლემების წინაშე მყოფნი ჩემში ეძიებენ სა-
სოს და ნუგეშს... მე ვიქნები მათთვის რწმენის ტაძარი, ხოლო
ისინი ქურუმობას არ მოიშლიან არასგზით....“

და მოულოდნელად ფიქრი და ოცნება წყდება. მოლიზდა-
რი მდინარის ბანი და ექო შემზარავად გაპკივის „მიეშველე-
ოთ“.... ცხენების თქარა-თქურში ვითომდა ბედნიერ გოგონას
წაართვეს ცხოვრება.

მეეტლე სადღაც მიიმალა. სწორედ ისე, როგორც მკვ-
ლელებსა და ლოთებს სჩვევიათ.

მომაკვდავი ბედის ანაბარა დატოვეს ქუჩაში. ერთხელ,
ოლონდ ერთხელ დაეხედათ მისი სახის კრუნჩხვიან ნაკვთე-
ბზე და მერმე გაცლოდათ თუნდაც...

•••

რიურაუზე, როცა ბუნება თავს ანებებდა ძილს, სამყა-
რო კი განახლებისთვის ემზადებოდა, მეზობელ ქალაქიდან
შიკრის სამგლოვიარო უწყება მოჰკონდა.

სასახლის ეზოში ძალლები ყმუოდნენ. გროძნობდა მთა-
ვარი, რომ დღეს მისთვის ახლობელ ადამიანს უცილობლად
დაკარგავდა...

ძალლებს რაღაც უჩვეულო ნიჭი არგუნა ბუნებამ ავის-
მომასწავლებელი წინასწარმეტყველებისა.

ახლაც არ შემცდარან წყეული პირუტყვები. ამჟამად მათ
წინდაწინ განჭვრიტეს მთავრის საყვარელი ქალის სიკვდილი...

ყველას ეგონა, რომ ლევანი გონს დაკარგავდა, მაგრამ
პირიქით. თავს დატეხილმა უბედურებამ გააკერპა, გააჯიქა.
პირველად იგრძნო, რომ სხეული ძალიან მძიმე იყო და ძალით
ატარებდა აქამდე.

ლევან დადიანმა მხოლოდ ცხენების შეკაზმვალა ბრძანა.
სატრფოსკენ მიმავალ გზაზე მალულად იცრემლებოდა.

რა გასაკვირია, „გული ჰქონდა ლევანს, თორემ ქვა რომ ჰქო-
ნდა, რა უჭირდა მაშინ!“

მსახურის ხელით უკანასკნელი სურვილი შეუსრულა.
მიცვალებულს თვრამეტი ცალი ხასხასა ვარდი შეუგზავნა.

ამაყად, თავის ანევით ჩვეოდა პანაშვიდზე გამოცხადე-
ბა. მის თითოეულ მოძრაობას, მიმიკრიას აკვირდებოდნენ

ყველამ ერთჯეროვნად აღმოაჩინა, რომ ყველაზე მედი-დური და თავკერძა კაცი თავჩაქინდრული მიუყვებოდა პრო-ცესიას...

სიღარიბემ გული მოუკლა ოდიშის დიდ მთავარს. რა არ სმენოდა გაუსაძლის ვითარებაზე. ბავშვობაშიც მშიერთა და მწყურვალთა ხილვისაგან გონება ეწამლებოდა, მაგრამ ის, რაც თავისი საცოლის სახლში ნახა, იყო გადაჭარბებული სი-დუხჭირე...

ხშირად საყვედურობდა საცოლეს, გულგამწყრალს ერ-თხელ ისიც კი უთქვამს, რომ ქალს ქუჩა-ქუჩა, ყვავილები-თურთ წანწალი არ შეშვენოდა.

ქალიშვილს კი მთავართან შეკამათება არ ჩვეოდა. იმის შიშით, რომ არ დაეკარგა ის.

სევდა გაუმძაფრდა მარტოსულ, ყარიბ მთავართაგანს. მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რად არ უჩერდებოდა ასულს გული შინ, რატომ გარბოდა სახლიდან უთენია და რად დაეხეტებო-და მდიდრულ აგარაკთა შემოგარენში. უნდოდა თვალი შეე-ჩივა ფუფუნებისთვის და არ ეუცხოვა დადიანებთან.

და პირველად მოხდა, რომ დადიანმა ქალის თითოეული ნაბიჯი მოიწონა და არ გაკიცხა. წამით ინატრა ლევანმა მისი გაცოცხლება, რომ ეთქვა, „რაოდენ ჭირდებოდა მთავარს მისი სიყვარული„. ნეტა რად არ გამოვნახე დრო მის სანუგეშებ-ლად?“ – საკუთარი თავი შეზიზდდა. არა იმიტომ, რომ ადამი-ანი იყო, არამედ იმისთვის, რომ მთავარი იყო ძლევამოსილი იმპერიისა. მთელი ცხოვრება მას შეალია. წამიც კი ვერ გამო-ნახა სატრაფოსთან მისასვლელად.

რომ სცოდნოდა, რომ ესოდენ ლარიბი იყო, სასწრაფოდ წაიყვანდა სასახლეში, რათა მისი ტანჯვისთვის მოელო ბო-ლო....

ამ ოდაში საარსებო პირობებიც არ გახლდათ. ისლის სა-ხურავიდან მზის ჩახჩახა სხივები იღვრებოდა და ათინათებით იმსჭვალებოდა ოთახი. ლევან დადიანმა ცივი და გაუსაძლისი ზამთარიც წარმოიდგინა. „იქნებ ამადაც ავადმყოფობდა ზამთრობით“, და ამ სიღარიბის დასავინყებლად გარეთ გავიდა...

•••

ლევან II დადიანთან ყველა სამთავროს წარმომად-გენელს ზავი და მეგობრობა სწადდა. ამადაც იყო, რომ სამძი-მრის სათქმელად ცინიკოსები ოდაში შეკრებილიყვნენ. იკო-და ოდიშის მთავარმა, რომ მზაკვართა გარემოცვაში იყო. ყველას სურვილს სამეგრელოს დაქუცმაცება წარმოადგენ-და. ყველაზე მეტად გადამტერებული გვარები ახლა ერთ ტაბაკზე ილუკმებოდნენ.

დადიანის პირისპირ აფხაზთა მთავარი იჯდა. ჯმუხსა და ძარღვიანს სახის ნაკვთებზე შეატყობით, რომ მძიმე ტრაგე-დია გადაეტანა. ცალკე ცხოვრებისეული ნეოლოგიზმს (მეუღ-ლის გარდაცვალება), ცალკე სამთავროს წარუმატებლობებს ბუმბერაზი დევიაცი დაეჩიავებინა. სახეზე მღელვარებისა-გან ჩრდილები ცეკვავდნენ. პანაშვიდის მინორული ხმები და მეგრული ჰანგები მაინც ყველაზე მეტად მისთვის იყო ნაც-ნობი. მაგრამ, ამ გლეხის პანაშვიდმა იმედი დაუსახა, რომ მის ასულს ოდესამე მაინც ინდომებდა დადიანი...

მწუხარე მზერა შეაგება მეზობელ მთავარს. ამ წუთში მართლა შეებრალა ლევან დადიანი. საყვარელი ადამიანის დაკარგვამ ყველაზე მძვინვარე მხეციც კი ჰუმანური გრძნო-ბით აღჭურვა.

გურიელი ცალყბად იცინოდა; სმენოდა ლევანს, რომ მეტად ურნმუნო კაცი იყო და ამასთან თავს ყველას სხვაგვარ-ად აჩვენებდა. ვერც კი გაეგო ოდიშის მთავარს რა იყო ოდაში სასაცილო. მღვდლის ბუტბუტი თუ ლევანის უბედურება?!

ასე ეგონა მთავარს, რომ ადამიანი მძვინვარე მხეცი იყო, რომელშიც ჰუმანური თითქმის არ იღვიძებდა. ნგრევის დე-მონს საკმარისი იყო ფრთები გაემალა და...

მარტოობა გულზე შემოეგზნო ლევანს. ინატრა, რომ ეს ოდა ცარიელი ყოფილიყო, რათა ფიქრისთვის და ოცნები-სთვის გზა გაეკვლია.

„სულ მარტო ვარ ქვეყანაზე. არავის ესმის ჩემი, ასე ჰგონიათ, თუ მთავარი ხარ, ყველაზე ბედნიერი ხარ. მე კი მგონია, რომ არ შეიძლება კაცი ყველაფრით ბედნიერი იყოს,, –

ვიღაც ჩია კაცი მიუახლოვდა სამძიმრის სათქმელად. ძლივს შეიცნო მთავარმა იმერთა ხელისუფალი. არც ეს კაცი იყო მთლად სანდო. თვალთმაქცური რჩევების მიცემა ჩვეოდა და ირიბად გადაკრავდა სიტყვას. ასე დაიწყო ახლაც:

- „დიდო მთავარო, უნდა ინამო, რომ ცხოვრებაა თავად ღმერთი და რომ, იგი მაშინაც კი მშვენიერია, როცა თითქმის არაფერში გიმართლებს. გახსოვდეს, რომ სიცოცხლე განგრძობადია, გვერდზე გაიხედე, სიშავე და ბინდი, ძაბა და გლოვა მხოლოდ სულს გაგიხრწნის. მოდუნდი, თავი ნეტარებას მიეცი. ისიც კმარა, რაც რომ სატანჯავად განუწესებია ღმერთს ყველა მთავრისათვის... თუ გინდა გადარჩე ქვად უნდა იქცე ლევან. თუ გრძნობებს მიენდობი და აყვები, დაიღუპები. დარდი და სევდა გაგლევს და გაგხრწნის. იცხოვრე დღევანდელობით და ბედის კმაყოფილი იქნები. ხომ გაგიგია: „სიძულვილის ზღვაში დახრჩობის უფლება იმას აქვს, ვინც წყალში მარტოკა შედისო,, – დაიღუპე თავი შენი, მაგრამ ნუ გასწირავ და დაღუპავ სხვას... ათასობით სვედამწარებული იმედის თვალით შემოგციცინებს და ნუ უმუხთლებ მათ,,.

- ღმერთო, ოლონდ ეგ კაცი ფარისევლურად არ მესაუბრებოდეს და რას არ დავთმობდი, - გაივლო გუნებაში დიდმა მთავარმა. მაგრამ რას გულისხმობდა იმერეთის მთავარი, როცა ამბობდა „ნუ დაღუპავ სხვასო?!,,

ყველაზე მეტად მოლოდინი სძაგდა ლევან დადიანს. მაგრამ მაინც იცდიდა, რადგან სჯეროდა, რომ ენამჭევრი თავისით დაფქვავდა სათქმელს.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი ლევან, რომ აჯობებს მყარად იდგე სამზეოზე და უპატრონოდ არ დატოვო ცხვრის ფარა. ნუდარ მიატოვებ შენს სამთავროს, თორემ ოდიში აპოკალიპსის ღამეს დაემსგავსება. მახსოვს, მამაშენს, მანუჩარს სიკვდილამდე დავპირდი, რომ სამეგრელოს გაძლიერებისათვის არ დავიშურებდი ძალას და ენერგიას.

მამიჩემის ანდერძის შემსრულებელო, ასე განაახლა დიალოგი ლევანმა, მაგრამ რა იგრძნო იმერთა ხელისუფალმა ოდიშელი მთავრის თავხედური გამოვლინება და გამოლაშერება მოკლედ მოუჭრა: ქილიკის, სარკაზმისა და ირონიის გარეშე იმეტყველეთ, თუკი რასაკვირველია, შეგწევთ ამისი ნიჭი...

ყოველგვარი ნიჭი მოუმადლებია ჩემთვის განგებას, ოლონდ ესაა, რომ მლიქვნელებთან და ფარისევლებთან არ მჩვევია ცალყბად სიცილი.

გურიელი, დადეშელიანი და შარვაშიძე ზურგს უმაგრებდნენ იმერეთის ხელისუფალს. ამიტომაც, ამაყად დაჲქონდა თავი... ასე ეგონა, ვითომ დედამიწაზე ერთადერთი იყო, - ადამიანური მანკიერებისა და კეთროვანების გარეშე.

ყოველი სულიერი საზიზლარ ქმნილებად ეჩვენებოდა. მხოლოდ თვითონ იყო წმინდა და სპეტაკი. პირამიდასავით ზემოდან გადმოჰყურებდა ღვთისშვილთ. მასში იმდენი ბოროტება აღზევებულიყო, რომ ვერც კი მალავდა ადამიანურ სისუსტეებს.

თავისი ორატორული მჭევრმეტყველებით თითქოს დადიანს აგრძნობინებდა, რომ პატიობდა ნათქვამს. „წმინდანიც შეიძლება იყო, მაგრამ საყვარელი ადამიანის დაკარგვა ღვთის სამდურავს უცილობლად გათქმევინებს,,.

ლევანმა პასუხად მიუგო: „ეგ თქვენი ღმერთი მხოლოდ უღირსებს უკრავს ტაშს,, ჩვენ ვგავართ ღვთისგან დასჯილ ბაბილონელებს, გოდოლის მშენებლობისას რომ ენები აღერიათ. ვაი, რომ ორივენი მთავარნი ვართ და რომ ორთავენი განსხვავებული სიმამაცით ვეზიდებით გოლგოთის ჯვარს.

•••

მიუახლოვდა სარეცელს. არშიებშემოვლებულ, დანჯლრეულ შეზღლონგზე მიცვალებული ნაზად და სათუთად ესვენა. „მკვდარიც კი ლამაზი იყო,, სახეზე უკანასკნელი სასიკოცხლო მნიშვნელობის კუნთები უკვე დავიწყებას ეცემოდნენ. შემზარავი, ტრადიციული მოთქმა და ვიშვიში გაისმოდა კუთხიდან.

მიცვალებულის დედა იმას მისტიროდა, რომ თეთრი კაბის ჩაცმა არ დასცალდა მის ასულს. მოულოდნელად მთავართან მიირბინა, მუხლებში ჩაუვარდა და ევეგრა, რომ მიცვალებულისთვის სადედოფლო კაბა მაინც შეეკერა.

ლევანი დათანხმდა და უმალ, გულისჯიბიდან ამოიღო ქისა, რომელშიც გახვეული ოქროს მონეტები გადასცა ჭირი-სუფალს.

უპედურმა, თუმც კი, სასიძოს გულკეთილობით ალფრ-თოვანებულმა დედამ კარადიდან „ქრონიკული ჩანაწერები“, გამოიტანა და დიდ მთავარს გადასცა ძლვნად.

გამოსათხოვარი სიტყვა უნდა ეთქვა ლევანს. მოემზადა წინასწარ, მაგრამ ენა მაინც ებორძიკებოდა. იმდენი რამ უწა-მლავდა და უშხამავდა გონებას, რომ ეშინოდა ყველასგან მო-ულოდნელად იატაკზე არ გართხმულიყო.

ჩუმად მიეახლა მიცვალებულს და ბაგეზე ეამბორა. თუმც კი მოეჩვენა, რომ მასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ალბათ იმიტომ, რომ ქვად იყო ქცეული და ამ უსულო გოგონას სხე-ული ისეთ სითბოს არ აცისკროვნებდა სულიდან, როგორც ჩვე-ოდა უწინ...

„ჩემი თვალები სევდით ციმციმებენ, მხოლოდ სახე იცი-ნის ძალად ფიქრი....“

გული გამიტეხე, უჟამოდ მიმატოვე. რა უნდა ვქნა ანი?! – მარტო ღმერთთან საჩივრით მისვლა იქნება გამოსავალი. ბიბ-ლის სიტყვები უარვყავი, დავარღვიე. „შენ ღმერთზე მეტადაც კი შეგიყვარე. ალბათ ამიტომაც წამართვა შენი თავი განგებამ. არ იფიქრო, რომ შენი თავი დავუთმე სიკვდილს, მხოლოდ იმი-ტომ, რომ სიკვდილმა და ბედისწერამ აგირჩია შენ....“

მახსოვს მეუბნებოდით: „უმჯობესია შენში ჩაიკარგოს სიძულვილი, ვიდრე თავად ჩაიკარგო მასში..“. მაგრამ როგორ შევიყვარო ვინმე, როცა ყველა ჩემს წინააღმდეგ მახვილს ლესავს. როგორ შევიყვარო საწუთოება, როცა უნდობლო-ბა დამანათლა ნაადრევად?!

შენ ბრმად ენდობოდი ყველას და ამადაც გაგნირეს, ამადაც გიმუხთლეს.

და მებრალები, რამეთუ შენ ერთადერთს გხედავ სიკ-ვდილის ხელით განადგურებულსა და დანაცრებულს, რომ არ შემწევს ძალი ქრისტეს დარად აღვადგინო მკვდარი ლაზარე.

გვიან ღამით დაბრუნდა მშობელ მიწაზე გულგატეხილი მთავარი. ის ნოყიერი ცისგამი და ნანასავით სამური ნიადაგი არცთუ ისე სანეტაროდ მიიჩნია. არ იცოდა, რა ხდებოდა მის თავს. მისთვის კერპი, სალოცავი, მთავარი ღვთაება, რომლის სწამდა და რომელსაც ემსახურებოდა ოდიშის სამთავრო იყო...

არ სწადდა ლევანს მეფურ სასახლეში განმარტოვება; ღარიბული, თუმც კი ძირძველი და მამისეული ოდა მიიჩნია ამ წუთში თავშესაფრად. ზღვისპირას განმარტოვებით მდგომა ქოხმა მასში გლეხის ინსტინქტი აღძრა...

და იმ დღიდან, შეუყვარდა ბამბუკებისგან დაწნული ძვე-ლმანი „სრა....“, ეს ოდა თავის სატრფოს აგონებდა, სიღარიბი-სგან გულდაფლეთილს...

მობეზრდა მდიდრული წვეულებები. ნიღბის ტარებამ აგრძნობინა, რომ მასში არსებული კეთილი მიიჩქმალა... „სი-შავის ბინდი“, გადაეკრა. ოჟ, ეს წყეული მასკარადები, რა როუ-ლია ცალყბად უცინო ცერემონიალის მოტრფიალებს. სა-ინტერესოა, რად არ იმართება გლეხთა ქოხებში მსგავსი წვე-ულებები? – რადგან ვერც შეძლებენ მის გამართვას და ამას-თან არც ენდომებათ დაუსრულებლად ტარება ნიღბის.

ოდაში შესვლისთანავე სველ მიწაზე გაერთხო... სიკვ-დილი მონატრებოდა, მაგრამ რა იგრძნო მიწის სიცივე, დაე-ნანა თავი დასამიწებლად.

ბამბუკისაგან შეკრულ კედელს მიეყრდნო. ქოხმა და-იჭრიჭინა. კუთხეში თავი რაღაცას ჭირვეულობდა.

მთავარმა ფანჯრიდან გადაიხედა. უღრუბლო ცამ გრძნო-ბები აულანძა. ვარსკვლავთა გუნდს მოჰკრა თვალი ცის თა-ვანზე. წეროთა ქარავნის მსგავსად, გუნდ-გუნდად, ჯგუფუ-რად მოძრაობდნენ პანია ქრიზანთემები...

ასე გრძელდებოდა დღეები. არაფერს ჭამდა დიდი მთა-ვარი. გლოვა და ძაძა სამთავროს ასუსტებდა. არც თათბირებს ესწრებოდა, არც რაიმე წყდებოდა ოდიშის საკეთილდღეოდ.

ომის სტიქიონი დღე-დღეზე გადაუფრენდა სამეგრელოს, როგორც მთავარი, ისე სამთავრო, მარტოსულად იყვნენ ქცეულნი.

მჭმუნვარე და სევდიან მთავართან მიახლოვებასაც ვერ ბედავდნენ ხელქვეითნი.

ხასიათით ჭირვეულმა მსახურთუხუცესმა გაბედა მხოლოდ საყვედურის თქმა. ასე უთხრა დიდ მთავარს:

- „ეგ რა წესია, ბატონი, რამოდენიმე დღე არაფერს მიირთმევთ და მშიერ-მწყურვალი ღამის ბეჭედში მარტო-ობას რომ ბუს მართვესავით ებრძვი?!”

პაპისეულ ოდაში, ასე უსულგულო წოლისგან დაინაცრა ეგ შენი სამთავრო, შენივე ხელით აღზევებული.

არ მეგონა მუქარიანი კილოთი ოდესმე თუ ამეტყველ-დებოდა ხონთქარი. მარტოოდენ დაზავებას კი არა ხელახლა მოხარკეობას გაიძულებენ მთავარო....”

წინასწარ დაზეპირებულმა სიტყვებმა ლევანი აანთო. პასუხად კი მიუგო:

- „მართალია ხონთქარს ხარკის სახით ყოველწლიურად ვუგზავნიდი ქალ-ვაჟებს და მიმინოებს, მაგრამ ამას შიშით კი არ ჩავდიოდი, არამედ უფრო იმიტომ, რომ უზრუნველყო-ფილიყო სამთავრო და ძველი კანონებით განმეგო!“.

„უმადურებაა შხამი სულისა და აუგიანი სიტყვები დასტურია სულის გარყვნილობისა და მონამლულობისა“, უმა-დურებას დაუნგრევია ადამიანში არსებული სათნო და კეთილი. შეეშინდა მსახურთუხუცესს, რამეთუ იცნო თავისი გულის ცვალებადობა.

•••

არ უნდა დაინახონ, რომ ფიქრიას სიკვდილმა უსულო ფიტულად მაქცია. ისევ სამთავროს კეთილდღეობისათვის აჯობებს არ მოვდუნდე და ოდიში ისევე არ დავათქერინო მეზობელ მთავრებს, როგორც იმ წყეულმა მეეტლემ დათქერა ჩემი სატრფო...

ვის არ დააბრალა დიდმა მთავარმა თავისი სიყვარულის სიკვდილი. იცოდა, თვალთმაქცი იყო გურიელი და არც კაცთა კვლას დაერიდებოდა იმერთა მლიქვნელი ხელისუფალი,,.

ბევრჯერ წარმოიდგინა გადამტერებულ მეზობელთა შურით განმსჭვალული მზერა. თავისი უნდო ხასიათის გამო ყველა სულდგმულს დებდა ბრალს პანია საქალბატონეს სიკვდილში და იმაშიც, რომ ასე უჟამოდ გააუბედურეს და მოკლეს მასში ყოველი ლამაზი და ფასეული. ეგ ამბავი შუალამის სიზმარივით ბურუსითა და იდუმალებით იყო მოსილი...

ბოლოს, ამაყმა და თავდაჯერებულმა მთავარმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მსგავსს სიბილნეს ვერასგზით შეკადრებდნენ და როცა ღამის ჩუმ წუთებში სულისალმძვრელი სიმარტოვე უამრავ შეკითხვას უსვამდა, ასე პასუხობდა ყარიბი მთავარი:

„უნდა დავაჯერო სხეული, რომ ყოველივე მუხთალმა ბედისწერამ დაგეგმა..“. და მიხვდა, რომ ერთადერთი, ვისაც მისი არ ეშინოდა, ეს იყო ღმერთი და ბედისწერა, ასევე ერთ ცნებაში განზოგადებული...“

•••

პირქუში ზამთარი ბობოქრობდა. თეთრ მანტიაში გამოწყობილიყო ოდიშის სამთავრო. გზებზე თოვლჭყაპი იყო და მოძრაობა გართულებულიყო. ჟამ და ჟამ მწუხრის მოახლებისას ატოკდებოდა საყდრის ვეება ზარი და შორეულ მიდამოშიც გაისმოდა მისი წკრიალა ხმა.

ჩვეოდა მთავარს ამ დედო-ზარის ყურის გდება. ეცოდებოდა კიდეც მარადიული მარტოობისათვის და დაუსრულებელი ღვთისმსახურებისათვის. წუთუ ასეთი მინორული იქნება მაშინაც, როცა სადედოფლო სამოსში გამოწყობილი საქალბატონე წარსდგება სულიერი მამის წინაშე?!

¹. ჯუზეპე ჯუდიჩე. იტალიელი მისიონერი ლევან დადიანის კარზე.

არისტოკრატული მანერები ჭარბობდნენ მდაბიოს თვისებებს. ან რა გასაკვირია. ის ხომ დადიანი იყო. გვარითაც და ჩამომავლობითაც ცნობილი დარბაისელი.

ნერვიულობის უამს უთავპოლო სიარულს მოჰყვებოდა, ბოლთასა სცემდა. ბიბლიას კითხულობდა ან სამედიცინო ლიტერატურას...

მდიდარი ბიბლიოთეკის მფლობელი გახლდათ და ამაყობდა კიდეც ამით!..

დაინტერესებული იყო ოდიშის მთავარი თავის თანამე-მამულეთა ბედით და სწადდა, მათვის სასურველი განათლება მიეცა...

„უსწავლელები, ჭარბად მოზღვავებულნი, სამთავროს დაანაწევრებენ. მხოლოდ ბრძენნი დაუდგებიან ტარიგად მამულს. ამიტომაც იყო, რომ რომში, ურბანო VIII-ეს კარზე სასწავლებლად წარგზავნა ოდიშელები. მაგრამ ყველას უზრუნველყოფას ვერ შეძლებდა ლევანი. დიდი სათხოვარით მიმართა მან რომის პაპს:

- „დიდად პატივცემულო მამაო, ურბანო VIII! მე თქვენი პატივის მორჩილი, უკვე, ათი წელი გავიდა, რაც დონ ჯუზეპე და დონ არქანჯელო ჩვენთან ჩამოვიდნენ და გადმოგვცეს თქვენი საპატივცემლო წერილი. მაშინვე გადავწყვიტეთ თქვენთვის გვეპასუხნა და წერილი გამოგვეგზავნა შიკრიკის ხელით, მაგრამ სიძნელეებმა, რომელთა შესახებაც დონ ჯუზეპე დაწვრილებით მოგახსენეთ, არ მოგვცა საშუალება მოგვეხადა ჩვენი ვალი; აი, ამიტომ დავაგვიანეთ პასუხი აქამდე. ახლა შედარებით თავისუფლად ვსუნთქავთ. უზენაესი ღმერთის შემწეობით დავიმორჩილეთ ჩვენი მტრები, აფხაზეთის, იმერეთის და გურიის მთავრები. ბატონ დონ ჯუზეპეს ხელით გიძლვნით ორ ბავშვს და გთხოვთ მათ კურთხევას. ჩვენ პატივით მივიღეთ მამები, რომლებიც ინებეთ და გამოგვიგზავნეთ. მათ გადავეცით კარგი ეკლესია, საცხოვრებელი სახლები, მსახურები და საკმაო სურსათი. რადგან ესენი კარგი მღვდლები არიან, ჩვენ განსაკუთრებულად მოვალენი ვართ თქვენი, - ასეთი ადამიანის გამოგზავნისათვის. გავიგეთ რა, რომ თქვენ მართავთ მთელ ქვეყანას, როგორც მემკვიდრე, წმინდა პეტრესი და უფლისა

ჩვენისა იესო ქრისტესი, გვსურს იყოთ ჩვენი მმართველნი და მფარველნი. აქ, ჩვენს სამთავროში არ არიან შალისა და აბრეშუმის მქსოველები, რომლებიც დაამზადებენ ტანსაცმელს ჩვენი ქვეშევრდომებისათვის და ისინი ხშირად იძულებულნი არიან ამ ნივთების საჭიროებისათვის თურქებს მიჰყიდონ თავიანთი ყრმები, რაც მიუღებელია და რომელსაც თვით ადამიანის ბუნება ენინააღმდეგება....“

კარგად უნყოდა, რომ ზეგავლენის მოხდენა შეეძლო დიდ მთავარს ნებისმიერ სულდგმულზე. სიტყვების სწორად შერჩევისათვის ხანგრძლივად ფიქრობდა. რადგან სწამდა, რომ სიტყვას ღვთაებრივი ძალა გააჩნდა... სიტყვას შეეძლო მძინვარე მხეცის მოთვინიერება...

დიდი და წმინდა კაცი იყო ურბანო VIII. წერილში ოსტატურად ნათქვამი სიტყვები რომ გულს მოუკლავდა მას, ეს კარგად ესმოდა. მაშ, როგორ იყო?! რას ამბობდა მთავარი. განა მარტო თავს აცოდებდა? – იგი ლესავდა მახვილს, რითაც იპყრობდა რომის პაპის გულს...

მართლაცდა, წმინდა კაცი წესით არ უნდა შეგუებოდა იმას, რომ თუნდაც შორეულ დასავლეთში, სადღაც ცის დასალიერში, ჯერ კიდევ XVI საუკუნის მიმწუხრს მიმდინარეობს გაცხოველებული ვაჭრობა ადამიანებით. მხოლოდ იმისთვის, რომ პატივმოყვარე მმართველებმა შეიძინონ ხავერდოვანი სამოსები და ძვირფასი ტანსაცმელები თავიანთი სახლეულისთვის.

ეამა მთავარს, რომ ასეთი არგუმენტი მოიშველია თავისი მიზნის მისაღწევად. ყოველივე იმით დაასაბუთა, რომ „მიუღებელია ყმებით ვაჭრობა, რამეთუ ის ადამიანის ბუნებას ენინააღმდეგებაო..“

ახლა თავისი ჰუმანიტარიზმით სცადა მოენუსხა დიდი ურბანო VIII. ჰპირდებოდა, რომ პატივითა და ხელგაშლილობით დახვდებოდნენ მის მიერ გამოგვენილ ოსტატებს. ხატსაც ეფიცებოდა, ღმერთის სახელითაც ჰპირდებოდა, რომ არ იქნებოდნენ მოძალენი ამ ხელობის მიმართ.

მთავარი ძილის წინაც ბევრს ფიქრობდა სამთავროზე. შეეძლო თავისი ჯანი, სიყრმე და ყოველივე, რასაც ადამიანი ძნელად თუ წამოკრავდა ხელს, სულ ნაცარმტვრად ექცია,

ოღონდ სამშობლო ენახა აყვავებული, ოღონდ ოდიშს გადაელახა სირთულის რუბიკონი...

თავის გონებაში ასე გაივლო, რომ ურბანო VIII არასვით უარს არ შეკადრებდა, წმინდა კაცი იყო რომის პაპი პირველ ყოვლისა და გადარჩენის თხოვნით მოსულ კაცს არ დაანებებდა უარს. პირიქით, ეცდებოდა მორწმუნე მთავრისათვის ხელის გამართვას...

და უკვე წარმოიდგინა ლევანმა სამთავროსკენ მომავალ ოსტატთა დელეგაცია. მათი საშუალებით ეკონომიკურ სიდუ-ხტირეს დაძლევდა და მონათვაჭრებს ალაგმავდა პირისაგან მიწისა. მერმე, ეკონომიკურად მოძლიერებული მთავარი შეძლებდა სხვის გრძნობებზე ცალსახოვნად თამაშს.

უწყოდა ბელადმა, რომ „ფული ჯოჯოხეთს ანათებდა“, და ამ ფულის საშუალებით ძალუძდა აფხაზთა ურჩი მთავარი, გურიის ცბიერი მმართველი და იმერთა მლიქვნელი ხელისუფალი მოეთოვა და თავისი გავლენის ქვეშ მოექცია...

ამასთან, უწყოდა, რომ ეკონომიკურად მომძლავრებული სამთავრო კულტურულ ფასეულობასაც მოიძიებდა და განმანათლებლობას თავად მიჰყო ხელი...

საკუთარ ბიბლიოთეკაში დიდი მთავარი ხალხს დამწერლობის საიდუმლოებას აცნობდა. ლევანის გულმოდგინე საქ-მიანობამ ოდიშელთა ყურადღება მიიპყრო. ორატორული ნიჭით აღსავსე დადიანი ყოველგვარ გზას ეძიებდა მათ დასაინტერესებლად.

უნიკალურ, ფასდაუდებელ საგანძურთა მფლობელად მოიაზრებდნენ მთავარს. წიგნების კოლექცია ჰქონდა. მათგან დიდი კდემამოსილებითა და სიყვარულით სამედიცინო ლიტერატურას ათვალიერებდა.

ერთხელაც, მოიძია მთავარმა თავისი პაპის, ალექსანდრეე კახთა მეფის მიერ ძღვნად მორთმეული ბიბლია. ხელქვეითებმა შემთხვევით ცნობილი ვაჭრის დახლზე იპოვეს.

უნიკალური ნივთის შემძენმა აღიარა ყოველივე, „არა ისე, როგორც იყო, არამედ შელამაზებით“, რადგან მთავარს დაუმალა, რომ რაღაც ცოდვილ ხურდებზე შეიძინა ფასდაუდებელი წიგნი.

ქურდობას, როგორც მოვლენას, ებრძოდა ლევან დადიანი. ათასგვარი სასჯელი გამოეგონა. ხელ-ფეხის მოკვეთა, თვალის დათხრა, დილეგი; ამიტომ, მმართველის ბრძანები-სამებრ, უნდა დასჯილიყო დამნაშავე, თან საქვეყნოდ, სამაგალითოდ.

მთავრის წინაშე წარადგინეს მდაბიოთაგანი. მაგრამ, ჰოს საოცრებავ; დამნაშავე ქალია, თან ერთობ მიმზიდველი.

თავანევით მიეგება ლევანს და მის მზერაში ვერ ამოიცნო დადიანმა, თუ რა ეამაყებოდა ამ მშვენიერ მანდილოსანს. მსგავსი ურცხვობა არ ეპიტნავა მთავარს, მაგრამ რა ექნა? ცალკე მეთაურის და ცალკე მამაკაცური უპირატესობის გამოყენება ქალზე ცოტათი ეხამუშა, იუკადრისა...

ბანოვანის უდრევება გამოხედვამ ლევანი გაახევა, დაამუნჯა. დიდმა მთავარმა ასე მოუჭრა მხოლოდ:

- მდაბიოს ქალს ვინ დაგარევა ესოდენ წმინდა სახელი? მარიამი არა? – თან დაამატა. მის ნათქვამში თითქოს თვითონვე დაეჭვებულიყო, თითქოს არ სჯეროდა, რომ ამ სახელს „ამოფარებული“, უღვთო საქმეს ხელს მოკიდებდა.

ასე ეგონა ლევანს, რომ მისი შიშით ქალბატონი დამუნჯდებოდა, ხმას არ ამოიღებდა, მაგრამ, ჰოს საკვირველებავ! პირდაპირ მიახალა ლევანს:

- „გულბოროტებს ჩვევად აქვთ, ბატონო, სულიერი ზეგავლენა მოახდინონ დაუცველ და თითქმის უსახურ ქალბატონებზე. ასე ჰეგონიათ ქვეყნის მთავრებს, რომ წმინდანიც უთუოდ არისტოკრატის სისხლისა გახლდათ. ყველაზე დიდი შედევრის შემქმნელზე, ყველაზე დიდ მხატვარზე მითებს და ლეგენდებს შეთხზავენ, რადგან ძლიერი ფსიქიკის მდიდარ ადამიანებს წესად ჰეგონიათ, რომ მდაბიოს ხელით შექმნილი საოცრება მთავრის ან აზნაურის საკუთრებად აქციონ. არ დაგავიწყდეს, რომ შემოქმედი ჩვენი იესო ქრისტე ბოსელს მოევლინა, სრულიად შიშველი„.

„კაცის ბუნება ისეთია, რომ ქურდობისთვის ტაშს არ დაგიკრავენ, მაგრამ ისე კი, არც მიზეზს ეძიებენ. მთავარს, რომელსაც სურს მძარცველებისა და მომპარავებისაგან განმინდოს სამთავრო, პირველ ყოვლისა მიზეზი უნდა ეძიოს,

რომელიც ადამიანს დანაშაულისკენ მიმავალ გზას უხსნის, უთავისუფლებს და არ გეგონოს, მაგ შენი საქვეყნო მათრახებით აქედან გასულს მოპარვაზე მათქმევინო უარი„....

გაოგნებული და გარინდული მხრიოლავი სხივის ქვეშ მდგომი ყველაზე დიდი მთავარი სიკვდილის წინ წარმოიდგენს ვითომდა ქურდი ქალის აღსარებას, რომლის უბედობაზე დიდ მმართველსაც და პატარა დამნაშავესაც ერთად მოერევათ ცრემლი. გაიგონებს იმ საყვედურს, რომელსაც ქალის სპეტაკი ბაგე წარმოთქვამს, და დიდეკაცი, ქალბატონის ჩადენილ დანაშაულს მიიჩნევს საზოგადო დანაშაულად.

სთხოვა მთავარმა განემარტა, რისთივის მოიპარა საღვთისეტყველო წიგნი.

ბანოვანი ატირდა. ასე უთხრა, - „შვილი თუ გყავსო მთავარო!„

ლევანი დაფიქრდა. მართლაცდა დრო იყო დაოჯახებისა, მართლაც სჭირდებოდა მემკვიდრე, მაგრამ რატომ ეკითხება დიაცი ასე თამამად მთავარს თავისი ოჯახის ამბავს?!

არც კი ჩათვალა თავი პასუხის გაცემის ლირსად. მაგრამ მანდილოსნის მთხოვნელ თვალებს ვერ შეაქცია ზურგი.

- არა, არა მყავს მემკვიდრე, ქალბატონო.

- მაშინ, ვერ გამიგებ რა არის შვილის სიყვარული. თუმც, ხომ გყოლია დედა, რომელიც გჩუქნიდა სითბოსა და სიყვარულს.

ჯმუხი და ძარღვიანი სახე აუთრთოლდა ლევანს. ახლა მართლა მოენატრა დედა, ისე, როგორც არასდროს.

ბრაზი შემოეპარა უჩინარ ლანდსავით და გულმოსულმა მიუგო:

- მე მოვესწრები შვილის სიყვარულს, მაგრამ ვერასოდეს გავიგებ დედა-შვილურ სითბოს.

ჩემზე მშობიარობისას შენსავით ლამაზმა ქალმა თურმე სული დალია... ექიმისათვის მიუმართავს მამაჩემს, მანუჩარ დადიანს. უცნობებიათ, რომ დედა-შვილს შორის ერთი უცილობლად დაიღუპებოდა. დედაც გააფრთხილეს, ბევრს ეჩიჩინეს, ემუდარეს, მაგრამ გადაუწყვიტავს ასე: თვითონ მომკვდარიყო ბავშვის უვნებლად დაბადების სანაცვლოდ.

ასე შემომწირა საბრალომ სული. ღირს კი მსგავსი მსხვერპლის გაღება თუნდ საკუთარი პირმშოსათვის?„

- ღირს, ალპათ ღირს. გული არ გიჩერდება, როცა შენს სისხლს უჭირს...

ღამით გამომაღვიძა ჩემმა ვაჟმა. ობლობაში გავზარდე. ჩვენ ვერ დაგვამარცხა ვერც შიმშილმა, ვერც გაჭირვებამ. სნეულებამ კი იმსხვერპლა ჩემთვის წმინდათა წმინდა.

წარმოიდგინე, გეძახის შვილი საშველად, შენ კი მარტოხელა ბერივით დაყუდებული ზიხარ და შვილის სიკვდილს ელოდები. თვალნათლივ შეჰყურებ იმას, თუ როგორ ლევს შენს ნაშობს სნეულება. როგორ ედება ავადმყოფობა მის გულ-მკერდს უანგივით. არც წამალია, არც ექიმი.

შენს სასახლეში, სწავლას ეუფლებოდა ჩემი ვაჟი. ერთხელ ბიბლია წაგიკითხავს მისთვის. შინ მოსულს გოლგოთა და ჯვარცმა ელანდებოდა... მეორე დღეს უნებართვოდ მოეტანა ბიბლიოთეკიდან წიგნი.

გულმოდგინედ კითხულობდა. ბევრიც დაიზეპირა. ღამის წინ ლოცვათა ბუტბუტს მიჰყო ხელი. იდუმალება ჩაუსახლდა სულში და მხოლოდ ხატთან ჩურჩული დასჩემდა. ღამით ვტედავდი, რომ მარტოობისგან შელახული, „ათ მცნებას“, კითხულობდა. თვითონაც ხვდებოდა, რომ ქრისტეს სიტყვების პირველივე უარმყოფელი იყო და გული სტკიოდა...

გვიჭირდა. გულს გვიკლავდა უღონობა. გვშიოდა, მაგრამ არ წარმომედგინა, თუ ისიც მოიპარავდა. როცა მივხვდი, რომ ჩემს ნაქურდალსა და მის მონაპარს შორის უზარმაზარი განსხვავება იყო, უზადოდ გამეხარდა...

წიგნის გაყიდვა იყო ერთადერთი გამოსავალი. გამახსენდა, ერთ ვაჭარს ვიცნობდი, კოლხეთში დაპქონდა შეძენილი ნივთები და გემებზე ძვირად ყიდდა. სხვა გამოსავალი ვერ ვიპოვე ფულის საშოვნელად და გადავწყვიტე სულ უმნიშვნელო ფასადაც გამესხვისებინა. ისე კი, ვაჭარმა ასე მომახსენა:

- „ქართულ-რუსული ენით წაწერი წიგნი არ აინტერესებს უცხოელებს და მხოლოდ მისთვის შევიძენ, რომ მოძველო იერი შემორჩენია.“

რაღაც თუმნები მომაჩეჩა, თითქოს, რომელსამე უვარების ნივთს ვყიდდი.

ის იყო, აქიმთან მივედი და შევაძლიე ვაჭრისგან ბოძე-ბული ხურდები, რომ მრისხანედ დამიყვირა:

- „რომს იმისთვის ვისწავლე, რომ რაღაც ხურდებზე გამესინჯა ოფლად დაღვრილი პაციენტიო„. ბევრს ვემუდარე, თქვენი სახელით დავაფიცე, მაგრამ იუკადრისა წამოსვლა.

„ალბათ უპარობისაგან დაიხრჩო, რამეთუ ასთმა ანუხებდა“ – გუნებაში გაიფიქრა დადიანმა და პირველად ინანა, რომ ეს ქალი სათხოვნელად იმ ურცხვ ექიმთან მივიდა და არა მასთან! ალექიმიასა და მედიცინაში დახელოვნებულ კაცთან.

ამ წუთს წარმოიდგინა ყველასგან უარყოფილი ქრისტე, რომელსაც ადარებდა მის წინაშე ცახცახავარდნილ ქალს, ასევე ქრისტეს დარად უარყოფილსა და გაძევებულს. თვითონ, ვაი, რომ არ ჰყავდა პილატეს, რომელმაც განიბანა ხელი უდანაშაულო კაცის მკვლელობაში. უფრო ძლიერ იმან აატოკა მთავარი, რომ ვერ შეძლო ყველას ერთ რჯულზე მოქცევა და გაკეთილშობილება.

ნუთუ ასეთი უხამსობა ხდება ჩემს სამთავროში? მაშინ, როცა მე შვებაგაცლილს მძინავს, ახლობელ ოდაში ტკივილისგან და კრუნჩხვებისგან, ცალკე უექიმობით გატანჯულთ უწევთ სიკვდილთან პირისპირ შეყრა.

•••

ყურში ხმათა მუსიკასავით ჩაესმოდა: „ნუ გგონია თავი ლმერთი, რადგან მეუფება მეტად რთულია....“

ვერ გაარკვია მარტობით განმისჭვალულ ოთახში ვინ ეჩურჩულებოდა და ვინ ეუბნებოდა მთავარს სააღმსარებლო სიტყვებს. ისევ შემოესმა ეგ დაწყევლილი სიტყვები. ახლა ასე ჩაესმა: „იცხოვრე ისე, თითქოს რომელიმე ასკეტი ბერი ხარ, ადამიანური მანკიერებისაგან გაძრცვნილი„.

სულისშემსუთველმა გარემომ თავი დაჩაგრულად აგრძნობინა. მაგრამ სიშავის ანგელოზი ეცხადება ლევანს და ეუბნება: „რატომ უნდა იგრძნო თავი დამცირებულად? თავად დაამცირე ცხოვრება და ნაგვის ურნად აქციე იგი,...

და ხვდება მთავარი, რომ მარტოობა ეთამაშება, ეკეკლუცება და ნაზად ეამბორება გულით სასტიკ დევკაცს... დიდხანს მიმდინარეობს ქიშპი. ხან მარტოობა იმარჯვებს მთავარზე, ხან ლევანი ჯაბნის დიად გრძნობას... დაწყევლილი როიალის მინორული ხმა ზარის რეკვასავით ჩამოესმა... და ის სტუმარი წინათ რომ გადაპრანჭულად და დატვირთული აკორდებით თავს ანონებდა მთავარს, სულ სხვაგვარად წარსდგა ლევანის ცნობიერებაში...

„ხელოვნებას სირთულეები არ ახასიათებს, ამიტომაც ყველა ხელოვანი ცდილობს მარტივად თქვას სათქმელი. მაღალფარდოვანი და რთულად შესრულებელი მუსიკაც კი ძნელად მოსასმენია კაცისათვის...“

დიდხანს, ძალიან დიდხანს წარმოედგინა მთავარს, ვითომდა ძნელად თუ ამუსიკდებოდა ეს როიალი.

დუმილმა მოიცვა სასტუმრო დარბაზი...

თითქოს, უნდა შეწყდეს მუსიკა და როიალს პედალს ჰანგების განახლების მიზნით ფაფუკად, მსუბუქად ეხებიან ბანოვანის ფეხის თითები...

ჰარმონიულმა, მაგრამ წრიპინა ხმებმა მელანქოლიით განმსჭვალა სასტუმრო ოთახი.

წამით დაავიწყდა მთავარს, რომ დედამიწის სტუმარი იყო. გადავიწყდა მასზე განაწყენებულ მეზობელ მთავართა საყვედურებიც...

ქალი არ უკრავდა მოცარტს, შოპენს ან ბეთჰოვენის სონატებს. არ ღილინებდა ფრანგულად ან იტალიურად, მაგრამ იყი გაცილებით ჰარმონიულად და სულისამშლელად უკრავდა და მღეროდა მშობლიურ ჰანგებს. „მეგრული წანა“, სიმღერა, რომელიც უზომოდ შეყვარებოდა ოდიშის დიდი მთავრის დედას.

როიალის წრიპინთან ერთად სულსაც გაჰქონდა წრიპინი.

უბრალო, უსახურ ქალბატონად წარმოიდგინა ლევანმა ბანოვანი. მაგრამ ისიც მოაგონდა, რომ ეს ქალი მისი საცოლე იყო, სეტემბან შარვაშიძის ასული, სიბრძნით სანაქებო და სილამაზით გამორჩეული... მთავრის ასულთან შედარებით სხვაგვარად წარმოიდგინა თავისი გარდაცვლილი სატრფო ფიქრია, ფიქრითვე გატანჯული საბრალო გოგო...

თითოეულ მიხვრა-მოხვრასა და მოძრაობაში შეატყობნით, რომ აფხაზთა ჩამომავალი უნდა ყოფილიყო, ერისთავის ქალი ან მეფის საცოლე. მისი დინჯი და ჭკვიანი თვალები ყოვლისმომცველი და ყოვლისდამტევი გახლდათ. სისხლით აფხაზ ქალბატონს მამისგან გამოჰყოლოდა ზღვისფერი თვალები და დიდ მთავარს ეგ თვალები უფრო-რე იზიდავდა, ვიდრე თვითონ ქალი...

გრძელდებოდა მუსიკა და ცრემლები ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოედინებოდნენ მთავრის ასულის ბაგეზე. ვარდივით მშვენიერ დარუნდიას ცრემლები ლოყებს უფაკლავდა და წითელი იერი სანდომიანსა და უფრო მიმზიდველს ხდიდა...

არ უნდოდა მთავრისათვის გული ეტკინა, რადგან სმენოდა, რომ მუსიკა უყვარდა ლევანს. თან პირველად იყო, რომ ასე დინჯად უსმენდა მის დაკრულს... ცდა არ დააკლო და ძლიერს მიიზიდა მისკენ დადიანის გული. ჰოდა, არ ეცალა ცრემლების მოსახოცად, რადგან მუსიკა დასრულებას იხვეწებოდა მისგან.

მიუახლოვდა დიდი მთავარი სეტემბან შარვაშიძის ქალს და მოხოცა ცრემლი ფიქრის ხელით მოხატული ცხვირსახოცით.

თითქოსდა ამ ქალბატონის სურნელი გადმოეშვა ამ ნაჭერში და გრძნობდა მთავარი, რომ ძველი და ახალი სიყვარული ებრძოდა ერთმანეთს. სიძველე ახალმა, შროშნისებურმა სურნელმა გადასანსლა და მალე მიხვდა მთავარი, რომ ძალაუნებურად დავიწყებას ეძლეოდა ფიქრია.

„არადა, თითქოს გუშინ მოკვდა, დღეს კი მისი ცხვირსახოცით აფხაზთა მთავრის ასულს სრულიად უსაფუძვლოდ ცრემლს ვხოცავ....“ აკი მეუბნებოდა, რომ განგების ძალით ყველაფერი მაშინ ეცემოდა დავიწყებას, როცა კვდებოდა სიყვარული... არც სიყვარული შემძლებია მე, დიდ მთავარს, რომ ასე სწრაფად ამიცრუვდა მასზე გული...

•••

- „შენ უნდა გათხოვდე დიდ მთავარზე, და გადაგვარჩინო ჩვენც.. – უუბნებოდა სეტემბან შარვაშიძე თავის მხოლოდ შობილ ასულს...

გამიგია, ვითომდა ჰყვარობდე ჩემს ერთ ვეზირთაგანს, მაგრამ იცოდე, დადიანზე უკეთესი მოკავშირე არ გამოჩნდება ანი!...

მამის უეცარი გადაწყვეტილებით შეცბუნებული ასული გაკერპებული იდგა და პასუხობდა:

- მამა, მე არ მივთხოვდები კაცს, რომელსაც არ ვიცნობ! მხოლოდ შენს სამთავროს კეთილდღეობას ვერ შევწირავ ჩემს სულს. სხვა გზა ეძიე. მე კი განმერიდე!...

- არ მომწონს დარუნდია ეგ შენი ტონალობა. მთავრის ქალს შეშვენის რისხვიანი გამომეტყველება, მაგრამ მამის-ადმი ნატყორცნი სიძულვილის ისარი, ბუმერანგად დაგიბრუნდება.

წარმოიდგინე ვის ჰყვარობ. ერთ პატივმოყვარე კაცს. გამარჯვებისა და ტრიუმფის მომლოდინეს სიყვარული რომ ლიტონ სიტყვად წარმოუდგენია. მიაღწევს თავის საწადელს, გახდება სეტემბანის სიძე და მერე რა... ხომ დაგჩიჩინებდი, „რა-ტომ არ უნდა იცხოვრო ისე, ვითომ სამყაროს ბატონ-პატრონი ხარ....“ იმასაც გეუბნებოდი, „ეცადე დღემ ისე მუსიკალურად ჩაიაროს, თითქოს რომელიმე სიმფონიური კლასიკა უდერდეს-მეთქი.... მაგრამ, არ გეხსის!!!

გაივლის წლები და შენი სახელი ისტორიას შემორჩება, თუკი გახდები ოდიშის დიდი მთავარის ცოლი და სამეგრელოს თავნება დედოფალი...

- ძალიან კი ხარ მოწადინებული სამთავროს გადარჩინით და ამისთვის წირავ საკუთარ ასულს მამი?! ეგ უკადრისია და აფხაზთა ტრადიციისათვის მიუღებელი. როგორ დაანებებდა ორ უძვირფასესს ქმნილებას, აფხაზეთსა და საყვარელ ასულს ერთბაშად შეაჭმევ გავერანებულ ოდიშელ ვეშაპს?!

- ისევ სამთავროს და შენი კეთილდღეობისთვის აჯობებს. დადიანი ბრწყინვალე მოკავშირე იქნება ჩვენთვის. მისი წყალობით დაკარგულ ავტორიტეტს დავიბრუნებთ.

შენ იცი დარუნდია, რომ მამაშენიც არ არის ჯაპანი და ჯერაც შესწევს ძალი მტრის წინააღმდეგ აფხაზთა დარაზმვისა. მაგრამ მარტოსული მთავარი ძლევამოსილი ოდიშელი მთავრის გარეშე იოტისოდენასაც ვერ გაუკეთებს სამთავროს. „შენ უნდა ეცოლო ამადაც მას, რომ გადაარჩინო მხცოვანი მამა„. ვერ ავიტან, თუკი ვნახავ ჩემს სამთავროს ორმაგად დანანევრებულსა და მოხარკე ქვეყანად ქცეულს...

„მე ბევრჯერ გამიღია მსხვერპლი აფხაზეთისთვის და რა დაშავდება მის საკეთილდღეოდ ერთხელ მაინც თუ გაიმეტებ ყოველივეს, თან დააყოლა, „სამარადჟამო ბედნიერებისათვის?...“

შენ რა გგონია, იმ შენს სიყვარულს რისი მოტანა შეუძლია პირველ ყოვლის შენთვის?!

- „სეტემან“, – პირველად მიმართა ბრაზმორეულმა გოგონამ მამას სახელით. „აფხაზნი შეუვალნი და პრინციპულნი ხართ და არ მეგონა გაწირვაც თუ შეგეძლოთ რაღაც მიწის ნაფლეთის გამო ღვიძლი შვილის. მე წავალ... წავალ და არასოდეს შემოვდგამ ამ სამთავროში ფეხს. მაგრამ გახსოვდეს, თუკი რამე შემემთხვევა, ბრალი საკუთარ თავს დასდე, რომ ასე უჟამოდ გასწირე დარუნდია, მამის კალთას ამოფარებული ქალიშვილი, მამისგანვე ნაადრევად უარყოფილი..“.

ცრემლი მოერია გოგონას, რამეთუ იგრძნო, რომ მსხვერპლი იყო, სწორედ ისეთი, ბიბლიურმა აბრაამმა რომ მიჰვარა ქრისტეს... გულდამწვარი მთავრის ასული მეზობელ ოთახში მწარე გოდებას მიეცა...

იდგა მოხუცი კაცი, ცალკე ფიქრისგან და ცალკე ასაკისაგან დაუძლურებული.

სრული ანარქია სუფევდა აფხაზეთში. ბრძოლისთვის არც სახსრები გააჩნდა და არც ენერგია... დაუძლურებულს და წლებისგან მოტეხილს ვერც კი შეატყობით, რომ ოდეს-ლაც ძალაუფლების მქონე კუთხის მმართველი და ხელისუფალი გახლდათ... იმდენად ეძნელებოდა სამთავრო რეგალიე-

ბის ტარება, რომ მხოლოდ მნიშვნელოვან „პოლიტიკურ სერობებზე“, და თათბირებზე იცვამდა. სახლში კი დადიოდა, როგორც ვინმე ღარიბთაგანი. ეცვა უბრალოდ და ამ სადა სამოსშიც ღვთაებრივსა და მეფურს მარტივად შეიცნობდა კაცი. და ის, რაც ასე წარმოაჩენდა თუნდაც ძონძებში გახვეულ მთავარს, იყო აფხაზური იერი, რომელსაც დაეპყრო მთელი მისი სხეული.

•••

დადიანთა სასახლეში ყოფნის დროს მოაგონდა დარუნდიას მამის მთხოვნელი თვალები. სახვეწარით იყო სავსე მისი სანდომიანი მზერა, მაგრამ ნირშეცვლილ ქალიშვილს უკვე არ სჯეროდა მამის...

„გადამირჩინე სამთავრო,, – ხრინწიანი ხმით გაჰკიოდა სეტემან შარვაშიძე, როცა ასულს მეეტლე ოდიშის სამთავროსაკენ მიაქროლებდა...“

სათხოებით აღსავსე ქალს მანკიერებანი თითქმის არ გააჩნდა. ერთადერთი დამაკინებელი, რაც მის სულში არსებობდა თავმომწონება იყო. იცოდა, რომ უფლება არ ჰქონდა გამუდმებით სიმაღლეებიდან გადმოეხედა კაცობრიობისათვის, რადგან ადამიანი იყო და არა ზეციური ფრინველი.

მთავრის ქალი ვარო და დედამიწა თავისი ეგონა. მსუბუქად დააბიჯებდა მიწაზე, რომ არ დაემძიმებინა სამყარო. თითქმის ნარნარად დაფრინავდა. ხშირად ეშინოდა მთავარს საკუთარი ასული სიამაყისებან არ შეშლილიყო.

სიამაყი... არავინ იცის საიდან მოდის იგი... ხომ დასაგმობი თვისებაა, მაგრამ ისე ოსტატურად იყენებდა ყოვლით შემზღვეველ გრძნობას, რომ გეამაყებოდა კიდეც, მიუხედავად ნაკლოვანი მხარისა...

ტირილი უყვარდა დარუნდიას და ჩვეოდა ადვილად განაწყენება. საუბრის დროს მასზე თქმულს, თუნდაც უმნიშვნელოს, სათუთად ინახავდა გულში. წყენას ადვილად ვერ ივიწყებდა და პირველივე ჯერზე ეძგერებოდა მტერს. პირდაპირობისა და პოლიტიკური გაუთვითცნობიერებლობის გამო

დარუნდია მთავრის წინაშე წარსდგა, როგორც სათხო, კეთილ და მეოჯახე ქალბატონად, რომელსაც ზეპოლიტიკური საქმიანობანი გუნება-განწყობილებას უფუჭებდა. ამ თვისების აღმოჩენამ მთავარს დარუნდიასკენ უბიძგა, უფრო დაუახლოვდა. ქალის ბუნებით – არამეტყველებისა და დამუნჯების გამო მთავარს უამრავი საქმის კეთება შეეძლო. მათ შორის მარტობასთან დამეგობრება.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც ეს ქალი გაიცნო და სტუმრად ეწვია, სამთავროს კარს, გულზე სევდა ნაკლებად აწვებოდა და მარტობაც ისე არ თრგუნავდა, როგორც წყლის შროშნებს მყვარის ყიყინი.

ჭაბუკურმა მოუთმენლობამ დაოჯახებისკენ უბიძგა ლევან II დადიანს. გულში შემოეპარა სიყრმით საოცნებო გრძნობა – სიყვარული და ინატრა იმ დღის დადგომა, როცა საყდარში თეთრი სადედოფლო კაბით წარსდგებოდა სამეგრელოს მომავალი დედოფალი... ქალური სიმორცხვისგან აცახცახებული და ცალყბად მოტირალი.

მალემსრბოლები და შიკრიკები გაუგზავნა აფხაზ მთავარს ძლევამოსილმა ოდიშის მმართველმა...

ფრიად მოხარული სეტემან შარვაშიძე შიკრიკებს ჰკოცნიდა. სიხარულისგან რეტდასხმულს აფხაზური სიამაყე დავიწყნოდა და დრო მსახურებთან უტარებია. ამბის შეტყობინებისთანავე ერთი მწარედ ამოუგმინავს „ძლივს გამარჯვებაო,“¹ რა უხაროდა მაინც?!

ქორწილისათვის სამზადისი დაიწყო აფხაზეთში. მთავრის ქალისთვის შესაფერისს მზითვს ანყობდა გაბედნიერებული სეტემან შარვაშიძე...

„ისე უნდა წარვსდგეთ, ვითომ მეფის ასული გათხოვდა და არ უნდა თქვან, ჩვენი დარუნდია შევიწროებული და დევნილი აფხაზი მთავრის შვილიაო.“

სალაროც გაახსნევინა შარვაშიძემ და ოქროს გვირგვინი, დიადემითურთ განუმზადა საქორწინო ცერემონიისათვის.

- „ყველაფერი ექნება ჩემს დარუნდიას. ეკუთვნის კიდეც. რადგან ნებაყოფლობით გაღებული მსხვერპლით გადა-

გვარჩინა ჩვენ. ჰოდა, გიბრძანებთ, აფხაზნო, დედოფალ დარუნდიასა და მეფეფ-მეფე ლევანს ეთაყვანოთ დღეის იქით!!!“

ისევ აფხაზურმა დაუმორჩილებლობამ და სიამაყემ აიძულა მთავრისთვის „მეფეთ-მეფე“, ეწოდებინა. მაგრამ მთავრის მსგავსად ხალხიც სიამაყის გრძნობით იყო განმსჭვალული და სეტემანზე ნაკლებად არც მათ უხაროდათ ოდიშთან დამოყვრება.

როგორც შიკრიკები იუნიყებოდნენ, მთავარს სიხარულისგან არც კი დაუძინია ღამით...

•••

ასტროლოგიური წინასწარმეტყველებით მთავარს სწორედ ამ დღეს უნდა დაეწერა ჯვარი.

უთენია, ლრუბლიან ცას შეხედა დიდმა მთავარმა. ბეპისა-აგან შეესწავლა ამინდთა ცნობა და ცის თავანთ მართლაცდა ამჩნევდა, რომ „რისხვიანი ცრემლით“, უნდა დაენამა ოდიში.

უგუნებოდ იყო ლევან II დადიანი. „აქაც არ მქონიაო ბედი“, და ნაღვლიანმა ისიც კი გაიფიქრა: „ეგების გადავდოთ ქორწილი“. ის-ის იყო საყდარში შიკრიკს აგზავნიდა ამბის საუნიყებლად და რჩევის მოსაცემად, რომ მოაგონდა: „აფხაზი მთავარი სეტემან შარვაშიძე გზად იქნებოდა უკვე“.

არ უყვარდა ლევანს თავისი სასიმამრო, მხოლოდ თავისივე მიზნებისთვის დაუმოყვრდა. მაგრამ, დღეიდან იძულებული იყო ძალაუნებურად დარუნდიას რიდით პატივი ეცა მოხუცი მთავრისათვის. ქორწილზე უარის თქმას რაღაც უამინდობის გამო დამცირებად ჩათვლიდნენ აფხაზნი. ეს კი ცუდ დასაწყისად ეჩვენებოდა და ამიტომ ვალდებულად ჩათვალა მოეთმინა ავდარი და მასზე განაწყენებულ ბუნებაზე ცალყბად გაეცინა...

სასახლეში მხიარულება სუფევდა. საქორწინო სამზადისში ტაძრეული მთლიანად ჩართულიყო.

გაისმა პირუტყვთა შემზარავი ხმა. მამაცი მეგრელნი ფატრავდნენ ხარ-ძროხასა და ფურ-ირემს.

პატარძალს თავს ეხვეოდნენ სეფექალები, რომელსაც დადეს უნოდებდნენ სამეგრელოში. ფატაში მიმალულ მშვე-

¹(ეს სიტყვები ნაპოლეონ ბონაპარტეს ეკუთვნის).

ნიერ სახეს თვალებში ცრემლი მოზღვავებოდა. ლელავდნენ მომავალი დედოფლის ზღვისფერი თვალები, ზღვასავით შეში რომ ჩადგომდათ ძალად!“

- ნუ, ნუ ტირი ძვირფასო! – ეჩურჩულებიან საპატარ-ძლოს. ნახე ფერუმარილი მთლად გაგფუჭებია.

მწუხარე ხმით ბრძანა დარუნდიამ სახის ჩამობანა.

„მე ბუნებრივად ფერმკრთალი და მშვენიერი წარვსდ-გები სულიერი მამის წინაშე და არა ძალით გალამაზებული. მამის ხილვაზე უსათუოდ წარმსკდება ცრემლი და არ მინდა მაშინ ამ საზიზლარმა ჭრელა-ჭრულა ფერებმა დამიმახინჯონ სახის კუნთები....“

ბრძანება ასრულდა. ნაზად ჩამობანეს მთავრის ქალს სახე, რამეთუ არ სწადდათ დაესვარათ თეთრი საპატარძლო კაბა...

ამასობაში, ლევანიც ისე გამოეწყო, როგორც ეკადრე-ბოდა კახთა მეფის შვილისშვილს. ტანზე ხმალი შემოერტყა, რომელზეც აკვირატებულად ათამაშებდა თითებს.

სამთავრო რეგალიებში გამოწყობილ დევკაცს ვერაფ-რით განასხვავებდით მეფისგან. ოღონდ ერთი მავნე ჩვევა დასჩემდა ბოლოს. ვერ იტანდა ფეხსაცმლის ჩაცმას და სასახ-ლები მთლად ფეხისამარა დადიოდა.

„უღირსს ვერ ვიკადრებო, – გაიფიქრა ამჟამად და ის იყო ჭირვეულად შეუდგა ფეხსაცმლის მორგებას, რომ შეკრიკა უწყება მოუტანა.

სქლად აკინძულ და ამასთან დალუქულ წერილს ლიპარ-ტიანთა საგვარეულო გერბი ეხატა.

სძულდა ეს გერბი ზოგადად დიდ მთავარს, იმისდა მი-უხედავად, რომ მისივე ბიძის გამოგონილი და შეთითხნილი იყო. ალბათ იმიტომ არ უყვარდა ლევანს ისინი, რომ გიორგი ცდილობდა ისეთივე ავტორიტეტის მოპოვებას, როგორც დადიანთა საგვარეულო წრეს გააჩნდა¹...

¹ გიორგი ლიპარტიანი – პოლიტიკური მოღვაწე XVII საუკუნის საქართველოში. ყოფილი რეგენტი ოდიშის სამთავროსი. იგი იყო ძმა მანუჩარ I დადიანისა. როდესაც ნადირობისას გარდაიცვალა მანუჩარი, ლევანი მცირენლოვანი გახდათ და ამგვარად მან იკისრა მეურვეობა მომავალი მთავრის. გამოირჩეოდა ნიჭითა და პოლიტიკური ცბიერებით. შემდგომში იყო სალი-ვარტიანოს განმგებელი.

სმენოდა ლევანს, რომ ტახტის დასაკუთრება სწადდა ბი-დას. იმდენ ჭორს ისმენდა მასზე, რომ თითქმის გაძულდა კაცი.

მრავალცოლიანობასა და გარყვნილებაში დასდეს ბრა-ლი დაჩივებულ ბერიკაცს. ამ მოგონილ თუ ნამდვილ ამბავ-თა ფონზე რცხვენოდა ლევანს, რომ სახელოვანი მანუჩარ დადიანის ძმა იყო იგი.

მთავრისადმი მოჩვენებით გულკეთილობას ამჟღავნებ-და გიორგი ლიპარტიანი. მაგრამ მრჩევლებმა ასე განუ-მარტეს ლევანს:

- „ასე ჰერონია, რომ უძიროდ ამოვარდები მთავარო. იმისი იმედი დაუსახია, რომ ან ოსმალეთი მოგნამლავს ან მძვინვარე შაჰ-აბას I გადაგსანსლავს. მერე მოვა ტაძრეულითურთ და მოითხოვს საგვარეულო საყდარში აღსაყდრებას, მთავრის ტიტულის მოპოვებას...“

კიდევ რამდენი რამ გაახსენდებოდა ლევანს, რომ არა ლტოლვა იმ სქელტანიანი უსტარისაკენ. მოუთმენლობისაგან სწრაფად გახსნა წიგნი და უკანა გვერდი თითქმის განადგურდა...

- „მძისწულო ლევან, უწყი შენ, რაოდენ მომტეხა და მო-მქანცა მძვინვარე წლებმა, – ასე იწყებდა პირფერობას ყო-ფილი რეგენტი.

- -ოპო, რა დიდებული შესავალია, - ირონიულად ჩაილი-მა მთავარმა. „მძისწულო ლევან, - არც კი სცოდნია სიტყვათა მყარი შეხამება. იქნებ ისევ ის ლევანი ვგონივარ, სასახლის კარზე მყოფი უდარდელი ბიჭი, რომელიც ენისუთქმელად იტანდა ყოველგვარ დამცირებას???

განაგრძო წერილის კითხვა. ფარისევლობის მანტიას ამოფარებულ სიტყვებს გულმოდგინედ იღბეჭდავს ცნობი-ერებაში.

„უკვე, წლების შემდეგ მივხვდი, რომ შენ გაცილებით ძლიერი ხარ, ვიდრე მამაშენი მანუჩარ დადიანი და მე გიორგი ლიპარტიანი ვიყავ! იქნებ იმიტომ, რომ კახთა მეფის, ალექსან-დრეს აღზრდილი და მის მიერ პოლიტიკურად ორიენტირებუ-ლი ხარ?!“ გახსოვდეს ლევან მხოლოდ ერთი, „დარგე ხე მარ-ტო იმიტომ, რომ ოდესმე მისი ნაყოფით დასტკპე“, ისიც იცო-დე, რომ სიყვარული ყველას შეუძლია, მაგრამ ყველას არ ძა-ვარტიანოს განმგებელი.

ლუძს და ბერიკაცს ცოტათი მეეჭვება, რომ ორგულთა გარე-
მოცვაში გაგნირონ, გიმუხთლონ!...

დიდეკაცთა მოკვლისთვის ჯილდოებს აწესებენ ლევან!..
ისიც კი ვიეჭვე, რომ შენი პირველი სატრფო შემთხვევით არ
დათქერეს ეტლებმა. „ნდობის გარეშე ერთი უბადრუკი ქმნი-
ლება ხარ, უვარგისი და გამოუსადეგარი“, მაგრამ ბიბლია,
რომელიც თითქმის ზეპირად შეგასწავლე გეუბნება: „ნუ და-
უგდებ ყველას ყურს, ვინც „მეგობარს“, დაგიძახებს და ნუ
გაუღებ შენი გულის ჭიშკარს..“. „სხეულის სანთელი თვალია;
ჰოდა, თუ შენი თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც ნათელი
იქნება“!¹.

„არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი
სძულდეს და მეორე უყვარდეს; ანდა იმ ერთს შეეთვისოს და
მეორე დაამციროს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და
მამონსაც“².

მიმოიხედე ირგვლივ და მიხვდები, რომ თითქმის არავინ
არის შენს გვერდით, გარდა მარტოობისა. ასე არ ყოფილხარ
მარტოოდენ შენ! მარტოობისთვის ყოფილა ყველა დიდკაცი
განწირული!..

იცი ყველაზე ცუდი რა იქნება ძმისწულო? – თუკი გან-
კითხვის დღეს ასე გეტყვიან: „შენ რა, ვითომ იცხოვრე? არა,
იმას ცხოვრება არ ერქვა. საერთოდ, ველის შროშნები და მინდ-
ვრის ია-იები უფრო ფასეულნი ყოფილან, ვიდრე შენ! ცხოვრე-
ბის აზრი ვერ გიპოვია მისტიურო არარაობავ!.. თითოეული
ადამიანის დაბადება ხომ რებუსს ჰგავდა, მაგრამ რომ ვერ
ამოხსენი ვერცერთი?..“

სავარძელში მოკალათდა ლევანი:. მთლად გადაავიწ-
ყდა, რომ დღეს მისი ქორნილი იყო. ლამისაა, სეტემანიც ლურ-
ჯა ბედაურით მოადგეს სასახლის კარიბჭეს...

ის კი იჯდა და მასავით მარტოსული კაცის ჩანაწერებს
კითხულობდა. მოეწონა კიდეც მისი რჩევები და წინადადებე-
ბი. წინანდელი გულისტკენა თითქმის გადაავიწყდა. უბრალ-

ოდ, ლევანით მომართვამ ასე წარმოადგენინა მთავარს, ვითომ
წერილს კი არ კითხულობდა, არამედ ბიძამისს, ყოფილ რეგენტს,
გიორგი ლიპარტიანს ესაუბრებოდა პირისპირ. და გრძელდე-
ბოდა წერილში მოძღვრებანი ისე, როგორც ცხოვრება...

„შენ უფლება გაქვს იყო ბედნიერი. მაგრამ, გახსოვდეს:
ფუფუნება გამეტიჩრების უფლებას არ გაძლევს. რამეთუ
მეტიჩრები და ქედმაღლები მარტივად ზიზღდება ხალხს. შენ
კი უნდა ეცადო მავანის გრძნობებზე ითამაშო, მათ გულისთქ-
მას მიჰყვე, თორემ თუ მასას განუდექ, იცოდე, მოგკლავენ
მძინარეს!...“

გააღმერთო იგი, ვინც თავად ღმერთს ემსახურება. მაგ-
რამ იმისთანა ღვთისმსახურს ნუ მიენდობი, ტაძარში რომ ოქ-
როთი მოვარაყებულ ხატთა სამზერად შესვლა სჩვევია... დიდ-
კაცნი მუხანათურად გაგცემენ. ქრისტეს ყველაზე მეტად
პეტრე უყვარდა, მაგრამ მამლის დაყივლებამდე სამჯერ მო-
ასწრო მისი უარყოფა. მდაბიოს ენდე უფრო; ისეთს, რომელ-
საც ღალატი სისხლში არ ექნება და ვერცხლი არ გააკვირვებს.
არ იფიქრო, ასეთებისგან დაიღიაო დედამიწა, რადგან ჩემს
ზეობისას ბევრი აღმოვაჩინე მე... თუ იმისთვის უარყოფ კაცს,
რომ უპოვარია და ჩრდილი შეიქნება შენი დიდებული მო-
მავალისა, დაწყევლილი იქნები უკუნისამდე...“

იმ შენი მარტოობით, დიდხანს მაინც ვერ შეძლებ სამ-
თავროს წარმატებით მართვას. უფრო უნდა გაიხსნა. მე იმა-
დაც ვერ ვიმარჯვე, რომ შენსავით მარტოსული ვიყავ.

თუ მე შენი ბრმასავით მჯერა და უფსკრულამდე მოგყ-
ვები, რა მოტივი გამოძრავებს, რომ უარმყოფ მე, ღვიძლ ბი-
ძას და სრულიად უსაფუძვლოდ აღმიქვამ მტრად?!“

დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია, მაგრამ დარჩე-
ნილიც მინდა შენ შემოგნირო. ბოროტი ზრახვა თუნდაც იმი-
ტომ არ მექნება, რომ მეც შენსავით გაგიჟებით ვიყავ ღდიშის
სამთავროზე შეყვარებული; კაცს, რომელსაც სწადდა აყვავე-
ბული ეხილა სამეგრელო და შენ გვინია, რომ პირადი გან-
დიდებისთვის თანამემამულეთ გავაუბედურებ? იმაზე მაინც
იფიქრე, რომ ცალი ფეხი სამარეში მიდგას და აღსაყდრები-

1 ახალი ალთქმა და ფსალმუნი. ლუკ. 11,34.

2 ლუკა 16,13.

სთვის და დღეებით ბატონობისთვის არ გავამწარებ ჩემსავე
სისხლსა და ხორცს!!!

ერთი მთავრის ანდა მეფის მიერ გამოძევებულ კაცს ნუ
შეიკედლებ, თორემ თუ სხვა მარტივად გასცა, არც შენ შე-
ებრალები ძლიერ... ჰოდა, აჯობებს, ღარიბი დაანინაურო, ვიდ-
რე აზნაური, რომელმაც მოთხარა და მოძირკვა მეზობელი
სამთავრო..."

ერთი გეგმის განხორციელება სწადდა თურმე ყოფილ
რეგენტს. იგი აპირებდა სამეგრელოს კარზე გამოეგზავნა
მეტად ცბიერი კაცი, რომელსაც ექნებოდა ფარული მიზნები
და მოახსენებდა სასახლეში მიმდინარე ამბებს.

გიორგი ლიპარტიანი უზომოდ ეჯავრებოდა ლევანს, ამი-
ტომ მის რჩევას ყურს არ ათხოვებდა და პირიქით, წერილში
მითითებული მოძღვრების სანინააღმდეგოდ იმოქმედებდა.
ბოლოს და ბოლოს, მთავარს შიში არაფრისა ჰქონდა და უნდო-
და, რომ მებადურის ბადეში გაეხვია თვალთმაქცი ნათესავი.

ბოლო გვერდი არ იკითხებოდა. წერილი იქვე კომოდზე
შემოდო და ბრაზიანმა დაიყვირა:

- „რას მიპირებ ბებერო გაიძევერავ? ან საიდან გაიგე, რომ
განზრახ დამითქერეს მეეტლებმა სატრფო? ვის შემოგზავ-
ნას აპირებ მელაძუავ? გამაგებინე მაინც...“

წერილს შორიდან გადაავლო თვალი. დახეულ ადგილას
ლევან II დადიანისეული სიტყვები ეწერა: „ჩემი თვალები სევ-
დით ციმციმებენ, მხოლოდ სახე იცინის ძალად“, - მეორეგანი:
„მე მზის დალალებს მივამსგავსე შენი ღიმილი....“, და მიხვდა
დიდი მთავარი ყოველივეს. გონება გაუნათდა. უცებ მოაგონ-
და ძონძებში გახვეული კაცი, რომელსაც ცნობდა, რომელთ-
ანაც რაღაც უხილავი აკავშირებდა, მაგრამ უბედურებისგან
გახევებელმა დადიანმა ზღვისპირა ქალაქში ვერ შეიცნო მის
გვერდით მდგომი ბიძა, - ყოფილი მესვეური, - გიორგი ლიპარ-
ტიანი და ის ლიტონი სიტყვები, წინათ რომ შერიგებას იხვენე-
ბოდნენ, ფარსად და შეთითხნილად მოეჩვენა. რომ მასში კა-
ცური არ ერია ერთი ნატამალიც. და გული დაწყდა მთავარს,
რამეთუ ორგულთა, ნიღბოსანთა და მკვლელთა მახლობლად
საკუთარი ბიძა აღმოჩინა. ამ აღმოჩინამ ისე გარინდა, რომ

რეტდასხმული უგონოდ დაეცა ფილაქანზე და გაუნძრევლად
ესვენა დიდხანს...

•••

მდიდრულ შეზღონგზე წამოაწვინეს დიდი მთავარი.

ნიშადურის სუნმა გამოაფხიზლა. არაამქვეყნიური შიში
თვალებში ჩასახლებოდა და გრძნეულივით როშავდა ნაწყ-
ვეტ-ნაწყვეტ.

საყდრიდან სასწრაფოდ მღვდელმა მოირბინა. თავს
ელოლიავებოდა ლევანს და „ლოცვანის ბუტბუტით“ ცდი-
ლობდა გონიასულის მობრუნებას:

- „მაშინ, განმგებლის ჯარისკაცებმა წაიყვანეს იესო
სამსჯავროში და თავს მთელი რაზმი დაახვიეს;

გახადეს მას სამოსა და მოასხეს ძონეულის მოსასხამი.

დაწეს ეკლის გვირგვინი, დაადგეს თავზე, მარჯვენა
ხელში ლერნამი მისცეს. მის წინაშე მუხლს იყრიდნენ, დასცი-
ნოდნენ და ეუბნებოდნენ: „გიხაროდეს, იუდეველთა მეფეო!..“

და აფურთხებდნენ მას, აიღეს ლერნამი და ურტყამდ-
ნენ თავში.

დაცინვით რომ გული იჯერეს, გახადეს მოსასხამი, ჩა-
აცვეს თავისივე სამოსელი და წაიყვანეს ჯვარს რომ ეცვათ.

როცა გამოდიოდნენ, პოვეს კაცი კვირინელი, სახელად
სიმონი, და აიძულეს იგი, მისი ჯვარი ეტარებინა...“

კვლავ განაგრძობდა ღვთისმოსავი ჯვარცმისეული
ფრაგმენტთა ციტირებას. ასე ეუბნებოდა მთავარს:

მერედა იცით დიდო მთავარო, - რა ჰქმნა სიმონმა? -
ქრისტე კი არ უარყო, არამედ მიეხმარა. ასე მგონია, თქვენ ამ
საუკუნეში იმად მოევლინეთ, რომ ჯვარი გოლგოთისა შეუ-
ბლალავმა ზიდოთ. გიხაროდეთ, გიხაროდეთ, რამეთუ ყოვე-
ლი თესლი, რომელიც დარგეთ და ყოველი ღვარძლი, რომელ-
იც ამოძირკვეთ, იქნება თქვენი დამხმარე განკითხვის უამს.

მიუახლოვდა ოდიშის მმართველს სასულიერო და გულზე
ჯვარი და კრიალოსანი მიაფინა.

მოულოდნელად დევკაცის მინორული ხმა შემოესმა და ძლივს გაარჩია, რომ ლულლულებდა მარტოსული მთავართაგანი.

- „ასე კარგია, პო კარგი. დიდი ხნის წინათ უნდა მოქცეულიყავით ამგვარად, რადგან ნებაყოფლობით არასოდეს გიტარებიათ, არცა ძალით. გულზე დამაღე, გულზე. ...მართლაცდა მარტივია სხვისი ულელის მიმაგრება. უცნაურია, მაგრამ „წმინდანს წმინდანობა, წმიდათა-წმინდად არ უნდა ესახებოდეს..“.

რთულია მეუფება და მხოლოდ მაღალი ბუნების ადამიანებს შესწევთ ძალი ემსახურონ ღვთაებრივ იდეალებს...

უჰ, უჰ, რა მძიმეა ჯვარი. მეგონა შენ მაინც მომეშველებოდი. ცუდია, როცა უკანასკნელ იმედს კარგავ, პანდორას ყუთში დამწყვდეულ ერთადერთ საუნჯეს...

მიმოიხედა მთავარმა. დასტაქრის რკინის ხელის სიახლოეც იგრძნო, ნემსის ჩხვლეტაც. მაგრამ არაფერი სტკენია ისე, როგორც ამოცნობა ყველაზე იდუმალისა. აჯობებდა არაფერი სცოდნოდა, არც არაფერი შეეცვალა, მაგრამ ვაი ღვთისმოსავთა ხელით მორთმეული ღვინოც აშინებდა, სააღდგომო პასექიც, უბრალო პურიც და თვით ნელსაცხებელიც.

„მაშ, სიმონს შემადარა?! ნუთუ მარტო ის მიეშველა ქრისტეს?“, – გაიფიქრა მთავარმა.

ამ რომვისა და უნებლიერ აღსარების გამო მთავარს ჭორი დაუყარეს; რომ მართლმადიდებლობას ზურგი აქცია და კათოლიკე მისიონერებისა და პადრეების თაყვანის მცემელი გახდა.

•••

ჯვრისწერის ცერემონიალი ის-ის იყო იწყებოდა, რომ სეტემბრი შარვაშიძემ შემოაგელვა თავისი ლურჯა ბედაური და მზითვით დატვირთული მეტლების მთელი ხროვა მოჰყვა უკან!..

მზითვი უბრალო მოვლენა იყო უნინდელ საქართველოში. ამიტომაც, საპატარდლოსადმი მორთმეული ძლვენით ვერ გააკვირვებდი ოდიშელთ. ერთი ეგ იყო, რომ აფხაზ მთავარს ჭყონდიდის ხისგან დამზადებული როიალი მოჰქონდა. ძნე-

ლია იმის დადგენა, თუ ვინ დაამზადა მსგავსი მშვენება; მართლაცდა საოცრება იყო. თვით ლევანის როიალსაც კი ჯაბინდა ნატიფად ნაძერნი ინსტრუმენტი და გული დაწყდა ოდიშელთა მთავარს იმაზე, რომ თურმე მასზე მდიდრულად და ლამაზად ცხოვრობდა აფხაზი მთავარი – სეტემბრ შარვაშიძე.

თავი ყველაზე მდიდარი ეგონა, მაგრამ, უმაღ შეაფასა მთავარმა და ანონა ოქროში ჩასმული როიალის ფეხები და სკამი, რომელზეც გობელენსა და მაღალმხატვრულ იდეალებს მარტივად ამოიცნობდა ხელოვნებაში გათვითცნობიერებული კაცი. სიმამრის ხილვაზე ესეც გაივლო ლევანმა გულში:

„თუ დანარჩენი მზითვიც ესოდენ ფასეულია, მაშინ ჭორი ყოფილა დარხეული, როცა აფხაზ მთავარს ბრალს სდებდნენ მდაბიოსავით ცხოვრებაში“, „ან იქნებ სასიძოს აწონებს თავს?!,“

წითელი, ხავერდოვანი ხალიჩა დაეგო იდიშის მთავარს, ეკლესიდან – სასახლემდის. ორნამენტები, ფრაგმენტები, რაღაც მეტყველი ნახატები, შინაარსიანი თხრობა აღბეჭდილი ფირებისა მიგიზიდავდა. და დედოფალი დარუნდია, გზად მიმავალი ამ ხავერდოვან ხალიჩას აკვირდებოდა.

სამწუხაროდ დღეს, მის ცხოვრებაში საინტერესო არაფერი ხდებოდა. ყველ შემთხვევაში მისთვის. ამიტომ, ერჩივნა თვალი გაერთო როგორმე... ისევ ყრუდ გუგუნებდნენ სამრეკლოს ზარები, - მთავრისა და სადედოფლოს მოლოდინის-გან გულაძეგრებულნი...

...პროცესიაც დასრულდა...

...თეთრ სამოსში გამოწყობილი, უკვე მოვალეობის გრძნობით გულდათუთქული დარუნდია უკანასკნელ ძალ-ლონეს ხმარობს, რათა წვეულებაზე მხიარული წარსდგეს. მაგრამ, როგორ იმხიარულოს, როცა მაყარში სატრფოს ხედავს, როგორ გაიცინოს, როცა აგონდება, რომ „მინის ნაფ-ლეთის“, მთლიანობისთვის განირა ღვიძლმა მამამ. ცრემლიც კი მოერია და ახალბედა ასულის სხეულს აუვარდა ცახცახი.

ძლივს დაამშვიდეს, ვითომდა გაბედნიერებული ასული...

თავდაჭერით იქცეოდა სტუმრებთან; მხოლოდ მამას ეცეკვა და ბერიკაცს ყურში წასჩურჩულა: „ძვირფასო მამა,

იქნებ გადავარჩინოთ სამთავრო და დავუბრუნოთ აფხაზეთს ადრინდელი დიდება და შარვანდედი?!„

სეტემბან შარვაშიძე გრძნობდა, რომ მართლაცდა უუა-მოდ გაყიდა თავისი ასული. უჭირდა, მაგრამ მთლად ისე არა, რომ ახალბედა ასული გამოეყენებინა ფარად და მახვილად. მაგრამ, იმართლებს თავს; ასე ამბობს გონიერაში:

- „მსგავსად მოქცეულა ყველა დიდკაცი; დამოყვრები-თა და ერთსულოვნებით გაერთიანებულა ერი. და თუ სხვათ მიეტევებოდა ყოველი, რაღა მე გამსჯიან იმისთვის, რომ სინ-მინდეები და მარგალიტები მოვუფინე ღორს?!„ – მოვა დრო და დაგიხსნი დარუნდია, მანამდე კი იყავი სამეგრელოს დე-დოფალი.

...თუ რას აპირებდა სეტემბან შარვაშიძე, არავინ იცის მკითხველო.

მაშინ, როდესაც დარუნდია მამას ეცეკვებოდა, ახლო-მახლო, მაყართან მომუსაიფე მთავარი ოდესის წვენს შეექ-ცეოდა.

ჩქარტემპიანი მუსიკა აულერდა და მთავარი წინ გაიჭ-რა... ისე ლამაზად ცეკვავდა, რომ ქართული გენის თავისებუ-რებასა და ხიბლს უმაღ შეატყობდით. ქალთა გარემოცვაში უფლისნულივით ამაყი დადიანი ხმალ-ხანჯალს ატრიალებდა. გაბედნიერებულ მთავარს ვერც კი შეატყობდით, ჰქონდა თუ არა რაიმე სადარდებელი. მაგრამ, ჩემო დიონისე, მითხარი: არის კი ვინმე ისეთი, ვისაც არ ჰქონდეს სატკივარი, არ წუხდეს და ბორგავდეს შვებაგაცლილი?!

მთავართან დაახლოებული კაცი დადიანის ჯიქურ გა-მომეტყველებაში შეატყობდა, რომ ბედსა და უბედობას აჯი-ბრებდა დიდკაცი წარმოსახვაში. ლევანს არ სწამდა, რომ ბედ-ნიერება არსებობდა, მაგრამ, ზოგჯერ, როცა ადამიანური კმაყოფილებით აღვსილი დაფიქრდებოდა იტყოდა: „ყოველი კაცი თავის მომავალს ქმნის და ხშირად, ბევრ შემთხვევაში დიდებულ მომავალს ლამაზი წარსული განაპირობებსო,,.

ახლა მისი ქორწილი იყო და არ უნდოდა საქვეყნო საზ-რუნავით თავი აეტკივებინა. მაგრამ თავისი სიმამრის ხილ-

ვაზე აგონდებოდა, რომ აურაცხელი პრობლემების წინაშე იდგა. უკვე თავისავე მოყვარეს, ოდიშის დიდი მთავარი ვალ-დებულს ხდიდა მსახურობა გაეწია; სანაცვლოდ თვითონ ლე-ვანიც არ იქნებოდა გულხელდაკრეფილი. „აფხაზი მთავ-რისთვის„ ხელი უნდა გაემართა და დახმარებოდა აფხაზე-ბზე გაბატონებაში. ეს მისი პოლიტიკური გეგმის ერთ-ერთ ძირითად წაწილს წარმოადგენდა. მარტოოდენ „დაფლეთილი და დანაწევრებული მინის ნაკვეთის„ მთავარი იმერთა ხე-ლისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ვერ გამოდგებო-და. ამიტომ, უკვე გეგმაც კი ჰქონდა, რომლითაც სეტემბან შარვაშიძეს არა „აფხაზ მთავრად“, არამედ სრულიად აფხაზე-თის ერთადერთ მმართველად გახდიდა.

ოდიშის სამთავროს, შებინდებისას, ზარმა ჩამორეკა. სასახლის ჭრიალა კარები გამოიხურეს სტუმრებმა. მშვი-დობიანად დასრულდა საქორწინო სუფრა.

მთავრის ბრძანებით, მეორე დილით, ლარიბთა და უპო-ვართა დასაპურებლად სამეფო კერძები მომზადდა. სანოვაგით დატვირთული ურემი გზაზე გამოფენილ მანან-წალათ ურიგებდა მთავრის საჩუქარს...

•••

დაახლოებით თოთხმეტი წლისა იქნებოდა ლევანი, რო-ცა „ნადირობასა შინა ხრომან ირმისამან წარიტაცა დადიანი მანუჩარ და მოკლა იგი..“. – გვამცნობენ ისტორიკოსები და მისიონერები.

წარმოსადეგი იყო, მიზიდველი, ეშხიანი. ერთი ეგ იყო, რომ მას შემდეგ, რაც დაქვრივდა ნაღვლიანი შეიქნა მეტად-რე. თითქმის არ იცინოდა და ღვინის სმას მიჰყო ხელი.

სამთავროზე ზრუნვითაც თავს არ იკლავდა მანუჩარი. რადგან პირნათლად გრძნობდა, რომ ყოველივე ამაო იყო. ბერძნულ-რომაული ფილოსოფიის გავლენის ქვეშ მყოფი მიიჩნევდა, რომ ადამიანი დიდი კითხვის ნიშანი იყო...

არ სწადდა თავი შეენირა ოდიშელთათვის და საქვეყნო საქმეებს დროსტარებას არჩევდა. ნადირობა შეიყვარა ყველაზე ძლიერ და თავისას ერთადერთ ღვთაებას, დიონისეს სცემდა, ღვინისა და დროსტარების მეუფეს.

ოცდაერთი-ოცდაორი წლისა იქნებოდა, როცა დაქორწინდა. ერთი-ორ წელიწადში გაბედნიერებაც მოასწრო, ვაჟიც აჩუქა განგებამ და მალევე დაქვრივებაც¹.

ბევრი შეაძლიეს მას მერე, - უმშვენიერესი მანდილოსნები გააცნეს და დაუპირეს მთავარს ხელახლა დაქორწინება, მაგრამ მანუჩარს რიდი ჰქონდა თავისი სიმამრის, კახთა მეფისა და ამასთან ვერ შებილნავდა გარდაცვლილი მეუღლის საფლავს.

რომელიღაც ომი გადაეხადა მანუჩარს და იქიდან დაბრუნებულს სანადიროდ წასვლა განუზრახავს. გურია და იმერეთი ერთობლივ და მობეზრებოდა ძმათაშორისი ომი. შინ მოსულს უთქვამს:

- ნეტა ერთი გარეშე მტრის ხორცი დამაჭმევინა, თორემ ამდენმა სისხლმა მოძმისამან მომიწამლა გუნება. სისხლმონატრებულ მთავარს განუზრახავს სანადიროდ წასვლა.

მანუჩარს წელზე ჰქონდა შემოხვეული თოკი, რომელიც ნადირობის უამს განუყრელი იყო მისთვის.

ბედად, ირმის ხროვა გამოჩნდა და შეზარხოშებული მთავარი გამოუდგა მოსახელთებლად.

თოკის ახსნა დაავიწყდა. ახლომახლო მდგომ ირმისკენ გაიქნია გორგოლაჭიანი თოკი და ირმის ნაყარში² გაეხვია.

დამფრთხალი ნადირი წინ გაიჭრა ქარის უსწრაფესად. მთავარს გონი დაებინდა; ვერ იპოვა დაშნა, რომ გადაეჭირა ბანარი და რამდენიმე წუთს ირმის ჯოგი მიათრევდა უბედურ მთავარს...

ოცდაცამეტი წლისა, ქრისტეს ასაკში აღესრულა მანუჩარ დადიანი.

მცირენლოვანი ლევანისათვის რჩევის მიცემა უყვარდა თურმე მანუჩარ დადიანს. და ცამეტი წლის ყრმას უჩიჩინებს, უკითხავს ღვთაების ტრაგიკულ აღსასრულს.

დინჯად უსმენს ლევანი მამის ქადაგებას. ასე მიმართავს მამა შვილს. – „შენ დიდი კაცი უნდა იქნე ლევან! მაგრამ მეშინია ავაზაკებმა იმგვარად არ დაგფლითონ, როგორც ღვთაება დიონისე. მერედა იცი რა ბედი ენია? ტყეში გაიწვიეს, გაიტყუეს შეზარხოშებული ღმერთკაცი; მერე ეძგერნენ ღვთაებრივი ძალის შეგრძნების მიზნით და დაფლითეს საბრალო. ამოგლიჯეს გული, რათა შეეჭამათ და განეცადათ ღვთაებრივი„.

არ ესმოდა ლევანს, რად უყვებოდა მამა ამ შეგონებას, რადგან მცირენლოვანი იყო და ბავშვური ცნობიერება ზღუდავდა. საკმაოდ გვიან ეზიარა სიბრძნეს და მიხვდა ლევანი, რომ ხასიათით მამას ჰგავდა, მასავით უნდო იყო და სულ იმის შიშში, ვინმეს არ ეღალატა და ისეთნაირად არ დაეფლითათ, როგორც ოლიმპოელი ღმერთთაგანი!..

გაახსენდა ლევანს მამის პანაშვიდიც. ათასობით მწუხარე ოდიშელთ შორის მხოლოდ ერთს უხაროდა მანუჩარის გარდაცვალება და ის ერთიც მთავრის ძმა გიორგი ლიპარტიანი იყო. უხაროდა, რამეთუ სიყრმით ნანატრი მთავრის გვირგვინი დღე-დღეზე მისი გახდებოდა და თავისი ოჯახითურთ დასახლდებოდა უზარმაზარ, მდიდრულ სასახლეში. ასე ეგონა ლევანს, ვითომ ამ კაცს სახე სულ უცინდა, მაგრამ ამ ბოლო დროს შეამჩნია, რომ ეს თვისება სულაც არ იყო მისი. უბრალოდ, ისევე როგორც ყველა ადამიანს გააჩნდა განცდები. უხაროდა, როცა სასიხარულო იყო და წყინდა, როცა საწყენი...

ვითარება ასე წარიმართა. მანუჩარ დადიანის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ლიპარტიანი გახდა მესვეური სამთავროსი და მეურვეობა იკისრა უასაკო ლევანის.

აღსაყდრების შემდეგ, როცა ძალაუფლება ხელთ იგდოდა და სრულად დაიმორჩილა სამთავროცა და ხალხიც, მცირენლოვანი მემკვიდრის შევიწროება იწყო.

თვალთ ეხატება ლევანს ბიძის მკაცრი, პირქუში და მის მიმართ მარად მოღუშული და უკმაყოფილო სახე. რეგენტის

¹სინამდვილეში, ისტორია გვამცნობს, რომ მანუჩარს ცოლად შეურთავს ჭურიელის ქვრივი, რომლისგანაც ვაჟი — იესე ეყოლა.

ბრძანების შეუსრულებლობისთვის მრავალჯერ დასჯილა მანუჩარის ღირსეული მემკვიდრე და სათაყვანო ვაჟი...

მომავალი მთავარი ხან სიმინდის მარცვლებზე მუხლ-მოყრილი ინანიებს ცოდვას, ხან ნალიაში გამოკეტილი. ალ-ბათ ამიტომ იყო, რომ სძაგდა ეს კაცი ლევანს და მისი თითო-ეული მოქმედება საგმობად და საძრახისად ეჩვენებოდა.

ისე ცხოვრობდა სამთავროს კანონიერი გამგებელი, ვი-თომ მსახური ან პაჟი ყოფილიყო.

გაიხსენა აღდგომის დღეს მასზე განაწყენებული რეგენ-ტის სასჯელი...

დიდკაცად მოიხსენიებდნენ და მოიაზრებდნენ სამეგ-რელოში. მასაც ჩვეოდა წვეულებების გამართვა. ვეებერთე-ლა, მისაღებ ოთახში, იმ ადგილას, სადაც ახლა როიალი იდგა, უზარმაზარი ტაბაკი გაშლილიყო, რომელზეც უწინდელ დრო-ში მეგრელი ღომს შეექცეოდნენ.

ჭყონდიდი იყო ერთგვარი სიმბოლო სამეგრელოსი. რო-გორც ცნობილია ლეგენდარული „ოქროს საწმისი“, კოლხ მე-ფეს აიეტს მუხაზე ჩამოეკიდა, ნიშნად სამეფოს უძლეველო-ბისა და წარმატებისა.

ისიც მოგეხსენებათ, რომ ნოყიერ ცისგამში სიმინდს თესავდნენ და ამით საზღვრობდნენ. ღომი, რომელიც დაფქუ-ლი სიმინდის მარცვლებისაგან მზადდებოდა, სწორედ ტაბა-კზე იდებოდა. ამ შემთხვევაში ტაბაკიც ძლიერი ხისგან უნ-და დამზადებულიყო, რამეთუ ცხელი ტემპერატურისათვის გაეძლო ხის მასალას.

რამდენიმე დღის უქმელ ლევანს ჭამის წინ ლოცვის თქმა დავიწყონდა. რასაკვირველია, ეს ერთ-ერთ საუკეთესო მი-ზეზად მიიჩნია გიორგიმ და ძმისწულს თავი ცხელ ღომში ჩა-აყოფინა.

სახედამწვარი ჭაბუკი მას შემდეგ გახდა გულჩათხრო-ბილი. შიშიც დასჩემდა და გულში სიძულვილიც ჩაიდო.

სწორედ მაშინ, ღვთისა თუ განგების ნებით ლევან და-დიანი პაპამ, ალექსანდრე კახთა მეფემ მიიწვია სამეფო კარზე აღსაზრდელად. დაობლებული შვილიშვილი ძლიერ ეპრალე-

ბოდა, თან ეჭვობდა, რომ გიორგი მას არ გაახარებდა და არც რაიმე კარგს უქადდა.

ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო რეგენტი გიორგი და მიხვდა, რომ ალექსანდრესთან შუღლი ტახტსაც დააკარგვინებდა და ლევანს ლმობიერად მოპყრობა დაუწყო.

იმხანად ცნობილ დასტაქართა გარემოცვაში ნაიარევ და სახედამწვარ ადგილებს მკურნალობდნენ მომავალ მთავარს.

გამგზავრებამდე ბევრს ეჩიჩინა და უასაკო ჭაბუკი და-არწმუნა, - „თუ ალექსანდრეს მოუყვებოდა სასახლეში მისი შევიწროების ამბავს და მასზე განაწყენებული ხელმწიფე იმს გაუმართავდა, - სასახლეს ნაცარ-მტვრად აქცევდა და ცეც-ხლის ალში გახვევდა ყოველივეს..“ ასე უთხრა ლევანს:

„შენ რა გგონია, ცეცხლის ალშიც ისეთი მშვენიერი იქნე-ბა ეგ თქვენი სამლოცველო და პაპისეული ოდა, როგორადაც გერვენებათ დღეს?! – ნადით, ნადით და ისწავლეთ. ხოლო როცა დაპრუნდებით ეგების მოგართვათ ტახტი – უსისხლო და შეურცხვენელი....“

პაპის კარზე მივლინებული ლევან დადიანი აზიარეს ის-ტორიის სიყვარულს. პოლიტიკის თავისებურებზე ბევრი ესაუბრეს, დათმობისა და შეტევის ორიენტირება ჩააგონეს, კულტურული ფასეულობანი მხატვრის ფუნჯით დაუხატეს.

ალექსანდრე კახთა მეფე რიდითა და პატივისცემით ეპყრობოდა შვილისშვილს. ჩუმად იმას ცდილობდა, როგორმე გაერკვია, სასტიკად ხომ არ ეპყრობოდა ამჟამინდელი რე-გენტი.

ლევან, სიწმინდეებს გაფიცებ, მითხარი, ხომ არ გავი-წროებენ სასახლეში. თუ გინდა ჯარს შევყრი და მძინარეს დავახრჩობინებ ბიძაშენს. ოღონდ შენ თქვი გეთაყვა და...

კეთილი კაცი იყო კახთა ხელისუფალი. მკვლელის ბუ-ნებისა არაფერი ეცხო, მაგრამ ობოლი ბავშვის დაჩაგვრას ერთმორწმუნესაც არ აპატიებდა.

ლევანს ბიძის დანაქადები გაახსენდა. ჭკუათამყოფელი არ არის ის შეჩვენებული და ეგებ მართლა გადაწვას სასახ-ლეო. და ამის შიშით დამუნჯება არჩია. ამასთან, ოდიშელთა თვალში სახელი გაუტყდებოდა. პირადი ამბიციების გამო ძმა

II ნაცივი

ძმაზე როგორ წაეკიდა და სისხლი როგორ დაეღვარა. მართალია ჯერ კიდევ უასაკო იყო, მაგრამ არცთუ მთლად სულელი.

ალექსანდრეს თურმე დავით ალმაშენებელი უყვარდა მეფებიდან გამორჩეულად. და ეს გრძნობა გადაანათლა შვილისშვილსაც.

გაივლის წლები და 26 იანვარს, დავით ალმაშენებლის ხსენების დღეს, ბუხრის მახლობლად, წმინდა გუნდრუკს დაუკმევს დიდი მთავარი სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებულ მეფეთ-მეფე დავითს.

წარმოიდგინა მომავალმა მთავარმა თავისი მამული. მისი მართვა-გამგეობა ეძნელა. მოეჩვენა, რომ ათმაგად რთული იქნებოდა ქვეყნის და ხალხის მეუფება.

მართლაცდა გენია უნდა იყო, რომ აურაცხელმა სახელმწიფო პრობლემებმა არ დაგქანცოს. მე ასე მეჩვენება, რომ სამეგრელოს მთავრობას ვერ შევძლებ, თორემ სრულიად საქართველოს მეუფება ხომ წარმოუდგენელიაო...

მაგრამ, სიძნეელებისაკენ მიმავალი გზა იზიდავდა.

ცოტა ხნით მაინც სწადდა ტრიუმფიდან დაეჭექა, რომ ერთიანი საქართველოს მეფე იყო; რომ მუხლებში ჩაცვივნოდა ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი და თავი ყოვლისშემძლედ ეგრძნო.

და იმ დღეს დაიფიცა, რომ ძალ-ლონეს არ დაიშურებდა და გახდებოდა მეფეთ-მეფე. მერე ინანა, რომ ასე იჩქარა; ჭაბუქურ მოუთმენლობას გადააბრა ყოველი. „არ უნდა დამეფიცა, ეგებ ვერ მოვახერხოო“, და ძილის წინ მწარე ფიქრთა ცემას მიეცა...

მხოლოდ ის ახსოვს, რომ ძილისპირულზე უკანასკნელად ასე გაიფიქრა:

- „ღმერთო ჩემო, კიდევ კარგი რომ შემოქმედი არა ვარ, თორემ სიამაყისაგან მთლად შევიშლებოდი თურმე....“



ისევ ეგ დაწყევლილი მარტოობა, რომელიც სულს უდრღნიდა ოდიშის ძლევამოსილ მთავარს.

თვით დარუნდიაც დღითიდე ივსებოდა. მასში ქალური ებრძოდა ახალგაზრდულს და ნირშეცვლილი ქალბატონი ისეთ მშვენებად არ ესახებოდა, როგორც უნი... შემლილივით დასეირნობდა ცივდა მიუსაფარ კედლებს შორის და ვის არ უყვებოდა თავისი უბედურებას. სულ რომ არ გცოდნოდათ მისი ამბავი, მაინც შეატყობით, რომ მამაზე იყო განაწყენებული...

„მწუხარე დედოფალმა თავდაპირველად ყველა შეიგუა და შეიყვარა, გარდა ლევან დადიანისა. ეჩვენებოდა, თუ რა იყო, თავი ვერ მოება მთავარს, მაგრამ ქალის უკმაყოფილო მზერაში თავჩაქინდრული დევკაცი მისავედანაშაულს გრძნობდა...“

„სულ მწუხარე იყო დარუნდია, მაშინაც, როცა სტუმრად მეწვია, მაგრამასე ძლიერ აღელვებული არასოდეს მინახავს....“

უსულო საგნებთან მოსაუბრე ქალბატონს მთავარი ეჭვის თვალით უყურებდა.

„იქნებ ჭკუიდან შეიშალაო“, - არ იცოდა მთავარმა ვისთვის მიემართა. ექიმი სრულიად ზედმეტად მიიჩნია, რადგან შესაძლო იყო დედოფლის სნეულება ზე ჭორი საქვეყნოდ გაევრცელებინა. და ასე ახრჩიბდა მთავარი დროს; ებრალებოდა მთავრის ასული და სამეგრელოს დედოფალი, მაგრამ მას ზე ნაკლებად არც თვითონ იტანჯებოდა...“

იმხანად, მეზობელ სამთავროდან გამოძევებული მერაბ ქორთოძე დადიანის კარზე ეძებდა დიდებულ მომავალს.

ხასიათით ქვემდრომი იყო. იცოდა, რომ ლევანს იმერთა ხელისუფალი სძაგდა და მასზე მოგონილი საშინელებებით თავს აწონებდა მთავარს. ხშირად, მერაბთან საუბრისას ლევანს უთქვამს: „დახე, როგორი სასტიკი ყოფილაო„, და ენამჭევრი მსახურისთვის უთხოვია ყველაფრის მოყოლა... მერაბიც, ხან მელაძუას უძახის იმერეთის ხელისუფალს, ხანაც მკვლელს.

გულში უხარია ოდიშის მთავარს, რომ ასე ადვილად სწავლობს მსახურის ბუნებას. ისიც, სულის სალაროზე გასაღების მორგებას სთხოვს ახალ ბატონს. ასე სწადია ლევანს დიდად დაიახლოვოს, განვრთნას, რომ თავისივე მიზნებისთვის გამოიყენოს, იმსახუროს. მთავარი მას ვეზირთუხუცესად ნიშნავს, შემდგომში კორტუგად წოდებულს...

მინი დოსიე ისტორიული ცნობარი

ვაზირთუხუცესი – არაბულად „ვაზ-ირუნ“, მინისტრს, თანაშემწეს, მაშველს, ვაზირს ნიშნავს. პირველად თამარ მეფისა და გიორგი III-ის ისტორიკოსის გარდა არცერთს არ უხმარია. ანუ ეს თანამდებობა იმდენი წლისაა, რამდენიც თვითონ დადიანების გვარი. უზარმაზარი თანამდებობის მქონე იყო თვითონ ვაზირი, რომელიც რიგით მეორე კაცად მოიაზრებოდა სახელმწიფოში.

შემთხვევას უნდა მივაწეროთ ალბათ, რომ სრულიად უცნობმა, მეზობელი სამთავროდან გამოძევებულმა კაცმა რამოდენიმე თვეში ამოდენა მანდატს, ჩინს გამოჰკრა ხელი.

ალბათ თვითონ მთავარს რაღაც პოლიტიკა ჰქონდა. თურა, ამას მოგვიანებით შევიტყობთ.

ხმები დაირჩა, ვითომ ეგ ის კორტუგა იყო, სეჭემან შარვაშიძის ქალს რომ ჰყვარობდა მალვით. როცა მთავარმა დედოფა-

ლი წარუდგინა გასაცნობად, ზომიერსა და თავდაჭერილ მერაბს ეტყობოდა, რომ დედოფალს ოდესლაც მართლა იცნობდა.

ამ ქალის მშვენება უამრავ მამაკაცს მონუსხავს, მაგრამ სად შეხვდა ვეზირთუხუცესი შარვაშიძის ასულს?! – ეჭვიანობდა ლევან დადიანი, რადგან უცხო მოფერებითა და ალერსით „თანურიას“, ეძახდა სამეგრელოს დედოფალს. მერაბის წარმომავლობა საეჭვო იყო და თან ბურუსით მოსილი. ეს კაცი ყველას და ყველაფერზე გესაუბრებოდა, საკუთარზე კი კრინტს არ დაძრავდა.

ამასთან დარუნდია თითქოს დაუბრუნდა ჩვეულ ცხოვრებას. ისეთი მხიარული, მზრუნველი და ყურადღებიანი გახდა, რომ მთავარს მისი ხასიათის ცვალებადობა ანცვიფრებდა. ჩვეულებისამებრ, არ ესაუბრებოდა უსულო საგნებს; მდუმარების ნიღაბიც ჩამოიშორა და პირმცინარ აფროდიტეს დაემსგავსა, მასავით ლამაზსა და მიმზიდველს...

„მშობიარე ქალს თავისებურებანი ახასიათებს. ზოგი გამალებული რკინის ზოდებს ნატრობს, ზოგსაც ჰალუცინაციები ანუხებს. ალბათ ამადაც შეიცვალა დარუნდია, – ასკვიდა თავისთვის მთავარი...“

მაინც რა სასტიკი და უნდო ვარ მამაჩემივით. როგორ დავაჯერე თავი, რომ დარუნდია მე, ძლევამოსილ მთავარს მანაცვალებდა ვიღაც ვაზირთაგანზე?!„ – ჩემს მიერ დაწინაურებულ დევნილზე? – მთავრის ასულია, სათნოებით აღსავსე და რა ღმერთი გაუწყრება, რომ სამეგრელო შეარცხვინოს?

„თვითორწმენა გამარჯვების ნახევარს უდრისო,, – ამბობენ ფრანგები. სწორედ თვითორწმენამ გაათავისუფლა ეჭვებისაგან და გულმხიარულმა იმავ ღამით ცოლს თავისი დედის ნაქონი საგვარეულო ბეჭედი აჩუქა...“

•••

სასახლის კიბეებზე იდგა დარუნდია. ამაყი, მედიდური გამოხედვით მართლაცდა მთავრის ასულსა და სამეგრელოს დედოფალს ჰგავდა.

წითელ სამოსში გამოწყობილი საოცრად მშვენიერი იყო. ცით მოგზავნილ ანგელოზს ჰგავდა, სულში რომ სიწმინდე-ები ჩასახლებოდა.

კაბის კუდით ხვეტავდა სასახლის უსასრულო კიბეებს. ხელთ ოქროს ხელჯოხი ეჭირა. ოდნავ შესამჩნევი მუცელი გამოწეოდა ნინ.

მერაბ ქორთოძემ თვალი მოჰკრა დედოფალს.

ეგ ქალი ისე ძლიერ არ აჯადობდა, როგორც ფუფუნება, რომელშიც იძირებოდა სამეგრელოს უმშვენიერესი ქალბატონი...

ოქროს ხელჯოხის ხილვაზე გონება მოეწამლა და უნებურად გაიფიქრა:

– „ასე ეყრდნობა თქვენი ცხოვრებაც ოქრო-ვერცხლს, მაგრამ ვერ გამიგია, რად მოგწონთ „ჯოხზე“, დაყრდნობილი ცხოვრება„.

იმავ წამს ძვირფასს ბეჭედს მოჰკრა თვალი. უზარმაზარი ჰეპელა გამოესახა იქრომჭედელს.

„განა ასეთი ფრთაფარფატა არის თქვენი ცხოვრება?! – ფიქრობდა ბოროტი ცნობიერება ვეზირთუხუცესისა, მაგრამ, დასაკარგი მაინც არა ხა....“

დედოფალი მდიდრულ შეზღლონგზე ჩამოჯდა. ლალ-იაგუნდისთვლიანი თმისსამაგრით გრძელი ნაწნავები მაღლა აეწია. იქვე მდგომ ვეზირთუხუცესს ცივად მიესალმა მხოლოდ.

გასაუბრება ეწადა კორტუგას. ფიქრობდა, რომ თავისი ფილოსოფიური მჭევრმეტყველებით ბადეში გახვევდა ბანოვანს. მაგრამ, სამეგრელოს თავნება დედოფალი არ აპირებს ვეზირთან საქმის დაჭერას.

თავის ტკივილი მოიმიზება. მაინც ვერ ჩამოიშორა უტი-ფარი მსახურთაგანი. ასე ეჩურჩულება მთავრის ქალს:

- „ასე ანგარებით გათხოვდი და წარმოუდგენელია იყოთ ბედნიერი....”

- მაგრამ ასე თხოვდება ჩვენში მილიონი. როცა მთავრის ასული ხარ (ამაყობდა კიდეც ამით) ბევრი რამის უარყოფა გინევს. მათ შორის სიყვარულის. – პასუხობს დარუნდია შარვაშიძე.

- იქნებ გინატრია თანურია მდაბიოთაგანი ყოფილიყავ, ოღონდ არ გათხოვილიყავ ასე ძალდატანებით?!

- სულაც არა... ცდებით, თან ძალიან მწარედ... მამებმა უკეთ იციან თავიანთ შექმნილებს რა ბედი არგუნონ!..

არ ენადა გაემხილა ვიღაც პატივმოყვარე კაცისათვის რომ მამაზე ცოტა არ იყოს განაწყენდა. ანი მაინც ვერაფერს შეცვლიდა და ერჩივნა საკუთარი პორტრეტი გამოეძრნა, ვითომდა ბედნიერი ქალის ფოტოსურათი.

ღირსეული ბანოვანი ემუქრება კიდეც მერაბს:

- განა იმისთვის მოხველ, რომ ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქციო? და ისედაც დარდიანს შემახსენო ჩემი უბედურება. მიფრთხილდი იცოდე!!!

მე დიდი პატივით ვსარგებლობ სასახლეში და ოდიშელთა ყველაზე განებივრებული დედოფალი ვარ. თუ შენსას არ დაიშლი და სულის სიღრმეში შთაჭრას დამიპირებ, გახსოვდეს, ენას მოგკვეთ, რომ ვერასდროს შეძლო ჩემი განაწყენება! იცოდე ვინა ხარ და რა სიმაღლეზე იმყოფები. მთავრის ქალს ცოტა არ იყოს შენთან ყოფნაც მეხამუშება და ვშიშობ ამ ქმედებისთვის არ დავიმსახურო დადიანის რისხვა.

- ძალზე კი დაუშინებიხარ იმ შენს ძვირფასს დადიანს... სეტემბანისგან მსმენოდა, რომ ფიცხი ხასიათის იყავ და უშიშარი. კარგია, რომ ქმრის მორჩილი ხარ, მაგრამ მეჯავრება მონად ქცეული ქალბატონი, რომელიც მეუღლეს თვალებში შესციცინებს, „საბრალო სეტემბან შარვაშიძე“, – ნუთუ იმისთვის აღგზარდა, რომ ასე დაგეხსარა თავი ვიღაც დადიანის წინაშე? მაგრამ ახია მასზე. განა მან არ გასწირა თავისი მხოლოდშობილი ასული?!

- მაშ, ამბოხისკენ მომიწოდებ ვეზირთუხუცესო? მაშ, თავი არ დავხარო სულა? შენ არ გცოდნია გათხოვილი ქალის ხვედრის მნიშვნელობა. თუ საჭიროა ამაყად ისეირნებ სასახლის ოთახებში და თუ საჭიროა თავდახრილი.

ნასვლას აპირებდა დარუნდია შარვაშიძე, მაგრამ მამის სახელის ხსენებამ შეაცბუნა, დაბნია და ნაბიჯიც ვერ წარსდგა წინ...

- მაშ, იცნობ სეტემბანს? – თვალი გაუბრწყინდა. დიდი ხნის უნახავი ჰყავდა დარუნდიას მამა და ყველაფრის მიუხედავად მაინც მონატრებოდა. იფიქრა, ეს კაცი ყველაფერს მეტყვისო და ამიტომ იდგა გახევებული.

- ნდობის მოპოვება ეწადა მერაბს. სმენოდა, რომ აფხაზ მთავარს წარუმატებელმა შინაომებმა სამეფოს ნახევარი დააკარგვინა. ამ ფონზე ენამჭევრმა განიზრახა ისეთი რამ მოეგონა, რითაც დედოფალს მისავე მოკავშირედ გახდიდა.

ომი გარდაუვალი იყო. ამიტომ რჩევა მისცა ასეთი დედოფალს:

- თანურია, არ მომწონს ეგ შენი უმოქმედობა. ბარემ ბოლომდე ემსახურე აფხაზთ და თუ გადარჩენაა, - გადარჩენა იყოს... დაელაპარაკე ლევანს, რომ მაშველი ჯარი გააგზავნოს სეტემბანთან. თორემ დაიღალა ამდენი გაუმართავი და წარუმატებელი ომისაგან. შენ რა გვინია, ეგ შენი მამიკო დიდხანს იცოცხლებს? დროზე მიეშველე და დაივიწყე წყენა. ხომ იცი, მამას მიეტევება. შენი სიტყვებისა არ იყოს, „ეგებ მართლა უკეთ იციან რა ბედი არგუნონ თავისავე შექმნილთ!“ ერთი სამთავროზე შეყვარებული კაცია და გაემართლება თანურია...

მერაბისთვის მართალია ხელსაყრელი არ იქნებოდა, თუკი დადიანი ჯარს გაუგზავნიდა აფხაზ მთავარს. თუმცა ამის სანაცვლოდ ერთი მოიფიქრა.

ხვალ, შებინდებისას, სასახლის მახლობლად მდებარე უსიერ ტყეში უნდა შევხვდე ჩემს მსახურთაგანს. ცილი დასწამეს და შეურაცხყოფილი გამოდევნეს ქართლიდან. ძლიერ შემებრალა. ვიფიქრე, სეტემბანი ღვთისმოსავია და იმ უბედურისათვის ბინის და სანოვაგის მიცემა არ გაუჭირდება-მეთქი. ჰოდა, ვინაიდან ხვალ აფხაზეთს მიემართება, თუ გსურს

წერილი მისწერე მამას და გპირდები, უვნებლად გადასცემენ სეტემბანს ყოველივეს.

თავჩაქინდრული დედოფალი იმდენად დაბნეული იყო, რომ ვერ განსაზღვრა კორტუგას როლი დადიანების კარზე და თითქმის უნებლიერ დათანხმდა მერაბს უსტარის დაწერაზე...

გულმხიარულმა მერაბ ქორთოძემ პირმცინარი მიმიკით დატოვა სასტუმრო ოთახი. ასე სწამდა, რომ დედოფალი საყვედურიან მოთქმას მისწერდა მამას და ლევანის მიერ გამოგზავნილ მაშველ ჯარს აფხაზი მთავარი ხიშტებით, ქვის სასროლი იარაღებითა და ხმალ-ხანჯლებით შეხვდებოდა.

თუკი სეტემბანს დააჯერებდა, რომ დარუნდია უკმაყოფილი იყო და შევიწროებული, სეტემბანი სასიძოს მოსათვინიერებლად ომზეც არ იტყოდა უარს....

•••

სანთლის მხრიოლავ შუქზე სამეგრელოს დედოფალი მამისთვის წერილს სწერდა. ბუხარში მის ოცნებას ეკიდა ცეცხლი. აფხაზეთზე და პალმებზე ნოსტალგიამ ლამის შეშალა ქალი.

სარკმლიდან გაიხედა... ხომ ლამაზი იყო ოდიში, მაგრამ აფხაზეთთან მიმართებაში ერთ უსახურ ტერიტორიად მიიჩნია.

დაუბრუნდა საწერ მაგიდას... ოდნავ ბჟუტავდა წითელი სანთელი და მომდინარი ცხელი ცრემლები გულს უთუთქავდა, სიბრალულით მსჭვალავდა მთავრის ქალს...

„შენ ვერც კი წარმოიდგენ, რაოდენ ბედნიერი ვარ მე, დარუნდია შარვაშიძე-დადიანი... მივხვდი, რომ ჩვენ ორს შორის ერთი მაინც იმსახურებდა დიდებულ მომავალს. ოდესმე თემიდას სასწორი¹ უნდა გადაწონილიყო, რომ ორს შორის ერთს მინიჭებოდა მეტი ძალაუფლება...“

დღე-დღეზე აყვავდება ეგ შენი სამთავრო. ნეტა კმაყოფილებით აღსავსე სახე მანახა, როცა აფხაზი გეთაყვანებიან. იქნებ მაშინ მაინც მოიგონო შენზე უგონოდ შეყვარებული ქალიშვილი...

მომენატრა შენი დევივით როხორხა ხმა და ის ლიმილი, კლდის ნაპრალსავით რომ გეპარება...

„და მაშინ, როცა სხვისთვის სიცოცხლე ხალისია, რატომ უნდა იყოს მამა, შენთვის ცხოვრება დადგმული მეჯლისი, სადაც ცეკვავ იძულებით და აპირებ ცეკვას მანამდე, სანამ არ შეწყდება მელოდია....“

მე მეშინია მამი იმის, რომ ვთქვათ ვერ აღადგინო ეგ დაცემული და იავარქმნილი სამთავრო. მაშინ?!“

ლევანი ღმერთი ნუ გგონია... ორგულთა გარემოცვაში რა უნდა გააწყოს... სულ მარტოა დედამიწაზე... შენგან მოელის შველას, შენ კი მისგან. იმდენად არ გესმით ერთმანეთის, რომ ამ ნახევარი წლის მანძილზე ერთხელაც ვერ გამონახეთ დრო შესახვედრად... ასე უცხონი რომ ხართ ერთმანეთის-თვის იმიტომაც გიჭირთ ორივეს. ასე განცალკევებულნი ვერც კი ამჩნევთ, რომ სულს დაფავთ.

აბა ვინ მოგიგონებს მამილო ემაგ შენი ფარული მიზნებისთვის და ფიქრებისთვის? ამიტომაც ეცადე ისტორიას შემორჩე, არა როგორც ოდიშის დიდი მთავრის სიმამრი, არამედ ძლევამოსილი იმპერიის მმართველი.

გაფიცებ ყველა აფხაზთა სალოცავს და ილორის წმინდა გიორგის, რომ თუ რამ დააპირო ამიერიდან, პირველი ჩვენ გვაცნობოთ...

მთლად ისეთი გულბოროტი არ ყოფილა ლევანი, როგორადაც ფიქრობდნენ ამას ჩვენში. მნამს, რომ ომში და გასაჭირში არ მიგატოვებს. ამას მარტო მეგრული სიამაყის გამო არ იზამს... გკოცნი, - შენზე უზომოდ შეყვარებული ქალიშვილი.“

დარუნდია შერვაშიძე-დადიანისა.

1628 წელი.

დადიანთა საგვარეულო გერბი და ბეჭედი დაასვა წერილს და ძილგამკრთალმა ქალბატონმა ბნელ ღამეში როიალს მიმართა სულის სანუგეშებლად...

¹ სამართლიანობის ქალლმერთი.: სასწორით ხელში. ასოცირდება კანონიერებასთან, სწორ, ნამდვილ მართლმსაჯულებასთან.

•••

იქნებოდა ღამის ოთხი საათი, როცა მთავარს ქალის წრიპინა ხმა შემოესმა. მელანქოლიურმა სონეტმა დადიანს მოჰკვარა ცრემლი. ახლა მიხვდა, რომ ეს ქალი მთლად ბეჭნიერი არ იყო მასთან და არც კმაყოფილი...

ასეა, ასე... ანგარებით გათხოვილი უკმაყოფილო ქალი ქმარს ყოველთვის რაღაცას აყვედრის! დიდ კაცს უმნიშვნელო საქმებს უმაღლავენ. იქნებ ეშინოდეს საყვედურის წარმოთქმის?! მაგრამ რა არის ამ როიალის შუაღამით ამუსიკების მიზეზი? – წესისამებრ, ბეჭნიერი დედოფალი ასე გვიან სასახლეს არ უნდა „აცოცხლებდეს“. მაგრამ, - როგორ გავიგო რა აწუხებს, რა აშფოთებს ჩემს დარუნდიას? ნუთუ ჩემსავით მარტოსულია?

ხალათს დაავლო ხელი და საძინებლიდან მისაღები ოთახისაკენ ძლივს გაიკვლია გზა. სულისაღმძვრელ სიბნელეში მთავრის ასული გარინდული იჯდა და ბუს მართვესავით ეპრძოდა ძილს...

მთავარმა გულზე მიიკრა საპრალო დედოფალი.

- „ტირი, მაშ ტირი, დარუნდია? – თურმე რაღაც სულს გილრლნის და მე კი მიმაღავ. შენც არ გჯერა ჩემი?! ალბათ გეშინია და ყველაფერს მიმაღავ. სხეულით ჩემს შვილს ატარებ, მაგრამ მაინც ჩემგან შორსა ხარ... მე სრულიად უცხო ვარ შენთვის. ნეტა უბრალო კაცი ვიყო და არა სამთავროს ხელისუფალი. ნეტა შენ მენდობოდე და გჯეროდეს ჩემი და...“

- ლევან, - ძლივს წარმოთქვა დარუნდიამ. მარტოობასთან დაზავებულხარ და ჩემთვის ვერც კი იცლი. მე ყურადღების მომლოდინე ვარ შენგან! რაც აქ დავსახლდი, ჩემი არ გესმის. ჩემს ბრძანებას ზერელედ ასრულებენ. ვაი, რომ მდაბიო არა ვარ, თორემ რამდენს დამძრახავდნენ ჩემს წარმომავლობაზე... მე მთავრის ქალიშვილი ვარ, ლევან, პირველ ყოვლის და მერმე სამეგრელოს დედოფალი. თუ მამას შეეძლო ჩემთვის ეჩუქებინა მშვენიერი წამები, შენ რა გზღუდავს, რომ ცოლისგან ასე განდგომილი ხარ?

- ნუ გაპრაზდები დარუნდი. დედის ხსოვნას და მამის საფლავს ვფიცავ, თუ მოინდომებ, თუ ისურვებ, ერთ დღეს სამთავროსაც მივატოვებ. გავიქცეთ სადმე შორს. მექარავ-ნეებს ან კოლხეთიდან გამავალ გემს გავყვეთ და ვიმოგზაუროთ დაუსრულებლად. მაგრამ, რას იტყვის ჩვენზე ხალხი?! უკადრისი უკადრებიათ მთავრის ასულსა და თვითონ იღიშის მთავარს და ხახადალებულ მტრისათვის მიუგდიათ თავისი მოძმენიო. აი, ეს მზღუდავს დარუნდია; ფიქრები განა მარტო შენ გტანჯავს? – მეც ბევრი მაქს სადარდებელი. უმჯობესი იქნება ერთმანეთის სულებში ჩავიხედოთ და საყვედურსაც არ ვიტყვით მაშინ!

- გიყვარვარ ლევან, თუ...

- რა, დარუნდია, თქვი სათქმელი ყოველგვარი მორიდების გარეშე.

- იქნებ ჯერ კიდევ ვერ ივიწყებ ეტლისგან დათქერილ სატრფოს? იქნებ მას მამსგავსებ და მიტომაც ცდილობ ჩემთან დაახლოებას. იდუმალება ჩაუსახლდა ლევანს სულში და თვალები წამოსანთებად მოემზადა. იფიქრა თავდაპირველად, რომ სეტემბრისგან გაიგებდა დარუნდია სინამდვილეს, მაგრამ ისიც იცოდა, რომ რახან უსიყვარულოდ, თითქმის ძალდატანებით ათხოვებდა მთავარი ასულს, იქ განხეთქილების კიდევ ერთ მიზეზს არ დათესავდა.

მხოლოდ ეს უთხრა, ღვთის გულისათვის ვინ გიამბო იმ უბედური გოგონას ისტორია...

- ერთი პირობის სანაცვლოდ. მინდა ხვალვე მაშველი ჯარი გააგზავნო აფხაზეთს და მამიჩემის წინააღმდეგ ამხედრებულებს შიშის ზარი დასცენ. ვალდებულიც კი ხარ მთავარო. ამასთან, მოლონიერებული და მოძლიერებული სეტემბან შარვაშიძეც საიმედო მოკავშირე გახდება ალბათ.

ეს ლევანის გეგმის ერთ სცენარს შეადგენდა. ამიტომ მზად იყო შემოთავაზებაზე დაუფიქრებლად დათანხმებულიყო. ისე, ცოტათი გაოცებულმა უთხრა:

- არ მეგონა, პოლიტიკა და პოლიტიკური იდუმალება შენთვისაც თუ იყო ნაცნობი! ვფიცავ, დავეხმარები სეტემბანს,

ოღონდ მითხარი, ვინ გითხრა საბრალო ქალიშვილის ამბავი, წყეული მეტლისგან უჟამოდ მოკლული გოგონას ისტორია...

სხვა ვინ, თუ არა ვეზირთუხუცესი კორტუგა. ისიც კი სთქვა, რომ ამ ამბავში ბიძაშენის – გიორგი ლიპარტიანის და იმერეთის მეფის ხელი ერია. ახლა თურმე ალიბს ეძებს, რომ მერმე მათ წინააღმდეგ ამბოხება მოაწყოს იმერეთიდან გა- მოძევებულმა მერაბმა.

- პატივმოყვარე კაცია მერაბი და იქნებ შური ამოძრა- ვებდეს მათ მიმართ. მაგრამ მოაგონდა მთავარს ბიძა ლიპარ- ტიანის წერილი და კორტუგას სისწორეში უმაღ დარწმუნდა, მაგრამ რისთვის დასჭირდა სიმართლის თქმა? მარტოოდენ ნდობის მოსაპოვებლად? იქნებ თავს მათ მტრად გვაჩვენებს, სინამდვილეში მოთხრა და მოძირევა აქვს განზრახული? მას არა აქვს ფული, არც ძალა, არც მასა ენდობა, რამეთუ არ არის არც ერთი მხარის მმართველი. ასე რომ, ის რომ რომელიმე პოლიტიკური ერთეულის იმედად არ იყოს გამორიცხულია. მაგრამ ვინ უმაგრებს ზურგს? – იმერეთი? გურია? ქართლი? თუ თვითონ ყოფილი რეგენტი?

ერთმა გარემოებამაც დააფიქრა. ეგ კაცი დედოფალთან იმდენად ახლოს იყო, რომ თავის გასაჭირსა თუ ფიქრებს მას ანდობდა, პირველი, რამაც ეჭვის საბაბიც გაუჩინა.

- მთლად წუ მიენდობი მაგ კაცს დარუნდია... „ქალის ნაზ ბუნებას მამაკაცის მოძალადე ხასიათი ყოველთვის ჯაბნის. არ მისცე იმის უფლება, რომ ფილოსოფიური მჭევრმეტყვე- ლებით შთაიქრას შენს სულში, თორემ შენსავე განცდებზე ითამაშებს ცალსახოვნად. აწონე მისი პიროვნება და არ მოი- ნონ მარტოოდენ ხასიათისთვის, რადგან პირფერები მუდამ იცინიან, ხოლო მარტოსულნიც თავს განსხვავებულად გაჩ- ვენებენ. კაცს ჰგონია, რომ ის თვისება, რაც მოენიჭა ღვთის- გან,- საგმობია. ამიტომ ნიღბოსნები მაღავენ თავიანთ ჭეშ- მარიტ სახეს და არასოდეს გეცხადებიან ისეთებად, როგორე- ბიც არიან სინამდვილეში. იქნებ ეგ მერაბიც ნიღბოსანია და სასახლე კარნავალი ჰგონია. ვხედავ კომედიანტივით ინიღ- ბება. ჩემთან სხვა არის, შენთან სხვა. ამინდივით ცვალება- დია და მომნუსხველი საუბრით მსმენელის მახეში გაბმა ჩვე-

ვია. ამიტომ, როცა მეტყველებს, სანახევროდ უს-მინე. გული- სყურს წუ მიაპყრობ მას, რადგან სხვა საქმენიც არ დაგლევია ჯერ... არ მიიჩნიოთ თანატოლად, თორემ ეამება დედოფალთან გათანასწორება; ისევ შენთვისვე აჯობებს დარუნდი. სჯობს მთლად მარტოსული იყო, ვიდრე თვალთმაქცთან და პირფერ- თან გულგახსნილი....

- ეგ შენი ქადაგებანი ეჭვიანი კაცის მეტყველებას უფ- რო ჰევას ლევან!.. მაშ, რა არის იმის მიზეზი, რომ ასეთი მელა- ძუა სახლში გყავს მთავარო? არ გეშინია, რომ ერთ დღეს ყვე- ლაფერი წაგართვას და ხელცარიელი დაგტოვოს?!

- მე ვერაფერს წამართმევენ, რადგან პირატები და მძარცველები შორს არიან ჩემგან... მერაბი თუ რამეს ეცდე- ბა სამაგალითოდ დავსჯი... ერთი რამის მეშინია მარტო, - შენს სიყვარულში არ შემეცილოს ვინმე. რაყიფობას მიჩვეული არა ვარ, საზიარო არაფერი მომწონს, განსაკუთრებით ქალის სიყვარული. მამის შეგონების თანახმად, მხოლოდ ქალი თუ დამიფლეთს გულს, თორემ ჯოჯოები და კალიები რას დამაკ- ლებენ თუ იცი?!

კორტუგა ხელზე წამოსაკრავი არ არის. უზომოდ ჭკვი- ანია და ამასთან მებრძოლი. დამცირებას არ შეეპუება და თავი- სი „ლალადისით“, ბევრს აამბოხებს იმერთა ხელისუფალის წინააღმდეგ... სანამ მჭირდება ჩემს გვერდით ვიგულებ, ხოლო თუ იარაღის ლესვა იწყო ჩემსავე წინააღმდეგ, - გავაცამტვერებ. იმისთვის მოუგონიათ სასჯელი, რომ მისი შიშით მომაკვდავებს ცოდვის ჩადენაზე ხელი ააღებინონ. ფსიქოლოგიური ზეწოლით დანაშაულის რიცხვი ცოტათი შევამცირე, ეზოში განლაგებუ- ლი ზარბაზნები ყველას შიშის ზარსა სცემს. „მე შიშის გამოც ვუყვარვარ ბევრს..“

ლევანი გრძნობდა, რომ ქალს ძილი ერეოდა. რამოდენ- იმე წუთის შემდეგ დედოფალი ძილშიც ახსენებდა ლევანს, რომ სეტემბანისთვის უნდა გაემართა ხელი...

- საბრალო მსხვერპლი. როგორ ჰყვარებია მამა, რომ ისევ მზად არის მიუტევოს ბერიკაცს დანაშაული და ცოდ- ვისთვის არ აზღვევინოს. – წარმოთქვა ლევანმა და თვითონაც მიესვენა საძინებელზე.

•••

სახარებას თვალყურის დევნება დაუწყო დიდმა მთავარმა.

- „აპა, მოვიდა ჟამი და მოდის კიდეც, როცა ყველა სათი-თაოდ გაიფანტება. მე დამტოვებთ, მაგრამ მე არა ვარ მარტო! ვინაიდან მამა ჩემთან... ეს მიტომ გითხარით, რომ მშვიდობა გქონდეთ ჩემში... წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით; მე ვძლიე წუთისოფელს....“

საგონებელში ჩავარდნილ დიდკაცს ხელთ ყალიონი ეჭი-რა. თუთუნის ფოთლებს ტენიდა ანერვიულებული და ჩურ-ჩულებდა ღმერთკაცის სიტყვას.

„თუმცა ბევრმა მთავარმა ირწმუნა იგი, მაგრამ ფარი-სეველთა გამო ვერ აღიარებდნენ, რათა სინაგოგიდან არ მოეკვეთათ. რადგან ადამიანთა დიდება უფრო უყვარდათ, ვიდრე ლვთის დიდება... იესომ შესძახა და თქვა: „ვისაც ჩემი სწამს, ჩემი კი არ სწამს, არამედ იმისი, ვინც მე მომავლინა, და ჩემი მხილველი ხედავს მას, ვინც მე მომავლინა„.

მე როგორც ნათელი მოვედი წუთისოფელში, რათა არა-ვინ, ვისაც კი სწამს ჩემი, ბნელში არ დარჩეს. თუ ვინმე მოის-მენს ჩემს სიტყვას და არ დაიცავს, მე არ განვსჯი მას, რადგან წუთისოფელში განსასჯელად კი არ მოვედი, არამედ წუთი-სოფლის სახსნელად!...

მას, ვინც მე უარმყოფს და არ მიიღებს ჩემს სიტყვებს, ჰყავს მსაჯული.: სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განსჯის მას უკანასკნელ დღეს„....

თურმე წმინდანსაც ან იქნებ ღმერთსაც ეძნელება მარ-ტობა, თორემ უბრალო მოკვდავზე რა მეთქმის.

მართლაცდა ჭირით აივსო ჩემი ცხოვრება და ხალისი დავკარგე ნაადრევად. იქნებ აჯობებს დავარწმუნო თავი, რომ მე არა ვარ მარტო. მაგრამ როგორ?! სულისაღმძვრელი სიმა-რტოვე მიძიგნის სხეულს და ვგრძნობ, რომ ფიტულად, მა-ნეკენად ვიქეცი. რატომ არის, რომ ყველა გამირბის სადღაც? დავიღალე... დავიქანცე ძლიერ. მე ყველასი უნდა მესმოდეს, ყველას გულისნადებს უნდა ვიცნობდე. სააქაოს მეუფება

რადგან მიჭირავს, სანაცვლოდ მოვალეობით მტვირთავენ! „ადვილია სხვისი უღელს მიმაგრება, დახმარება კი ძნელი„.. ერთი მაინც გამომჩენოდა სამთავროში, ვინც მანუგეშებდა სიჩუმის ანგელოზთან საუბრისას!...“

ცოტათი ეჭვი შეეპარა სახარების სისწორეში. „ადამი-ანთა დიდება უფრო უყვართ, ვიდრე ლვთის დიდებაო“, მაგრამ ვინ განმადიდა მე. ვინ მაქცია მთავარ სათაყვანებულ კერპად?

ამ დროს ვიღაც უცნობი ხმა, - სულიდან ამომავალი ემეტოქება ლევანს:

„რად გინდა კერპად რომ იქცე დიდო მთავარო! კერპები ხომ იმსხვრევიან, შენ კი არ უნდა განადგურდე!.. რად გინდა ვინმემ უფალზე ძლიერ შეგიყვაროს? – აჯობებს ძლიო წუთი-სოფელს. ეძიე ნათელი, რომ არ დარჩე ბნელს!..“

მთავარმა მძინარე დარუნდიას გადახედა. სამყარო გასა-ლვიძებლად ემზადებოდა. გაჭირვებული მეურმე ურემს მი-აჭრიალებდა გზაზე და ქვაფენილზე მძიმედ მიროხროხებდა...

მზეც, ის იყო სხივებით იპყრობდა მსოფლიოს. ყველას ეღვიძა. მხოლოდ ეგ ქალი იყო მძინარე. მშვიდ სახეზე ჩრდილ-ები ცეკვავდნენ, მთავარმა ოდნავ გადასწია ფარდები, რომ სიბნელე, რომლისაც ეშინოდა, ცოტათი მაინც დაეთრგუნა და მარტოობისაგან გაეთავისუფლებინა ბურუსით მოსილი ოთახი.

მგრძნობიარე ბანოვანმა ნაზად გაახილა თვალები. მთე-ლი ლამის უძინარს უჭირდა გამოლევიძება. ცისფერ, უძილობი-სგან დასისხლიანებულ თვალებს შიშის დემონი დაუფლებოდა...

ხასხასა ვარდებითა და შავი ტიტებით მთავარმა დედო-ფალს ერთი საიდუმლო გაანდო, რომ უგონოდ იყო მასზედ შეყვარებული...

•••

ილორის წმინდა საყდარს წლებისგან მოტეხილი სეტე-მან შარვაშიძე ლოცულობდა. ხატებისა და სიწმინდეების წი-ნაშე მუხლმოყრილი მოგეჩვენებოდა სრულიად მარტოსუ-

ლად. ოღონდ ეს მწუხარე მანეკენი ენახა ლევან დადიანს. უბე-
დური სეტემანი ასე ეუბნება ღმერთს:

- „მომეცი ძალა უფალო, რომ აღმოვფხვრა ჩემში ავი...
მომძალებია ეგ ბოროტება, თორემ აპა რა არის, რომ ძმათა
წინააღმდეგ მახვილს ვლესავ„. მივეჩვიე საკუთარი კერპის შე-
ქმნას... მე არმაზის სალოცავი ვარ უფალო, ქარტეხილებისა-
გან დაფშვნილი და გაცამტვერებული. ჩემი პიროვნება ერ-
თიანად გარდაქმნილა. ნეტა ბალლი ვიყო, რომ ცხოვრება
სხვაგვარად მოვაწყო. ნეტა წმინდანი ვიყო და არა აფხაზი მთა-
ვარი... ისიც კი არ ვიცი, ვინ ვარ მე. ეჭვებმა სული დამიღრლნეს
და შენგან განმარიდეს. მაგრამ ხომ გახსოვს, რომ მე ერთი ბე-
დისგან დევნილი კაცი ვარ, რომელმაც შენსავე შეგონებას არ
ათხოვა ყური. იქნებ ამადაც შემიბრალო ქრისტევ. ჩემი აქ
ყოფნით ეგებ გარისხებ, მაგრამ განა ყველა ჩემნაირი არაა?!
შენთან ახლოს ვარ, მაგრამ მაინც შენგან განმარტოებული და
განდგომილი. მოეცი ჩემს სულს მშვიდობა და დასახლდი
ჩემში. რამეთუ გამივია, რომ მშვიდობა ხარ. ნუ განრისხდები,
მაგრამ იმიტომ მოვილტვი შენსკენ, რომ ვიცი მზე ხარ. ჰოდა,
განანათლე სულის სიბნელე, რომ შევძლო გამარჯვება.

დანაშაულია ჩემი, რომ ღვიძლი ასული მივათხოვე ოდი-
შის მთავარს. მასთან დამოყვრება ისევ აფხაზებმა მირჩიეს...
ახლა ვხვდები, რომ დარუნდიას ვულალატე და არ ვემსახურე
პირნათლად. უკვე ექვსი თვეა, რაც არ მინახავს. ძნელია, შვი-
ლი ცოცხალი გყავდეს და მიგაჩნდეს მკვდრად. ჩემსავით თუ
უზრუნველყოფს და იზრუნებს მასზე დადიანი, არაფერი მინ-
და მაშინ. მიჩვეული იყო ფუფუნებას, რომელშიც ეძინა, მიჩ-
ვეული იყო სილამაზეს, რომელიც ნაზი ბულბულივით აცის-
კროვნებდა მას. და თუ დადიანი აუგად ეპყრობა და მე კი მი-
მალავს დარუნდია სატკივარს?!

საბრძოლველად მივალ ხვალ, მაგრამ ვშიშობ ომში არ
დავიღუპო. რა საბრალო იქნება მომმისგან განგმირული სე-
ტემან შარვაშიდე. მერედა ვინ დაიტირებს, როცა დარუნდია
აღარაა? – თურმე ეგ ქალი იყო მისთვის ბრძოლის ღმერთი,
რომელიც ეხმარებოდა მუდამ. ჰოდა, ბედს უნდა მივანდო
ჩემი თავი. დავაიმედო გული, რომ მკვდარს მაინც დამესხმე-

ვა დარუნდიას ცრემლები. მაგრამ არა... მარტო იმიტომ უნდა
ვიცოცხლო, მსგავსს მშვენებას არასოდეს მოწყდეს თვალთა-
გან ცრემლი. კველა ქალს უხდება ტირილი. მაგრამ ძნელად, რომ
მამას ასულის ცრემლებმა გული გაუმხიარულოს, თან მარ-
ტოოდენ იმისთვის, რომ ამშვენებდეს მსხმოიარე წვეთები...

•••

ლურჯ ბედაურზე ამხედრებული სეტემან შარვაშიდე
ომის ღმერთს, არესს ჰგავდა. შუბლშეჭმუხვნილს მზერა
სადღაც შორეულ სივრცეში გადაეკარგა. ასე ეგონა, - არ განი-
რავდნენ და მძვინვარე, ხელჩართულ ომში არ დატოვებდნენ
ყვავ-ყორანთა საგლეჯად...

სამხედრო მწყობრით განლაგებულ ჯარს ვერ იტყოდით
მთლად საომარი აღკაზმულობა უხვად ჰქონდათო, მაგრამ
არც იარაღთა სინაკლებეს განიცდიდნენ. ერთი რამ ეთაკილე-
ბოდა სეტემანს, არ უნდოდა ამ მშვენიერ დღეს ძმის სისხლით
გაეღება მდინარე ენგური... თან სულ ჩაესმოდა ხმები:

- ყოველი სამეფო, თავის თავის წინააღმდეგ დაყოფილი,
გაუდაბურდება, და ყოველი ქალაქი ან სახლი, რომელიც დაიყ-
ოფა თავის თავის წინააღმდეგ, ვერ გაძლებს¹. ალბათ ამიტ-
ომაც მიჭირს ასე ძლიერ;

- ორი ძლევამოსილი მთავარი ებრძოდა დღეს ერთმა-
ნეთს. „აფხაზ მთავარს წაჰკიდებოდა სხვა მთავარი და ვერ
გაეყოთ ენგურს გაღმა მდებარე ტერიტორია.“

სეტემანის სურვილს წარმოადგენდა მთლიანად აფხაზე-
თი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია, მერმე კი არათუ „აფხაზ
მთავრად“, არამედ აფხაზეთის მთავრად ქცეულიყო და დაემ-
ნებმსა აფხაზები და ჯიქები... ერთი გარემოება აბრკოლებდა
მთავარს. სეტემანს უკვე ბებერ პოლიტიკოსად მიიჩნევდნენ
და ცოტალა ენდობოდა.

¹ მარკ. 3, 24; ლუკ. 11, 17.

ბოლო დროს წარუმატებელმა ომებმა არმია შეათხელა. ბევრიც გაიქცა და სხვა მთავართან ეძია თავშესაფარი. მოგეხსენებათ, კაცის გული იქითკენ მიიწევს, სადაც უკეთესი პირობებია. ამიტომაც ოქრო-ვერცხლსა და ჩასაცმელს დახარბებული ჯარისკაცი მდიდარ ბატონთან მსახურებას არჩევს გაღარიბებულთან თავის გატანას. ეს ომი გადამწყვეტი იყო სეტემბან შარვაშიძისათვის.

მთავარს ძლივს შეეკრიბა და საბრძოლველად განეწყო არმია. „ნუთუ ამისთვის გავწირე დარუნდია“, - ფიქრობდა ბედაურზე ამხედრებული მთავარი, - სეტემბან შარვაშიძე. მან უძვირფასესი შესწირა აფხაზთ, ესენი კი ძლივს დარაზმულან საბრძოლველად. ბებერი გგონივართ, მაგრამ მთლად ხეიბარი არა ვარ. სადღაც მაინც არის იმედი გამარჯვების..“

სეტემბანმა ხრინწიანი ხმა აიმაღლა და ერთსულოვნად ამეტყველდა:

- „მე არა ვარ მეფე, მაგრამ მამა ვარ თქვენი. ვალდებული ხართ მემსახუროთ და ურჩინ გავიერთგულოთ. ხომ იცით, ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ III რომ დედით აფხაზი გახლდათ. ჰოდა, მისი ლირსების დაცვას გავაღებთ დღეს...“

გუშინ, ილორის წმინდა სალოცავს ჩემზე განაწყენებულმა მთავარმა იცით რა სიბილნე ჩაიდინა?

მდუმარებამ მოიცვა ჯარი. ისმოდა მხოლოდ ხვეშა და მძიმე სუნთქვა.

უწყით, რომ ილორის წმინდა გიორგის პატივი უნდა ვცეთ. თუ მას შეურაცხვყოფთ, რაღა აზრი ექნება აფხაზთა ყოფნა-არყოფნას?!

ნუ გვინიათ, ვითომ ომი მწადდეს მათთან, მაგრამ ხატის და სიწმინდის შებლალვას მამასაც არ შევარჩენ არასგზით...

თქვენზე ვლოცულობდი წუხელის, როცა ცხენის ფლოქვის ხმა შემომესმა... საყდარი წმიდათა წმიდაა, და არ მეგონა თუ მის დარბევასაც იყადრებდნენ. ჩემს მსახურებს გზა გადაელობათ მათთვის, ორი მათგანი საკურთხეველთან განგმირეს, ერთი შეიძყრეს, მე კი ძლივს გამოვექეცი უდღეულებს...

მე იმის მეშინია, რომ თქვენზე მზრუნველ სეტემბანს დღეს უმუხლოს ბედმა. მაგრამ ვიცი, რომ სისხლის უკანას-

კნელ წვეთამდე იბრძოლებთ. ჯაბანი და ლაჩარი თქვენში არ მეგულება და ეს მხდის კმაყოფილს...

ჩემს წინააღმდეგ ამხედრებულ ვაი მთავარს ერთი მზა-კვრული გეგმა აქვს. დამარცხების შემთხვევაში დაზავებას მომთხოვს. მერედა იცით რის სანაცვლოდ? ტაძრიდან გატანილ საგანძურს ფეხქვეშ მომიფენს, ლონდ დილეგს არ დავალპო. მხოლოდ გამარჯვება გვჭირდება, რომ ურჩინი ვითაყვანისმცემლოთ, სიწმინდეები დავიბრუნოთ და ავტორიტეტი მოვიპოვოთ მეზობელ სამთავროებთან. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მეთანაღრება გული, როცა აფხაზეთს განადგურებულსა და დამცირებულს ვხედავ. ჩვენ არავის ვჭირდებით ასეთი უსუსურები, ამიტომ გავერთიანდეთ, რომ ვაიძულოთ მთლიანად საქართველო, აღგვიქვან მოკავშირედ, თან ერთობ ძლიერად!..

იმავ წამს, რა დაასრულა მთავარმა საომარი სიტყვების წარმოთქმა, მეზობელი ურდოს შემზარავი ხმა გაისმა და ქვემეხებმა ბურუსში და კვამლში გახვიეს აფხაზეთის სამთავრო.

უცნაური იყო, რომ ენგურის ზვირთები ისე აღარ ღელავდნენ, როგორც ჩვეოდათ საერთოდ. დუმდა უბედურების შემყურებინარე და თავის აღზრდილ შვილთა სისხლს ითვისებდა და ისისხლხორცებდა. საშინელ გუგუნსა და ომის სტიქიონში მშვიდი იერი შეენარჩუნებინა და ჯიქურად გასცეკრდა მის სანახებში მიმდინარე ძმათაშორის ხელჩართულ ომს...

სეტემბან შარვაშიძემ ერთ მუშტად შეერა ჯარი. მეღროშეებთან და რჩეულ მებრძოლებთან ერთად წინ გაიჭრა ბრძოლის ველზე. ასაკი მაინცდამაინც ვერ ჯაბნიდა ომებში გაზრდილ და დახელოვნებულ მთავარს. სამთავროს სიყვარულით გაშმაგებული სადაც შვილს გასწირავდა, იქ არც საკუთარ თავს დასთმობდა...

მოულოდნელად სეტემბანს ტყვიამ გაუარა ფერდში, შემზარავად ამოიგმინა და იქვე მყოფ დიდგვაროვნისა და მასავით დარბაისელის, ვინმე მარღანიას მკლავებში გადაესვენა.

სისხლისგან იცლებოდა აფხაზი მთავარი სეტემბან შარვაშიძე და მომაკვდავი დარუნდიასა და სამთავროს ბედზე ფიქრობდა....

უბელადოდ დარჩენილ ჯარში უთანხმოება ჩამოვარდა...
ჯარისკაცთა ნაწილმა ზურგი აქცია სეტემბანს. საპრა-
ლო ბერიკაცი ფიქრობს, რომ არ გაინირება შემოქმედისაგან...

არ მოელოდა სეტემბანი, რომ ლევანი მოულოდნელად
გამოჩნდებოდა მაშველი ჯარით. მართალია ომები ყოველკვი-
რა ჰქონდა, მაგრამ, მაინცდამაინც დღეს ვინ ამცნო მას?

შავ ჰუნებე ამხედრებულიყო ოდიშის მთავარი ლევან
მეორე დადიანი. ძალაუფლებამ დიდება მოაპოვებინა ამ კაცს,
ხოლო ჭკუამ მოაღონიერებინა სამთავრო... აქ ორი მიზნით
იმყოფებოდა. პირველ ყოვლის დარუნდიას თხოვნას ასრულე-
ბდა და სიმამრს უმართავდა ხელს, მეორე რიგში, იცოდა დადი-
ანმა, რომ გამარჯვებული სეტემბანი და მოღონიერებული
სამთავრო მომავალში საპროდოლო იარაღად გამოდგებოდა...

ძლიერი მაშინ ხარ, როცა თავს გარეშე თუ შინაური მტრე-
ბისგან ოსტატურად იცავ. მთავრის პოლიტიკური ორიენტაცია
გულისხმობდა სიმამრის გულის მოგებას და მის განვრთნას
თავისი სურვილისამებრ.

სეტემბანი დღე-დღეზე მოკვდებოდა, მაშინ კი იძულებუ-
ლი გახდებოდა, როგორც მთავრის ერთადერთი ნათესავი
აფხაზთა მთავრად აღსაყდრებულიყო.

„მე ძლევამოსილ იმპერიას ვქმნი და მამაცი და გულადი
აფხაზნი ალბათ მომეშველებიან ძლიერ.“

ოდიშის არმია, მამაცი რაინდებისაგან შემდგარი და მდი-
დოული აბჯარ-ასხმულობის ქიონენი ვიღაც თოფის ამარა მე-
ბრძოლ ვაიმთავარს ვერ შეუშინდებოდა. ზარბაზნების, ქვე-
მეხების, ჭურვის, ქვისსასროლი იარაღის გამოჩენამ მტერს
თავზარი დასცა. ერთადერთი, რაც მოიფიქრეს,, მდინარეზე
გადებული ხიდის ჩანგრევალა იყო, მაგრამ ჩანაფიქრს მარტი-
ვად მიუხვდა მხედართმთავარი დადიანი. ვითომდა მეტივეებ-
მა ლევანის გეგმისამებრ თოფები იშიშვლეს და გარნიზონები
ჩააყენეს ენგურზე. მომწყვდეულ მტერს ერთადერთი გამო-
სავალი დარჩენოდა. ეს იყო გაქცევა... მაგრამ დადიანი გამოუდ-
გა სეტემბანის წინააღმდეგ მებრძოლ მთავარს და საოცარი სის-
ხარტით იხელთა დაუძინებელი მტერი თავისი სიმამრის...

ომიც დასრულდა. წარმატებამ და გამარჯვებამ ავტორი-
ტეტი აამაღლა სეტემბან შარვაშიძისა და ბევრი ითაყვანგება...
მაგრამ მომაკვდავი მთავარი უკვე ველარაფერს გრძნობდა...

ცნობილ აქიმთა და დასტაქართა გარემოცვაში მთავარს
სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ძლივს დაიხსნეს სიკვდილისგან
დაჩივავებული ბერიკაცი, რომელიც ბოდავდა და წამდაუწუმ
„დარუნდიას“, გაიძახოდა.

რომ არა ღვთის ნება, ვინ იცის რა ბედი ეწეოდა სეტე-
მანს...

იმავ ღამით ღევან II დადიანი სასახლეს დაბრუნდა და
გამარჯვებით კმაყოფილმა შესძახა: „ვაი გამარჯვებავ...“
არავინ იცის, და ვერც ვერავინ გაიგებს, რატომ წარმოთქვა
მთავარმა ამგვარი ფრაზა ან რას გულისხმობდა იგი...

•••

გამარჯვებულ დადიანს დარუნდია მიეგება პირველი.
ხედავდა კმაყოფილებით, მაგრამ სევდით და ჭმუნვით ალ-
სავსე პორტრეტს უძლეველი ოდიშელი მთავრისას.

„ეს კაცი მუდამ მჭმუნვარეა..“ ალბათ ამის მიზეზია მისი
ამჟამინდელი უგუნებოდ ყოფნა,, - გაიფიქრა დარუნდიამ და
ჰკითხა მეუღლეს დაწვრილებით ყოველი.

- აბა, რა მეთქმის, - ვაი ასეთი გამარჯვებას . - ძლივს გა-
მოგლიჯეს სიკვდილს სეტემბან შარვაშიძის სული. ვიცი, ძნე-
ლია, როცა შენსავე სისხლს უჭირს, მაგრამ გაუსაძლისი არა-
ფერია. მომჯობინდება როგორმე დარუნდი. ილოცე მანამდე,
რადგან არ აწყენს ღვთის წყალობა. ისე, რამოდენიმეჯერ გახ-
სენა ძილშიც...

მთავრის ასული შეფიქრიანდა. „ილოცეო“, მაშ მთლად
ისეა საქმე, რომ ლოცვა სჭირდება? ასე ეგონა შარვაშიძის
ქალს, რომ ღმერთი მარტო გაჭირვების უამს უნდა გახსენე-
ბოდა! შესაბამისად ძნელბედობის უამს ლულლულებდა „მამაო
ჩვენოს“, და ექსტაზმორეული პირჯვარს იწერდა.

მგონი სეტემბრის საქმე წასულია, მე კი მიმალავენ. ღმერთო, რა დააშავა შარვაშიძის გვარმა ასეთი? როგორ, სიცოცხლის ფასად უნდა გამოისყიდოს დანაშაული? – მე ხომ ვპატიობ ყოველივეს და მეტი რა უნდათ?!

მამა, მამა, მამა... ტიროდა ქალი და თავის ოთახში ისე გამოკეტილიყო, როგორც გალის ფრინველი...

ის-ის იყო აფხაზეთს გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ არ იცოდა როგორ ეთქვა ლევანისათვის...

ქალი ცოტათი ავადმყოფობდა. ეტლით მგზავრობას შესაძლოა ბავშვი მოეშალა მისთვის, ამიტომ ინიციატივა არ გამოუჩენია ლევანს. აფხაზეთში მისი გამგზავრება აუცილებელი იყო, მაგრამ საშიშიც. მთავარს ერთადერთი ოცნება ჰქონდა, აუხდენელი არ უნდოდა დარჩენილიყო ის ერთიც. და ეს იყო ვაჟის გაჩენის სურვილი. უკვე ოცდაორი-ოცდახუთი წლისა იქნებოდა და შიშობდა, რომ უმერკვიდრეოდ დარჩენილიყო.

ეცოდებოდა დანალვლიანებული დედოფალი. გვიან ღამით გამოესაუბრა და გაუმხილა, რომ ორიოდ დღეში ეტლებს შეკაზმავდა, განამზადებდა და აფხაზეთს მიაბრძანებდა ღირსეულად.

დარუნდია მდუმარედ ისმენდა ლევანის ჩურჩულიან მეტყველებას. მხოლოდ ეს უპასუხა:

- სულ ტყუილი ყოფილა ლევან, - გამძვინვარებულ ვეშაპსა და გულბოროტ მხეცს რომ გეძახოდნენ. რა ხანია აქ ვარ და ვერაფერს მივაკვლიე ისეთს, რაც მაფიქრებინებს შენს სიშმაგეზე. ან, როგორ შეიძლება რომ ბოროტი იყოს შენსავით მგრძნობიარე და გულისხმიერი კაცი... რა ხანია, რომ ყვავილთა კონებს მიგზავნი და ყოველ უზმოზე მწერ მშვენიერსა და მრავლისმთქმელ ლექსებს...

ეამა დადიანს ქალის კმაყოფილი სახის დანახვა, მაგრამ მისმა ნათქვამმა მოსვენება დაუკარგა. და ჰერა ამ წუთას მშენერ მგელს, რომელიც ცისკენ იყურება და თავისი ყმულით იქიდან მოელის გადარჩენას. მაგრამ რა აზრი ჰქონდა მის ყმულს, თუნდ ეტირა. მაინც არ გაუგებდნენ მას. ის ხომ მარტობისთვის იყო განწირული. მარტოსულს კი აურაცხელ პრობ-

ლემათა გადაჭრა მარტოსვე უხდება. გუნებაში ერთი ლექსი მოუვიდა:

„...დაიღალა სული ჩემი მარტოობით
ამდენ ტკივილს ვერ გავუძლებ ალბათ...
გამიტაცეთ და მარგუნეთ ფრთები,
დავივინყო ყოველივე ნათლად....“

მაგრამ სად არის ფრთები? ხედავს, რომ ვიღაც მეტი-ჩარა სათითაოდ ალენავს მას, რათა არ დაიპყროს ოდიშის დიდმა მთავარმა ყველაზე ფასეული და მშვენიერი. აქამდე მიაჩნდა, რომ დარუნდიასთან მხოლოდ პოლიტიკური მიზნები აკავშირებდა, მაგრამ ჩადგა რა მათ შორის ვიღაც პატივ-მოყვარე კაცი, მიხვდა დადიანი, რომ თურმე უყვარს... იმასაც გრძნობს, რომ ასე უმოქმედობით დაკარგავს დარუნდიას, - სულით ფაქიზ ქალბატონსა და მომავალი შვილის დედას... არა... ყველაფერს შეეგუება, რაყიფობას კი არასგზით. მერედა ვინ არის მოცილე?! ვიღაც დევნილი, შეურაცხყოფილი, დამცირებული და დაკნინებული კორტუგა, რომელსაც დედოფლის მახეში გაბმა ყვავილთა კონებით განუზრახავს...

ქალს ზოგადად ყვავილი უყვარს, და უფრო მეტად ყურადღება და პატივისცემა. ლევანმა მიიჩნია, რომ თუ სამეგრელოს დედოფალი გაიგებდა, ყვავილებს არათუ მეუღლე, არამედ მერაბ ქორთოძე უგზავნიდა, მათ შორის ძალად დანერგილსაც გააქრობდა და გააქარწყლებდა. პირფერი და ნიღბოსანი არ იყო, მაგრამ თავი მოკატუნა, ვითომდა თვითონ უგზავნიდა დედოფალს საჩუქარს.

ნელ-ნელა მათ შორის სიყვარულის ძაფები იბმებოდა... ეჭვიანმა მთავარმა გადაწყვიტა, რომ დღესვე გაემგზავრებინა დედოფალი აფხაზეთს; ქორთოძის შემოწმება და მისი ფსიქოლოგიის შესწავლა მოუნდა. ეგონა, რომ იცნობდა, მაგრამ შეცდა.

ძნელად თუ მოატყუებდი ლევანს. გულთმისანიც იყო და შეეძლო გუმანით გამოეცნო, რას ფიქრობდა კაცი.

მართალია მერაბი ფარისეველი იყო, მაგრამ მაინც გაუჭირდებოდა ძალად გამხიარულება, როცა სასიხარულო არაფერი ექნებოდა. საკმარისი იყო მხოლოდ მზერაზე შეეხე-

და და ამოეცნო მთლიანად მისი პიროვნება. იყო თუ არა სან-დომიანი და რა ამოძრავებდა მას...

ასე მიმართავს მთავარი დარუნდიას:

- „სეტემბრის ვედრება ყურებში ჩამესმის დარუნდი და აჯობებს დღესვე წახვიდე აფხაზთა სამთავროს. ხომ იცი, რომ მამას შენზე ამოსდის მზე და მთვარე. შენ ხარ თილისმა, სულის აკვალანგი. და როგორ გაძლოს ავადმყოფმა უშენოდ? წარმოიდგინე, რა საბრალო იქნება შვილისგან უარყოფილი? თითქმის არარაობად იგრძნობს თავს... ასე ჰერნია, რომ ჩემთან უბედური ხარ... წადი, წადი და დაუმტკიცე, რომ ხარ ყოვლით კმაყოფილი. აპატიე, თუ რამ შეგცოდა. ჩემი სიყვარულისთვის ჰქმენ გეთაყვა. არ შეიძლება უსაფუძვლო ეჭვებში მოკლა საბრალო სეტემბრი, რაღაც ახირებას შესწირო ძვირფასი მამა!...

კიდევ უნდოდა ბევრი რამ ეთქვა, მაგრამ მოაგონდა ვეზირთუხუცესის სახე. ეს კაცი ცუდად ასოცირდებოდა და გუნებას უფუჭებდა მთავარს... განწყობაშეცვლილი დადიანი მოყვებოდა უაზრო ლაპარაკს და თავისი ხასიათის ბრწყინვალე მცოდნემ დუმილი არჩია სულელურ რჩევათა გაცემას.

ქმრის თხოვნას ყური ათხოვა სამეგრელოს დედოფალმა. მართალია, დღეს არ აპირებდა მგზავრობას, მაგრამ ერთიორი დღე არაფერს ცვლიდა. ცოტა არ იყოს მამაც მონატრებოდა, სეტემბრის რუდუნებით მახვენარი ხმა შემოესმა; წინათ რომ გაიძახდა „სამთავრო გადამირჩინეო“. ეს ძახილი სრულიად ეუცხოვა და ასე შთაესმა: - „მომეშველეო დარუნდია!...

მთავრის ბრძანებისამებრ შეეაზმეს ცხენები, განამზადეს ეტლი და გაამგზავრეს სამეგრელოს დედოფალი.

•••

შუადღის სიცხემ მოქანცა სეტემბან შარვაშიძის ასული. გზად მიმავალი თვალწარმტაც ბუნებას ეჩურჩულებოდა...

ენგურის ხმის გაგონებაზე ნოსტალგია მოზღვავდა. ახლა ხიდზე მიროხოხებს ეტლი. მაგრამ უკვე ვერ გრძნობს დაღლას. გაზაფხულის ნარნარა მზე კოცნის მინდვრის ყვავილებს და ეალერსება ბუმბერაზ ხეთა რიგებს.

პირველად იგრძნო, რომ მარტო არ არის, რომ მის ბრძანებასა და სურვილს ფეხთ ეგებვიან ყველანი.

ხიდიც გადაიარა დედოფლის ეტლმა... ნაცნობ წისქვილს მოჰკრა თვალი. ეუცნაურა, რომ ჯერ კიდევ მყარად იდგა უძველესი ფარდული.

ყველას იცნობდა სამთავროში, მაგრამ ქალი, რომელიც წისქვილის მახლობლად იდგა, არ აღმოჩნდა ნაცნობი. თეთრი წინსაფარი ეკეთა და შავი მანდილი. თითქოსდა ამ ქალში შავთეთრი ებრძოდა ერთმანეთს. ამ წისქვილის შემდეგ სეტემბან შარვაშიძის სახლამდე რამდენიმე ადლი თუ იქნებოდა.

უბრძანა დარუნდიამ მეეტლეს შეეჩერებინა ცხენები. ერთი-ორჯერ შემოსძახა ერთგულ მსახურთ ეტლის მეპატრონემ და როხროხა მარშრუტი შეჩერდა.

აინტერესებდა დარუნდიას, ვინ იყო ის ქალი. იქნებ შეცდა? თუ ის არის, რა უნდა აქ, მენისქვილის ფორმაში გამოწყობილს?

ქალმა სიხარულისგან შეიცხადა. „მამიდა, ნუთუ დაბრუნდიო“, - მიიჭრა დედოფალთან და კოცნით დახრიობას უპირებდა, რომ არა დარუნდიას ზარდამცემი შეკითხვა.

- ხომ არ დაგავიზუდა, რომ შარვაშიძის გვარის ხარ მამიდა? ან რა გაგვჭირვებია ისეთი, ერთი ქალი რომ ვერ შეინახოს სეტემბრის სასახლემ? ხალხი რას იტყვის. ხომ იცი, აფხაზთ არ უკვართ ღვთაებრივი გვარის ნარმომადგენელს რომ დამცრობილს ხედავენ!...

- ვიცი, დარუნდია, ვიცი... მაგრამ რა დამრჩენია იმ სასახლეში, სადაც შენ არა ხარ... სადაც შენ არ ფუსფუსებ, იქ მერა მესაქმება?! შენი მამიდა კი ვარ, მაგრამ ასე აჯობებს... იმ შენს მამიკოს არცთუ ისე კარგად აქვს საქმე... ცხოვრების მიზანს თუ ვერ იპოვი რისთვის დაიბადე მაშინ? დედამიწა დიდია, მაგრამ იმოდენა არა, რომ ყველა უსაქმური დაიტიოს და ლირსეულად მოექცეს... აქ, ხალხს ვეხმარები. და თუ გამკიცხავენ, რაში მენაღვლება.

- ნურაფერს მეტყვი გოგონი; მე იქ არ მივალ, სადაც არ მელიან.

„იმ სახლში, სადაც საჭმელს ტირიან
საჭმელს რა მაჭმევს;
იმ სახლში, სადაც სასმელს ნატრობენ
სასმელს ვერ დავლევ!
იმ სახლში, სადაც ლხინს შეპნატრიან,
ლხინს ვერ მივირთმევ,
იმ სახლში, სადაც დარდი არ დარდობს,
დარდს რას დავარქმევ!...“

„მერე შეეკითხა, შენი შიმუნვარი ხათუნა როგორ არიო.
პასუხი რომ ვერ მიიღო, ძველი საუბარი განახლა.

- სეტემბანი მამა შენი, მაგრამ უფრო უნინ ძმა იყო ჩემი... არ
გახსოვს ალბათ, როგორ გარდაიცვალა დედაშენი. მაგრამ ისე
კი იცოდე, რომ ბრალი მე დამდო მის სიკვდილში. ახლა სამხილიც
მოუმზადებია და არ ვიცი, რას მიპირებს. მაგრამ ყველაფრისთვის
მზად ვარ. სხვა რა დაგრჩენია, როცა ბედი დაგცინის და გამას-
ხარავებს. მარტო უნდა დამორჩილდე, გაუცინო და მის წესებს
მიჰყვე, იმისდა მიუხედავად, მოგწონს თუ არ მოგწონს იგი.

შენი გათხოვების შემდეგ აქ დავსახლდი დარუნდი.
როგორ გიხდება თურმე ეგ მშვენიერი მუცელი...

დარუნდიამ ხმა არ ამოიღო. მამის უეცარმა გადაწყვე-
ტილებამ შეზარა. მხოლოდ ეს გაიფიქრა:

- არც კი ხარ ღირსი, რომ გინახულო. რა სასტიკი ყოფი-
ლხარ მამიკო! მაგრამ, რახან გზა გამოვიარე, ლევანის სურ-
ვილს მაინც ავასრულებ. მცირედი ხნით გესტუმრები ძვირ-
ფასო მამა.

მხოლოდ გამოესალმა მამიდას, ლოყაზე ეამბორა და
ისევ ეტლში ჩაჯდა.

სასახლემდე რამოდენიმე ადლი თუ იქნებოდა, მაგრამ ფე-
ხით წასვლა ვერ გაბედა, რადგან თავბრუსხვევების ეშინოდა.

სასახლის ვრცელი და უსასრული კიბეები აირბინა. ქო-
შინებდა დელოფალი და მაინც მირბოდა. შეაღო სეტემბან შარ-
ვაშიძის ოთახი და მამის მუხლებში განერთხო. ყველაფრის მი-
უხედავად მაინც უყვარდა...

სკამზე მჯდომარე მთავარს სიხარულისგან რეტი დაესხა.

- „ნუთუ გაიგე ჩემი ძახილი დარუნდია,“ – უთხრა ბოლოს.
იქნებ დაგავიწყდა მამისგან მიყენებული ტკივილი? ნუთუ მპა-
ტიობ ასე მარტივად დანაშაულს?! არ მჯერა ასულო, არ მჯერა
ამისი...

მამები შვილებს ყველაფერს პატიობენ, მაგრამ არ მეგ-
ონა პირიქითაც თუ ხდებოდა ხოლმე...

დიდი ხანია პირმცინარი არ მინახისარ... იმ შენს ქორ-
ნილში დარდნარევ იერს, შენში მღვიძარეს გავურბოდი. მე
ნაღვლიანი და უბედური ვერ წარმომიდგენისარ. მითხარი და
დამაჯერე, რომ ამ ხნის მანძილზე ხელით არ შეგხებია ლე-
ვანი. იქნებ ჩემთან ფარისევლობს და შენ კი სიცოცხლეს გი-
ნამლავს, რას იტყვი?

უეცრად თავისი წერილი მოაგონდა დარუნდიას, რო-
მელშიც მამას ასე სწერდა მთავრის ასული: „მთლად ისეთი
გულბოროტი არ ყოფილა, როგორც ფიქრობდნენ ამას ჩვენ-
შიო,“ – მაგრამ ნუთუ არ იცნობს ამ წერილს სეტემბანი? იქნებ
მოატყუა კორტუგამ და არც კი გადასცა მთავარს დანაბარე-
ბი. ბრაზმორეული და მოტყუებული დელოფალი ასე ეკითხე-
ბა და ეუბნება სეტემბანს:

- მამა, იქნებ ფიქრობ, რომ დამავიწყდი, ან ავიცრუე შენ-

ზე გული? ლოთიც რომ ყოფილიყავი, მაინც მიგილებდი მამად.

შენ რა გეგონა, ეგ შენი დარუნდია რატომ გახდა ესოდენ ამაყი?

– იმიტომ, რომ მთავრის ასული იყო, სახელოვანი სეტემბან შარ-
ვაშიძის. წარმოუდგენელია, რომ გულში ბოლმა დავიგუბო და
მარტოოდენ სიამაყისთვის უსაფუძვლოდ უარგყო შენ, ოჯახზე
და სამთავროზე გრძნეულივით შეყვარებული დევკაცი. უფრო
სწორად ასულზე და სამთავროზე... უნდოდა დაესრულებინა
და ეთქვა, რომ გზად უკმაყოფილო მამიდა შემოხვდა, მაგრამ
მამის ჯანმრთელობა სავალალო იყო და რადგან მაინც ვე-
რაფერს შეცვლიდა, ამიტომ დადუმება არჩია.

წესით, უბედური არ უნდა გამოვჩენილიყავ მამი იმ წერ-
ილში. მე არაფერი მანუხებს, გარდა შენი გაუთავებელი ავად-
მყოფობისა...

- წერილი?! რომელი წერილი დარუნდია, - იუცხოვა და
გაიკვირვა სეტემბანმა.

- იმაზე, მერაბ ქორთოძეს რომ უნდა მოეტანა შენთვის. ასე მითხრა, რომ შენთან დაახლოებული იყო. სეტემბრის ერთგულ მსახურად გამაცნო თავი. მითხრა, აფხაზეთს დიდ მთავართან მოლაპარაკებაზე მივაღ და თუ გსურს მისწერე რამე, რომ გული გაუხაროო.

- მე არ ვიცხობ წერილს დარუნდია... მაგრამ... ნუთუ ეს ის მერაბია, იმერეთის სამეფო კარიდან გამოძევებული. ასე გამიგია, რომ თავისი ავი საქმეებით გაუნაწყენებია იმერთა ხელისუფალი. თურმე მწოლარე დედოფალს შევარდნია დღისით საძინებელში, და ნამუსის ახდა დაუპირებია. ასე ამბობენ, რომ გარყვნილი იყო და რელიგიისდა საწინააღმდეგოდ არ ერიდებოდა საყვარლებში წანწალს. გაუბედურებულ ცოლსაც ათას-გვარი სიბილნით ემუქრებოდა თურმე. ნამუსახდილი ქალი შეირთო ფულის გამო და საბრალოს სულ იმას აყვედრიდა „საროს-კიპოდან წამოგიყვანე და ოჯახური სითბო გაჩუქრე!....“

მოხარკეობისგან რომ განვთავისუფლდით, იმ წელი-წადს წვეულება მოვაწყვეთ, გეხსომება ალბათ დარუნდი.

შუა ზამთარი იყო მაშინ და იმერთა ხელისუფალმა გამოუცხადებლობის მიზნით თავი მოიავადმყოფა. თითქოს სახა-დი შეყროდა. სანაცვლოდ, თავისითან დაახლოებული, გავლენიანი პირი – მერაბ ქორთოძე მოავლინა სტუმრად. ერთი-ორჯერ გამომელაპარაკა. მიუხედავად იმისა, რომ თავი მისგან შორს მეჭირა, იმის თქმა მაინც მოახერხა, რომ იმერეთის მმართველს სნეულება კი არა სიზარმაცე შეეპარა და მიტომ არ გამოცხადდა თქვენს კარზეო.

- ესე იგი მოიგონა ყოველი? დედოფალს წერილი დამან-ერინა, რომ მერე ჩუმად წაეკითხა? რაში სჭირდება მაინც?

- ნუ მიენდობი მაგ კაცს ასულო! ხომ იცი, სარკე ხარ სამთავროსი. ზედმეტად არ დაიახლოვო, თორემ კაცის ენა ისე-თი შმაგი და ბოროტია, ვინ იცის რას დაგწამებენ.

მოხუცს გული მიგრძნობს, რომ ეს მუხთალი სოფელი ისე არ მომასვენებს, სანამ ერთ უბედურებას არ გადაუქროლებს ჩემს თავზე; წუთისოფელი ვერანია და შმაგი. და ვიცი, რომ უცილობლად დამამცირებს და ფეხქვეშ გამიგებს. „თუ ახალგაზრდას ვერარა დამაკლო, ბებერს მაინც გამამწარებს!....“ ამასთან მაზღვევინებს – ხრინწიანმა ძლივს წაატანა!..

ბედი მართლაცდა გასაოცარია დარუნდია. ერთი ცუდი ჩევევა აქვს ოღონდ. ეგ არის, რომ მან არ იცის და არ ეშინია სეტემბან შარვაშიძის. მაგრამ რაა გასაკვირი, თვით ღმერთიც არ დაინდო ბედისწერამ და სრულიად უდანაშაულოს აზღვევინა სისხლით.

დღე-დღეზე გავთავდები დარუნდი. ხედავ დავიღალე და დავჩიავდი, მაგრამ სიბერემ იცის. ბებერი არაფერია მშვენიერი და რა ღმერთი გამინყრება, რომ მე წარმომაჩინოს ლამაზად. მაგრამ ისე, სახელოვნად კი მინდა მოვკვდე. არ ვიყო დასაცინი.

...მე ერთი ფიქრი მაქვს მხოლოდ. თუ მე ვერ გამტეხა და ჯავრი შენზე იყარა, მაშინ?!

- შენ ეგ ნუ გეფიქრება მამა. ცხოვრებისეულ სიბრძნეს მეც დავენაფე. მწამს, რომ სასტიკია წუთისოფელი, მაგრამ საყვარელი. მომწონს მასთან თამაში; მიტაცებს მისი გაეკლუცება. ასე მგონია, რომ საწუთორ სარბიელია და მანამ ხარ ძლევამოსილი, სანამ ყველაზე გრძნეულ რაშს დააგელვებ.

ზანგსა და ზარმაცს თითქმის არ უმართლებს არაფერში. მე კი ყოველგვარ ნიჭს ვაფასებ, რაც რომ განგებამ გამოიმტა ჩემთვის... ერთი ეგაა, რომ ფიქრი არ მიყვარს, რადგან მას მარტოოდენ ტკივილის მოტანა თუ შეუძლია. ამიტომ, თუ რამ შევცოდე ეს იქნება დაუფიქრებლობისა და განუსჯელობის ბრალი...

მერე რა, რომ სახელოვანი სამთავროს დედოფალი ვარ. მე ვერ შეეწირავ ჩემს სილამაზეს მას... ვინაიდან მე ცხოვრება უფრო მიყვარს, ვიდრე ეგ „მიწის ნაფლეთები“. „ვინაიდან ღმერთმაც ისე შეიყვარა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდმობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“.

ეუცნაურა სეტემბანს, რომ მისმა ასულმა საღვთისმეტყველო ამბავი მოაყოლა საუბარში. ეს ადრე არ ჩვეოდა მას. ყოველივე დადიანის მონდომებას მიაწერა.

ქალი კი განაგრძობდა მამასთან გულახდილად საუბარს:

- თუ არ დააჯერე თავი, რომ ცხოვრება მშვენიერია, მაშინ რა აზრი ექნება ავზე და ბოროტებაზე ფიქრს.

შენ შეიძლება ისევ ის ქარაფშუტა გოგონა გგონივარ, არაფერი რომ ადარდებდა და სილაში უცოდველი თითებით ითითხნებოდა. მაგრამ მე გავიზარდე, შევიცვალე... იქნებ გული დაგწყდეს, მაგრამ შენზე ნაკლებად არც მე ვიცნობ სანუთროებას...

პირველ რიგში სეტემანს გულზე მოხვდა სიტყვა უცოდველი. მერე ასულმა რომ უთხრა გავიზარდე და შევიცვალეო, - ამან უფრორე დაანალვლიანა და პირქუშმა გაიფიქრა: ხომ არაფერი შესცოდა ღმერთს და თვითონ სასახლეში მცხოვრებთო.

„**Mortuo leon; et lepores insultant**“ – ანუ, „ადამიანი ადამიანისათვის მგელია..“

ზედმეტად არ დააჯერო თავი დარუნდია, ვითომდა კარგად იცნობ ცხოვრებას. და რომ ყველაფრის მიუხედავად არის მშვენიერი... ასე იმიტომ გონია, ასულო, რომ ჯერაც არ დაუმცირებიხარ, მაგრამ გვერდით გაიხედე. განა ტყუილად შემორჩენიათ ადამიანებს ასეთი ცივი და უკმაყოფილო მზერა? საკმარისია ერთმა უბედურების გრიგალმა გადაგიქროლოს და უმაღ თმები აგექოჩირება. სახე მოგინალვლიანდება. გული მოგიკვდება, აზროვნება შეგეცვლება.

სადღაც წამიკითხავს და წიგნის ენით გეტყვი: „შენ თუ ცხოვრებას ადარებ მოედანს, მე ასე მოგმართავ: „წუთისოფელი სცენაა, ხოლო კაცი – მსახიობი..“. ზოგჯერ მაინც დაეშვი ზეციდან მიწაზე. შენთვისვე აჯობებს რომ გამოფხიზლდე. კმარა ამდენი ძილი. ახალშობილს და თოთოს ეპატიება, მაგრამ შენ კი აღარ! ილუზიებში ცხოვრებით გაშორდები რეალობას, ხოლო არარეალური ან მისტიურია ან სიკვდილისთვის განწირული. შენ უნდა ინადირო ყველაზე დარუნდი, თორემ სხვამ თუ დაგასწრო უცილობლად გადაგსანსლავს. არ სჯობია სხვა გასრისო, ვიდრე თვითონ გაითელო?! კარნავალზე, სანამ შენ ჩამოგგლეჯდნენ ნიღაბს, მანამ დაასწარი იმ სხვას და ახადე პირბადე, რომ ყველამ დაინახოს მისი შემზარავი სახე და გამომეტყველება. მხოლოდ ასე თუ გადარჩები ასულო!... ვაი, რომ შენი ნაზი ბუნების, მიამიტობისა და პატიოსნების გამო შენი მსაჯული გაგასამართლებს უკანასკნელ დღემდე!..

- მამა, როგორ მოგრევია ეგ მძვინვარე წლები?! რჩევათა მოცემა ბოლომდე არ ისურვა და მამის სიბრძნეს არ ათხოვა ყური. რადგან სეტემან შარვაშიძის ლიმილი მონატრებოდა, - მძინარე სამყაროს რომ გაღვიძებისაკენ მოუწოდებდა და აიძულებდა.

აქ ცხოვრებას მიჩვეული ვიყავ მთავარო. იქნებ სახლიც ისევე მენატრებოდა, როგორც ჩემი სულთმობრძავი მამიკო – თქვა დარუნდია შარვაშიძემ...

- მე კიდევ შენს მიერ აკვნესებული როიალი მომენატრა. „იქ მაინც თუ უკრავ დარუნდია? – შენ ხომ ბულბული ხარ და არ შეიძლება დღენიადაგ ვარდს არ შეჰყეფო...“

პასუხს არც კი დაუცადა მთავარმა. თვითონვე გასცა კითხვას: - სხვაგვარად ვერც წარმომიდგენიხარ, არ შეიძლება იადონი დამუჯჯდეს. თუნდაც რომ დაბრმავდეს, მაინც იგალობებს, თან წინანდელზე საამურად!

მერმე ადგა მთავარი, ვაი-ვაგლახით ასულს მხარზე გადასდო ხელი და თხოვა სასტუმრო ოთახამდე მიეცილებინა, სადაც ტრადიციული ვახშამი მზადდებოდა შინდაბრუნებული დარუნდია შარვაშიძისათვის...

ამ ოთახიდან გასულებს ერთურთის ნათქვამი გონებაში ჩაებეჭდათ და სიტყვები უფორიაქებდნენ სულთ. „რამეთუ სიტყვა არის ღმერთი და თავდაპირველად იყო ღმერთთან!...“

•••

აპრილის შუა რიცხვები იქნებოდა. აყვავებული ბუნება თავისკენ იხმობდა ყველას. მისმა ექმ მიიზიდა ლევან დადიანის გული. მარტოსული მთავარი სასახლის მახლობლად მდებარე ბაღში ისვენებდა...

ჭიდან მსახური წყალს ეზიდებოდა, ისმოდა ჭრიჭინი საზიდრის და ეს ხმა ესისხლხორცებოდა ბუნების ჰარმონიულობას. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. წამით სწორედ ამ ბაღში შეგაძლო განტვირთვა. მშვენიერი გარემო იმასაც დაგავიწყებდა, რომ ადამიანი იყავ, - ტანჯვისთვის შექმნილი გუნდა. სწორე-

დაც რომ, თოვლის გუნდას მზე ლევს და ადნობს, ადამიანს კი უბედურება...

დარუნდიასთან განშორება ეძნელებოდა დიდ მთავარს. უნდოდა სასწრაფოდ მოეგვარებინა არსებული პრობლემები და განექარნებინა ეჭვები.

მსახურთაგანი დაიბარა მთავარმა და დაავალა პატივ-მოყვარე მერაბ ქორთოძის მოძებნა.

მთავრის წინაშე ცახცახავარდნილი ვეზირთუხუცესის მზერაზე ერთდროულად დაბნეულობასაც ამოიკითხავდით და შიშაც. იმის კი სწამდა, რომ უზომოდ ბრძენი იყო... და თუ დადიანის გულისწყრომასაც დაიმსახურებდა, არაფერი დამავდებოდა ამით. გზა ხსნილი იყო მისთვის, ხან იმერეთს სჯირდებოდა ცბიერი კორტუგა, ხან გურიას, ხან სამეგრელოს, ხან სვანეთს. ისეთი ნიჭი ჰქონდა, რომ ლამის სამეფო კარსაც შიშის ზარსა სცემდა. ამინდივით ცვალებადი იყო. თუ უნდოდა გამოუდარებდა, თუ არა ქარიშხლად ევლინებოდა გარშემოყოფთ. ჰქონდა საოცარი ნიჭი ადამიანთა ამბოხებისა. ისე განაწყობდა ერთ სამთავროს მეორის წინააღმდეგ, რომ ომი აუცილებლად იქნებოდა. გასაოცარი ის იყო, რომ თილისმასავით ბედი ამ კაცის მხარეს იყო. ვის მხარდამხარ იბრძოდა გამარჯვებაც მას ჩრებოდა. ის უბრალოდ ნიჭიერი არ ყოფილა, არამედ იყო გამორჩეული, გენიალური; ლირსეულად მსახურება არსად შეეძლო, მაგრამ მაინც მსახურობდა. არც ერთი ხელისუფალი მოსწონდა, სამაგიეროდ იზიდავდა სასახლისეული ცხოვრება. იცოდა ამ კაცმა, რა დროს რა ეთქვა და როგორ მოენუსხა მსმენელი.. ფიზიკურად მშვენიერი იყო და ამით იზიდავდა ქალებს. თუ მამაკაცი ჭკვიანია და ამასთან მიმზიდველი, მეტი რა უნდათ მანდილოსნებს?!

ლევანმა კორტუგას ფრანგული ლვინო შესთავაზა. ათას ხუთას ორმოც წელს ფრანგმა მეფემ ლუვრში დააწურინა თავისთვის. მერმე თურმე დედოფალმა ჩუმად ბასტილის ციხეში გაგზავნა¹. ამბობდნენ, რომ ამ ციხესიმაგრეში საყ-

ვარელი ჰყოლია. პოლიტპატიმარი სახელმწიფო მოღვაწე იყო, დიდ თანამდებობაზე მყოფი. მაგრამ დედოფალთან რომანის გაბმამ ყველაფერი დააკარგვინა. მეფემ თურმე სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

უყვარდა თუ არა თვითონ ქალს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ისე კი ლვინოს და სანოვაგეს უგზავნიდა ყოველთვის.

პოდა, ამგვარი ისტორიის მქონე სასმელზე ხომ ვერ მეტყვი უარს?!

ვეზირთუხუცესმა იუარა მაინც: - „არ ვეძალები ბატონო სასმელს, რამეთუ მეშინია ჩემშიც არ გააღვიძოს ყოველი!“, ისე, არც შენ დალიო მთავარო. ეგებ მონამლულია?

იქნებ იმ დედოფალს მისი გაჩუმება სწადდა და ამიტომ იჩენდა გულისხმიერებას.

- ნუ ლელავ, მერაბ. სასმელი მე ვერ მომწამლავს ვერას-გზით. ვაპირებდი შენთვის მეთქვა, როგორ ჩამოაბრძანეს ბასტილიიდან ოდიშში ეს სასმისი, მაგრამ არ ლირს. თუ მსმელი არა ხარ და თვითონ დამზადების ისტორია არ გაინტერესებს, მეეჭვება, რომ სხვამ დიდად დაგაინტერესოთ თქვენო ბრწყინვალებავ!“

ფიქრს მიეცა დიდი მთავარი. მაგიდაზე ეტრუსკული ლარნაკი იდგა. ხილით დახუნძლულ ვაზაზე ჩირი და ჩურჩელა ეწყო.

(გაივლის დრო და სწორედ ამ ეტრუსკულ ლარნაკში მიმალული დანით დაისერავს მშვენიერი ქალბატონი ხელის მტევანს...)

კორტუგამ მზერა შეაგება შეზარხოშებულ მთავარს. ვითომ არაფერი ადარდებდა ამ წუთში... ასე ეუბნება მერაბი ლევანს:

- ხომ არაფერი გაგჭირვებია დიდო მთავარო?!

- დიდკაცს ყოველთვის რაღაც უჭირს ჩემო მერაბ. გახსოვს, რომ მითხარი, დედოფალი მამას შენს წინააღმდეგ განაწყობს და ამის დასტურად წერილიც მაქვსო...

- ჰო, როგორ არა, მაგრამ გუნებას ნუ გაიფუჭებ ამ მშვენიერ დილას. რა სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ ეგ შენი თანურია გლალატობს?

¹ ბასტილია. ციხესიმაგრე და საპყრობილე პარიზში. აშენდა 1370-1382 წე. ძირითადად პოლიტიკურ პატიმართა საპყრობილე იყო. ენციკლ. გვ. 225. ტ. II.

- მრისხანების უამს სასტიკი ვარ და არაფერს გეტყვი, დანარჩენი თვითონ განსაჯე...

ლევანისთვის წერილის გადაცემა არ ენადა ვეზირთუხუცესს, რადგან საკმარისი არ იქნებოდა მარტოოდენ შინაარსიანი სიტყვათა წყობის წაკითხვა. საჭირო იყო წერილზე საგვარეულო ინიციალის დასმა. თუმცა, მთავრის მკაფრ და მომთხოვნ მზერას გვერდი ვერ აუარა, ზურგი ვერ შეაქცია და გულის ჯიბიდან ამოიღო რაღაც ფარატინა ფურცელი. თავი ოდნავ დახარა, ცოტათი წინ წაინია და ლევანს გადასცა წერილი.

მთავარმა დასტაცა ხელი ქალალდს. ვერც კი ამჩნევდა, როვორ უთროთოდა გული. „ნუთუ ისიც გამწირავს მარადიული მარტოობისითვის?! ნუთუ მიღალატებს და ჩემს ერთადერთ ოცნებას დაგლეჯს ფრთებს?! ხომ იცის, რომ სამეგრელოა ჩემთვის ყველაზე საყვარელი? ყველას ღალატს შევეგუები, მაგრამ როგორ გავუძლო უშენობას დარუნდი? ალბათ მივეჩვევი. თუ მოღალატე ხარ, იცოდე, პირველ ყოვლის შენ თავს ღალატობ. მე ყოველივე ლანგარზე მოგართვი და შენ კი ასე ღამაზად უარს ამბობ ჩემს მოწოდებულზე? მაინც არ მჯერა...“

წერილიც გახსნა და გულმოდგინე კითხვას შეუდგა. ყოველი სიტყვა გულს მეხივით ეცემა და გაუთავებელ ზარის რეკვასაც ყურს უგდებს დიდი მთავარი...

- „სულაც არ იფიქრო, რომ მთავრის მიერ დამონებული ქალი ესოდენ ბედნიერი იყოს, როგორც აფხაზეთის სამთავრობო კარზე... ჰოდა, იცოდე, მირჩევნია ქვრივი ვიყო, ვიღრე იმ სამთავროს დედოფალი, სადაც ჩემს ბრძანებას ყურსაც არ უგდებენ. მომბეზრდა სეტემბან ყოველი... ერთი ასეთი გეგმა მაქვს. ღვინით უნდა მოვწამლო ლევან დადიანი. ხომ იცი, რომ დღე-დღეზე ბავშვს ველოდები. გული მიგრძნობს ვაჟია. ჰოდა, იმას შევძლებ, რომ გაგაბედნიერო. აფხაზეთი და სამეგრელო გაერთიანდება და ჩვენ ვიქნებით მმართველები. ნუ დარდობ! აქ ყველას მეუღლეზე შეყვარებული ვგონივარ. ეს იმიტომ, რომ აღარ იეჭვიანონ დედოფალზე და მკვლელად არ დამისახონ მომავალში. სეტემბან, როცა სიძის სატირალში მოხვალ, - იცოდე, - მჭმუნვარე გამომეტყველება მიღდე, არ აფიქრებინო, რომ შეთქმულები ვართ....“

დარუნდია შარვაშიძე

უცნაურია, ნუთუ ასე ინილბებოდა დარუნდია?! მაგრამ მაინც ჰქონდა იმედი, რომ ეს მისი ხელნაწერი არ იყო. უფრო მამაკაცის ხელწერას მიამსგავსა. გასაოცარი ის იყო, რომ დარუნდიაზე მეტად ეჭვი მერაბის სისწორეში შეეპარა...

ჩამოჯექი ვეზირთუხუცესო. ფეხზე დგომა ალბათ დამქანცველია.

ვერ შეკადრა უარის თქმა კორტუგამ. თან ცოტათი ეამაყა მთავართან გატოლება. სულ ახლოს მიინია და ბამბუკებისგან დაწნულ სკამზე ჩამოჯდა. არ იცოდა, რას მოიმოქმედებდა ლევანი, ამიტომ ელოდებოდა. თვალს არ აცილებდა მთავარს...

დადიანს განზრაული ჰქონდა ვეზირთუხუცესისათვის კალამი შეეძლია და რამოდენიმე სიტყვის დაწნერა დაევალებინა. უნდოდა მერე ასოთამოყვანილობა შეემოწმებინა. მაგრამ ამით ხომ ეჭვს ალძრავდა, თავს იმხელდა. ამიტომ ასე უთხრა ვეზირს:

აჲა, აიღე იმ ხილს შორის მიმალული დანა და მიწაზე გული დახატე.

ბრძანებას დამორჩილდა მსახური. სახილედან დანა აიღო და მიწაზე დაიხარა. მერე გულის მოხატვას შეუდგა. როცა დაასრულა მთავარს ცალყბად გაუცინა.

- კარგია ვეზირო! ახლა შუაგულში დარუნდია შარვა-შიძის ხევანი უნდა ჩანერო ღამაზად!

ცოტათი იეჭვა კორტუგამ ლევანის ცბიერება. ასოების დამახინჯება დააპირა, მაგრამ ხელნაწერს იერი ვერ შეუცვალა! მიხვდა, რომ მთავარმა ამხილა, მაგრამ მაინც არ შეიმჩნია და უთხრა:

- ახლა რას მიბრძანებ დიდო მთავარო?

- იმას, რომ ზუსტად ერთ თვეში მცენარეებისგან გაანაშენიანე ბალი და მსგავსი ხეივანი გააკეთე. ასეთივე წარწერით. ოღონდ უცხომაც მარტივად უნდა შენიშნოს, რომ დედოფალს ეძღვნება საჩუქრად.

გულში ჩაიცინა მერაბმა. იქნებ ვერაფერს მიხვდაო და გაუხარდა. ის იყო წასვლას აპირებდა, რომ მთავარმა შემოსძახა:

- საიდან გაქვს დარუნდიას ხელნაწერი ვეზირთუხუცესო?

- დედოფლის მსახურმა მომართვა. ის იყო მოპრუნებას აპირებდა, რომ ლევანის ირონიული სიცილი შემოესმა:

- ადრესატი კი შეშლია საბრალოს!..

საიდან იცი მერაბ, რომ ეს მისი კუთვნილია? დარუნდია ჩვეულებისამებრ დადიანთა საგვარეულო ბეჭედს ხმარობს და მთავრის ქალი ასეთ არასრულფასოვან წერილს არც კი დაწერდა... მაგრამ, რა წარმოთქვა ეს მთავარმა, ტუჩჩე იკბინა. მართალია ვერაგ მსახურს ჩანაფიქრს მიუხვდა, მაგრამ ახლა მისი მხილება არასგზით შეიძლებოდა. რუხის ციხის აგება ახალი დაწყებული ჰქონდა. სანამ მისი მშენებლობა არ დასრულდებოდა, სრულიად ზედმეტი იყო გარეშე თუ შინაურ მტრებთან ომის გამართვა. შიშობდა ლევანი, ეგებ ეგ თვითმარქევია გაიქცეს და სხვასთან პპოვოს თავშესაფარიო. ამიტომ ეცადა გამოესწორებინა თავისი ნათქვამი.

ისე, ვგონებ სწორი ხარ მერაბ. არ მინდა დავიჯერო, რომ მღალატობს, მაგრამ... რას იზამ... იმ ანდაზისა არ იყოს „თავს ზევით ძალა არ არის!“, საგვარეულო ბეჭედი ამას წინათ თურმე დაიკარგა. ალბათ ამიტომ არ გამოსახა ინიციალი წერილის ბოლოში. ღმერთო, ღმერთო, რა დავაშავე, რომ ასე გავინირე?

- უდავოდ მართალს ბრძანებთ თქვენო აღმატებულებავ, ახლა კი თქვენის ნებართვით დაგტოვებთ...

- თურმე თვალებზე ბინდი მეფინა და რომ არა შენ დილეგს დავრჩებოდი დღემდე. ჰოდა, ნიშნად მადლიერებისა, დღეიდან სალარო და ხაზინა შენი გამგეობის ქვეშ იქნება. ამაზე დიდი პატივი იცი, რომ არც ერთ ადამიანს არ შეიძლება ეღირსოს, თუკი რასაკვირველია მთავრად ან მეფედ არ ხარ დაბადებული...

...ისევ სასახლის მახლობლად მდებარე ბაღში ფიქრებს მიეცა ლევანი.

„და მეც მწერალს ერთი რამ მეფიქრება: რა ნიჭიერია ეს კაცი. რომეოს ან ოტელოს როლი რარიგ დაამშვენებდა. ბუნების დანაშაული, რომ სწორედ ამ ეპოქას მოევლინა ასეთი ხელოვანი კაცი. როგორ თამაშობს და ინიღბება თან?! ვაი, რომ მსგავსი გენია შექსპირიანას სჭირდება და რომ ეგ ნიჭი იჩქმალება ასე უჟამოდ. ვწუხვარ მერაბ, რომ სამთავროში

თეატრალური დასები არ იმართება, თორემ რა გულმოდგინედ ვუყურებდი შენს სანახაობას და გაგაღმერთებდი... მარტო-ოდენ ამ ნიჭისთვის ღირხარ სასახლეში დასარჩენად, მაგრამ შენი დარუნდიასთან ტრფიალი საფიქრებელი?! წერილიც კი შეუთითხნია, იმისათვის, რომ დედოფალზე აიცრუოს გული და მერმე კი თვითონ ეთაყვანოს...

•••

რაოდენ მშვენიერი ხარ დარუნდია. ზედგამოჭრილი დედა ხარ. მოლოგინებულიც კი მშვენიერი იყო...

მიიახლოვა ასული: ორსულ დედოფალს მუცელი წინ გამოწეოდა. უეცრად მამამ ქალიშვილს ასე მიმართა:

- რას არქმევ დარუნდი შენს შვილს?!

- ასე მაქვს გადაწყვეტილი სეტემბანი დავარქვა. ლევანთან ჯერაც არ შევთანხმებულვარ. მათ ასეთი წესი აქვთ, რომ თავი-ანთ შვილებს პაპისეულ და წინაპართა სახელებს არქმევენ, ამიტომაც მომრავლდა ალექსანდრე, მანუჩარი, ლევანი...

- ნუ იზამ ამას დარუნდი. აბა რა უნდა მოუტანოს ჩემმა სახელმა ბავშვს? სეტემბანი სახელიც კი უბედურებასთან ასოცირდება. მე კი მინდა, რომ თქვენ მაინც გელირსოთ ბეღნიერება. რა იქნება, რომ ჩვენს გვარს ელირსოს მშვიდი ცხოვრება?! სეტემბანი სახელიც კი ბევრში გააღვიძებს ავს. ჩემს გამო რამდენი მტერი ეყოლება. ისევ ალექსანდრე აჯობებს, ან პაპის, - მანუჩარის სახელი.

- მამა, მოულოდნელად გააწყვეტინა საუბარი მხცოვან მთავარს. თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა წარმოეთქვა ქალის სპეტაკ ბაგეს. „ხვალ სამეგრელოს მივდივარ, - იქაურობაც მომენატრა ძლიერ, თითქმის შევეჩვიე იმ პირობებს, რომელსაც იქ მთავაზობენ. და იმ ხალხს, რომელთანაც მაახლოვებენ!..

- როგორც აჯობებდეს შენთვის, ისე ჰქმენ ასულო. შენ უკვე სხვა ოჯახისა და გვარის მსახური ხარ და არაფერი გაქვს ჩემი შესაკითხი.

ნუ შეშინდები მამი. შენ ახლა ხარ მარტო, მაგრამ შევცვლი შენს მომავალს. საიმისოდ ცოდვა ხარ, არაფერი დაგიშავებია ისეთი, რომ მარტობამ გალიოს შენსავით ძლიერი ბერიკაცი...

•••

დარუნდია შარვაშიძის ეტლი მიუახლოვდა დადიანი-სეულ სასახლეს. ასე ფიქრობს დედოფალი, რომ ცივად შეხვდებიან სრაში.

„დადიანები მუდამ გულქვანი იყვნენ. გრძნობებს არას-დროს გამოხატავდნენ პირნათლად! სულ მწუხარე გამომეტყველება აქვთ. ისინი პირმცინარები ჯერ არ მინახავს. ალბათ დღესაც უბრალო შეხვედრას მომინყობენ...“

როხროხა ეტლი შეჩერდა. მთავარს აუწყეს დარუნდიას დაბრუნება. გულმხიარულმა დადიანმა ბიბლიოთეკის კარი გაიჯახუნა და სწრაფად დაეშვა სასახლის გრძელ და უსასრულო კიბეზე. იმავ წამს სასტუმროს კარები გაიღო და დარუნდიამაც მსუბუქად შემოაბიჯა. იგრძნო მთავარმა, - ვითომდა წმინდანი სტუმრობდა. მონატრების სურვილით გაღეულმა მუხლი მოიყარა დარუნდიას წინაშე.

ცახცახი აუვარდა სამეგრელოს დედოფალს. არც კი წარმოედგინა, თუ ასე ძლიერ მოენატრებოდა ვინმეს. მხოლოდ ის განიცადა ამ წუთას, რომ სულაც არ იყო ზედმეტი, რომ არ ამძიმებდა დედამინას. ის ჯერაც სჭირდებოდა კაცს – ყველაზე ძლიერ მეთაურსა თუ მმართველს. რა იქნებოდა ამ განცდის გარეშე? – ერთი უბრალო ქალი – ყარიბობისთვის გულგალესილი. თურმე რა კარგია, როცა ვიღაცას უყვარხარ. უსიყვარულოდ ხომ მხოლოდ მოარული ტომარა ხარ.

მერედა, როგორ დაიმცირა ლევანმა თავი. მსახურთა და ვეზირთა ჯიქურ გამომეტყველებასაც არ დაერიდა, მაგრამ არ სჯობს ყველა გააკვირვო და ამით ხალისი შემატო შენთვის წმინდასა და უძვირფასესს?!...

უცებ მთავარმა თვალი მოჰკრა მედიდურად მომზირალ კორტუგას. ეუხერხულა მთავარს, რომ ქალის წინაშე მუხლ-მოყრილი იყო და ზეზე წამოიჭრა იმავ წამს...

- „დღეს ელჩები მოდიან დარუნდია. ჯერ კიდევ დაქორნინებამდე წერილი მივწერე რომის პაპს, იქნებ ინებოს მისმა მოწყალებამ ხელის გამართვა. თორემ დაილია სამთავრო მუშახელისგან, თან რა იაფად ყიდიან ადამიანებს. წარმოუდგენელია, რომ ამ ეპოქაშიც კი გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდეს სულიერებით. მერედა რაზე ცვლიან კაცს, რაზე ანაცვალებენ მის კაცობას?! – წყალზე, ვერცხლზე, ზეთზე, ტანისამოსზე, ღვინოზე და ვინ მოსთვლის რამდენ საყოფაცხოვრებო ნივთზე. და გვედრებ დედოფალო, - ღირსეულად დავხვდეთ მისიონერებს და გავმართოთ წვეულება სასახლეს...“

- თუ რამ შემიძლია, თავს არ დავზოგავ! ერთი კია, რომ მანდატურთუხუცესობის მეტი ალარა შემწევს ძალი.¹

- სამრეკლოს ვიქენები დედოფალო. შიმუნვარები მომიგზავნე თუ რამ დაგჭირდეს. მაგრამ, ხომ იცი, არ მიყვარს ლოცვის გაწყვეტა. ასე მგონია, ღმერთთან კავშირს ვწყვეტ მაშინ!.. დედოფალთან მიინია, ლოყაზე ეამბორა და ჩუმად ყურში წასჩურჩულა: „მხოლოდ ღმერთი მაძლევს ძალას, რომ სამთავროსდა სასიკეთოდ გამოვიყენოო..“

აინტერესებდა ვეზირთუხუცესს კორტუგას, რას ჩურჩულებდა მთავარი. ერთი-ორი წაბიჯითაც წაინია, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

¹ მანდატურთუხუცესი – პურობის წესიდან ჩანს, რომ ამირეჯიბი და გან???? მანდატურთუხუცესის ქვეშეთი ხელისუფლები უნდა ყოფილიყვნენ. როდე-საც ძვ. საქართველოში მეფე ბრძანებდა, „პური მო????“ იგი პურობის წინაობას იურვებდა. (ზელმწიფის კარის გარიგება).

მინი დოსიე ისტორიული ცნობარი

„მეღვინეთუხუცესი – საღვინეს უზენაესი გამგე.ის საქ-
მეებს განაგებდა და თავის ხელქვეითთ სამუშაოს აძლევდა...“

მოგხესენებათ, „ხელმწიფის კარის გარიგება“, უნიკა-
ლური ძეგლია. ქართველთა სადაურობის, წარმომავლობის,
ცხოვრების და ისტორიული ამბის უტყუარი მაცნე. ასეთ რა-
მეს გვამცნობს იგი: თურმე, როცა შეპინდდება, მეღვინე ფან-
ჯას მომცროს მოიღებს ტაბაკითა, ანუ მყინვარიანითა ჭურ-
ჭელითა, ზედა მყინვარსა დაჳყრის და ხელითა მანდილი აქვს
ბალდადუისა..“. ეს ღვინო ღამისათვის უნდა ყოფილიყო მომზა-
დებული და თუკი მეფეს მოეწყურებოდა, უნდა მიერთმიათ
სასმისი. („ხელმწიფის კარის გარიგება“).

რადგან ლევან დადიანს მსგავსი სახელო გააჩნდა სამ-
თავროს კარზე, - დიდი უფლებებითაც სარგებლობდა სასახ-
ლემი. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ამ თანამდებობაზე სათ-
ნო და კეთილი კაცი დაენიშნათ.

სწორედ რომ მეღვინეთუხუცესი დაიბარა კორტუგამ.
დიდი ზეგავლენა მოეხდინა სასახლის ბინადარზე. ასე ემუ-
ქრებოდა მერაბ ქორთოძე მას:

- სამსახური რომ ჩემი წყალობით იშოვე ხომ არ დაგავი-
წყდა ზურაბ?! ვალში ხარ ჩემთან და დროა კვერი დამიკრა. მე
დიდი კაცი ვარ... დღე-დღეზე კიდევ უფრო განვდიდდები და
სანანებელი არაფერი გექნება.: ამ სამთავროში მეორე კაცი
ვარ რანგით,! განა მარტო დადიანთან მაქვს ზავის პოლიტი-
კა? – მე შემომყურებენ ყოველი მხრით. არცერთმა იცის, ვის
ვმსახურობ ღირსეულად. თუმც რაა გასაკვირი. ამის გარკვე-
ვა მე თვითონ გამძნელებია... გავალებ, რომ მთავრისათვის
მირთმეულ ფრანგულ ღვინოში ინდური საწამლავი გარიო...
ნუ შეგეშინდება და ნურც ხელი აგიკანკალდება, განდიდები-
სთვის კაცთა კვლაც უნდა შეგეძლოს ზურაბ!.. რა დაშავდე-
ბა, თუ ერთ ულირსს მთავარს სულს გავაფრთხობინებთ. მერე-
და იცი, რამდენს უნამლავს სიცოცხლეს? – არაფერია იმაში

დანაშაული, თუ ამ გაიძვერას მოვკლავთ. არავინ გაგასა-
მართლებს ამისთვის!

- ამბოხებულები მთავრის გვამს ცეცხლს წაუკიდებენ,
რომ არ დაკრძალონ ღირსეულად! შესაბამისად, ვერავინ
გაიგებს, მოკლეს დადიანი თუ თავი მოიკლა!..

- მესმის, მესმის, მაგრამ მე რომ მკვლელი არა ვარ?!

- არ მაინტერესებს! - დაიყვირა შემზარავად ვეზირუ-
ხუცესმა. ხვალ შუადღისას, მისიონერთა გარემოცვაში სული
უნდა გააფრთხობინო ლევანს... იცოდე, თუ საწადელს ვეღარ
მივაღწევ, შენს ოჯახს გადავწვავ, - მე რომ გადავმაღე სვა-
ნეთს. გახსოვს, რაც გადაგხდა თავს და როგორ გისაშველე...
წარმატებით იმოქმედე. შენზეა დამოკიდებული, შენი ქალ-
ვაჟის ბედი... დასასრულს გეტყვი, ვთქვათ და მიმუხთლე
ხომ... – უცებ საუპარი გაწყვიტა. თავზე ნერვიულად ქავილი
იყო, მერე ისევ მიუპრუნდა: „შენი ასული ხასა იქნება ჩემი,
ხოლო ვაჟი დასაჭურისდება...“

მრისხანე თვალებში მხოლოდ შურისძიებას ამოიკითხ-
ავდით. მერაბი დამცინავი მზერით მსჭვალავდა მეღვინეთუხ-
უცესს. გულმოკლული კაცი მხრებში სიმძიმეს გრძნობდა. ეს
განცდა მაშინ ჩინდება, როცა ვიღაცის წინაშე ვალში ხარ!... რა
საცოდავად გამოიყურებოდა საბრალო ბერიკაცი. მშვიდად
ცხოვრება ეწადა, მაგრამ შორს იყო იდილისაგან! თავთჩა-
ქინდრული ისე იდგა, როგორც ბავშვებს სჩვევიათ, როცა
რაიმეს აშავებენ. მერაბი კი იციონდა. ალბათ იმიტომ, რომ
შეჩვენებული ერთ რამეს წინასწარ გრძნობდა, - დიდი უბე-
დურება დაატყდებოდა ორს შორის ერთს უცილობლად!..

•••

თვითონ სასახლეს ორი შემოსასვლელი ჭიშკარი ჰქონ-
და. თვით ისტორიულ ქარტეხილებში ამ ორნამენტიან, ჩუ-
ქურთმიან რკინის კარსაც დიდი თავგადასავალი ჰქონია, სხვა
რომ არაფერი ვთქვათ თვითონ პალატზე...

ამ კარით მხოლოდ მაშინ სარგებლობენ, როცა მთავარი წეულებას მართავს. აქედანაა შესაძლებელი ცხენების, ეტ-ლების და ურმების შებრძანება.

უზარმაზარი გალავანი არტყია თვითონ სასახლეს. იქნება ასე სამი-სამნახევარი მეტრი სიმაღლის, საკმაოდ სქელი, დუღაბიანი, ნახევრად რკინისგან და კირქვისგან ნაგები.

წარმართული გავლენა ჯერაც შეიმჩნევა... ცხენის ნალი თავდაყირა მიკრული შემოსასვლელში...

მერე იწყება ბილიკი, გზაჯვარედინივითაა უფრო. ერთი სამრეკლოსკენ და ეკლესისკენ მიდის, მეორე ლარიბული ოდისკენ, ხოლო ყველაზე ფართო მათ შორის სასახლემდე მიგიყვანთ...

ათასობით ადამიანი შობილა და გარდაცვლილა აქ. ყველა დადიანის გვარისანი ყოფილან.

ცუდი ეგ იყო, რომ ყველა მთავარი სასახლეს და მის შემოგარენს იერსახეს უცვლიდა, რაც რასაკვირველია ამ პრეისტორიულ სანახაობას ნაკლებად მიმზიდველს ხდიდა.

ლევანს განზრახული ჰქონდა უწინდელი ხიბლი დაებრუნებინა ამ საგვარეულო სახლისათვის, ამიტომაც ნელ-ნელა იბრუნებდა სრა თავის შნოსა და ლაზათს...

სასახლისგან განმარტოვებით ოდა იდგა, ისლისსახურავიანი და ბამბუქებისგან შეკრული. ცოტა არ იყოს, სასახლის დიად გამომეტყველებას ჩრდილს აყენებდა ეს სულთმობრძავი, დარიბული ოდა.

ეზოში ვარდები ხარობდნენ; მანგოს ხეები თავს იწონებდნენ, ასევე ჭყონდიდისა და ჭადრის ვეება ხეთა რიგები...

თვითონ სასახლე საოცრად დახვეწილი გემოვნებით იყო ნაგები. ვეებერთელა მისაღები ოთახი ჰქონდა; იატაკი ფილაქნითა და მოზაიკით გაკეთებული. ძველად იატაკი არ ყოფილა სასახლეში. მერე რომელიმაც დედოფალს უკმაყოფილოდ დაუჩივლია, რომ სველ მიწაზე დგომა არ შეშვენოდათ მათ და მთავრის ბრძანებისამებრ მოაპრიალეს პოლი.

დიდი სურვილი ჰქონდა ლევანს ისევ ისე დარიბულად მოეწყო სასახლე, მაგრამ ცოტათი რიდი ჰქონდა დარუნდია

შარვაშიძის. „იქნებ მასაც უკმაყოფილება გამოეთქვა მდაბიოსავით ცხოვრებაში,...

შუაგულში სეტემბან შარვაშიძისგან მორთმეულმა მზითვთაშორისმა საოცრებამ მოიკავა ადგილი. როიალზე ლარნაკი იდო. როცა დედოფალი უკრავდა, მსახური ლარნაკს გვერდით გადადებდა ხოლმე. ორმოცდათონათურიანი ჭალი ზემოდან ანათებდა პალატს, ფარდები მონითალო იყო, უფრო სწორად ძონისფერი. შეზღლონგი და ხალიჩა ერთურთის შესადარი. მუხისგან დამზადებული მაგიდა თორმეტი სკამითურთ მოშორებით იდგა. ერთი-ორგან ძვირფასი ნახატი ეკიდა. ხოლო იქ, სადაც მზის სხივები თავს იყრიდნენ, მთავარს ჯვარი ეკიდა და ღვთისმშობლის ხატი, სულ ლალ-იაგუნდში გამოწყობილი და ოქროთი მოვარაყებული.

„ვეფხისტყაოსანი“,¹ მუდამ გადაშლილად იდო. კომოდზე შანდლები და საათი იდგა. ხოლო მათ ზემოთ ორ უზარმაზარ, ხახადალებულ ლომს შორის სარკე ლაპლაპებდა. ჩინური პორცელანის ყურები მოსჩანდა სარკიანი კარადიდან.

სარდაფიც ჰქონდა სასახლეს, მარანიც და საიდუმლო გასასვლელებიც. უამრავი ოთახისაგან შედგებოდა და თითოეულიდან გამოსჭვიოდა სიმდიდრე და ფუფუნება. სასახლეში სამლოცველოც მოეწყო ლევანს. ასე რომ, ვინაიდან ოდიშს წვიმა ნამავდა ხშირად და საშინელ უამინდობაში გარეთ გასვლა ყველა სულდგმულს ეზარებოდა, შეეძლოთ სინმინდები გარეთ გაუსვლელად მოენახულებინათ!

იმგვარი ბიბლიოთეკის მფლობელი იყო, რომ თვითონ მეფეთა კოლექციასაც ტოლს არ დაუდებდა...

საიდუმლო ოთახთა შორის გამოირჩეოდა სალარო... გამჭრიას მთავარს აქ რკინის გისოსები დაუყენებია. სქლად დატანებული ბეტონით მთლად რომ სასახლე დაინვას ეს ოთახი მაინც გადარჩება.

ასევე ხარამხანა ჰქონია ლევანს... მის მიერ მოჭრილ ფულს ევროპაც ცნობდა თურმე... მონეტებს ოქრო-ვერცხლისგან ამზადებდნენ, ამიტომაც ყველა ბაზარზე ფასობდა და მისი მოქმედების არეალი იყო ვრცელი...

¹პირველად „ვეფხისტყაოსანი ლევან დადიანის თაოსნობით დაიბენდა

სწორედ ამ სასახლეს, შუადღის სამ საათზე ცხენოსანთა გუნდი მოუახლოვდა, ბრნყინვალე ეტლებში იტალიელი მისი-ონერები ისხდნენ. საოცარი სანახაობა მოეწყო დედოფალ დარუნდიას.

რა შეიძლება ითქვას მეგრულ სამზარეულოზე. გემო, რომელიც არასოდეს გავიწყდება და კერძები, რომლებიც გამოირჩევიან ორიგინალურობით. აქ მოსულებს რატომდაც ერთს აიძულებენ, - აუცილებლად უნდა მიირთვან ცხარე საჭმელები და არასგზით არ სთქვან მათზე უარი.

იტალიელი სტუმრები, მგზავრობისგან დაღლილები, უღიმდამოდ შეექცეოდნენ ჭამადს. ერთმა როიალზეც დაუკრა. თავს აწონებდნენ შეერძებილ მანდილოსნებს და მთავრის გულს სიმებივით მართავდნენ! მაგრამ, რა უსახური და მიუსაფარი აღმოჩნდა ეს კლასიკა, დარუნდიას დაკრულთან მიმართებაში. როცა შარვაშიძე ჰანგებს გააუღრიალებდა, იბადრებოდა მთელი სასახლე. ზუსტად ამ მუსიკის შესაბამისად იერს იცვლიდნენ ყრუ კედლებიც. ძლიერ ანერვიულებული ქალი ვერ იცლიდა მუსიკალური სამყაროსათვის. წვეულების ორგანიზატორი იყო და მეუღლისდა საპატივცემლოდ ფაციფუცობდა...

მთავარმა ღვინო შესთავაზა მისიონერებს. უბრალოს ვერ ვკადრებო და მისთვის განკუთვნილი ოქროს თასი შეაძლია მოსულებს. უგუნებოდ იყო მთელი ღამის უძინარი დადიანი და ღვინოს პირიც არ დაკარა. აღდგომის ბრნყინვალე დღესასწაული ახლოვდებოდა და დიდმარხვის პერიოდში ერიდებოდა დროსტარებასა და ლხინს.

მისიონერმა ვერ ჰკადრა დიდ მთავარს უარი და დადიანთა საგვარეულო აზარფეშიდან შესვა ფრანგული ღვინო.

მეღვინეთუხუცესს გული შეუღლონდა. მერაბ ქორთოძე კი მაინც კმაყოფილი ჩანდა, რადგან იცოდა, რომ პოლიტიკურ სერობებზე იტალიელთა მონამვლა არაფერს უქადდა სამთავროს კარგს...

ზოგადად, საწამლავს სწრაფი რეაქცია ახასიათებს. ინდური კი მათ შორის უპირველესია. იტალიელი მშობლიურ ენაზე აგონიას შედგომოდა. რამოდენიმე წუთში დაიღია და გათავდა ეგ კაცი. უჰაერობისგან დაიხრჩო საბრალო... შემ-

ზარავად ხროტინებდა ხრინწიანივით. თითქმის გაქვავებულ-მა ბოლოს ამოიგმინა და უსულოდ დაეცა იატაკზე.

პირველი კორტუგა გაიჭრა დასახმარებლად. სინამდვილეში კი ამოწმებდა, კიდევ სუნთქავდა თუ არა ურბანო VIII-ის დესპანი...

ალქიმიასა და მედიცინაში დახელოვნებულმა მთავარმა დაასკვნა, რომ უცხოელი, რომელიღაც საწამლავით იყო მონამლული. მაგრამ ნეტა რომელი მათგანი იყო, რომ ესოდენ სწრაფად მოქმედებდა?!

ადამიანური სიკერპე ლევან II-ისა გაგაოცებდათ. „მაინც სიკვდილისათვის დავიბადენით“, - გაიფიქრა, მაგრამ რა მომელის მომავალში?!

შინაგანი ხმა ასე ეპასუხება. არაფერს მოელოდე კარგს სახელოვანო მთავარო. ს-ა-ხ-ე-ლ-ო-ვ-ა-ნ-ი ! დამარცვლა დადიანმა. მაგრამ აბა რა სახელოვანი ითქმის ჩემზე, როცა ასეთი მზაკვრობა შემკადრეს აქ. „ჩემთვის განკუთვნილმა სხვა მოიხელთა, მოიკბილა,. ეს რა სამართალია უფალო, რომ წმინდა მისიონერს სულს უცხოობაში აფრთხოებინებ, მე კი სიცოცხლის ღირსი მყავ... იქნებ მადლი უნდა შეგასხა, მაგრამ რად მინდა დაწყევლილი ცხოვრება. – სამთავროს კეთილდღეობის გარეშე... კარგი არაფერი მოელის ოდიშს.“! უცებ ურბანო VIII-სადმი მიწერილი წერილის ციტირება იწყო:

-„დიდო ურბანო VIII-ევ! გპირდები, რომ პატივითა და ხელგაშლილობით დავხვდებით თქვენს მიერ გამოგზავნილ ოსტატებს; ხატსაც გეფიცები და ღმერთის სახელითაც გპირდები, რომ არ იქნებიან მოძალენი მათ მიმართ“.

მოძალენი? – გულში ჩაიცინა მთავარმა. რა საჭიროა ძალის გამოყენება, როცა არსებობს საწამლავი... საუკეთესო საშუალება მიზნის მისაღწევად...

უცებ დაასკვნა მთავარმა, რომ კორტუგას ნახელავი იქნებოდა... მერედა რისთვის ჩაიდინა ამორალური, ჰუმანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული?! – მას ერთი რამ სწადია ალბათ. უნდა ის დიდების შარავანდედი ჩააქროს, რომელშიც გახვეულა ოდიშის სამთავრო.

იცოდა მელაძუამ, რომ თუ მთავარს ვერ მონამლავდა, რომელიმე იტალიელ სტუმარს მაინც მოკლავდა უცილობლად, გარდაუვალად... ანუ ახლა მოახლოებულიყო უამი დამარცხების, რადგან ამდენი გამარჯვება დამღლელად მოეჩვენა მერაბს...

როცა რომის პაპმა შეიტყო, რა ვერაგულად მოკლეს მისი მიგზავნილები, ის კი დაუმალეს, რომ საწამლავი თვითონ მთავრისთვის იყო განკუთვნილი. ეს აღმოუტევა თურმე:

- „დაწყევლილი გვარისა კი ყოფილხარ, რომ სასახლეში ღვთის ნებით ცოდვა დატრიალდა. ცის დასალიერში მცხოვრები ავაზაკო, აღარ გცოდნია სტუმრის გამასპინძლება. მაშ, ეგრე უნდა დახვედროდით?!“, რად დაივინყე დაპირება წამის უსწრაფესად; მაგრამ მშვიდობით სამარადფამოდ! მშვიდობა, რომელიც სანატრელი გაგიხდებათ!!!

ლევან დადიანს ისლა დარჩენოდა დამნაშავე გამოეაშკარავებინა და დაესაჯა. ის-ის იყო ქორთოძის დატუსალებას აპირებდა, მასთან მიიჭრა მერიქიფე, ვინმე ზურაბი და მთავრის ფეხებში მიესვენა. ალიარა, რა სიბილწეც ჩაიდინა და როგორ შენამლა მთავრისთვის განკუთვნილი ფრანგული ღვინო!..

ნარმოუდენელია, - დაიგმინა დადიანმა. მაგრამ ვის ბრძანებას ასრულებდი წყეულო ბერიკაცო? ვის მსახურობ ჭეშმარიტად! სთქვი, თორემ ყველა სიწმინდეს ვფიცავ, ხმლით აგუზავ აქვე!

ბერიკაცი შიშმა აიტანა. თავის მართლებას არ აპირებდა და პირდაპირ მიუგო: - „კაცი ფლიდია და ავაზაკი, მაგრამ დედალვთისას ვფიცავ, რომ მე... დასრულებული არ ჰქონდა წარმოთქმა, რომ ცახცახი აუვარდა, ექსტაზმორეულივით დაეშვა ქვაფენილზე და გულმა შეწყვიტა ბაგა-ბუგი.

მთავარს ასე სწამდა, რომ კორტუგას ნახელავი იყო. მაგრამ ეს რა ხდება, ხომ უნდა ყველაფერი ამ კაცს შესწამოს?! დედოფალს რომ ყვავილთა კონებს უგზავნის, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მკვლელია. მაგრამ იქნებ შეაშინა მეღვინეთუხუცესი? იქნებ რამეთი დაემუქრა?!

მერიქიფეთუხუცესის დანაფიცარიც მოაგონდა. საფლავს და სიწმინდეს როგორ შებილწავდა; განა ტყუილზე დაიფიცებდა დედალვთისას? მაგრამ მან ხომ თქმა ვერ მოას-

წრო, წინადადება ხომ ვერ დაასრულა? იქნებ სხვა რამ ჰქონდა სათქმელი?

მაინც დააჯერა თავი დიდმა მთავარმა, რომ ურბანო VIII-ის დესპანი სწორედ ზურაბმა მოკლა...

•••

შანდალი და სანთელი (ანუ მე და შენ)

ფიქრებს მიეცა დარუნდია შარვაშიძე... მთელი დღეები აკვიატებულ აზრებს შიფრავდა. ახლაც, ჭყონდიდის ხის ქვეშ მყოფი ამგვარ წინადადებებს ალაგებდა:

„მე ბევრჯერ გთხოვე, ეგ გრძნობები არ მოიპარო და ისე არ მოექცე, როგორც ნაძარცვ ნივთს მეთქი. მაგრამ გამიგე?!

თაღლითურად შემოიჭრ ჩემს სულში, ჩემს ნავსაყუდელში ლევან და მაიძულე შენებრ სუნთქვა, შენზე ოცნება...

მაშინ, როდესაც ვფიქრობდი ღმერთზე, მაშინ, როდესაც ვფიქრობდი მზეზე, - იმ დროსაც არ მაძლევდი გასაქანს. მერედა რა გინდოდა? არაფერი, გარდა შენზე ოცნებისა...

ახლა ჩემს არსებაში ხარ ლევან! ასე მგონია მე შანდალი ვარ, შენ სანთელი... ცხელი ცრემლები მესხმის და მწვავს. ვგრძნობ საშინელ ტკივილს. მებრალება გული ჩემი, რომელსაც ცეცხლის ალში ხევ შენ, მებრალება სული, რამეთუ არავინ თანაუგრძნობს მას... და ამდენ ტკივილთან ერთად მაინც მიხარია, რომ შენს გამო ვარ ასე. რომ შენს გამო იბზარება იგი. (შესაძლოა, დაიფშნას, მაგრამ ესეც სიყვარულისთვის მირთმეული ძღვენი იქნება). და როცა საყვედურს გეუბნები, ასე მპასუხობ: მებრალები და მიტომაც ცხელი ცრემლებით გესხმი და განუგეშებო!..

და შენ სანთელო, არ იცი რარიგ მიყვარხარ, რადგან უკვე დამდნარს და ფერფლად ქმნილს გინახავ სვეტა კონებში, უკვე გაქვავებულს ხელახლა განახლებ, წმინდა ძალებს ვეთაყვანები, ვშუამავლობ და შენს თავს ძღვნად ვუგზავნი,

რომ გუნდრუკად და საკმევლად მოგიხმარონ, ან შენი ნაზი სურნელით დაათრონ გაუბედურებული სამყარო. იქნებ მაშინ მაინც განმიახლდეს გული, იქნებ მაშინ მაინც ვიგრძნო შენი გაცოცხლება, იქნებ მაშინ მაინც მოგილოცო გამარჯვება....”

ასე ფიქრობდა ლევანზე დარუნდია შარვაშიძე. – თავის უკანასკნელ და ძლიერ სიყვარულზე. დადიანი ღმერთი ეგონა, თვითონ კი ქურუმობას არ იშლიდა არასგზით...

განა მამა ეგრე კი შეცდებოდა, რომ თავისი გამოზრდილი ვიღაც აშარისთვის მიეძლია? თავისი ბედით კმაყოფილი ყოველივეს სეტემბანს უმაღლოდა.

წლები ემატებოდა ქალს და შიშის ზარი გამალებით რეკავდა. ეშინოდა სიბერის და უფრო-რე ჯოხზე დაყრდნობილი ცხოვრების...

ლევანის ცხოვრება სიბერეშიც მშვენიერი იქნება. მხოლოდ ჩემთვის იქნება მძვინვარე წლები ძაძისა და ცრემლის მომტანი. რადგან ასე განუწესებია ღმერთს, - ქალებმა უნდა იგლოვონ, ხოლო მამაკაცებმა დარდი სასმისებში დაახრჩო!

ლევანის საზამთრო რეზიდენციას მიაკითხა. სრულიად შემთხვევით მისი ყურადღება ოთხ თაროიანშია კომოდმა მიიქცია. ცნობისმოყვარე ქალბატონმა მსუბუქად გამოაღო თარო და მოსქელო ფურცლებს მოჰკრა თვალი. ზედ წარწერილმა „კოლხმა ასულმა“, უმაღლ მოაგონა მთავრის ყოფილი სიყვარული.

ასე იწყებოდა წერილი...

„მე არა ვარ მდიდრულ აგარაკთა და სასახლეთა მოტრფიალე. მე არ მიზიდავს ცერემონიები და არც სამთავრო რეგალიების ტარება მხიბლავს. ამიტომ გთავაზობ მიატოვო სასახლისეული ცხოვრება დიდო მთავარო და იცხოვრო ყოველგვარი საზრუნავისაგან თავისუფალმა.“

„სახლს, რომელსაც მე გთავაზობ, არის: პატარა, სადა, ულამაზო, უცერემონიო; სადაც მხრიოლავი ბუნგალის სხივი ამძაფრებს მარტოობას და მყუდრო სავანედ აქცევს დემიურგი ძალა ამ სულთმობრძავი ოთახის შნოსა და ლაზათს... იგი არა ჰგავს ცის თაღებად შეკრულ და სვეტთა მეომრებად ქცეულ სადარაჯოს. არც კარისკაცთა ლიქნა გაისმის შორიდან ცით მოვარდნილი მეხივით და არც ჯადოსანთა წყევლიანი მოთქმა. აქ არ იმართება მასკარადები და შესაბამისად, სახლს, რო-

მელსაც მე გთავაზობ, არ სჭირდება ნიღბიანები, რამეთუ გახსოვდეს, ამ პატარა ოდაში არასოდეს დაგჭირდება რაიმეს დამალვა...

კედელზე რემბრანდტისა¹ და დავინჩის² ხელთუქმნელ ტილოებს ამაოდ დაუწყებ ძებნას. ვერც ოთახთა სიმრავლე დაგახვევს თავბრუს. ეს მარტოსულთა სრა ვერც ფრანგ მეფეთა ბიბლიოთეკის მჯობნობას დაიქადნის, მაგრამ გახსოვდეს, ამ სახლაკში გაცილებით ჰარმონიულად იგრძნობ თავს.

ხომ გახსოვს, რას ქადაგებდა ღმერთი და მეც გიმეორებ: „შიშველი მოევლინე ქვეყნიერებას და შიშველი უნდა დააბოტებდე„...

დარუნდიამ ესღა გაივლო გულში: ალბათ ამ მოძღვრებისა და ქადაგების ბრალია, რომ ამდენი წლების შემდეგაც ლევანი ფეხისამარა დადის სასახლეში.

მაგრამ მაშინ, როცა მეცოდინება, რომ შენ „მინის გუნდისგან შეკერილი ქმნილება იყავი, - საგანგებოდ ხავერდოვან ბალახს გავახარებდი, რომ გეგრძნო წამით ბედნიერება...“

იქნებოდი ყველაზე უბედური და ამასთან ყველაფრით ბედნიერი, რადგან შენს სატრაფოსთან ერთად შეუდგებოდი შიშველი კედლის მოხატვას, მოქარგვას.

დღენიადაც წაგიკითხავდი ზღაპრებს. დაგაჯერებდი, რომ სიყვარულია ბარძიმი ცხოვრების. რომ პენელოპე ტროელ გმირს ტყუილად არ უცდიდა დიდხანს³. (უკვირდა დარუნდიას კოლხი ასულის მწიგობრობა).

ჩვენი სადილი იქნებოდა უბრალო. არც საჭმლის ნაირსახეობა იქნებოდა, რადგან მეცოდინებოდა, რომ ბევრით ვერასდროს დანაყრდებოდი გემრიელად!..

¹ რემბრანდტ ჰარმენს (1606 15 ივლისი 1669წ.) ვან რეინი – ჰალანდიელი მხატვარი.

² ლეონარდო და ვინჩი – იტალიელი მხატვარი, შუა საუკუნეებში მოღვაწე (1452 წ.).

³ იგულისხმება ტროელი გმირი ოდისეა, რომელიც ოცი წლის შემდეგ სრულიად უცნობი დაუბრუნდა სახლს. წელი მოგზაურობდა ხოლო მეუღლე შინ უცდიდა. ერთგულ ცოლს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ის კი დღენიადაც ქსოვდა. როცა მოვრჩები საქმიანობას, მაშინ გავთხოვდებით. თუმცა ღამით ნამუშევარს არღვევდა და დროს აჭიანურებდა.

მწუხარებას სიტყვებად ვაქცევდი, სიტყვებს პანგებად და ყრუ ბგერების რიტმში გიმღერებდი ყოველდღე...

და მაინც, თუკი მეფურ ცხოვრებას უარყოფდი, - ვიქებოდით ყველაზე მდიდრები. თუკი ამიტანდი ქალს, რომელსაც საკუთარ თავზე მეტად მიყვარდი და გაყენებდი ყველაზე პირველს...

თუკი მოგეჩვენებოდა, რომ უსაზღვროდ უბედური იყავ, ამ უბედურების მთავარ მონმეს ვაიძულებდი შენით ეფიქრა, შენზე ეზრუნა, შენი სუნთქვით ესუნთქა... რომ თავადაც გაეგო ბნედიანი ცხოვრების და ტანჯული ხვედრის მნიშვნელობა...

არასოდეს გავიმართლებდი თავს შენს წინაშე, რადგან დამნაშავედაც არ მივიჩნევდი თავს. აკი გაფრთხილებდი, არ გატყუებდი და უპირატესობას (ქალურ ცდუნებას) არ ვიყენებდი. არასოდეს დამიქადნია იმით, რაც არ გამარჩდა. ყოველთვის თავს ისეთად გაჩვენებდი, როგორიც ვიყავი სინამდვილეში...

მე არ ვიღიმოდი ძალად, რადგან გასაღიმი არაფერი მქონდა. და შენც ეს მოგწონდა. „მწუხარების დედოფალს“, მეძახდი. და ვერ ხვდებოდი, რომ ამ წუხილის მიზეზი იყავი შენ...

და გული მეთანალრება, რამეთუ შენ ერთადერთს, რომელსაც შეგეძლო ღირსეულის გვერდით დგომა და ოქროს დიადემის დახურვა, მოგიწევს ავაზაკთან ყოფნა, რომელმაც შენი უმწეო სიყვარულით ისარგებლა.

შენ ახლა თაფლობის თვეს უნდა ატარებდე და სანაცვლოდ... მძიმე ჯვარი, უბედურება და ისევ ჯვარი. რა დააშავე?! ის რომ შეიყვარე ღარიბი, თითქმის უქონელი არარაობა...

მაგრამ მნამს შენი ნაზი ბუნების, სულით ფაქიზი ხარ, მარად მოუსყიდველი, თითქმის უცოდველი. და როცა ტაძარში მუხლმოყრილს გხედავ, მნამს შენი ლოცვის. ას, რაოდენ საზარელი იქნებოდი სიყვარულზე რომ გენაცვალა სხვა რამ. მერმე ალბათ სხვათა მსგავსად ცალყბად მოგიწევდა ხატებზე შეცინვა...

როდესაც სახლში ფუსფუსებ, ასე მეგონება, რომ გვერდით წმინდანი მყავს. შენი ზნეობრივი საქციელის გამო ზეცა

დაგიკრავს ტაშს. მიყვარს, როცა არაფრისგან ყველაფერს აკეთებ და როცა არ წუნუნებ გაუთავებლად!...

ვზივარ ვითომდა ბუხრის წინაშე და გრძნობებს ვშანთავ, ვწვავ; საკუთარ გულსაც ნედლ შემაზე ვახურებ, სისხლისგან ვცლი, რომ ამ სისხლმა არ მიყივლოს და მოთმენის უნარი არ წამართვას. და დევს ამ ფიჩხებზე ქალური სევდა და წუხილი. და ღამის დელგმაში გეძახი სიტყვებით: სახლს, რომელსაც მე გთავაზობ, არის: პატარა, სადა, ულამაზო, უცერემონიო, ...

1619 ნელი

ფიქრია. – კოლხი ასული

დარუნდიამ კითხვა შეწყვიტა. რადგან ხვდებოდა, რომ წერილს მარტოოდენ ტკივილი მოჰკონდა მისთვის. ან რა აზრი ჰქონდა სათითაოდ იმის გადათვალიერებას, სადაც ერთსა და იმავე ამბავს სიყვარულისას სახეშეცვლილად ყვებიან. გული მოსდიოდა დედოფალს, რადგან სჩანდა, რომ მთავარს ჯერაც უყვარდა მეეტლისგან დათქერილი გოგო. სადაც ლევანი მისთვის სათაყვანო სამეგრელოს გასწირავდა, იქ ბევრ რამესაც უარყოფდა და პირველად, რომ დარუნდიას შეეშინდა მარტოობის.

იქნებ ერთ დღეს მართლა მობეზრდეს ყოველივე დიდებულ მთავარს და ზღვისპირა ქალაქში გაიქცეს მარტოსულიო.

არავინ და არაფერი წაიყოლიოს სასახლიდან, გარდა ამ მშვენიერი, სიტყვაკაზმული წერილებისა...

იქნებ, სეტემან შარვაშიძის ასულიც მიატოვოს და დამციროს, მაშინ?

მოულოდნელად ჭრიალა კარები ლევანმა შემოაღო და მთრთოლვარე დედოფალს მოჰკრა თვალი. დარუნდია, გეძებდი და ძლივსღა მოგაკვლიე, - ასე უთხრა თავის სიყვარულს მთავარმა.

ქალი მთლად ცახცახმა აიტანა. მართლა შეგებრალებოდა დედოფალი, თუკი გულის ადგილას ქვა არ გედო და გრძნობა ყინულზე უცივესი არ გქონდა...

მაგრამ, ბოლო დროს, კორტუგაზე მოარულმა ჭორებმა ცოტა არ იყოს დარუნდიასგან გარიყა. რაყიფობას ვერასგზით აიტანდა. მითუმეტეს, ვიღაც ვიგინდარასთან არ აპირებდა საზიაროს გაჩენას...

უნდოდა ყველაფრისთვის წერტილი დაესვა, მაგრამ როგორ შეებედნა მთავრის ასულისათვის, ან რა უნდა ეკითხა? ხომ ვერ ეტყოდა, უყვარდა თუ არა ვეზირთუხუცესი? ამგვარ დამცირებას არ აიტანდა ქედმალალი ქალბატონი. ამიტომ გაურკვევლობა ტანჯავდა და სულს უძიძგნიდა, ისე, როგორც გამალებულ არწივთ ან ყვავ-ყორანთ ჩვევიათ მსხვერპლთა მოხელთვისას.

მთრთოლვარე დედოფალი ველის შროშანს ჰგავდა. ცალკე სიმორცხვისგან გაფითრებულიყო. ამ წუთას ხომ დადიანის კუთვნილ ნივთებში იქექებოდა. არ შეშვენოდა აღზრდილ დედოფალს მსგავსი უხამსობა, - რაღაც წყეული ცნობისმოყვარეობის გამო!..

„ცხოვრება სხვა განზომილებაა და ვერ ჩაწვდები ასე ადვილად მის სიბრძნეს ძმაო„. მაგრამ არ გაგიკვირდეს, - შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი. – გაივლო გულში დიდმა მთავარმა.

შერცხვენილმა შარვაშიძის ასულმა ასეთი საჩივრით მიმართა მეუღლეს, თუმც ეს ჩივილი უფრო თავის მართლებას წააგავდა:

- „მე არასოდეს მიტაცებდა ის სამყარო, რომელიც ესოდენ გაცვიფრებდათ თქვენ. ალბათ იმიტომ, რომ სხვა განზომილებისანი ვიყავით„.

ამ სიტყვებს პაუზა მოჰყვა. მერმე ისევ განახლდა.

- „შენ მამაშენივით თავს დიონისე ლვთაებად მიიჩნევდი და გული ყველასგან მალულად დროსტარებისკენ მიგინევდა. ისე, როგორც ფესვგამხმარი ყვავილი ეწაფება აჩახახებულ მზის სხივებს.: იმის იმედად, რომ გამოცოცხლდეს. მხოლოდ ლვინო. მხოლოდ პოლიტიკა... მხოლოდ სამშობლო...“

მე კი ერთი ბედკრული ქალი ვიყავ. ალბათ ამიტომ არ გამეგებოდა არაფერი. არც შენი მესმოდა და ვერც შენს ფიქრებს ვწვდებოდი...

ლევანი დუმდა, - სააღმსარებლოს წინაშე მღვდელივით ისმენდა ქალის აღსარებას.

- ჩემს ოთახში ვიჯექი. აი იქ, ლვთისმშობლის ხატი და დედის ნაქონი ნივთები რომ გილაგია“, - მაცნემ მომიტანა ამბავი, ასე მითხრეს: მარტოსული ლვთაება სადღაც მიემართება და გადმოგცეს სასახლეს ადევნოსო თვალ-ყური.

ჰოდა, უპასუხა ლევანმა, - ნუთუ ეგ საბაბი კლდეზე უმტკიცესია დარუნდი?! მაშ, რადგან წავედი, თავს იმის უფლება მიეცი, რომ ჩემი წარსულის ლაბირინთებში გეძრომიალა?! ან რაში გენალვლება გარდაცვლილი გოგონას მოგონებანი. ის ხომ ვერ მოვა და ვერ მოგვთხოვს პასუხს ვერც ერთი შეცდომისათვის!?

ყოველთვის გაიძახი შარვაშიძის ასულო, ვითომ უზომოდ გიყვარს ოდიშის მთავართაგანი. ცივი ხარ დარუნდია, ყინულზე უცივესი და გული მეთანალრება, რომ მზემ ჯერაც ვერ დაგალბო. როდის დალღვები მაინც!?

ქალს ცრემლები მოერია. ცოტაც და აზლუქუნდებოდა. ქალაქში მოარული ჭორების შემდეგ მთლად გაუუცხოვდა ქმარი...

ბრაზმორეულმა ლევანმა ასე განაგრძო პასუხად:

- გახსოვს ძვირფასო, პურობისას ლვინოს რომ ვეძალებოდი, ასე მითხარი პირზავარდნილი ლოთი ხარო, - გახსოვს...

გახსოვს, წვეულებაზე რომ კონიაკით გამოვთვერი, - მაშინაც მისაყვედურე, - რით ვერ ჩაძლა ეგ შენი სული სასმისშიო...

ის დრო იყო მისიონერები მსტუმრობდნენ სამთავროს კარზე. გჩვეოდა ხოლმე ცერემონიის დროს ლექსის წარმოთქმა ან როიალის ამუსიკება. ინსტრუმენტის წრიპინს და მელანქოლიას ერთი უსასრულო ლექსი ანაცვალე, რომელიც ახლაც ჩამესმის:

„შენ ის არა ხარ... აზარფეშების მადლიან ყანწებს უმალ რომ ცლიდი...“

დარდად ქცეული ლალატის რისხვას, ჰყავდი უგონოდ გადარეული...

მაშ, რა გიკვირდა, გაგექცა ქალი, რა გასაკვირი ან რა სადარდი, შენი ცხოვრება იყო უგვანო, უშნო, მახინჯი და საზიზღარი...

შიშველი კედლის ოცნებით ხატვას განა ისურვებს ყოველი ქალი, რად გაგიკვირდა, რომ აედევნა, სხვას ეტრფიალა სევდით დამწვარი...

ნუთუ ინამე, რომ სიყვარული, იყო მარადის უძლევი თვალი, ნუ დაიჯერებ, ქალი ფიცულობს და ამ დროს არის ტყუილით მთვრალი.

მდიდრულ შეზღუდვებს და ცად აწვდენილ, გუმბათის თაღებს ჯადო აქვს იცი, და შენც უძლევი დაუთრობელი მაშინ ხარ, როცა გაქვს ყველაფერი, მაგრამ თუ დაშთა რწმენის ლამპარი და მიწას დაჰჭალ გრძნობები ფიცი, ისიც ინამე, ქალი სახლს დაწვავს და დამგვანებს ყველაფერს ნახშირს...

ქალს აღარ უნდა მარტო სიცოცხლე, არ დაჯერდება ტყუილად სიკვდილს იწვალებს, ძებნის, თუ დღეს ვერ იზამს, აღარ იქნება დილამდე მშვიდი. მაინც გადიფრენს, მაინც მოძებნის, მაინც ეწევა ცხოვრების ნადიმს და ნუთისოფლის ბადაგით მთვრალი, ძვირფასს მეუღლეს ეტყვის ნახვამდის....”

- ხო, ეგ ჩემი საყვარელი ლექსია ლევან. ხო იცი, მეჯავ-რება არაფრის მთქმელი წინადადებები და მიზიდავს მარტო-ოდენ შინაარსიანი, ლოგიკური სიტყვათაწყობა.

- მაშ, რად გინერია „შიშველი კედლის ოცნებით ხატვაო...“ მე ყველა ფერის საღებავი მოგართვი დარუნდია და რა ჩემი ბრალია, თუ მხატვრობაზე ხელი აიღე? შენნაირ პირობებში მყოფი დედოფალი არ უნდა წუხდეს ამდენს...

მე უკეთესს პირობებსაც ვიყავი მიჩვეული ლევან... აფ-საზი მთავრის ასული რომ ვარ, დაგვიწყდა იქნებ?! გატყობ, გული გიცრუვდება ჩემზე. და ასე გეტყვი:

- მაშინ, როდესაც ჩემზე აგიცრუვდება გული და იგრძ-ნობ, რომ შენ ჩემთან შედარებით პირამიდა ხარ, რომ ჩემზე გაცილებით უკეთესი, - მაშინ შეგევრდომები: იქნებ ამ პირა-მიდას საძირკველი აქვს და მისი ლიბო ვარ მე?!

დარუნდია შეზღონგიდან წამოდგა. სასტუმრო ოთახ-ისაკენ ბარბაცით მიდიოდა, სადაც მეფური პატივით და გან-მარტოებით მდგომი სამეფო ინსტრუმენტი მოელოდა. სულ ახლოს მიიწია როიალთან და თხოვა დიდ მთავარს:

- დიდკაცებს წესად გაქვთ საყვარელი არსების ფეხ-თქვეშ ჩოჩიალი. იქნებ შენც, ძლევამოსილ მთავარს წამით მოგინდა ჩემი ხელქვეითობა?!

აქ არავინ არის ლევან და ვერ განგსჯიან დიდო მთავა-რო მარტოდენ იმისთვის, თუკი კონიაქს მომართმევ და წა-მით მაინც ამღერდები. მე ხომ არაფერი მითხოვია ჯერაც...

- ჩემი მუსიკა ქარის ზუზუნს ჰგავს, ყოველ წამს რომ შესაძლოა გრიგალად გადაიქცეს... არ გინდა დარუნდია. არ ღირს, უბრალო ახირების გამო სახელი გამიტყდეს. ხომ იცი, მთავრებსა და მეფებს ადამიანურ ბედნიერებას უმალავენ. არც გაგიკვირდეს. არც იუცხოვო... აბა რას იტყვიან ჩემზე. გადარეული მთავარიც და სამეგრელოს დედოფალიც, რომ ძნელბედობის უამს, როცა ათასობით ადამიანი იღუპება, ღა-მის ბინდპუნდში როიალს აკვნესებენ და მღერიანო... ხომ იცი, უცებ გაგიძულებენ, თუკი აღმოგაჩენენ, რომ უგულო კერპ-კაცა ხარ...

- მაშ ერთადერთ სურვილსაც არ მისრულებ, ლევან?!

- რად დაიჩემე დედაკაცო, რა იადონი მე მნახე... როცა ასე უჭირს ჩემს სამეგრელოს, რა გამხდის მე მხიარულს. დიდი შეცდომა იქნება ჩემი მხრიდან მედოლები და მესტვირები ქუჩაში გამოვფინო და სიმღერა ვაიძულო...

- ქალებს ერთი საოცარი წესი გაქვთ. როგორც კი დარწმუნდებით, რომ დააშავეთ, ადგებით და ტირილს იწყებთ, რომ მით გამოისყიდოთ დანაშაული. კაცებმა კი რა ჰქონან ამ დროს?!

ბანოვანი დუმდა... მზერა უზარმაზარ პორტრეტს შეაგება. როიალის პედალს აუშვა ფეხი. მიმოიბნია ხელოვანის ძუნად შესრულებული მელოდია და ალებული აკორდები გამწყდარი სიმივით აწერულდა... ახლა მაგიდასთან მივიდა, სასმისს დაავლო ხელი და მალულად გადაჰკრა...

ლევანმა კი გარინდებით მდგომა, უთხრა: მთავრის ასულს ხომ არ აწუხებს სიცხე ან უძილობა?!

დარუნდიამ ცოტათი მკვახედ უპასუხა: „აბა რა შემატყვე ავადმყოფის დიდო მთავარო?!“ – მერმე წინადადების დასრულებისთანავე ხმა გაკმინდა; უყვარდა ლევანი და ვერ იმეტებდა მაინც გულის სატკენად და აუგის სათქმელად. თვითონაც ხვდებოდა, რომ რაღაც წერილთა გამო არ ღირდა აურზაურის ნამოწყება. დადიანის არ იყოს, აბა რას დააკლებდა ან შემატებდა გარდაცვლილი მდაბიოთაგანი მათ ოჯახს?!

მიხვდა იმასაც, რომ უსაფუძვლო იყო მისი ეჭვიანობა.

ერთ შეგონებას გეტყვი დარუნდია: „ეკალს ეს თვისება აქვს. თუ იგრძნო, რომ გასაწირადაა განწირული, დაასწრებს და სხვას გასწირავს. მე კი არა მაქვს სურვილი მებაღე ვიყო და შენ შეგაკრიჭო ძალად ეკლები. შენც, შენდა თავად ეცადე ყველა კი არ დაათრო შენი მომაჯადობებელი სურნელით და გახდე საზიარო, არამედ შორიდან მოგნატროდნენ და უშენობით კვდებოდნენ...“

•••

მარტოოდენ ბედისწერა არ ძიგნიდა თურმე დარუნდია შარვაშიძეს; ცალკე ავადმყოფობა ჭამდა და ღრღნიდა.

ერთხელ, სოხუმს, მთავრისგან მალულად წავიდა სამეგრელოს დედოფალი. თან მერაბ ქორთოძე იახლა.

თავბრუსხვევები აწუხებდა და ეშინოდა, გზად არ მომკვდარიყო. იფიქრა, კორტუგა ღონიერი იყო, ვაჟკაციც. თუ რამ გაუჭირდებოდა, დედოფლისათვის არაფერს დაიშურებდა.

მაისის დამლევი იყო. ვარდსავით მშვენიერ ქალბატონს თმაში გირლანდიები და ხელოვნური მიხაკი გაერჭო. მომაჯადობელი, მაცდუნებელი სურნელი ჰქონდა.

დარუნდია შარვაშიძეს არ ეწადა მამის გულის ტკენა, ლევანს კი უფრორე უფრთხილდებოდა. ფიქრობდა, ცნობილ დასტაქარს გაესინჯებოდა და დალამებამდე დაბრუნდებოდა სამეგრელოში.

უხარმაზარი გავლენა ჰქონდა დადიანს აფხაზეთზე. თან ვინ ვერ შეიცნობდა სეტემანის განებივრებულ ასულს...

სტაციონალური დაწესებულება წარმოადგენდა ორსართულიან, მოქცეულ შენობას. ხოლო ექიმი იყო ყოვლით განათლებული და იმხანად ცნობილი კაცი, რომელიც მართალია ფიზიკური მიმზიდველობით ვერ გამოირჩეოდა, მაგრამ მეტყველება ჰქონდა მამაკაცური, დახვენილი და პირდაპირობა, რაღაც ამაზრზენი და საშინელი. თუკი პაციენტს სახადი შეეყრებოდა, პირდაპირ მიახლიდა ხოლმე.

დიდის მონინებით გასინჯეს დასნეულებული დედოფალი. ექიმს სახის კუნთები დაემანჭა. თავი ვერ მოება საუბრისათვის. ცოტათი ერიდებოდა დედოფლის, არც კი იცოდა, როგორ გაემხილა, რომ ძლიერ ავად იყო, - თან ამას ისიც ერთვოდა, რომ ოთხი თვის ორსული იყო.

- ღმერთო, როგორ უდგას ამ ქალს სული? თავისთვის ფიქრობდა ექიმი. ნეტა ქარი არ ამოვარდეს, თორემ სულ მთლად გადატიხრავს...

დედოფალი ძალიან სუსტად იყო. სულთმობრძავს ჰგავდა. ჰა და ჰა წაიქცევაო... ძლივს იდგა სამზეოზე. დადიანიც

ამჩნევდა მის ავადმყოფობას, მაგრამ ოდნავ გამოწეული მუცელი მის ეჭვებს აქარწყლებდა. იცოდა, რომ დარუნდია კიდევ ერთ შვილს გაუჩენდა. მის დასუსტებას სწორედ ამ ფაქტს მიაწერდა. ან იქნებ თავისი მამის გამო ნერვიულობსო, - ასკვინიდა თავისთვის.

- „ერთი უებარი წამალი მაქვს. იქ, სადაც ვერ გშველიან ექიმები, მიმართეთ ღმერთს. ეგებ სასწაული მოგმადლონ და გეშველოთ“, - ასე უთხრა აფხაზმა ექიმმა შარვაშიძის ასულს.

დარუნდიას ცრემლები მოერია.- ნუთუ მოვკვდები ექიმო? რომ არ მინდა?

- ქალბატონო, ერთი ეგაა, რომ მარტო სიკვდილი არ გეკითხება გესტუმროს თუ არა... იცი, ქარზე უსწრაფესია, მაგრამ... არაერთი შემთხვევა მქონია, რომ თითქმის მკვდარი რაღაც ნებით გაცოცხლებულა. ეგებ სასწაული თქვენც შეგეწიოთ. ვინ იცის...

- მაგ სასწაულის მომლოდინე ვიყო? – ეგ სასწაული ექიმო სიკვდილი უფროა, მგონი...

სშირად მეხვეოდა თავბრუ, მაგრამ ასე ამბობენ, რომ ბრალი ლალისთვლიან ბეჭედს მიუძლვოდა, რომლის ტარების უფლებაც მხოლოდ ბუნებით, ფსიქიკითა და დიდსულოვნებით გამორჩეულ ადამიანთ შეუძლიათ.

- შენი ცხოვრება ქარის ქროლვას ჰქონდა ამიერიდან. არ იცი, საით გაგაქროლებს ბედისწერა. ამიტომ ეცადე...

სიტყვა არ დაასრულებინა დარუნდიამ და მამის ფრაზებით თავად მიუგო:

- „ვეცადო დღემ ისე მუსიკალურად ჩაიაროს, თითქოს სიმფონიური კლასიკა უღერდეს არა?!“

- დიახ, ეს ფრაზა ზედგამოქრილია ალბათ. ახლა კი სიტყვას ჩამოვაგდებ თქვენს ავადმყოფობაზე: მედიცინაში მას ლიპომას უძახიან. ენციკლოპედიური ცნობარით რომ განვმარტო, ბერძნები მას კეთილთვისებიან სიმსივნეს უწოდებენ. შესაძლოა არ მოგკლას ჯერჯერობით, მაგრამ ისე კი გაგანვალებს. ერთი გამოსავალია, თუ მედიკამენტებს მიიღებთ და მცენარეულ ნახარშს, რამდენიმე თვეში განიკურნებით, ოღონდ ერთის სანაცვლოდ. შვილს აუცილებლად დაკარგავთ.

- ვთქვათ და არ დაგმორჩილდით ექიმო, მაშინ რა მოხდება?

- თუ მკურნალობაზე უარს იტყვით, ფარისებრი ჯირკვალი ავთვისებიანი შეიქმნება. ორგანიზმს გამოფიტავს, დაშლის ისე, როგორც უანგი გამალებული რკინის ზოდებს სანსლავს. თუ გინდა გადარჩეთ, უარი თქვით შვილზე. ის ხომ პირველი არ არის თქვენთვის; ისევ თქვენთვის აჯობებს, თორემ მე რაში მენალვლება. ათასობით პაციენტი მიკვდება, მაგრამ წარბიც არ მიტოკვდება. ჩემს ოთახში მხიარული ვზივარ და შოკოლადის ნამცხვარს მივირთმევ. არც შენი სიცოცხლეა სხვისთვის დიდად ფასეული. შენ თვითონ უნდა დააფასო კუთვნილი.

მე თუ მკითხავ, რა დიდი ბედენაა შვილის გაჩენა. მერე რა, რომ მთავრის ცოლი ხარ და შვილს ბევრს შეაძლევ, ბევრს შესთავაზებ. იგი ხომ მაინც უბედურებისთვის და სიკვდილისთვის იქნება განწირული. ყველა ადამიანის ბედი ასეთია ზოგადად და შენი ნაშობიც არ იქნება გამონაკლისი. რატომ არის, რომ დედები თავიანთი შვილების სიცოცხლეს უფრორე აფასებენ?

ისე მოგივლის სნეულება და გაგანამებს, რომ ტკივილგამაყუჩებელს მაინც მიიღებ. რაც ნაყოფზე იმოქმედებს და მთლად ხეიბარი თუ არა, სრულფასოვანი მაინც არ დაიბადება. ყველა მისი უმწეობითა და დაუცველობით ისარგებლებს. ამიტომ დროა გადაწყვიტოთ, რა უფრო სასარგებლოა ამ შემთხვევისთვის.

- ძვირფასო ექიმო, - „ღმერთს არსად ეჩქარება, არც სახლში და არც სამსახურში„. განა კი ვცდები?

მისმა სიტყვებმა ცოტათი დააფიქრა კაცი. სახე მთლად მოეღრიცა. წესით ამ ქალს უნდა ეყვირა, ეკივლა და თავისი უბედურება საქვეყნოდ გაემზიურებინა. მის სანაცვლოდ დუმდა და თუკი ამეტყველდებოდა ცარიელ სიბრძნეს იძლეოდა საჩუქრად. „ნახე, ღმერთებსაც ჰქონიათ მომაბეზრებელი სამსახური, მარტო მე არ ვყოფილვარ თურმე ბედმავი“, - ეს გაივლო გულში და რაღაც ანალიზებს და სინჯარებს უწყონელასლა გადამოწმება....

•••

მგზავრობა დამლელი იყო. მტვერი და ბუღი შიგადაშიგ შემოიჭრებოდა ეტლის ფანჯრიდან და დედოფალს გული მისდომდა უჰაერობისაგან.

ქანცმილეულმა, როგორც კი ენგურის ხიდი გადაიარა, ბრძანა ეტლის შენელება. გრძელი ჯაჭვის ხიდი უნდოდა ფეხით გაევლო. თვალწარმტაცი სანახაობა იყო და ეტლის როხრობს მასზე გასეირნება ანაცვალა.

შუა გზაზე ისევ შეუღონდა დარუნდიას გული. ექიმისგან გამოწერილი ტკივილგამაყუჩებელი რომ არ მიეღო, ალბათ მოკვდებოდა. საპრალომ ერთი აბი დალია...

წყაროსთან იყვნენ, როცა ძილი მოერია შარვაშიძიანთ ასულს. რასაკვირველია, ნდობით აღჭურვილმა მერაბმა მსახურები მსწრაფლ დაითხოვა. დედოფალს თავისი ღონიერი ხელები შემოავლო ქვეშიდან და ენგურგადალმა მდებარე სახლში მიიყვანა.

უკვე ბინდდებოდა. დარუნდია გონს ჯერაც ვერ მოსულიყო. მძიმედ სუნთქავდა და შიგადაშიგ, უამდაშამ ბოდავდა კიდეც.

ამ სახლის პატრონი ღარიბი კაცი იყო. რადგან უკვე სამყარო დასაძინებლად ემზადებოდა, - მერაბმა უბრძანა, - აპა, აიღე ოქრო, თექვსმეტი მონეტაა. ანუ ამ სახლზე ხუთმავად ფასეული. ერთი ოთახი განამზადე ჩემი ქალბატონისთვის და კიდევ თბილი აბაზანა... ოლონდ იცოდე, ჩვენი სტუმრობის შესახებ არავინ უნდა გაიგოს. თითქოს არც მოვსულიყავით აქ, - ისეთი შთაბეჭდილება იქონიე...

დედოფალი სხვა ოთახში გადაიყვანა. ნაკლებად ხმაურიანი იყო. სახლის მახლობლად მეპატრონეს ლუდხანა ჰქონდა მოწყობილი.

აფხაზეთისა და სამეგრელოს გასაყარზე ერთადერთი ჯიხური იყო. წესით ამ დაწესებულების მქონე კაცს არ უნდა გაჭირვებოდა, მაგრამ ამას წინათ, თურმე ქალიშვილები გაეთხოვებინა და მზითვად სამი წლის ნაჯაფარი მიეძლია

სასიძოებისთვის. თურმე მის შვილებს პატივი ჰქონიათ აყრილი. არავინ ინდომებდა მათ, თუკი სიმდიდრითა და ქონებით არ მოაჯადოვებდა. ნამუსახდილი გოგონები ფულის წყალობით გაათხოვა მამამ.მერე, როცა გასჭირვებოდა უზომოდ, სახლში საროსკიპო მოეწყო. ოჯახი და კერია შეერცხვინა ურჯულოს...

ვეზირთუხუცესმა რომ ასეთი ლამაზი ქალბატონი შემოიყვანა საროსკიპოში, ყველამ იეჭვა. შურით აღვსილ მამაკაცთა გუნდი კორტუგას მოკვლასაც არ დაერიდებოდა.

როცა სახლში შემოვიდა მერაბი, დედოფალს ხელი მჭიდროდ მოეხვია. გულის რევის შეგრძნებამ შეაშინა დარუნდია და ეხვეწებოდა, ეშველათ მისთვის...

შუა მაგიდასთან ექვსი კაცი ღვინოს, ლუდსა და თევზს შეექცეოდა. ბინძურ წინსაფარში გახვეულმა მზარეულმა კუპატი და შაშხიც მოიტანა. სტუმრები მეძავებს ათვალიერებდნენ და მათგან ლამაზის ამორჩევას ცდილობდნენ. თუმცა, ღმერთს მათთვის წაერთმია ფიზიკური სიმშვენიერე. ზოგიერთი კეთროვანს ჰგავდა, ზოგსაც სიყვითლე გადაჰკრავდა სახეზე. ზოგი პროფესიულად მსახურებდა, ზოგიც მარტოოდენ ოჯახს არჩენდა ამით.

სახლის კუთხესთან ერთი მშვენიერი ქალბატონი იდგა. საიდანლაც გერმანული კალვადოსი ეშოვნა და ამაყად, თავაწეული სვამდა. ესეც ერთი იმ როსკიპთაგანი იყო, ოლონდ წარმომავლობით აფხაზი.

როცა დარუნდია უცხო მამაკაცის მკლავებში და ამასთან ასეთ გარყვნილ საზოგადოებაში ნახა, უეცრად შეიცხადა. თითქოს გაუხარდა და ამასთან უუცნაურა შარვაშიძის ასულის დანახვა. უცებ ახარხარდა ისე გულიანად, რომ ექვსივე კაცის უურადლება მიიქცია.

- ვინ არის ის მშვენიერი ქალბატონი? - ჰკითხა ერთმა მეორეს. წვერ-ულვაშიანი გამოექმაგა, რომ ეგ მისი საყვარელი იყო. ოდესლაც სეტემბან შარვაშიძის კარზე მსახურობდა თურმე მზარეულად. მერე მთავარს აღმოუჩენია, რომ მის ასულს მემზარავ სურათებს უჩვენებდა და გარყვნილებისკენ მოუწოდებდა. გულმოსულ და ფიცხ მთავარს თურმე დაუთხოვია სასალიდან.

- მას შემდეგ, აი აქ არის. სასახლისეულ ცხოვრებას ანაცვალა გარყვნილება.

და ვიღაც მყრალ მამაკაცებთან ყოფნა – დაამატა მესამემ.

ახლა წამოენთო ბრაზმორეული. აი ის, წინათ რომ ამ ქალის ისტორიას საძმოში ჰქონდა. „ჯერ ერთი გითხარი, ჩემი საყვარელია და მეორეც თუ მე მგულისხმობ მყრალში, აი ეს გეკუთვნის მეტიჩარავ. უცებ ხმალი იშიშვლა და თითზე დაპკრა. ვერ გამოზომა კარგად და ხელის მტევანი წარკვეთა მთლიანად.

სისხლმა შადრევანივით იფეთქა. ერთმანეთს დაერივნენ მთვრალი ძმადნაფიცები.

თოფის ხმამ დააშოშმინა მხოლოდ! ეს მერაბ ქორთოძე იყო. მუქარიანი კილოთი განაცხადა, თუ მყუდროებას შეულახავდნენა, სათითაოდ ტყვიას დაახლიდა შუბლში მოქეიფებს.

ამ დროს სახლის უფროსმა თვალი ჩაუკრა კორტუგას. ანიშნა ის ოთახი, წინათ რომ შემიკვეთე, მზად არის და თუ გინდა ახლავე გადაბრძანდით თქვენი კნეინათურთო.

კმაყოფილების ნიშნად მერაბმა ჩაიცინა. მოჩუბრები მიატოვა იმავ წამს და მეზობელ ოთახს მიაშურა.

ბამბუკებისგან დაწნული ლოგინი იდგა. ორი მუთაქით, თეთრი ზერით. კიდევ ჰამაკი ეკიდა, მეზღვაურის ბადესავით დაწნული. კუთხესთან ახლოს ჩანგური, სალამური და ფანდური ეკიდა. კედელი შავი იყო, ზოგან მწვანე საღებავი გამოსჭვიოდა, ზოგან ყვითელიც. ანუ შეეძლო გამოეანგარიშებინა ადამიანს, რამდენჯერ იყო შეღებილი სახლის ფასადი და მისი ოთახებიც...

ბამბუკებისგან დაწნულ ლოგინზე წამოაწვინეს დარუნდია. ძილშიც მშვენიერი და მომაჯადოებელი იყო.

იფიქრა კორტუგამ, რომ ცდუნება, რომელიც კართან მოსდგომიდა ეძახდა. თვითონ ქალის მკერდიც ეძახდა ტრფობისკენ. ძნელი სათქმელია, მართლა იხმობდა თუ არა დარუნდია, მაგრამ მიიჩნია, რომ ის მისი საკუთრება იყო. ამიტომ შეეძლო კიდეც გამოეყენებინა, კიდეც მოეშორებინა.

„მაგრამ ის რომ დედოფალია დღევამოსილი ოდიშელი მთავრის? ხომ დამსჯიან, თუკი მას შევეხები?“

მაგრამ უცებ გონება გაუნათდა... საროსკიპოში იყო დედოფალი და როცა გონს მოვიდოდა და მის გვერდით მწოლიარე ვეზირს აღმოაჩენდა, ცოტას წაუტირებდა. მერე დამშვიდებოდა. თუკი ინებებდა ლევანისათვის სიმართლის თქმას, მთავარი არ დაუჯერებდა. რადგან შეერებილებიც, სტუმრებიც და თვითონ მეპატრონეც დაადასტურებდა, რომ პირიქით, ქალი ეხვეოდა მას. რქებდადგმული ლევანი არ დაუჯერებდა დედოფალს, სახლიდან გააძევებდა, აფხაზეთი ამბოხდებოდა, გურია, იმერეთი და სალიპარტიიანი მხარს დაუჭერდა ამ წამოწყებას. ისარგებლებდა შაპიც, ოსმალო დამპყრობელი მოადგებოდა საზღვარს. განაწყენებული რომის პაპიც დარაზმავდა ლეგიონებს.

ამდენ შემოტევას ვერ გაუძლებს ოდიშის მთავარი და ცოდვით მონაპოვარ, მრავალნლიან ნაალაფარს წამში დაკარგავს. ცოლის მოჩვენებით ღალატს და მეგრელი ხალხის საყვედურიან გამომეტყველებას ვერაფრით აიტანს. ხოლო როცა დედ-მამის საფლავს წერაქვითა და სატეხი ინსტრუმენტებით მიადგებიან, გული გაუჩერდება და ასრულდება მამის, მანუჩარ დადიანის ანდერძი:

„მხოლოდ ქალი თუ დაგიფლეთს გულსო!

„მადისალმძვრელი სიცილი ჩვეოდა, როცა რაღაც სასიხარულოს წარმოიდგინდა, მაგრამ შეეშინდა, დედოფალმა არ გაიღვიძოს.

ჯერ ტანზე შემორტყმული მაუზერი ჩამოიხსნა. მერე ხანჯალი. გრძელი, კაპიშონიანი მოსასხამი, რომელიც ქინძისთავით იკვრებოდა შეიხსნა. ტანზე მოტმასნული თეთრი სამოსი გაჭირვებით გაიძრო. ტყაპუჭების მსგავსი ქალამნები გაიხადა. ფეხზე ბრეზენტი ჰქონდა შემოხვეული, რომელიც წინდის მაგივრობას უწევდა. ეს კაცი ავადმყოფობას ვერ იტანდა და გაცივებისა ეშინოდა ყველაზე ძლიერ. ამიტომ შუაზაფხულიც რომ ყოფილიყო, თბილი სამოსით გამოგეცხადებოდა. არც არავის უკვირდა, რადგან ამას მიაწერდნენ ხასიათის თავისებურებას.

გარედან ხმაური მაინც მოდიოდა. ისევ ჭაჭლანებდნენ და ისმოდა ხმალ-ხანჯლის ჭახუნი.

დედოფალს ამ ხმის ყოველთვის ეშინოდა და ფეხზე წამოხტა უცებ. ხოლო როცა მის წინაშე შიშველი ვეზირთუხუცესი დაინახა, მთლად დაიბნა. არ იცოდა რა ხდებოდა მის თავს და როგორ მოხვდა სხვენში. ის რომ სცოდნოდა, საროსკიპოში იყო, გული გაუჩერდებოდა საბრალოს. თავის თავსაც დახედა. სულ მთლად შიშველი იყო. მსახური რაღაც შემზარავს უპირებდა მძინარეს.

დარუნდიამ შეიცხადა და ამ კივილის გაგონებაზე წახევარი საროსკიპო მათ კარს მოადგა.

- იცოდე არ გაუჩერდები და მანამ არ მოვისვენებ, სანამ არ მოგკლავენ. მე მეძავი არ გეგონო და თავი ღირსეულად დაიჭირე.

დარუნდიას თვალი მოსჭრა ხმლის ელვარებამ. ლოგინიდან იატაკისკენ დაიხარა და წამოდგომისას უკვე იარაღი ეჭირა.

მოგკლავ მერაბ, თუკი მომეკარები. თან შიშნარევმა და მთრთოლვარემ დაამატა, - „ლვთისმშობელს ვფიცავ!“

- ვერ მოგკლავ თანურია, ვერა; შენ მკვლელი არა ხარ. ამასთან, მაგ ბუდიდან იარაღს ძვრასაც ვერ უზამ. წინ წაიწია დედოფლისაკენ. კოცნას და პატივის აყრას უპირებდა.

ქალმა ჩახმახი ფეხზე შეაყენა. არ მომეკაროო, დაიკივლა და სასხლეტს გამოჰკრა ხელი.

ვეზირთუხუცესს კოჭთან გაუარა ტყვიამ და ძირს დაეცა. ფართხალებდა, კვნესოდა და შიშველი მამაკაცი იატაკზე მხეცივით გორავდა. დაჭრილი სულთმობრძავ წადირს ჰეგავდა, მონადირისგან მოკლულს...

გარეთ შეკრებილებმა იარაღის გავარდნისთანავე ოთახში შესვლა განიზრახეს, მაგრამ კარი შიგნიდან იყო ბოქლომით ჩაკეტილი. ერთადერთი გამოსავალი მისი შენგრევალა გახლდათ. კარზე მომდგარი ბრძოსი შეეშინდა დარუნდია შარვაშიძეს. შიშველი რომ იყო, ესირცხვილა და ტანზე ზეწარი შემოიხვია.

როცა დაჭრილი მამაკაცი მიწაზე გართხმული წახეს ოჯახის უფროსმა ქალი გვერდზე გაიყვანა და ყვირილით უთხრა:

წყეულო როსკიპო, რად დაატრიალე ცოდვა საკუთარი ნებით შემოყევი საძინებლამდე და მერე კი იარაღით მოჰკალი?

ახლა აქ მთავრის ხალხი და ეჯიბები მოვლენ. რახან საროსკიპო და ამასთან დანაშაული მოხდა აქ, ის გულბოროტი დადიანი საჯაროდ დამსჯის. დაწესებულებას ცეცხლს შემოუნთებს და მერე როგორ ვირჩინო თავი? შენსავით ქუჩა-ქუჩა ხომ ვერ ვივლი და სხეულით ვერ ვივაჭრებ?! წყეულო მეძავო. შენს გამო უნდა დავკარგო ყოველივე.

დარუნდია ტიროდა. არაფერს ამბობდა, რადგან კაცი მომაკვდავი იყო. მიუხედავად იმისა, რომ უარესსაც იმსახურებდა არ უნდოდა სინდისს შეეწუხებინა და ბედნიერი ცხოვრება წაერთმია.

ლუდხანის და საროსკიპოს უფროსი კი მის ლანძღვას არ ეშვებოდა.

„ლმერთო, ნუთუ ორსული ხარ? ასეთი მუცლის მქონემ რად ჩაიდინე ამორალური საქციელი? ან რა გინდოდა აქ, ამ მეძავებთან? მერე რა, რომ ლამაზი ხარ. სილამაზემ უნდა მოგიხელოთოს? ეს რა ჰქემენ წყეულო ბოზო?“

დარუნდიას ამ დროს ქალის მშვიდი ხმა შემოესმა.

- უფროსო, - ასე მიმართავდა იგი, - კარგს არაფერს მოელოდე მაინც. თვითონ ეგ ქალი სამეგრელოს მმართველის, ლევან დედიანის ცოლია და აფხაზი მთავრის სეტემან შარვაშიძის ასული... ეგ შენც იცოდი, რომ მეძავი არ იყო. უბრალოდ ოქრო-ვერცხლმა თვალი მოგჭრა. ვნახე, როგორ გადმოგცა იმ ვაუბატონმა ქირა ლუდხანის უკან მალულად! ის მეძავი არასოდეს ყოფილა, უბრალოდ გინდოდა შენ გაგეხადა როსკიპად!

გახსოვს აქ რომ მოვედი? მე მაშინ მეძავი არ ვყოფილვარ. უბრალოდ შენ მაიძულე და მაქციე ასეთად. იმისთვისაც დაისჯები, რომ სამთავროს უმშვენიერესი ქალბატონი ვერ იცანი. მაგის მამა მოხუცია, მაგრამ მარტო ის გეყოფა შენ, თვითმარქვიასა და სინდისგარეცხილ ავაზაკს. დაველოდები იმ წუთს, როცა მთავარი გრიგალივით გადაგიქროლებთ თქვენ!

- ხმა გაკმინდე წყეულო! საიდან უნდა მეცნო დედოფალი? საკინძეშეხსნილი ვიღაც კაცს ეხვეოდა და...

- სწორედ რომ გარყვნილთათვის გაქვს სახლის კარი ღიად! შენი წამები დათვლილია ბეჭერო არარაობავ. შენ არც კი უნდა დაბადებულიყავი. მე ის მიყავი, რასაც შენს ასულებს

არ უსურვებდი. მაგრამ ქვეყანამ იცის, მიუხედავად იმისა, რომ სხვებთან შედარებით მდიდრულად ცხოვრობდით, ასულებმა საქვეყნოდ თავი მოგჭრეს, მერე რა, რომ გათხოვდნენ? – საკმარისია შენს სიძეებს არ გაუგზავნო ფული და წამოგაყვედრებენ, რომ ბოზები არიან შენი გამოზრდილები.

- მაგ ლაქლაქს გირჩევნია იმ კაცს მიეხმარო, რომელიც სისხლისგან იცლება. აპა ბინტი და სახვევები, ესეც არაყი, ესეც იოდი. ჭრილობა მოუწმინდე. მე კი ცხენებს შევკაზმავ, რომ გავაქციო დედოფალი აქედან!

•••

შუა საუკუნეების ციხესიმაგრე, რომელიც თავისი ამაყი გამოხედვით აკვირვებს გარშემომყოფა, ლევან II-ის ბრძანებისამებრ აშენებულა. ვინაიდან სოფელ რუხის ტერიტორიაზე და მდინარე ენგურის მარცხენა შენაკადთან მდებარეობდა, ისტორიაში რუხის ციხის სახელით შევიდა. ამბობენ, რომ ციხის მშენებლობა 1647 წელს დასრულდა, სინამდვილეში კი ციხე ათი წლით ადრე უნდა აშენებულიყო.

სამეგრელოს მთავარს პირველი შვილი ქორწინებიდან მესამე წელს შეეძინა. მაშინ, როცა ციხის აგება დაიწყო მისი პირველი ძე მანუჩარი ოთხი წლისა იყო, ხოლო მეორეზე ორსულად იმყოფებოდა.

სწრაფად მიმდინარეობდა მშენებლობა. თვითონ მთავარი დიდად ჩქარობდა. ისწრაფოდა, რამეთუ სჭირდებოდა ომიანობის უამს ყველაზე სანდო და ურყევი თავშესაფარი.

რუხის ციხე სამეგრელოს სამთავროს მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა გახლდათ. რასაც მისი გეოპოლიტიკური და ხელსაყრელი მდებარეობა განაპირობებდა. მას ჰქონდა ციტადელი, ანუ ამისგან და ქვედა ეზოსგან შედგებოდა. ციხის ჩრდილოეთ მონაკვეთშია განლაგებული. მოგრძო ეზოს ორივე ბოლოში კარი აქვს. ერთ-ერთი ჩრდილო-აღმოსავლეთისა თურმე ციხის დონუმნს წარმოადგენს. ამბობენ, რომ ციხის ქვედა ნაწილი ასე 8-10 მეტრი გამოყრუებულია და რომ თვითონ რუხს გარს უვლის უშველებელი გალავანი, ასე 10-12 მეტრისა.

მთავარს საპრძოლო ბილიკი აქვს გაყვანილი. შესასვლელი გალავანში ჩაშენებული კოშკის პირველ სართულშია. როცა მთავარი რჩეულ ჯარისკაცებს დააყენებდა შესასვლელში, ან თუ ჩაკეტავდა კარს მერე თუ უნდა კბილები ეკრიჭნა მტერს, თუ უნდა ნებისმიერი რამ ეღონა, ვერასგზით გატეხდა მას...

თორმეტი მცველი მორიგეობით იცავდა ციხეს, რომ არ გაეტეხათ. მთავარს უფრო იმის ეშინოდა, შიგნიდან არ მომხდარიყო მისი დარბევა, ამიტომ ციხეში ჯაშუშებიც შეაგზავნა და იქ მომხდარ ამბებს უკლებლივ უმარცვლავდნენ ლევანს...

სწორედ ამ პერიოდში, ანუ საუბარია დაახლოებით 1634-1635 წლებზე, აქ რაბათის მოსახლეობაც გაჩნდა. მაგრამ რასან ესენი მთლად სანდონი არ ყოფილან დადიანისათვის, რამდენიმე ლამეში მათი ლიკვიდაცია მოახდინა თურმე...

აგერ უკვე ოთხი თუ ხუთი წელი იყო, რაც მიმდინარეობდა მშენებლობა. დასრულება კი არა და არ ეღირსა...

რისთვის დაჭირდა საზღვარზე ამოდენა ციხესიმაგრის აგება ლევან დადიანს? ეს არ იყო მარტოოდენ ციხე, არამედ ეს იყო საუკეთესო თავშესაფარი ომიანობის უამს. ყოველი მხრიდან მტერი ეხვია სამთავროს. ამიტომ მოსახლეობა ტყეში კი არ გაიქცეოდა, არამედ მრავალმეტრიან გალავანს მიღმა...

ერთი გეგმა ჰქონდა ლევანს. საიდუმლო გასასვლელი უნდოდა გაეკეთებინა. ამას კიდევ ერთი წელი მაინც დასჭირდებოდა, ყველაზე ნაკლები. მთელი თხუთმეტი-ოცი კილომეტრი მიწისქვეშა გვირაბის გამოთხრას არაერთი მუშახელი დასჭირდებოდა. ლევანის გეგმისამებრ სასახლე და ციხე-ქალაქი ერთმანეთს დაუკავშირდებოდა. როცა დასჭირდებოდა სრადან გადახედავდა და შეაფასებდა პოლიტიკურ მდგომარეობას.

„ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო,,. ამ ანდაზისა არ იყოს, მთავარი სხვათ დიდად როდი ენდობოდა. თვითონ ხედავდა, ინიშნავდა და მერმე აფასებდა მდგომარეობას უზუსტესად, უცდომლად.

თვითონ ციხე მაღალ მთაზე იყო აგებული. ნახევარი სახით აფხაზეთს გასცექერდა, ნახევარით კიდევ კოლხეთისაკენ იმზირებოდა; ანუ, თუკი ოსმალეთი და ირანი დააპირებდნენ მათკენ გამოლაშქრებას, მთავარი გუშაგთა დაუხმარებლა-დაც მიხვდებოდა და ნახავდა.

ციხეს სატუსალოც ჰქონდა. პოლიტიკურ პატიმრებს სწორედ აქ ამწყვდევდა მთავარი. საშინელ უკუნსა და სორო-ში მყოფი პატიმრები ტყვეობას ლევანთან მსახურებას არჩევდნენ.

სულ მაღლა, ციხეს კოშკი ჰქონდა, სადაც ზარი ჩამოეკი-დათ დადიანის ბრძანებისამებრ... ვაი საბრალო სამეგრელო, თუკი ეგ ზარი აკვნესდებოდა. უდიდესი წუხილის და მოსალოდ-ნელი საფრთხის უამს რეკა თურმე გამალებით.

ამბობდნენ, რომ ეგ ზარი თითქმის არ აკვნესებულა მთავრის სიცოცხლეში. მაგრამ, როგორც კი მოკვდა ასე მი-იჩინიეს სამთავროს წარმომადგენლებმა, რომ უბედურების ქარიშხალი დღე-დღეზე გადაუფრენდა სამეგრელოს. ამას-თან, მთავრის სამგლოვიაროდ ხომ უნდა აკვნესებულიყო რუდუნებით მოხვეწარი გამონაგონი...

ერთი რამ ანუხებდა ამჟამად ლევანს. ვიღაც ფარულად ებრძოდა მას. მის ზრახვებს და ჩანაფიქრს უცნობი ეწინააღმ-დეგებოდა.

ჯერაც ვერ გაეგო, ვის შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა მონებზე, რომლებსაც წესით უსიტყვოდ უნდა აეშენებინათ, ენისუთქმელად აესრულებინათ დანაბარები.

ლევანს უწყება მოუვიდა, რომ მუშახელი უარს ამბობს მშენებლობაზე. პირიქით, ძლივს აზიდული ლოდებიც ჩა-მოუგორებიათ. ასე ამბობენ თურმე, რომ თუ მთავარი საკ-მარისად არ დაკმაყოფილებდა და მატერიალურად არ უზრუნ-ველყოფდა თითოეულ მსახურს, მშენებლობა არ განახლდე-ბოდა. ერთ ჭკუათამყოფელს ისიც კი შემოუთვლია:

- სვანეთში თოვლი როგორც კი დადნება, დადეშქელიანი აპირებს ამბოხებას... ასე გაუგია, ვითომ ლევანი თავის დას გურიელზე ათხოვებდეს. თუ გურია მიაჩინია ერთგულ მო-კავშირედ და ამასთან ძლიერად, ვნახოთ რა ძალა შესწევს სვან

დადეშქელიანებს დაველოდებით რომ ჩვენც მათ მივეშ-ველოთ...

ლევანი მართლა აპირებდა მარიამის გათხოვებას გური-ის კარზე... არ ეგონა, თუ დადეშქელიანი ჰყვარობდა მის დას. ახლა კი ნამდვილად დაფიქრდა, გურულ ხალხს მებრძოლი სვანები არჩივნა. მაგრამ დანიშნული რომ იყო უკვე?!

ახლა ურმით ოქროს მონეტები მოჰქონდა. გულში კი ამას ფიქრობდა:

- „ოხ, ეს წყეული ბედისწერა, მხოლოდ მე მაიძულებენ ერთგულად მსახურებას“, თან ყოველგვარი ფულის გარეშე, სრულიად უანგაროდ!....“

როცა ციხეში შევიდა, მონებმა მუხლი მოიყარეს. ოქროს მონეტების ხილვაზე შერცხვათ თავიანთი ამბოხის. გულუხ-ვობამ მთავრისამან მოალბო ისინი.

ის-ის იყო წამოსვლას აპირებდა, რომ ციხისთავმა ამ-ცნო:

- „დიდო მთავარო, ცოდვა დატრიალდა დღეს; ვიღაც ქალმა ჯერ მამაკაცი კოჭებში დაჭრა, მოგვიანებით კი მეძა-ვთაგანი გამოასალმეს სიცოცხლეს. სულ ახლოა მთავარო, აი იმ ბორცვს მიღმა....“

ლევან დადიანი გამოეშვიდობა ციხისთავს, კირითხ-უროს; თავი დაუკრეს მონებმა და მცირე ამალითურთ იმ სახ-ლისკენ გასწია, სადაც ტრაგედია დატრიალებულიყო რა-მოდენიმე საათის წინ!

მთავარს გული უგრძნობდა, რომ რაღაც მნიშვნელო-ვანი ხდებოდა, მაგრამ რა? ამას სულ მალე შეიტყობდა.

•••

ეს ამბავი თურმე ასე მოხდა...

საროსკიპოს უფროსმა, ცხენის მოყვანა რომ მოიმიზე-ზა, - სინამდვილეში იარაღი მოიტანა, რომელიც მარანთან ჰქონდა გადამალული.

ბოლო დროს ქურდები შემოეჩვივნენ და ღამ-ღამობით თითქმის არ ეძინა. ლუდსა და სასმისებს დარაჯობდა.

ფიქრობდა, რომ იმ მექავმა ზედმეტი იცოდა და თან ის ნახა, რაც არ უნდა ენახა. ამიტომ განზრახული ჰქონდა მო-ეკლა.

ფეხზე ადექი!- უბრძანა უფროსმა და უსიტყვოდ დამ-მორჩილდი... უკან მიტრიალდი, ჩქარა ჩქარა!!!“

ქალი ბედს დამორჩილდა... მხოლოდ ეხვეწა, - ნუ გამო-ასალმებდა სიცოცხლეს...

ოჯახის მეპატრონებ დასცინა. - „რად გინდა ცხოვრება, როცა დამცირების მეტი არაფერი გინახავს?“ დაასრულა თუ არა, შიგ ზურგში ესროლა და თვითონ კი დარუნდია შარვა-შიძეს დაავლო ხელი. ასე მიუგო:

- წადი და დამეკარგე. და არაფერი სთქვა, რაც აქ ნახე და რაც დატრიალდა იმის შესახებ...

და არც ის უთხრა მთავარს, თუ რაც დაგმართა იმ ჭა-ბუქმა აქ.

ამასობაში ლევან დადიანიც გამოჩნდა. შარვაშიძის ასუ-ლი იჯდა და ტიროდა. ქმრის ხილვაზე თავზარი დაეცა. მხო-ლოდ ევედრა „წამიყვანეო“.

ლევანი საროსკიპოში შევიდა. მერაბ ქორთოძის ხილ-ვაზე ხმალს ხელი დაავლო. ბრძანა დარუნდია შემოეყვანათ შინ.

მხოლოდ ეს უთხრა ცოლს: ხომ არ შეგარცხვინეს და-რუნდია ამ ავაზაკებმა.

თუმცა მერაბმა უთხრა, რომ დედოფლისთვის ხელი არ დაუკარებია, უბრალოდ ავად შეიქნა და დასასვენებლად მოვ-იყვანეო“, - დარუნდიამ შესჩივლა: ავაზაკმა გამაშიშვლა და ლამის შეურაცხმყო და წამგვარაო..”

ამ დროს იმ ექვსმა კაცმა, იქ რომ სვამდნენ და ღრეობდ-ნენ, მთავარს განუმარტეს ყოველივე:

- ეგ თქვენი ცოლი თუ იყო, როგორ გვეგონა ბატონო. აქ რომ შემოვიდა მექავი მეგონა. ისე შეეხსნა საკინძე და მთე-ლი ძალით ეხუტებოდა იმ უცნობ მამაკაცს.

სახლის უფროსმა და მეღვინემაც დაადასტურეს მათი ნათქვამი.

დარუნდია კი ევედრებოდა. არ დაუჯეროთ, რადგან ჩემთვის სახელის გატეხვა სწადიათ. შენ კი მერაბ, ვფიცავ გაზღვევინებ იმისთვის, რაც მე დამმართე. თვითონ კი გარეთ გავიდა...

- დროა ვეზირო ამიხსნა, როგორ მოხვდით აქ?!
- ვშიშობ რომ განრისხდები. ერთი პირობის სანაცვლოდ გეტყვი სიმართლეს, თუკი თავს არ მომკვეთოთ ნათქვამისთვის.

- ვფიცავ! – მოკლედ მიუგო მთავარმა.
- აფხაზეთს, დედოფალმა თქვენგან მალულად მამასთან შეხვედრა განიზრახა, მერე აფხაზ-ჯიქებს მოუწოდა, რომ ხუთშაბათ ღამით, სანამ ციხის მშენებლობა დასრულდებო-და, გადმოსულიყვნენ და ომი გაემართათ თქვენთვის.

- ვერ გამიგია, მაშ რისთვის გიახლა ამ საიდუმლო სე-რობაზე თქვენ, ვეზირთუხუცესი დადიანისა?

- უბრალოდ თავი მოვაჩვენე, ვითომ მისი ერთგული ვი-ყავი მე.

- ეგებ მართლა ეგრე იყოს მაშინ? – უთხრა ლევანმა.
ჰოდა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ძველი ამბის თხრო-ბა არჩივნა. - იმას გეუბნებოდი მთავარო, რომ შენგან მალუ-ლად ამიტომაც წავიდა დედოფალი.

აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ ავადმყოფობა მოიმიზეზა. ახლო-მახლო ვერავინ შევნიშნე. ვიფიქრე, რომ აქ უშველიდ-ნენ. რა ვიცოდი, რომ საროსკიპო იყო? როგორც კი შემოვე-დი, ყელზე მომეხვია დედოფალი. რა მექნა, თავისთვის გან-მარტოვება ვურჩიე და ოთახში გამოვკეტე. მეც ცდუნებას ვერ გავუძელი. ვიცოდი, დარუნდიას ადრეც ვუყვარდი, მაგ-რამ როგორ შევკადრებდი შარვაშიძეს პატივისა და ღირსებ-ის აყრას?

ცდუნებას ვერ გავუძელი. სულ შიშველი იდგა ჩემს წინაშე... მეზობელ ოთახში იმ მექავთან განმარტოვდი, რომელიც შემო-მაკვდა. რაღაც არ მოეწონა იმ უბედურს და პირველმა მან მეს-როლა. აი აქ მთავარო, სადაც ახლა საფენი მახვევია. იძულებუ-ლი გავხდი თავი დამეცვა. ხომ გჯერათ ჩემი?

როგორ არა... - თავისი მსახურებს და მცველებს უბრძა-ნა ხელ-ფეხი შეეკრათ ვეზირისათვის!...

ამგვარ განაჩენს არ მოელოდა მერაბი. ნუთუ რამე ბუნებრივად ვერ ვთქვი? უძალიანდებოდა მთავრის მცველებს და იმუქრებოდა: - როცა მიხვდა, რომ მთავარი მაინც გასწირავდა, იფიქრა დარუნდიასაც გავწირავ და ჩავიყოლებო.

- ჰო, მეძავია ეგ შენი ცოლი და მეტი არაფერი. იცი რა ვნებიანი იყო ჩემთან? საწადელს მიაღწია და ეგ არის. შენ გეგონა, რომ თანურიას ცხოვრება მარტოოდენ როიალს და მუსიკას უკავშირდებოდა? შენ ერთი რამ დაგავინყდა. რომ ბედნიერება უნდა მიგეძლია, თორემ შენზეც უარს იტყოდა და არ გაიკირვო, თუკი უარგყოთ მთავარო. დაფიქრდი, რა მიეცი ამდენი წლის მანძილზე?

- რუხის ციხეს დაამწყვდიეთ და კავშირი არ იქონიოს არავისთან!!! მნახველები არ შეუშვათ და მშიერი ამყოფეთ... იცოდეთ, თუკი გაქცევა მოახერხა, სუყველას დაგასაჭურისებთ, ხოლო თქვენი ოჯახის წევრებისა და შვილების თავით მშენებლობას პირადად მე დავასრულებ!...

ბორკილდადებულ კორტუგას ციხისკენ მცველები მიაცილებდნენ, ხოლო მთავარი ცხენზე ამხედრებულ დედოფალთან ერთად ქარის უსწრაფესად მიქროდა სასახლისაკენ, - ფიქრებმონამლული და დადარდიანებული...

•••

სასახლეში ყველაფერი მქონდა, ახლა კი ციხის საკანში დაუმწყვდევივართ. ასეთია ყველა იმ კაცის ბედი, ვისაც ღალატი სისხლში აქვს. მაგრამ რა ჩემი ბრალია? მე ხომ ამგვარი დავიბადე? მორიელის თვისება: ცივი გამომეტყველება, გესლიანობა, გულგრილობა... ჰოროსკოპითაც ხომ ასეთი ვარ? ნოემბრის თვე... დამახასიათებელი ნიშანი: განსაკუთრებული სიყვარული, ფუფუნებისკენ მიდრეკილება, დამარცხებასთან არ შეჰუბა, შხამის გამოყენება, მებრძოლნი, მიქელანჯელოს ნაქანდაკევივით ცივი იერის, უხეში, იდუმალი და მიმზიდველი. ამას თან ერთვის სწრაფვა გამარჯვებისაკენ.

მაგრამ განა ასეთი თვისებისთვის უნდა განიდევნოს? ეგ ხომ არ კმარა ბატონი?

სადღაც ჰქონდა მაინც იმედი, რომ უსაშველებდნენ, იხსინდნენ ტყვეობისაგან. მაგრამ ეგ ციხე ისე აუშენებია წყეულ ლევანს, რომ ვინ შეძლებს მის გატეხვას? ნეტა დარუნდიას რა ბედი ენია? სულ არ დაიჯერა ჩემი ნათქვამი გულბოროტმა დადიანმა?

საბრალო დარუნდია. ჩაიცინა სიმწრისგან. ალბათ ახლა თავისი მზითვითურთ გამოივლის; ფანჯარა არ ჰქონდა საკანს, თორემ თვალს არ მოსწყვეტდა, ეგბ მართლა შეემჩნია დარუნდია შარვაშიძე, - შერცხვენილი თავისი მამისკენ მიმავალი.

საბრალო მართლაც, მშობელმა არაფერი დააკლო. ყველაფერი მისცა, რისი მიცემაც შეიძლებოდა, მაგრამ ბედმა კი გაძარცვა და რას იზამს!!!

შვილსაც არ გაატანს მთავარი და რაში ენდომება მზითვების უკან წალება? ან როგორ დახვდება თავის გამოზრდილს აფხაზი მთავარი... მაშ, როგორ გაიმართლებს თავს? წყეული როსკიპნიც იმას გაიძახიან, რომ მთლად ქალწულნი არიან, მაგრამ ვის სჯერა მათი ბოდვისა? არავის. თვითონ გასცა თავისავე დასმულ შეკითხვას პასუხი.

იმ ქალს არ ეშველება არაფერი და სამეგრელოს სამთავროს, თორემ სიკვდილამდე მნახველები და მაშველები არ დაილევიან ჩემთვის. რადგან ცბიერი და გონიერი კაცი ყველას ჭირდება; თუკი ამ თვისებას ისიც ერთვის, რომ ძლიერი მელავისა და გავლენის მქონეა, მეტი რა უნდა ხალხს? მჯერა, რომ ამ ციხის პატიმართ და მშენებლებსაც ისევ ლევანის წინააღმდეგ განვაწყობ და ციხეს შიგნიდან გავტეხავ. მხოლოდ ეს თუა გამოსავალი, თორემ გარედან დევივით იყურება და აბა რას დააკლებენ ამოდენა ციხე-სიმაგრეს.

•••

დარუნდია თავის საძინებელში, სარკის წინ მჯდომარე თმებს ნერვიულად ივარცხნიდა და ოქროს სადედოფლო გვირ-

გვინის მორგებას ცდილობდა, რომ ლევანის მუქარიანი ყვი-
რილი შემოესმა და როცა მთავარი ოთახში შემოვიდა, პირვე-
ლად ეს თქვა:

- „ვერ ელირსები დღეიდან ამ გვირგვინის დადგმას, რად-
გან არა ხარ ლირსი...”

- ჩუმად ლევან, ბავშვს ძინავს და გთხოვ ნუ მიყვირი!

- ძინავს არა? – წესით ბავშვზე და ოჯახზე დიდად არ
ფიქრობდი, მაშინ, აფხაზეთს რომ გაიპარე, არც მაშინ, თავი
რომ მოიავადმყოფე, არც მაშინ, ვიღაც მდაბიოს წინაშე შიშ-
ველი რომ იდექი და არც მაშინ...

- გაჩუმდი... დაიყვირა დარუნდიამ და მის მჭექარე ხმაზე
ბავშვს გამოელვიძა და ტირილი იწყო. დედოფალმა საკინძე
შეიხსნა და ძუძუ ანოვინა შვილს.

- ასე გამოაჩინე თურმე ეგ მკერდი იმ ლოთების წინაშე
და თავი მოჭერი, საუკუნოდ შემარცხვინე...

- ლევან, რა შეგცოდე ისეთი, რომ ასე მსჯი და ცილს
მწამებ? არ გებრალები? მე ავად ვარ და შესაძლოა მოვკვდე
კიდეც...

- ფარისეველო, ხმა არ დაძრა. არ მჯერა ქალბატონო
თქვენი. განრისხებულმა და ანერვიულებულმა იქვე მდგარ
ეტრუსკულ დარნაკს წაჰავა ხელი. ეს ის ვაზა იყო, სეტემანს
რომ მოერთმია ქორნილის დღეს მისი ასულისთვის და ერთ-
ერთ მზითვთაშორის საოცრებას რომ წარმოადგენდა...

საუკუნოვანი, ისტორიული ლარნაკი წაცარ-მტკრად
იქცა...

დარუნდიამ ბავშვი მოიშორა მკერდიდან და იატაკზე და-
ემხო შვილმკვდარ დედასავით!... სათითაოდ იღებდა უნი-
კალური, ფასდაუდებელი ნივთის ნამსხვრევებს.

უცნაური იყო, რომ ეს ქალი ქმარს, ოჯახს, დედოფლო-
ბას ეთხოვებოდა, მრავალი წლის ნაშრომს ერთ წამში კარგავ-
და და ამაზე ძლიერ გული რაღაც უსულო საგანზე შესტკიო-
და. ნუთუ ეს ლარნაკი ყველაზე ფასეული ყოფილა მისთვის?

მამის ანდერძი მაინც ამიხდა: - ქალმა დამიფლითა გული,
რათა განეცადა ლვთაებრივი.

რა გულქვა ყოფილხარ დედოფალო... ამ წუთს ჩემთვის
წმიდათაწმიდა ოდას და საყდარს, უძვირფასეს სასახლესაც
დაუფიქრებლად წავუკიდებდი ცეცხლს, ოღონდ შენ ყოფილ-
იყავ ჩემი ერთგული.

მე ბევრი რამ გაგიკეთე დარუნდი. ლანგარზე მოგართვი
ბედნიერება, შენ კი ყოველივე ისე გააცამტვერე, როგორც
ეგ დაწყევლილი ვაზა შევსუსრე მე... მეგონა, ცრემლთა ღვრა
შეგეძლო და გჩვეოდა, ასეთი უბედურება დაგატყდა თავს და
ახლა კი ზოგავ მაგ ცრემლებს; ახლა გაქვს სატირალი, თორებ
აქამდე რა გქონდა!?

ცოდვა იქნები დღეიდან, რადგან ჩემი განირვისთვის
გაიწირები, დღეიდან უსიხარულოდ იცხოვრებ და შეგზარდე-
ბა საწუთოება, რადგან არ გცოდნია ფასი ბედნიერების.

სიამაყე, რომელიც მშვენიერს გხდიდა კაცთა თვალში,
დღეიდან გაგანადგურებს და ხრუსტალივით დაიფშვნები.
სასჯელად კი დილეგს განგინებს. თავები რომ გულ-მკერდს
გიძიგნიდნენ ცოტა იქნება შენთვის. მაგრამ რადგან შენ
თაგვთან და ჯოჯოსთან არჩიე, დაე გზა დალოცვილი გქონ-
დეს...

„მამა მაინც შეგბრალებოდა შეჩვენებულო, ან სახელი
არ გაგეტეხა სამეგრელოსთვის. ვითომდა გასწირე თავი აფხ-
აზეთისთვის? ნუთუ ხვდები, რომ გასწირე, რადგან დღე-
დღეზე გადავუქროლებ სამურზაყანოს.“

- ლევან, საკმარისია რომ მამის ერთ სიწმინდეს ბლალავ
და ახლა მეორესაც ნუ შეეხები... შეიბრალე საბრალო მოხუცი,
რომელიც ლირსეულად გემსახურებოდა მარადის...

მე მაიძულებ, რომ შენს მამას პატივი ვცე, როცა შენ
სულში შეაფურთხე და დაამცირე!?

მოღალატის სისხლისა არა ვარ და ნუ დაუგდებ სხვათა
სახვენარს ყურს... მათი მიზანია დაშალონ და დაანაწევრონ
სამეგრელო!...

შენ ძლიერი მმართველი ხარ ოდიშის და იციან, რომ შენ-
თან ვერაფერს გააწყობენ. ფარისევლებმა სხვა ვერაფერი
მოიფიქრეს და გადაწყვიტეს ჩვენს შორის ჩადგნენ. თუ დაგვა-
შორეს, მერე ჩვენს შვილებზე აგიცრუებენ გულს. დაგაჯერ-

ებენ, რომ შენი ლვიძლი შვილები სულაც არ არიან. და ბოლოს, გაუბედურებულ და მარტოსულ მთავარს გაიძულებენ, რომელიმე გემით გაიქცე და გადაიკარგო. ამის მერე, გამარჯვებულები მივლენ შენს სამთავროში, გამოითხოვენ სამთავრო რეგალიებს, აღსაყდრდებიან პაპისეულ საყდარში. მერედა ვინ? იმერეთის რომელიმე მესვეური ან კორტუგა. და ეს იქნება ომი სისხლისა და მსხვერპლის გარეშე. ერთი ეგაა ოლონდ, რომ მსხვერპლი მე და შენ ვიქნებით ლევან...

- ხო მართლა, ეგ ძონძები, რაც რომ სეტემბანმა აქ მოათრია, ისევ უკან წაიღე. შენ ჩემი ცხოვრებიდან იდევნები დღეიდან. ჩემი ვაჟი აქ დარჩება! ნუ ნაღვლობ, თუ ნამდვილი დედის სიყვარულს ვერ ეღირსა, შემცვლელს მაინც გამოვძებნი. მაგრამ სასახლიდან ისე ვერ წახვალ, რომ არ დაისაჯო ჩემი შერცხვენისთვის...

ასეთი ტრადიცია ჰქონიათ ბერძნებს უნინ. ლირსებააყრილ და ნამუსახდილ ქალს ცხვირს კვეთდნენ, რომ არამინიერ სილამაზეს ხელახლა არ ეცდუნა. რასაკვირველია, ცხვირმოკვეთილს არც არავინ ინდომებს ცოლად. ნურავის დაადანაშაულებ. ბრალი საკუთარ თავს დასდე, რომ საწყალობელი ცხოვრება აირჩიე... მშვიდობით სამარადუამოდ, ჩემო უკანასკნელო სიყვარულო. გული მტკივა შენი ღალატისათვის...

•••

ამ ამბავს ერთი გარემოება უძლვოდა წინ.

ლევან დადიანი უზომოდ ჭკვიანი იყო, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მოატყუა.

უნინ ვახსენეთ მკითხველო მთავრის ბიძა, ყოფილი რეგენტი გიორგი ლიპარტიანი, რომელიც ვეზირთუხუცესის მოკავშირე ყოფილა. მსტოვრების წყალობით უცებ შეიტყო, რომ ლევან დადიანს მერაბი რუხის ციხეში გამოეკეტა. ისიც კი ამცნეს ჯაშუშებმა, რა ამბავიც მოაწყო კორტუგამ საროსკიპოში. ჰოდა ასე იფიქრა, რომ საქმე ბოლომდე უნდა გაეკეთებინა, რაც შემდეგს გულისხმობდა:

- რასაკვირველია, ვეზირის მიერ შეთითხნილ ამბავს არასგზით დაიჯერებდა მთავარი, ამიტომ საჭირო იყო ვინმე მასთან დაახლოებულ ნდობით აღჭურვილ პირს ეთქვა მის-თვის დედოფლის გარყვნილების ამბავი.

დიდხანს ფიქრობდა, ვინ უნდა ყოფილიყო იგი. ასე ურჩიეს, ის მოძღვარი გამოვიტყუოთ, რომელიც დიდად დაახლოვებია მთავარსო...

როცა ლევანი შინ არ იმყოფებოდა, ჯაშუშებმა ასეთი რამ უთხრეს საყდარში მყოფ სასულიეროს:

- ლევანი დაჭრილია, შესაძლოა მოკვდეს და უნდა უკანასკნელად აღსარება ჩაგაბაროს და სული განინმინდოსო.

მოძღვარმა პირჯვარი გარდისახა და სასახლის მახლობლად მდგომ ეტლში ჩაჯდა. გზა რომ ცოტათი გაჭიანურდა იკითხა: სად მიდიოდნენ ისინი.

ამ დროს უცნობმა ხმლის ტარი ჩაარტყა კეფაში და ღვთისმოსავს გონება დაუბინდდა...

როცა გამოიღვიძა, გიორგი ლიპარტიანის წინაშე იდგა. ბერიკაცს მსახურები დაებარებინა, მოძღვარს თმას კრეჭდნენ, სამოსს ხდიდნენ. ასე ბრძანა ყოფილმა რეგენტმა:

- გაიყვანეთ და ჭყონდიდის ხის ქვეშ ჩამოკიდეთ ეგ უდღეური!!!

თვითონ გიორგი მღვდლის სამოსში გამოეწყო. წვერი შავად შეიღება, გულზე ჯვარი დაიბინა. გულით, საქმით და მონიდებით რომ ღვთისმოსავი ყოფილიყო არაფერი უნდოდა მეტი. გარეგნული აღკაზმულობა კი ხელს დიდად უწყობდა...

წვერშეღებილი და მღვდლის სამოსში გამოწყობილი ისევ საყდარში დაპრუნდა, რადგან იცოდა, უთუოდ მოაკითხავდა ფიქრმონამლული დიდი მთავარი...

არ შემცდარა მოძღვრის სამოსში გახვეული ლიპარტიანი. ლევანმა შებინდებამდე მიაკითხა სამლოცველოს!...

ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა მის სულიერ მანუგეშებელს. მოძღვარმა კი ასე უთხრა:

- შვილო ჩემო, - ხმა ცოტათი შეიცვალა და როხონხა ტემპით მიუგო: არა მაქვს სააღმსარებლო საიდუმლოების გაცემის უფლება, მაგრამ დედოფალმა ყოველივე აღიარა. შეცდა

ის წარწყმედილი და გონება არ დაგიბინდდეს. ეცადე, რომ ლმერთმა გზა დაგანახოს... „სადაც ლეშია, იქ ორბებიც გროვ-დებიან, მაგრამ დემონს ჰყავდა ალბათ შეპყრობილი, თორემ-რა ღმერთი გაუწყრებოდა, რომ შენზე ენაცვალა ვიღაც...“ აქ კი სიტყვა ვერ შეარჩია ყოფილმა რეგენტმა.

- ხმაზე რა მოგსვლია მოძღვარო? ხომ რა გამცივნებს?

- ჰო, მამცივნებს.. ხომ იცი, ბოლო დროს ვერა ვგრძნობ თავს კარგად. მაგრამ არაფერია, გამივლის ალბათ.

და არ იცოდა მთავარმა, რომ მისი მოძღვრის ნაცვლად ბიძას ესაუბრებოდა. ვერც კი წარმოიდგენდა, თუკი მსგავსს უხამსობას იკადრებდა, ამიტომ მისმა ნათქვამმა საბოლოოდ დაარწმუნა დარუნდიას დალატში...

მხოლოდ ამის შემდეგ ეწვია თავის მეუღლეს და ამცნო თავისი გადაწყვეტილების შესახებ...

•••

მღვდლის ანაფორაში გამოწყობილი ლიპარტიანი ამის შემდეგ სოფელ რუხისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა... გზა სულ დაცარიელებულიყო.

შორიდან მეურმე ურემს მოაჭრიალებდა. ხარებშებმული საბარეო ეკალ-ბარდებითა და ლორლით მოფენილ შარაზე ძლივს მიროხროხებდა.

- „სახელითა უფლისათა, მოიღეთ მოწყალება და თან წამიყოლეთ, არ დაგამძიმებთ ალბათ დიდად“, - უთხრა მეურმეს. მოხვეწარი ტონალობით.

თავის ფიქრებში გართული მეურმე ძლივს გამოერკვა და ძლივს დამარცვლა: - რასაკვირველია მამაო!

გიორგი ლიპარტიანი აცოცდა ურემზე. ჯერ მდუმარემ არაფერი თქვა, როცა სული მოითქვა ჰერიტა, რა მიჰქონდა და სად მიდიოდა ასე გვიან.

მეურმემ ხმა არ გასცა. თითქოს არც კი გაეგო მღვდლის ბუტბუტი. მაგრამ ხელახლა გაიმეორა გიორგიმ: საით მიბრ-

ძანდებითო... ახლა კი გვერდს ნამდვილად ვერ აუვლიდა უცნობს და უთხრა:

- რუხს მივდივარ მამაო; მთავარს ასე უბრძანებია, კოშკი უფრო აამაღლეთ, რომ მთელი ქვეყნიერება დავინახოო. ლოდები მოჰკულებიათ და ასე ვეზიდები ცაიშიდან რუხისაკენ. უკვე მესამედ მივეშურები იქითკენ. დღეში სამ-ოთხჯერ ერთი და იმავე აღმართის გავლა ვგონებ ძნელია. კი არა, შესაძლოა უფალსაც ვერ გაევლო გოლგოთა მეორედ!..

- ორჯერ კი არა, ერთხელაც ვერ გაივლიდა, რომ არ მიშველებოდა სიმონი, ვგონებ კვირინელი არა?

გაუკვირდა მეურმეს, საიდან უნდა სცოდნოდა კვირინელი იყო თუ გეთსამიიდან? ასე კი უთხრა:

- წესით თქვენ უკეთ უნდა იცნობდეთ სახარებას მამაო, ვიდრე მე...

გიორგი დადუმდა. მერე ისევ განაგრძო:- მაშ, კოშკის სიმაღლე დაიწუნა მთავარმა? რაო ბაბილონის გოდოლი მინდა რუხში ავაშენოო? – და ჩაიცინა. გულში კი გაიფიქრა:

ველარ მოასწრებ მის ამაღლებას, რადგან სულ ახლოა უამი განკითხვისა...

ლვთის ნებით ერთი გზა გაგვჩენია დღევანდელ დღეს! პატიმართან შესახვედრად მივდივარ მეც!

- ასე გვიან მამაო? ისე შეეკითხა ეჭვითა და გაოცებით, რომ აშკარად არ ენდობოდა... ასე ხუთი კილომეტრი იქნებოდა დარჩენილი, რომ შორიდან თვალი მოჰკრა გიორგი ლიპარტიანმა გადამწვარ სახლს...

- აი იქ, თითო გაიშვირა ყოფილმა რეგენტმა, რა მოხდა თუ იცი?

- აბა სად? უთხრა მეურმემ. საუბარი ეზარებოდა, მაგრამ რახან გასაქანს არ აძლევდნენ ვრცელი ინტერვალებისა და პაუზის შემდეგ პასუხობდა.

იქ, ცოდვილთა სახლი იყო უნინ. ამას წინ უბედურება დატრიალებულა, ხოლო გულმოსულ მთავარს სახლი გადაუნვავს.

მეტი არაფერი უკითხავს მღვდელთმთავარს. უკვე უახლოვდებოდნენ ციხე-სიმაგრეს, თან ცოტათი მოქანცულიყო ყოფილი რეგენტი და მდუმარების მანტიაც შემოიხვია.

ციხისთავმა, სანამ სიმაგრეში შესვლის განკარგულება გასცა, სათითაოდ გააჩხრეკინა სტუმრები.

•••

ცაზე ღრუბლებმა ქოჩორი აიბურძგლეს და მრისხანე ცრემლებად გადმოეშვნენ სამეგრელოს სამთავროზე.

კოშკთან შემომსხდარ მტრედების გუნდსაც თმა ყალყზე დაუდგა და თავი შეაფარეს იმ ადგილს, სადაც დედო-ზარი ჩამოეკიდათ!

ვეზირთუხუცესი ბურუსით მოცულ ოთახში იჯდა. ციხის მცველს ეხვეწებოდა პაპიროსს.

ამ დროს ანაფორიანი კაცი შემოვიდა. ციხის უფროსს მიეცილებინა სატუსალომდე და ხელთ სანთელი ეჭირა.

ჩვეულებრივი ხმით მიესალმა სასულიერო კორტუგას. ეგონა, რომ ეს ხმა ჩაესმა, მაგრამ არა. მის წინ ჭეშმარიტად იდგა სამეგრელოს მთავრის დაუძინებელი მტერი, და ამასთან ლევანის სისხლი და ხორცი გიორგი ლიპარტიანი.

სთხოვა მღვდელმა კარისკაცს, მცველს და ციხის უფროსს, მარტო დაეტოვებინათ პატიმრის პირისპირ, რადგან ენადა საიდუმლო პროცესის აღსრულება, აღსარების ჩაბარება.

უსიტყვოდ დამორჩილდნენ თხოვნას მღვდელმთავრისას.

- „დიდხანს არ გაგრძელდება პატიუნი თქვენი“, ასე დაიწყო ღვთისმოსავმა... მერე აქეთ-იქით მიიხედა და რა იგრძნო, რომ საკანი ცარიელი იყო და არავინ უსმენდა, ასე უთხრა მერაბს:

- ოქსინო, პალეკარტი და იარაღი არმაღნად გამოგიგზავნა ხონთქარმა. ასე უთქვამს: რახან ლევანი ყოველწლიურ გადასახადებზე და ქალ-ვაჟის გამოგზავნაზე უარს ამბობს,

უნდა მოკვდეს, მის ნაცვლად კი ღირსეული უნდა დაინიშნოს. ისეთი, ვინც ჩემს განაწყენებას არ შეეცდებაო„.

- მაში, მთლად გადარეულა ლევანი. ამდენი გარეშე თუ შინაური მტერი ჰყავს და მაგის განაწყენება კი იქნებოდა? – უპასუხა მერაბ ქორთოძემ.

- კანონის მორჩილია ხომ იცი დიდი მთავარი...

- კანონი? – მიმიფურთხებია ლევანის მიერ შემუშავებული სავალდებულო ნორმისათვის. მისი კანონი სიტყვა და ბრძანება როდია, არამედ შიში. ზარბაზნებით, ქვემებებით და ჭურვებით აშინებს გარშემომყოფთ. ვინ დაუჯერებდა კანონს, რომ არა მრისხანე მთავრის მონოპოლია?

- აბა, რა გეგონა? ყველა დიდკაცი თავისთავად მონოპოლისტია, ანუ ბატონობს მასზე დაბალი რანგისა და წოდების მქონეზე. ხომ რაღაცით უნდა დააშინო ხალხი. მეც ვაშინებდი მასას ჩემი ზეობისას.

დადიანის ხაჯალურს რომ უძახიან, ის მე გამოვიგონე. ახლა კი ძმისწული მედავება, ვითომდა თავად შექმნა. რა უხარის ასეთი სასტიკი იარაღი თუ გამოიგონა? ბერის სამოში გამოწყობილი რეგენტი ცხარობდა.

- კარგით დამშვიდდით მამაო! თქვენი გამოგონილი რომ ყოფილიყო რატომ დადიანის დაერქვა და არა ლიპარტიანის?

- განა მეც დადიანი არ ვიქწებოდი, რომ არ უარმეყო? – მოკლედ მოუჭრა გიორგიმ.

- თუ არ ვცდები, სალიპარტიანო მზადაა ამბოხებისთვის. მთავარია წამოიწყოთ ომი და მთელი ქვეყნიერება ლევანს აუჯანყდება. ხალხს ერთგული მთავარი დიდად არ მოსწონს. ასე ჰგონიათ, რომ კაცი უანგაროდ არასგზით არ იმსახურებს და მიუხედავად იმისა, რომ თავი შესწირა მეგრელთ, დიდად მაინც არ დაუფასებენ ომიანობის დროს.

მერე რა რომ მეგრელი გულადნი და მამაცნი არიან. თუ მთელი ქვეყნიერება კიდით-კიდემდე ამხედრდება, რაღას გააწყობენ მერმე?!

თუ ომის წამოწყებაა საჭირო, ციხე შიგნიდან უნდა გავტეხოთ. პოლიტიკური ტყვეები გავანთავისუფლოთ, რომ ისინ-

იც ვიმსახუროთ ამის შემდეგ. თუკი სიმაგრეს ხელთ ვიგდებთ ლევანი ვერ დაიმალება აქ. – თქვა მერაბმა.

- მე კი მგონია ლევანი ციხეს იმისთვის კი არ აგებს, რომ ბრძოლის უამს ჩაიკეტოს და დაიმალოს... არამედ... ჩვენდა საუბედუროდ ქალაჩუნა და ჯაბანი არ გამოდგა ეგ შეჩვენებული და ამიტომ არის, რომ ჯერაც ვერ მოვიხელთეთ. ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ომში დაღუპვას არჩევს რუხის ციხეში თაგვსავით დამალვას...

- ძალიანაც კარგი... თუკი მოკვდება საშველი დაგვადგება ჩვენც. უმეთაუროდ დარჩენილი რაზმელები კანტი-კუნტად განიბნევიან. ჰა, ჰა, ჰა... ახარხარდა ვეზირთუხუცესი.

- თურმე მთავარს მუშახელი შემოჰლევია და აპირებს ტუსალთა დახმარებას მშენებლობისას. ამიტომ, უნდა მოახერხო მერაბ და შუადღეზე პატიმრები უნდა ააჯანყო. შუადღე იმისთვისაა ხელსაყრელი, რომ ციხის მსახურთ უმეტესად სძინავთ, ხოლო მღვიძარეთ დაერივენით და მოპერაციით ციხის უფროსი, რომელსაც კლიტენი აბარია. ჩემს მოსვლამდე ციხე შიგნიდან ჩაკეტეთ, სამთავროს გერბი ჩამოხსენით კოშკიდან და შემოსასვლელ კარებთან დაფინეთ მიწაზე, რომ გამვლელ-გამომვლელმა ფეხები დაიწმინდოს.

დროებით მერაბ. ბედი ჩვენს მხარეს უნდა იყოს ვგონებ! თუ გეგმა შეიცვალა აუცილებლად გამცნობ.

ბერიკაცი გამოემშვიდობა ყოფილ ვეზირს და გულმხიარული ვრცელ გზას ფეხისამარა დაადგა.

•••

ყველა მხრიდან დამცინავ ხმას ისმენს ლევანი. „შენი ცოლი მეძავია, ამას გაპერიან საქვეყნოდ!

მთავრის სასახლეს შემოწყობია სამსჯავრო და დარუნდიას დასჯას ითხოვენ. თუმცა ეს თხოვნას არა ჰგავს, იგი უფრო მუქარის მსგავსია.

- „ბერძნული ტრადიციით გავასამართლოთ, ცხვირი მოვკვეთოთ უსირცხვილოს! თუ თქვენ ვერ გაიმეტებთ ჩვენ აღვასრულებთ ბატონო! გინდ სანადიროდ წადით, გინდ აქ დარ-

ჩით და საკუთარი თვალით ნახეთ, როგორ გაიწირება ყველა, ვინც თქვენს უნმინდესობას უღალატებს და შეარცხვენს.“

- მეგრელთ სულში შეგვაფურთხა და ამას არ ავიტანთ... დაისაჯოს, დაისაჯოს, - ან მოკვდეს, ან ცხვირი მოეჭრას. უკანასკნელი სიტყვა და არჩევანი ლევანისა იყოს! – გაპერიოდა ბრძო...

- „შერცხვენილი ხარ მთავარო და ჩამოიბანე სხეულიდან ეგ სიბინძურე“, – ასე გაპერიოდის ვიღაცა ლევანის არსებაში.

- რა ჰქნას,? ვერ გაიმეტებს მსგავსს მშვენებას სასიკვდილოდ... ისევ ცხვირის მოკვეთა სჯობია. გულმოკლულმა მთავარმა პილატეს მსგავსად თქვა – ისე ჰქმენით, როგორც საჭიროდ მიგარინათ, მაგრამ თუ უცოდველია, თქვენი შეცდომებისთვის თქვენსავე სისხლსა და ხორცს პასუხი ეგოს... თუკი უცოდველს მოპერაციას სიცოცხლის ფასად გამოგეხსყიდოთ დანაშაული...

- კი მაგრამ რა გჭირს მთავარო, აიმალლა ერთ-ერთმა ხმა. ნუ დაუბრმავებიხარ მაგ სიყვარულს. სასახლე ხომ არ შეიძლება შერცხვენილი იყენეს? ლვთის გულისათვის...

ვერ გადაეწყვიტა მთავარს რა ექნა. მზად იყო თუნდ ეპატიებინა, მაგრამ ხალხი არ აძლევდა გასაქანს.

კარგით, კარგით... სამი დღე მაცალეთ... მხოლოდ სამი. და მერმე ერთად გავძლეთ დედოფლის სისხლით. - თქვა და სასახლისკენ იქცია პირი.

•••

თავისი პაპის ღარიბული ოდა მიიჩნია ამ წუთში თავ-შესაფრად, რადგან ბრძოს გაუსაძლისი ყვირილი ყურთასმენას უხშობდა. სასახლემდე გზაც უსასრულოდ მოეჩვენა და ბამბუქებისგან დაწნულ სახლში შევიდა.

მოსველო მიწაზე განერთხო. მხრებში დაღლას გრძნობდა. გარედან რაღაც ხმა შემოდიოდა. იგრძნო ლევანმა, რომ ვიღაც უახლოვდებოდა სრას.

ნაწიმარი იყო იმ დილის და ასე გაიგო მთავარმა ფეხის ხმა. თურმე ტყავის ჩემებში წყალი მაშინ შევიდა, როცა გუბე-ში ჩაუვარდა ფეხი. ამას ისიც ერთვოდა, რომ რადგან შუადღის მზე ამოსულიყო, უცნობს ლანდი მოსდევდა. ოდა, როგორც ვთქვით, ბამბუკისგან შეეკრა მის შემქმნელ ხელოსანს. ამი-ტომ ჭუჭრუტანიდან გაიხედა ეჭვაღძრულმა ლევანმა, რათა ყოველივე დაედასტურებინა.

უეცრად, ვიღაცამ დანა იშიშვლა და ნასვრეტებში გაერ-ჭო ბასრი, ალესილი იარაღი. ლევანმა ბედად, რომ განზე გახ-ტომა მოასწრო. როცა დანის წვერმა ცოტათი გაჰკრა ფერ-დზე მთავარმა ამოიგმინა. იმ მამაკაცმაც იფიქრა, მთავარი მოვკალიო და დაიყირა: „ჩაძალლდი ვერაგორ?!”

ოდის კარებიდან შემოირბინა. ამ დროს მთავარმა იშიშ-ვლა ხმალი. მაგრამ რა ხდება? ხელის მტევანი არ ემორჩილება. უნდა მოკლას, მაგრამ ამჩნევს, რომ მის წინაშე ღვიძლი ძმა, იესე დადიანი დგას.¹

დანამდვილებით არ ვიცი, ვისგან ეყოლა მანუჩარს მე-ორე ძე, მაგრამ გვარი კი მისცა და სასახლეში დიდი პატივით ზრდიდა თავის კანონიერ შვილთან ერთად!

ლევანმა არაფერი სთქვა. მხოლოდ ცრემლი გადმო-უგორდა თვალთაგან და ისიც ისე მოიხოცა, რომ მოღალატე ძმას არ აჩვენა.

იესე ფეხებში ჩაუვარდა დიდ მთავარს და ევედრა:

- მომეძალა უკეთურება ლევან, რომ ძმის სისხლით გაძლომა დავაპირე. მაგრამ ეშმაკეული მჭირს და შემინდე...

- წადი... ბრძანა დადიანმა. შენ რომ ძმა არ იყო ჩემი, თვა-ლებს დაგთხრიდი მოღალატე. მაგრამ დაუსჯელი მაინც არ წახვალ... ამდენი მტერი მახვევია გარს და თუ მე მომკლავენ, ალბათ შენ დაგტოვებენ სამთავროში მმართველად. სრული-ად უღირსსა და გამცემელს, მეგრელების მოძულეს და მტერ-თან მოკავშირეს... ამიტომ მონასტერში ბერად აღგავეცავ,

რომ იქიდან ვერასდროს შეძლო სამეგრელოსთვის ლახვარის ჩაცემა.

იესე კი ემუდარებოდა არ გაეწირა სამარადუამო ღვთის-მსახურებისთვის. მამონის მსახური იყო და როგორ ეცხოვრა საღვთო წესით?

- ლევან, ლევან... კარგი ჯარისკაცი ვარ. ხომ იცი ომში სარდლობა შემიძლია. ან მედროშე ვიქენები, რომ ჩემი გვარის გერბი და ალამი ვაფრიალო მტერ-მოყვარეთა თვალის დასაბნელებლად.

ამ ყვირილსა და მუდარაში მთავრის ლეგიონებმა გაკოჭ-ეს, შავი მანტიით შემოსეს და ყველასგან მაღულად რომე-ლილაც ტაძრისკენ მიმავალ გზას გაუყენეს...

•••

თურმე ამაო ყოფილა ჩემი ცხოვრება. საკუთარმა ძმამ მიღალატა, ყველამ გამწირა... სისხლისმსმელებივით მო-მდგომია კარზე ამბოხებულები და მთხოვენ ჩემსავე სიყვა-რულს ცხვირი მოვაჭრა, რაღაც წყეულ ბერძენთა ტრადიცი-ის გამოისხით.

მაგრამ, არ გაგწირავ დარუნდია, ვფიცავ, რომ კბილებით დაგიცავ ყველასგან.

- დარუნდია, დარუნდია, - ერთი-ორჯერ შემოსძახა მთა-ვარმა სასახლეში. ქალი სახლის იმ ოთახიდან გამოვიდა, სა-დაც სამლოცველო მოეწყო მთავარს.

- ვღოცულობდი ლევან, - მხოლოდ ღმერთი თუ გადამარჩენს ყველასგან განწირულს. ხომ იცი ღმერთთან ჰარმონია ადამიანს უსათუოდ სჭირდება.

- სწორი ხარ დედოფალო, მაგრამ მარტოოდენ იმის-ათვის არ გიღალატებ, რომ ორსული ხარ. ასეთი გეგმა მაქვს ამბოხებულთა თვალის ასახვევად:

- შენი ერთგული მსახური, რომელიც უზომოდ გგავს შენ და სეტემანმა რომ ქორწილის დღეს ცხენზე შემოსმულმა მოიყვანა, ის უნდა გამოვაწყოთ დედოფლის სამოსებში. ფე-

¹ აქ ისტორიულ ცდომილებასთან გვაქვს საქმე, სინამდვილეში იესე დადი-ანმა მთავრის მოკლა აფხაზ მერიქიფეს დაავალა. როცა ლევანმა ძმა ლალატე ამხილა, თვალები დასთხარა და ქონების კონფისკაცია მიუსავა

რუმარილითა და გრიმით სახის ნაკვთები ცოტათი შევუწითლოთ, თმაც შევუღებოთ. ერთი სიტყვით დარუნდია შარვა-შიძედ ვაქციოთ ის საბრალო.

- რისთვის ლევან? საკუთარი მეობა წავართვათ და ძალად სახელგატებილი ქალის სახელი დავარქვათ?

- მომისმინე. არჩევანი რომ მქონდეს არც კი ვიკადრებდი, მაგრამ ჩემს სიყვარულს გაფიცებ, თუკი ჯერაც შემოგრჩენია ჩემდამი რაიმე გრძნობა, შენს ნაცვლად ის ქალი დავსაჯოთ. მარტოდენ ცხვირსმოჭრისითვის რა უჭირს მაინც...

- როგორ, ამას შენ ამბობ ლევან? – იუცნაურა მთავრის ასულმა. თუკი არაფერია, დაე მაშინ მე დამსაჯონ, მე მომჭრან ცხვირი. როგორც შერცხვენილს. არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ დაისაჯოს, რომ მსახურია, თანაც უერთგულესი.

- აბა რაღა უნდა ვქნა? არც ის შეიძლება, რომ შენ დაგსაჯონ. – თითქმის მოტირალი ტონალობითა და სასოწარკვეთილი კილოთი წარმოთქვა ლევანმა.

- დაე ბედს მივენდობი... იქითკენ გავყვები დინებას, საითაც გამიტყუებენ ტალღები...

- უიმედოდ შთენილ მარტსულ მთავართაგანს ცრემლები ერეოდა სახეზე. არ უნდოდა მისი სისუსტე სატრფოს შეემჩნია და გარეთ გავიდა მოუთმენელი...

•••

ვიღაც მშვენიერი შიმუნვარი მთავრის ბრძანებისამებრ სამთავრო, სადედოფლი რეგალიებში გამოაწყვეს. ცოტათი გაალამაზეს, გამოპრანჭეს და აუხსნეს, რომ დარუნდიას პატივისცემით უნდა დაეთმინა ყოველი. მერე ისიც გაანდეს, რომ თავი დედოფლად უნდა მოეჩვენებინა და ჯალათისგან მიყენებული ყოველგვარი ტკივილი უსიტყვოდ აეტანა...

ბევრი არც კი უყოყმანია მშვენიერ ასულს... მოვალეობადაც კი მიიჩნია ღირსეულად ემსახურა მისთვის...

ამ გოგონამ ერთი საიდუმლო იცოდა, თუმცა არასოდეს არავისთვის გაუმხელია. სეტემბან შარვაშიძეს ერთი და ჰყავდა... რომელიც უწინაც ვახსენეთ ნაწარმოებში. აი ის, წის-ქვილთან რომ თეთრი წინსაფრით იდგა.

პოლიტიკურ ქორწინებას აიძულებდა სეტემბანი თავის დას. მან იუარა და მთაში სატრფოსთან ერთად გაიხიზნა.

რომელილაც ომი იყო. გოჭოურასთან თუ არ ვცდები. იქ იბრძოდა სეტემბანის არალიარებული სიძე და ომში დაიღუპა კიდეც.

დაქვრივებულ და ახლადდაოჯახებულ ქალს არაფერი ებადა. ჩვილი ბავშვი ჰყავდა. იფიქრა, თუ თავის ძმასთან მივიღოდა ახალშობილითურთ, თავშესაფარს მაინც მისცემდა. ბოლოსდღაბოლოს შარვაშიძის გვარისა იყო...

თავის დაზე მთელი ცხოვრება გულმოსული იყო, მაგრამ მაინც შეიბრალა. მერე ის იყო სეტემბანის მეუღლე მოინამლა და გარდაიცვალა. დარუნდიაც სულ თოთო იყო და მამიდა აწოვებდა ძუძუს.

სეტემბან შარვაშიძე მაინც არ აღიარებდა თავის დის-ნულს კანონიერად შვილად. ამიტომ, როცა წამოიზარდა და-რუნდიას მსახურება და შიმუნვარობა ჩააგონა მოზარდს...

თავისი დის საქციელის გამო შერცხვენილად მიიჩნევდა აფხაზი მთავარი თავს. როცა დარუნდია ღირსეულ მმართველს მიათხოვა, თან მზითვებში თავისი დისწულიც წააყოლა. იფიქრა, რახან არც დარუნდია სახლში და არც ხათუნა, ჩემს დასაც არ გაუჩერდება გული შინ და გადაიხვეწებაო.

ერთხელ, სეტემბანისგან მალულად დედამ თავის ასულს გაანდო, რომ დარუნდია მისი ბიძაშვილი იყო. რომ ღირსეულად უნდა მოქცეოდა მას და დაეცვა.

როცა მთავარმა ამცნო, დარუნდია გასაჭირშია და დასჯას ან მოკვლას უპირებენო, ხათუნამ თურმე შეიცხადა. ასე უთქვამს საბრალოს:

- მე გავწირავ თავს მისი გადარჩენის სანაცვლოდო!

დარუნდიას კი ყოველივე დაუმალეს. პირიქით, რადგან სამსჯავრო მოახლოვებულიყო, დედოფალი სადმე უნდა გატყუებინა მთავარს.

სანადიროდ წასვლა მოიმიზება თურმე ლევანმა. თან იახლა დედოფალიც. სანადიროდ აღკაზმულ შარვაშიძეს გზად მოაგონდა, რომ მისი საყვარელი მიმინო შინ დარჩენოდა. ამიტომ მთავარს უთხრა:

- ლევან, ერთი-ორი სპა გამომაყოლე სასახლეში. შენ გზა განაგრძე და მეც მალე დაგეწევიო.

მთავარი ეხვენა, არ დაბრუნებულიყო. თუმცა მის ვედრებას ყური არ ათხოვა დარუნდიამ და ცხენი სასახლისაკენ გააჭენა...

როგორც კი სრას მიუახლოვდა, ბრბოც მოადგა და დედოფალს გინება უწყეს.

ამ დროს დაინახა, რომ ვიღაც კარისკაცებს თავისი შიმუნვარი მოჰყავთ. აფხაზური იერითა და უნაზესი მოძრაობით იცნო, თორემ სხვა მხრივ დედოფალს ჰერცოგავდა.

მიუხვდა ლევანს ჩანაფიქრს. იმიტომ გაიტყუა ტყეში, რომ ამასობაში მასთან გაზრდილი, ვითომდა დედოფლად ქცეული მშვენიერი ასული სატუსალოში წაეყვანათ და ცხვირი მოეკვეთათ, ვითარცა შერცხვენილს. ალბათ ამიტომ ემუდარა ლევანი დედოფალს, არ დაბრუნებულიყო შინ. შესაძლოა არც გამოეშვა, რომ სცოდნოდა, რომ პროცესია უკვე დაწყებული იქნებოდა.

- მე ვარ დედოფალი დარუნდია შარვაშიძე! – დაიყვირა ქალმა და ბრბომ ძლივს გაიგო ქალის მისავათებული კივილი.

ხათუნა თმებს იპუტავდა, ევედრებოდა არ გაემხილა ყოველი.

ბრბო დაიბნა... ვერ ამოიცნეს, რომელი იყო დარუნდია ჭეშმარიტად.

- სულელნო, ეს მე ვარ, დარუნდია შარვაშიძე, სეტემანის მხოლოდშობილი ასული. მზად ვარ აღასრულოთ თქვენი ნება.

- მაშ ის ვინ არის? კითხულობდნენ გაოცებით...

- ჩემი შიმუნვარია, აფხაზეთში ერთად ვიზრდებოდით სეტემან შარვაშიძის კარზე...

მსახურს მცველებმა ხელი უშვეს. ხოლო დარუნდია თვითონ ბრბომ დილეგისკენ წაიყვანა.

უზარმაზარი ოთახი იყო... საბრძოლო იარაღებით და ტექნიკით სავსე. ამასთან აქ შეგეძლოთ გენახათ შანთები, რკინის ფირფიტები, (რითაც დამნაშავეს აბრმავებდნენ) ხოლმე, ხუნდები, დადიანური ხაჯალური, ჯაჭვები, თოკები;

უკვე გაემზადებინა ჯალათს შანთები. ნაკვერჩხალზე დაელაგებინა სათითაოდ. გვერდზე დანები ელაგა.

- „არა, თვალს ნუ დავთხრით, ცხვირი მოვკვეთოთ ჯალათო, - გამოექმაგა ერთი...

- ცხვირი მოვკვეთოთ... გამოეხმაურა ხალხიც.

დედოფალი დანჯღრეულ სკამზე დასვეს. თოკებით დააბეს. თმები გვერდზე გადაუნიეს.

ჯალათმა აიღო ინსტრუმენტები და ქალს ცხვირის მოჭრა დაუპირა... შეეცოდა რამეთუ, იცოდა, დედოფლის ნაცვლად ვიღაც ქალი უნდა მოეყვანათ.

ზოგადად, ჯალათმა და მკვლელებს რეინის გული აქვთ. მაგრამ იფიქრა: ტკივილგამაყუჩებელი ხომ არ გავუკეთოთო! ხალხსაც გაანდო ჩანაფიქრი. მაგრამ მტკიცე უარით უპასუხეს.

დანის შეხებისთანავე ქალს ცრემლები გადმოუვარდა. ითხოვა, სიტყვა ეთქვა უკანასკნელად, სანამ აღსასრული დადგებოდა მათი ჩანაფიქრის:

ნებადართულმა კი ასე თქვა: - „სისხლით, სისხლით გაზღვევინოთ წმინდა გიორგიმ, რომ ჩემს სილამაზეს ასე ნაცრავთ და სულსაც რომ მიხრნით! დაე, სულ მალე გაზღვევინოთ ზეციურმა ძალებმა....”

ჯალათი უკანასკნელად შეეხო და როცა გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო, ხოლო სისხლმა შადრევანივით იფეთქა, მშვენიერ დედოფალს გული შეუღონდა და იატაკზე სკამიანად გადაეყუდა!

როცა დედოფალი ასე შეყოვნდა, ანერვიულებულმა მთავარმა დაბრუნება გადაწყვიტა. სასახლეს მოუახლოვდა თუ არა გული უცნაურად აუძგერდა. ძლივს გაიკვლია ბრბოში გზა და არც კი ახსოვდა, როგორ ჩამოქვეითდა ცხენიდან. როცა სამსჯავროში შევიდა და მშვენიერი ცხვირმოკვეთილი ასული მინაზე გართხმული ნახა ღრმად ჩამტერდა. გვერდზეც

მიიხედა. დარუნდიას მსახურს მუცელზე დააკვირდა. „არა, ნამ-დვილად არ იყო ორსულად!“ და მიხვდა, რომ სამსჯავრომ ჭეშ-მარიტად დარუნდია შარვაშიძე გაასამართლა. როცა შემოეს-მა მსახურის ცრემლნარევი ხმა „ვერაფერი განვაწყეო“, ხმალი იშიშვლა მხოლოდ და ჯალათს შიგ გულში ჩაჰქრა. მერე იმ ორ მცველს მიუპრუნდა, რომლებმაც არ დაიცვეს დედოფალი და ორთავეს, ნამის უსწრაფესად თავები გააგდებინა!...

- ღმერთო ჩემო, ეს რა დაგმართეს წყეულებმა. ჩემი არყოფნით ისარგებლეს? ძირს დაიხარა და ცხვირმოკვეთილ მშვენიერ დარუნდიას თვალებში ჩახედა. მაგრამ ამ ქალზე უკვე არ ითქმოდა მშვენიერი. ცრემლი და სისხლი ერთმანეთში არეულიყო და ნელ-ნელა შედედებასაც აპირებდა. რაღაც ნაჭერი ეფინა სახეზე და იმდენად მახინჯი იყო, რომ მზერა აარიდა დიდმა მთავარმა...

- შენი ბრალიც არის... ჩიოდა ქალი და სთხოვა აფხაზეთს გაემგზავრებინა...

ჩვენი სიყვარულისა შეშურდათ ღვარძლიანებს. დღეიდან კი წავალ, წავალ შენი ცხოვრებიდან ლევან, რადგან საკმარისია, რაც დამამცირეს და რამდენადაც შეურაცხმყვეს. ცხვირმოჭრილი დედოფალიც რაში გამოგადგება ანი? ისე კი იცოდეთ წყეულნო მეგრელნო! მე ბრალი არაფერში მიმიძღვის და ცამდის მართალი ვარ... წახვამდის ლევან! ჩემო ერთადერთო და უმშვენიერესო სიყვარულო... რას იზამ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი და აჯობებს ორივენი დავმორჩილდეთ.

- ნუ წავალ დარუნდია – ეხვენა ლევანი. ბევრი მუდარის მიუხედავად ზურგი აქცია ქალმა.

- რისთვის დავრჩე იქ, სადაც არ მაფასებენ. თუმცა რა გასაკვირია, შენ, რომელმაც მთელი ცხოვრება მათ შესწირე და შეალიე, შენ რომელმაც ისინი ააღორძინე, დააპურე და იხსენ მონობისაგან, შენ, რომელმაც ასწავლე და მოხოცე ცრემლი სევდიანებს, - აღარ დაგაფასეს და უშენობით ისარგებლეს; კარგს არაფერს მოელოდე ლევან! მისწერე შაჰს წერილი, გინდა ხონთქარს, რომ მონებად გაჰყიდონ თითოეულნი! აი, ეს იქნება მათი სასჯელი. რამეთუ უმადურები უკეთესის ღირსნი არც არიან!..

•••

დარუნდიამ ცრემლები მოიხოცა და ცხენების შეკაზმა მოითხოვა. სასახლიდან ხატი გამოიტანა, თან იახლა მასთან გაზრდილი ერთგული მსახური (თავისი ბიძაშვილი) და გაუყვა აფხაზეთის გზას.

ლევანმა ვერაფერი შებედა. მარტო გაცილება ისურვა დარუნდიასი. ხალხის მძულვარე მზერასაც ხომ უნდა გაქცეოდა სადღაც.

როცა რუხის ციხე-სიმაგრეს მიუახლოვდნენ, ასე ამცნეს მთავარს, რომ ციხის უფროსი მომაკვდავია, ხოლო პატიმრებს ვიღაც ახალი ტუსალი ამბოხებისკენ მოუწოდებსო.

შუდულივით გაექანა მთავრის რჩეული არმია. ციხეში შეიჭრნენ და ტრიბუნაზე მდგომ ყოფილ ვეზირს გაკოჭვა დაუპირეს.

ამ უდღეურს ისე განეწყო მუშები და თვითონ პატიმრები, რომ დასტაცეს ხელი სამშენებლო იარაღებს და მთავრის არმიას შეუტიეს.

ბრძანა ლევანმა ამოეჟლიტათ ამბოხებულები. ხოლო მერაბ ქორთოძე ცოცხლად შეეპყროთ.

ბედად, რომ მთავარმა მოუსწრო, თორემ აქ რომ ლიპარტიანი მოსულიყო და ციხე შიგნიდან გამოეკეტა, მერე არაფერი უშველიდათ!

ურჩიეს მთავარს: - კაცთა კვლაზე ხელი აეღო. ბოლოს და ბოლოს მოძმენი იყვნენ.

მან კი დაიყვირა: - განა მათ კი იციან ძმობა? ის, ვინც არ აფასებს და უკმაყოფილოა დღევანდელი დღით, უკეთესს ვერც ეღირსება ხვალ. მეტი რა უნდათ? უშინ ოქროს მონეტებით დავაჯილდოვე და მთავრები და მეფეები არ არიან, სასახლეში რომ განვამწესოო...

კორტუგა ცოცხლად შეიპყრეს. მთავარს მიჰვარეს. მან კი უთხრა ვეზირთუხუცესს. – წყეულო, შენი სისხლით გაძლომაზე მართლა ვერ ვიტყვი უარს...

••••

ამ ომის გამო დარუნდიას გაცილებაც ვერ მოახერხა. ისევ სამთავრო ანაცვალა თავის სიყვარულს. სიმართლე რომ ვთქვათ, დიდად არ ეპიტავებოდა შერცხვენილ მთავრის ასულს, თუკი ენგურს გაღმაც მიაცილებდა მთავარი მას.

რა ბედი ეწია ვეზირთუხუცესს? ალბათ გაინტერესებთ მკითხველო.

ლევანმა იგი სასახლეში წაიყვანა. მოგეხსენებათ, ეზოში ზარბაზნები ჰქონდა განლაგებული. თავის უბედურებისგან გახევებულმა ასეთი რამ ბრძანა:

- ეზოში, რომელიმე ხის ქვეშ წარკვეთეთ მოლალატეს თავი. სხეული მშიერ ღორებს მიუგდეთ საჯიჯგნად.

ბრძანებაც ასრულდა. კმაყოფილმა მთავარმა ამის მერე კორტუგას თავი ზარბაზანში ჩატენინა და ბრძანა გაესროლათ.

ყრუ გუგუნმა შეაზანზარა სამთავრო. ზარბაზნიდან ნასროლი თავი ჰაერში დაიფშვნა, თითქოს რომელიმე თოჯინა ყოფილიყო.

ცოტათი გამხიარულებულმა მთავარმა ასე დაიქადნა:

- „მოლალატეები დღეიდან ამგვარად დაისჯებიან„...

მერე ის იყო მღვდელი მოიძია მთავარმა, მაგრამ ვერსად იპოვნეს, თითქოს ცასა და მინას შორის აორთქლებულიყო საბრალო...

ზარბაზნების, ქვემეხების, ტყვიათმტყორცნების კვამლმა სასახლე მთლიანად ნისლში გახვია.

აღარც ოდა მოსჩანდა ამ ბურუსში, აღარც სამრეკლო. უბედურების ნიშნად რუხის ციხეში ზარები გამალებით რეკლენენ.

თითქოს სამყაროზე მეორედ მოსვლა იწყებოდა. ერთი ეგ იყო, რომ ქრისტე არსაიდან ჩანდა...

მტერი დაიძრა ყოველგან! – ამბავი მოიტანეს მეგრელებმა.

მთავარმა ერთი გულიანად ჩაიცინა; მხოლოდ ეს უთქვამს: ასე უქნიათ ნაცარ-მტკრად უქცევიათ ეგ ულირსი სამ-

თავროო და სასახლეში განმარტოვებით მდგომი როიალისკენ მიუმართავს, რათა თავისი სიყვარული მისაღებ ოთახში მაინც მოლანდებოდა...

ოთახში შევიდა... დაიძახა დარუნდიაო, მაგრამ არავინ გასცა პასუხი.

როიალზე შავმა კატამ გადაირბინა და კლავიშებმა რაღაც შემზარავი გლოვის ხმა გამოსცეს.

ეს ყოფილა შენი ბედი დარუნდიაო და შეზლონგზე მჯდომმა მთავარმა გულიანად იტირა...

მწუხრის ვარსკვლავიც გამოჩენილა იმ ღამით თურმე...

III ნების

(ტრილოგია)



- ნესტან, ნესტან, - სადა ხარ წყეულო დედაკაცო, გაის-
მა მოხუცი ლიპარტიანის ხრინწიანი ხმა.

მუხლმოყრილი ქალი ბინძურ იატაკზე გართხმულიყო და
შეშლილივით იცინოდა. გამაოგნებელი სურათი იყო. მსგავს ს
ტილოს რუბენსი, გოია, რემბრანდტიც კი ვერ შექმნიდა. ქალს
ხელში ღვინის ბოთლები ეჭირა და საშინელი სიმყრალის სუნი
ასდიოდა...

რცხვენოდა გიორგის, რადგან კაცივით ეძალებოდა
კნეინა სასმელებს. სანადიროდაც დადიოდა, დროსტარება-
საც არ აკლდებოდა. მოკვდავი იყო და გაემართლებოდა, მაგ-
რამ?! არ იცოდა, რომ სარკე იყო სასახლის და ბევრი რამის
უარყოფა მოუწევდა. ხომ შეახსენა მრავალჯერ, რომ დაუსრუ-
ლებლად უნდა ეტარებინა ნიღაბი და ყოველგვარი ავხორცუ-
ლი თუ ამორალური მიეჩქმალა!?

ნესტანს ერთი საზიზღარი თვისებაც გააჩნდა. ალბათ
იმიტომ, რომ არისტოკრატულ, სასახლისეულ ცხოვრებას პა-
ტივს არ სცემდა და ხშირად მდაბიოსავით ილუკმებოდა პურო-
ბისას. ბევრს ეცადა ლიპარტიანი აღმოეფხვრა მასში ეს ავი,
მაგრამ ამაოდ...

და ხშირად, როცა უცხო ქვეყნებიდან თუ მეზობელი
სამთავროებიდან გიორგის მიერ გამართულ პოლიტიკურ სე-
რობებს წარჩინებული სტუმრობდნენ, ლიპარტიანი მეუღ-
ლეს ნალიაში გამოკეტავდა ხოლმე.

ნესტან-დარეჯანი თითქმის არ ახსოვდა გულქვა რე-
გენტს. მომხდარა ისეც, რომ რამოდენიმე დღე უჭმელ-უს-
მელს გაუტარებია ოთხ კედელს შორის...

ისეთ მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში იყო საპრალო
დედოფალი, რომ გასაკვირი არც იქნებოდა რომც შეშლილ-

იყო. სულ მარტო იყო დედამინაზე. ხშირად აღმოუტევებდა კიდეც: ადამიანი უსულო ფიტულია და ძალად მოსიარულე ქმნილება, მეტი არაფერი....

გასაოცარი ის იყო, რომ ესოდენ უბედური დედოფალი მოტირალი არავის უნახავს. „დედოფალი“, პირობითად ვამბობ, თორემ აბა რა დედოფალივით ცხოვრობდა ნესტანი....

მოხუცი ლიპარტიანი თავისთვის განმარტოებული რა-ლაც საღებავებით ითითხნებოდა. მთელი ცხოვრება ცდი-ლობდა ამაღლებულისა თუ ფასეულის შექმნას. სწამდა, რომ ბუმბერაზი კაცი იყო და ლირსეულად გაელია ცხოვრება. ესო-დენ ამაყს ხშირად ასევე მისთვის დამახასიათებელი და შესა-მშვენი სიტყვები წამოსცდებოდა, რომელიც მართალია ბუმე-რანგად მიემართებოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა, როცა თავისავე შეთითხნილ და გამოგონილ, ვითომდა საგვარეულო გერბს რომ აკვირდებოდა. შესწორებები შეჰქონდა, თით-ქოსდა ხვეწდა გამონაგონს დღითი-დღე. ეს ის გერბი იყო, რომელიც სძაგდა ლევანს, რადგან დადიანებისდა წინააღმ-დენ საბრძოლველად გამიზნულიყო ყოველი.

გულბოროტები დიდხანს სიცოცხლეს იმსახურებენ, რა-თა მოუნამლონ ადამიანებს ცხოვრება. ავი და პირმოთხე ღმერ-თსაც არ ჭირდება და ამიტომ ვერ იცლის ამგვართათვის. სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ ხანშიშესული კაცი მუხის ხესავით ამაყად იდგა სამზეოზე და სრულიად ბებერს მაინც ეწადა ერთხელ გალაშქრება ძმისწულის წინააღმდეგ.

ერთადერთი რამ ატოვებდა და ანერვიულებდა ყოფილ რეგენტს. როცა ხედავდა, რომ სამეგრელო აღორძინებისა და ფენიქსებრ განახლების გზას შესდგომოდა. თავს ყველას ერ-თგულ, ღირსეულ მამულიშვილად ანახებდა, სინამდვილეში კი სძულდა ყველა და ყველაფერი, რაც ოდიშს უკავშირდებოდა.

ყველაფერი სათუთია ქვეყანაზე და მათ შორის ადამი-ანი... მაგრამ ეს კაცი იყო მარტოოდენ სიკერპე. ქვაზე უფრო გულქვა და ყინულზე უცივესი.

გიორგი ლიპარტიანი მიუახლოვდა ნესტან-დარეჯანს და ზემოდან უწყო მთვრალ, შემლილ დედაკაცს ცქერა. (უყვარ-და ზოგადად ზემოდან გადმოხედვა).

ბოლოს, მოთმინებადაკარგულმა დედოფალს ცემა დაუწყო.

- გაიღვიძე წყეულო დედაკაცო... ეს რა გზას დასდგო-მიხარ. ნუთუ სისხლმა გიყივლა. შერცხვენილი გვარისა კი ხარ. დედა მეძავი იყო. მერე ვითომ წმინდანობა განიზრახა. როცა მონასტერში არ მიიღეს, ჭკუიდან შეიშალა. მამა ლოთი იყო, ხოლო ძმა არარაობა. გაიღვიძე, ფეხზე წამოდექი შეჩვენებუ-ლო მოჩვენებავ.¹

შენი მოყვანის დღიდან პირბადე ჩამოიფარა ჩემმა ცხოვრებამ და ფორტუნაც აღარ მიცინის. ღმერთს შენთვის მხოლოდ სილამაზე მოუნიჭებია და მასაც ვერ იყენებ. ჩაიხედე სარკეში, ნახე როგორ გაგიფუჭებია ფერუმარილი. ასე უშინოდ როგორ შეიღებე მაინც?! ახლავე წადი და შენი ტყირპიანი სახი-დან ჩამოიშორე ეს სიშავე. რა მომენტა მაინც შენში?

ის თვალები, წინათ რომ მხიარულად და ლალად ვერ ეტეოდნენ ღრმად ჩაჭრილ თვალთა უპეებში, რად დაემსგავს-ნენ მძვინვარე ცხოველებს? – მხოლოდ რომ სევდით ციმცი-მებდნენ რა მიჭირს მაშინ. სევდა არ გამლევდა ნესტან, მაგ-რამ შენში ამოვიცანი ბერიკაცის სიძულვილი.

მთვრალს არაფერი ესმოდა, გარდა უგულო კაცის გული-დან ამოსული სიტყვებისა. განა ღვინით იყო მთვრალი?! სას-მელით ძნელად თვრება ადამიანი, გრძნობით კი იოლად. უსიყ-ვარულოდ შთენილი ყარიბი მანდილოსანი ვერ უძლებდა აუა-რებელ ნეოლოგიზმს.

ცხოვრებამ და ბედმა მცინარმა გათელეს და დაათვრეს საბრალო ნესტანი. მერედა, როგორ ისარგებლეს მისი უმან-კოებითა და ქალური სინაზით... იგი ჰეგავდა მგლისგან მოხელ-თებულ კრავს, მაგრამ კრავისგან განსხვავებით არ ცდილობდა თავის დახსნას.

როცა ყოფილმა რეგენტმა ვერ მოახერხა ქალის მოთ-ვინიერება, ასეთ რამეს მიმართა: ცდილობდა მთვრალ დე-დაკაცთან გულახდილი საუბარი გაება. იცოდა ბანოვანი არ მოერიდებოდა სიმართლის თქმას. ჰოდა ასე დაიწყო ნესტან-დარეჯანმა:

¹ ნესტან-დარეჯანი — ასული როვანოზ ჭილაძისა და უტანდარ ჩხერიძისა

- არ მიყვარს, როცა მარტოობა მეკეკლუცება გიორგი. ყველანაირ გამასხარავებას ავიტან, მაგრამ მარტოობის დაცინვას კი ვეღარ. მერედა რა მელაძუა გრძნობაა თუ იცი? ნელ-ნელა სახლდება შენში და თითქმის გიპყრობს.

„ამდენ ხალხში ვარ“, მაგრამ მაინც მარტო ვარ. იმიტომ, რომ ღვთაება მარტოობისა ჩემშია, ისე, როგორც თვითორწმენა. მაგრამ მე რომ თვითორწმენაც არ გამაჩნია?

ყოველ წამს მამცირებ და მსახურივით მეპყრობი. მეც დავაჯერე თავი, რომ არარაობა ვარ, მაგრამ შენ მაინც რად ცდილობ ჩემი კერპი დამსხვრიო? შენ ხომ გამთავრება და მეფობა გნადია. შესაბამისად ურცხვი და პატივაყრილი დედოფალი აბა რაში გამოგადგება?

შენგან გარიყული ვარ გიორგი. საშინელებაა, როცა არავის ესმის შენი. იცი რას ჰგავს იგი? აი იმას, მღეროდე და მსმენელს რომ გულისყური სხვაგან ჰქონდეს, ლექს რომ კითხულობდე რიხით და შემართებით, ამ დროს შენი ერთი სიტყვისაც არ სჯეროდეთ.

- შენ განმარტოვდი ჩემგან წყეულო და ბრალს ნუთუ მე მდებ? რად ხარ უბედური თუ იცი მაინც?

- ვიცი, როგორ არა. შენს გამო ვარ ასე. რასაც მთავაზობდი იმის ნახევარიც არა ხარ. ასეა ყველა შეყვარებული. უფლისწულებად გაჩვენებენ თავს და უცებ, დაოჯახების შემდეგ ხვდები, რომ შენს გვერდით მდგომი ქიმერაა, მოჩვენებაა, აი ისეთი, შებინდებამდე რომ რაღაც ლანდსავით აგეტმასნება, ხოლო ღამით განგშორდება.

- მერე რა... ასე შექმნილა ათასობით ოჯახი ნესტან...

- ათასივე დაშლილა, რადგან ფარისევლობით შექმნილს არ უწერია ხანგრძლივი ცხოვრება. შენ მძვინვარე მხეცი ხარ და არა ადამიანი. დღე-დღეზე ჩაქრება შენთვის საწუთოოს მზე. მერე რისთვის იბრძვი ასე გაშმაგებით იცი კი მაინც?!

არ მოგენატრა მშვიდობა?! მ-შ-ვ-ი-დ-ო-ბ-ა – დამარცვლა ნესტან-დარეჯანმა და ამღვრეულ თვალთა ქავილი იწყო.

თითები მოუვლელი ჸქონდა, თმა მოუწესრიგებელი. ბინძურ სამოსში გამოწყობილი მოგეჩვენებოდა შინამოსამსახურედ. ფრჩხილებში ჭუჭყი დაგროვებოდა. ყელსახვევი

ოდესლაც ძვირფასი იქნებოდა ალბათ, მაგრამ დღეს მოშავო ფერი გადაჰკრავდა და უამდაშამ რომ არ გაებრჭყვიალა ოქროს, ვერც კი იფიქრებდით, რომ ფასდაუდებელი გახლდათ.

ცხვირი კურნოსა ჸქონდა, წარბები აბურდული. ხნიერი არ იყო, მაგრამ ნაოჭი კი გასჩენოდა... მძიმედ სუნთქავდა და სწორედ ეს გაფიქრებინებდა, რომ ხანშიშესული იყო.

ფეხისამარა დააბიჯებდა პალატაში. საუბრის დროს ხელებს იშველიებდა. ერთი სიტყვით, ქალს კი არა, პირველყოფილ საოცრებას დამსგავსებოდა.

შიმუნვარები და მსახურები დაეთხოვა. მარტო უძღვებოდა სასახლეს. დილით ალაგებდა, მერმე ეზოს დახვეტავდა. მუხის ხის ქვეშ დალლილ მეტოვესავით ჩამოჯდებოდა, მერე მარანში შეიპარებოდა, ერთ-ორს გადაჰკრავდა, რომ ტკივილი დაეთრო და ჩაეკლა, მაგრამ მაინც ვერ ივიწყებდა გასაჭირს.

ნადირობის ქალმერთი ვარო და მიმინოებით გამოუდგებოდა მხეცებს. ქმრისგან მალულად, ჯორზე ამხედრებული ეკალ-ბარდებში მიიკვლებდა გზას, რათა დაევიწყებინა ჩაგრული ხვედრის მნიშვნელობა. თუმცა მაშინაც სდევდა სევდა.

ბოლოს, ხელმოცარული და დანალვლიანებული იქვე მინდორში წამოწვებოდა. ხეთა ჩრდილებს ამოფარებული დედოფალი მაშინაც გაურბოდა რაღაცას.

და ვერც გრძნობდა სალიპარტიანოს მმართველი, რომ ყოველივე მისი მიზეზით ხდებოდა.

ამ ლამაზ ქალბატონს ანაცვალა მელნები, თაბახის ფურცელი და მასზე ნაჯღაბნი ვითომდა გერბი, რომელიც ვერა და ვერ დაიხვეწა.

ხან მუხას გამოსახავდა, ხან ვერძს, ხან ეკლესიას, ხანაც სასახლეს. ერთმანეთში ვერ ათავსებდა ნახატებს და ამიტომაც შინაარსობრივად არაფრისმთქმელი იყო ნახელავი.

დაფიქრდებოდა და ასეთ აღმოჩენას ხედავდა:

- მუხა – სიმბოლოა სამეგრელოსი, მე კი მისი მთავარი არა ვარ. ამიტომაც უადგილოა ჩემს გერბზე სხვათა სამთავროს სიმბოლოს დატანება.

ვერძი და ეკლესია – ღვთისმოსავთა რეგალიებში უფრო მნიშვნელოვანია, ურნმუნის კი რაში სჭირდება რომელიმე? მაგრამ მოვატყუებ ხალხს. დავაჯერებ, თითქოს ყოველივეს განგების ძალით ვაკეთებდე. კაცობრიობაში მომხდარ უდიდესს ძვრასა თუ მოვლენას წმინდანთა ბრძანების ალსრულებად მიიჩნევდნენ. ამის დასტურია ჯვაროსნების ბრძოლა. ხალხს ომი მოენატრა და ყველაფერი წმინდა მიწების განთავისუფლებას მიაწერეს. მეც ისე გამოვცხადდები, ვითომ ღვთის ჩურჩულს ვისმენდე. მხოლოდ ასე თუ მივაღწევ მიზანს.

ვერ ვიტყვი, რომ დედოფალი მთლად გიში იყო-მეთქი, მაგრამ... ისიც გასაკვირი, რომ ფეხზე მყარად იდგა. ძლიერი ბუნებისა იყო, თორემ მის ნაცვლად სხვა დიაცები უსულეულოდ გაერთხმებოდნენ იატაკზე. ასე ძლიერ უფირდა, მაგრამ არ ტიროდა, რადგან ისიც იცოდა, რომ მის ცრემლებს ფასი მაინც არ ექნებოდა და არც გულს მოულბობდა უგულო გიორგის..

ხან იატაკზე ეღვიძებოდა, ხანაც ტყეში, ხან კიდევ ნალიაში.

რცხვენოდა მისი გიორგის, მაგრამ ბანოვანი ცოტათი ავად იყო და მართლა მძვინვარე ლომიც კი არ მოეცეოდა მანდილოსანს ისე უდიერად, როგორც ყოფილი რეგენტი ექცეოდა. ხელითაც ბევრჯერ შეეხო ბუნების ნაზ ქმნილებას, რათა განეცადა მოხუცს ჭაბუკური ძალაუფლება. მართლაც-და, მხოლოდ გულბოროტი და უკეთური თუ გაიმეტებდა მსგავსს მშვენებას საცემად. ნაჭირნახულევ მანდილოსანს საყედურიც არ შეუკადრებია მეუღლისთვის, ერთიც არ დაუგმინია; ითმენდა, რადგან ეს ქალი უბედურებისთვის, გლოვისთვის, ტანჯვისთვის იყო განწირული. ხოლო მოთმენა ერთგვარ მოვალეობას წარმოადგენდა.

მთავარია აუზაური გწადდეს და საწადელს უცებ მიაღწე! უცებ ინთება ჩირალდანში ელვარე სხივნი!

ხან ოთახის მოუწესრიგებლობისთვის აგინებდა ნესტანდარეჯანს, ზოგჯერ იმისთვის, თუ რად ყრიაო ვერხვის და ცაცხვის ხეთა რიგებში აურაცხელი ფოთოლი.

ქალიც უმალ დასტაცებდა ხის რტოებისგან და დაფნის ფოთლებისგან შეკრულ ცოცხს ხელს და მეეზოვესავით დარბოდა ეზო-ეზო.

გაზაფხულდა. ეს ის დროა, როცა ბუნება განახლებისთვის ემზადება. ტყემლებმა სადედოფლო სამოსი ჩაიცვეს და თეთრად გამოიპრანჭნენ, ხოლო ატმებმა ვარდისფერი კაბები ანაცვალეს, ფითქინა ფერს. თვით მგლოვიარე დედა-ხეებმაც წამით დაივიწყეს ტკივილი და აბიბინებული, გამწვანებული და შეზარხოშებული სამყარო მკვდრეთით აღმდგარ ლაზარეს დაემსგავსა.

ადამიანის ტვინი იმდენად რთულადაა აგებული, რომ არავინ იცის, რა დროს გიმტყუნებს. ცუდ ჰირობებში მყოფი ქალი თავს ტუსალად მიიჩნევდა. ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს დევის-ფრჩხილს¹ სვამდა. რაღაც შემზარავ სამკურნალო საშუალებებს იგონგებდა. მაგალითად დამხრჩალი კატის თვალებს ხარშავდა მუხის ქერქთან ერთად. ასე ამბობდა, რომ კოლხი ასული მედეა² მისი ღვიძლი ბებია იყო. ათასგვარ საშინელებს როშავდა საბრალო. ბრაზმორეული მეუღლე კი ეკამათებოდა:

- გაჩუმდი, შენი ჟღურტული³ ნერვებს მიშლის, დედაკაცო!..

- თავად დამუნჯდი წყეულო! აჯობებს ექიმი ან მლოცველი მოიყვანო და რამე მისაშველო...

- ახლავე დედოფალო, ჩაიცინა გიორგიმ. ნესტანს ხელზე მაგრად მოუჭირა და უბრძანა გაჰყოლოდა. ორიოდ წუთში სარკმელს მიუახლოვდნენ. დარაბები გააღო, ფარდები განზე გასწია და ალვის ხისაკენ გაახედა...

- არა, მელანდება, ეს სინამდვილე არ არის... ღმერთო, ეს რა ხდება ჩემს თავს, იკითხა და შეიცხადა დედოფალმა.

- ჩუმად, ნუ ყვირი გეთაყვა. არ გააღვიძო ის კაცი...

- უგულოვ, მკვლელო... გაჰყიოდა ქალი. ვინ უნდა გავაღვიძო, მკვდარი?

- ჰა, ჰა, ჰა... ახარხარდა რეგენტი, ნუთუ ახლა შენიშნე – მთელი კვირაა არწივები სტუმრობენ მის ლეშს, შენ კი დღეს ხედავ?

¹ დევის-ფრჩხილა - - რაღაც მცენარეული სამკურნალო წამალი გახლავთ.

² მედეა კოლხეთის მეფის ასული. ცნობილი მენამლე.

³ ჟღურტული ! მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი (ს.ს.ორბელიანი).

- რატომ მოჰკალი ან ვინ არის, - ბრძანებითი კილოთი იკითხა ნესტანმა. მეუღლეს გულზე ბაგა-ბუგი და დარტყმა უწყო. შენც უნდა ჩაძალლდე. შენ იყავი მაგ ხეზე დასაკიდო....

ისევ იცინოდა გულბოროტი გიორგი და მეუღლის მუშტებს იგერიებდა. ხმა გაქმინდე და მომისმინე, თუ არ გინდა მასავით გაიზიარო ბედი....

- ხომ გაინტერესებს ვინ იყო ის კაცი? უნინდელ დროში მღვდელი ყოფილა დადიანების კარზე. დღეს კი ხუცესია ყოფილი, ანუ ნახუცარია იგი... არაფერი ვუქენი ცუდი... წვერები ყველას არ უხდება და ამიტომ გადავწყვიტე ცოტა გამელამაზებინა, რა? დავაშავე ამითი რამე?

- რაღა ალვის ხე აირჩიე მერედა? – შეეკითხა ბანოვანი....

- დიდი ხე არის, მაღალი, უჩირდილო. იმის ღირსია, რომ ცალკე სიცხემ ააყროლოს და ცალკე არწივებმა. ნახე ის ორბი რა ლამაზად აზის მხარზე! ხედავ? აი იქ, დედოფალო....

-არა, უნდა წავიდე, - გულში გაივლო ნესტან-დარეჯანმა. ამ კაცის იმედად შეიძლება გავცამტვერდე. ოცდათორმეტი წლისა საშინლად მოხუცი ვარ და გულიც მიპერდება მას-თან ყოფნით.

სიფიცხეც დასჩემდა. თავისითვის ბუტბუტებდა და წიგნ-თა კითხვას მიჰყო ხელი. ამანაც ვერ უშველა. რა ეშველება? – არაფერი, რადგან კაცის საშველი ძნელად თუ მოიძებნება. ნერვიულად ივარცხნიდა თმებს ვითომდა ბედნიერი დედო-ფალი. როცა ძლიერი ალელვება შეეჭყო და სასახლეში კივი-ლიც დასჩემდა, მყუდროების შემლახველ ქალბატონს სას-ჯელად ძვირფასმა მეუღლემ დილეგი განუწესა.

ღამის ბინდბუნდში, თაგვებთან მძინარე დედოფალს გული ჰქონდა გატეხილი და სულიც ებზარებოდა მალიმალ. ვერ გაუძლებდა ამგვარ დამცირებას. როგორ თელავდა მის გრძნობას ვიღაც ვიგინდარა.

„დედოფალი სოროში,, - აი, სადამდე დაეშვა ნესტან-დარეჯან ჭილაძე, რომ იქიდან განთავისუფლებულსაც არ ძალუძს სასახლის მიტოვება. მაგრამ სად წავიდეს? როცა ყვე-ლა გზა მოჭრილია, ვალდებული ხარ იმას შეეგუო, რასაც გთავაზობენ. ყველასგან, მათ შორის ოჯახისგან უარყოფილ

გათხოვილ ქალს აბა ვინ ინდომებდა ანი! არც თავშესაფარი ჰქონდა ლიპარტიანისგან მოშორებით, თან, რამდენჯერაც სცადა გაქცევა, იმდენჯერ გაამათრახა გიორგიმ. ამ კაცს ისეთი ძალუფლება გააჩნდა, რომ შეეძლო ყველგან მოეძებ-ნა დევნილი მეუღლე...

ეჩვენებოდა, თუ რა იყო, არ იცოდა გიორგი ლიპარტიან-მა, მაგრამ ეს ქალი თითქმის სძაგდა. არაფერი მოსწონდა მისი, არც მუსიკა, არც ცეკვა. თითოეული ქალის ბაგიდან წამოსუ-ლი სიტყვა გულს ჰოროლივით ხვდებოდა და დიდხანს არ ავი-წყდებოდა წარმოთქმული.

უკვე ოთხმოც წელს უახლოვდებოდა. მეხსიერებას კი არა და არ უჩიოდა. სახეზე მოჩვენებითი ღიმილი ეფინა და ისე ამშვენებდა, როგორც პირბადე მშვენიერ მანდილოსანს.

სტუმრებს გულუხვად ხვდებოდა. ცერემონიალების მოტრფიალე გახლდათ მუდამ. საკუთარ თავზე ეწადა საუბარი და სხვებსაც აიძულებდა მისავე გაკერპებას.

დიდად ღვთისმოსავი არ იყო და ალბათ ამან განაპირობა მისი მრავალცოლიანობა.

მისი პირველი მეუღლე ანნა დადიანი სოკოთი მოენამ-ლა წვეულებაზე. მეორე ცოლი, ამილახვრის ასული თავი, მისი ქორწინების სიყვარულს წარმოადგენდა თურმე. ამ ქალს ერთხელ ვიღაც რაინდთან უცეკვია და გაკეკლუცებია. ამის შემყურე გიორგის წვეულებაზე მეუღლისთვის ყანნი უთხლე-შია. ერთი სასიკვდილო დარტყმით სული გააფრთხობინა სა-ბრალოს. ხოლო მესამე, ნესტან-დარეჯანი მართალია ძნელად ეგუებოდა ყოფილი რეგენტის ამპარტავნებას, მაგრამ ხომ მაინც ეგუებოდა.

გათხოვილი ქალი ხარებთან მებრძოლ ტორეადორს ჰგავს. რაინდი იძულებულია აფრიალოს წითელი ბაირალი და მეტოქე გამოიწვიოს, რამეთუ სხვა გზა მოჭრილი აქვს. არ შეუძლია გაიც-ეს ან რამეს შეაფაროს თავი. ასევე დაოჯახებული ქალი ბევრ მშვენიერს უარყოფს, მათ შორის ფუფუნებას. ეგუება იმ გა-რემოს, რომელსაც ახვედრებენ და იმ ადამიანებს, ვისთანაც უწევთ თანაცხოვრება.

მაგრამ რა ქნას ნესტან-დარეჯანმა? როგორ აიტანოს საშინელი სიმარტოვე? არა, ამას ისევ ხალხმრავალი ოჯახი სჯობია.

მეუღლედ ისეთი კაცი ჰყავდა, რომელსაც, ერთი ნათე-სავიც კი არ სტუმრობდა. მასთან სიახლოვე ხესაც უჭირსო. ასეთი ხმები დაირხა, რომ მის ჯიქურ მზერას ვერ გაუძლო აგა-ვის ყვავილმა და გახმა.

გრძნობების პირნათლად გამომჟღავნება როდი შეუ-ძლია ყველას. ამიტომ გულახდილები ხშირ შემთხვევაში სულელებად მიაჩინათ!... განა ვერ გამოხატავდა ყოფილი რე-გენტი? უბრალოდ ყოველგვარი მშვენიერი გრძნობისაგან შორს, განცალკევებით იდგა და საქმე ის იყო, რომ არც არავის იახლოვებდა. საკუთარ სამყაროში გამოკეტილი თავს მაინც ბედნიერ ადამიანად თვლიდა. არ ჰქონდა ნიჭი სიყვარულის, „მაგრამ რა სავალდებულოა, რომ ვინმე გიყვარდეს“, - ჰქონ-და დევიზად.

უყვარდა, როცა ბატონობდა ყოველ სულდგმულზე; შური და ღვარძლი ძიძგნიდა და სწორედ ეს გრძნობა თუ მოკლავდა დაჩიავებულ ბერიკაცს, თორემ დროც ვერ ამარცხებდა ჯერაც.

ერთხელ, გადამეტებით ფიქრობდა თავის ძმისწულ ლე-ვანზე და ბოლმამ და ნალველმა ძილი გაუკრთო მოხუცს. ელან-დებოდა ოქროს გვირგვინი, რომელიც ედგა მთავარს და ეჯავ-რებოდა ძლევამოსილი სამთავროს მმართველიც.

ძილგამკრთალმა სანთლები აათო და მხრიოლავი სხი-ვის წყალობით ძლიერ გაიკვლია გზა.

უბრალო სამლოცველო ჰქონდა, სახლისგან განმარტო-ებით მდგომი. სადღაც ლიფლიფი¹ გამოძებნა, რადგან ქარში სანთლელი მეგზურობას ვერ გაუზევდა, დრუნგილის ფიცრად² შეკრულიყო სამლოცველო, რომლის კარზედ პიტაკი³ იყო გა-მოსახული.

- „ადიდე ღმერთო სალიპარტიანო მებრძოლი ერის ერთ-სულოვნებაზედა...“

ჩანს ეს კაცი თვითონ შემოქმედსაც უბედავდა ტყუილს. ეგონა თავისი გენიალური ნიჭით უფალსაც აუხვევდა თვალს.

ვითომდა წმინდანივით მოყარა მუხლი. მარმარილოს სვეტს მიეყრდნო მთელი ძალით. რაღაც ჯუბა შემოიხსნა კის-რითგან და „მხურვალე ლოცვას“, შეუდგა.

საუკუნეა, რაც სანთელს არ ანთებენ და გუნდრუკს არ აკმევენ...

ძლიერ მოჰკრა თვალი ღვთისმშობლის ხატს. დედალვთი-სას იესო ხელში აეყვანა და ღვთაებრივი შარავანდედი შემო-ხვეოდა ორთავე დედა-შვილს. ოქრომჭედლის დახვეწილი გემოვნება შეიმჩნეოდა ხატის ორნამენტებსა და იდეალურ ფი-გურებში.

გაახსენდა უცებ ერთი ფრაზა, რომელიც აეკვიატა ბო-ლო დროს:

- როცა ყველაზე მეტად მოგენატრება დედა, ღვთისმ-შობლის ხატთან დაიჩოქე და დედაშვილურ სითბოს იგრძნობ!.. მაგრამ რისთვის განვერთხო ღვთაების წინაშე? - როცა მო-ნატრება არ გამჯდომია სხეულში და არც დედის სიყვარული მაიძულებს?

მაინც მიინია და ხელი გადაუსვა დრო-ზამისგან დამტვერ-ილ ფრესკას. ისე გამალებით წმენდდა რაღაც ანაფორით ხატს, ვითომ ცრემლს ხოცავდა ღვთისმშობელს. როგორც კი მტვრის სუდარა გაიხადა ფრესკამ გამოჩნდა თვალისმომჭრელი ვერ-ცხლის დიადემა.

უცებ გამოფხიზლდა. მოაგონდა, რომ დადიანის სამ-ლოცველო სულ ოქროში იყო გაწყობილი. ბრაზმორეულმა ლიპარტიანმა სირბილით მიაკითხა მძინარე ნესტან-დარეჯანს, რომელსაც იმავ ღამით აწმენდინა დამტვერილი ოთახები და დაწჯლრეული, ულაზათო კლავესინი...

მთელი ღამით უძინარ დედოფალს დილით ტახტზე მიე-ძინა. მზე ის-ის იყო ამოდიოდა და გასაღვიძებლად ემზადე-

² დრუნგილის ფიცრად – დრუნგილი არის ერთგვარი მარმარილო. გამოყ-ენებულია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (თამარის ისტორიკოსი).

³ პიტაკი – სავედრებელი სიტყვა.

¹ ლიფლიფო – ფანარი ძველქართულად.

ბოდა, რომ სასახლეში სიბნელემ დაისადგურა. დარაბები დაიხურა ყოფილი რეგენტის ბრძანებისამებრ.

კაცი იფიქრებდა, ვითომ დედოფალზე ზრუნავდა, სინამდვილეში მზის ჩახჩახა სხივებს გაურბოდა გიორგი.

საბრალო დედოფალს ეძინა, თუმცა ძილშიც ბორგავდა ბევრს. სახეზე უბედურების მაცნე ჩრდილები ცეკვავდნენ და ტანჯავდნენ ბანოვანს.

გობელენის ნაჭერი იყო შეზღონგზე გადაკრული. მაგრამ იმდენად ძველი იყო, რომ ზოგან ფერი გადასვლოდა, ზოგან ჩაჭრილიყო ზოლებივით. ჭრიჭინებდა მეურმის ურემივით ტახტი; რადგან დედოფალი წრიალდებდა და ვერ ეპოვნა ჯერაც გემრიელი ადგილი, ვერ მოკალათებულიყო საბრალო!... ნეტა არც არასდროს გაეღვიძა. ხომ დასრულდებოდა ეგ ტანჯული ცხოვრება. იტყვიან უმადური არ უნდა იყო ვითომდა! მაშ, როგორ იქნებოდა კმაყოფილი, როცა არაფერში უმართლებდა. ერთი ის ჰქონდა საამაყო, რომ ოდესალაც დედოფალი იყო. მაგრამ განვლო უამმა. შიმუნვარებიც წაიყოლა მედინმა დრომ და ბედნიერი ცხოვრებაც. მაშინ, როდესაც დედოფალს მსახურების გუნდი უნდა ეხვეოდეს, თავად გამხდარა შინამოსამსახურე და მეუღლეს „ბატონოთი“, მიმართავს. ჰოდა, ამიტომაც იყო, რომ ფორმალურად დედოფლობას არავითარი ბედნიერება არ მოჰქონდა.

ლიმილს დანატრებულ ადამიანზე ვგონებ ბედნიერი არ ითქმის.

სწორედ რომ ამ ბედნიერების მომლოდინე იყო დედოფალი. ფიქრობდა, რომ მარადიულ ტანჯვას მაშინ მოეღებოდა ბოლო როცა დადგებოდა გიორგის აღსასრული.

სიკვდილი მაშინ მოდის, როცა ცხოვრების ხალისს კარგავ. ყოფილ რეგენტს კი ჯერ არ ეცალა, რადგან ომი უნდა გაემართა დადიანისთვის. ბევრჯერ ალესა ძმისნულის წინააღმდეგ ხმალი, მაგრამ ქარქაშშივე ჩააგო უნებურად!

ჯერ იყო და ეტლებს დაათქერინა ოდიშის დიდი მთავრის სატრფო. მერმე კორტუგა შეგზავნა, რათა გაეგო სამეგრელოში არსებული მდგომარეობა. და ბოლოს ცილი დასწამეს დარუნდია შარვაშიძეს. საბრალო ქალს მეძავობა დააბრალეს და საქვეყნოდ გამოფინეს სირცხვილი.

მაგრამ, ეს საკმარისი არ არის, რადგან ათმაგსაც გაუძლებდა ლევანის გული. პაპისგან, ალექსანდრე კახთა მეფისგან გამოჰყოლოდა მამაცი გული, მრავლისდამთმენი და გაუტეხელი. იფიქრა გიორგიმ, რომ ლევანის თავს დატეხილი უბედურება წვრილმანი გახლდათ და ძნელად თუ წამოჰკრავდა მთავარი ქვაზე ფეხს.

„გრიგალმაც რომ გადაუქროლოს, წარბიც არ აუტოკედება,“ - ამიტომაც არის, რომ ვერარა განაწყო ძმისნულის წინაშე და თვალთმაქცურად იწყო დაზავება...

ამას წინათ ხონთქარს პორფირი და ბისონი გამოეგზავნა გიორგისათვის. ასე კი მოენერა:

- „ქართველები არცთუ ისე მთლად სულელნი ხართ, რომ არ გესმოდეთ, რისთვის გიგზავნიან არმალანს! მეფეთა და მღვდელმთავართა სამოსელია ალბათ იცით! რამეთუ დასთხიოთ სისხლი, ვითარცა ქრისტემ, თქვენმა ღვთაებამ. მე არც ღვთისმოსავი ვარ, არც ქრისტეს ვაღიარებ, არც ეგ ბერძნულ-რომაული ტრადიცია მომწონს, მაგრამ ერთმა კი მომხიბლა. ამ საჩუქრების მიმღებს აიძულებენ სისხლის დალვრას. ანუ, ეგ იქნება სიმბოლო ამბოხების. ახლა კი თავად განსაჯე, საიდან დაიწყო ამბოხი. ჩემი ურჩობისთვის ვნახოთ, რას მიიღებს სამეგრელოს მთავარი. მაშ, ქალ-ვაჟების გამოეგზავნაზე და მოხარკეობაზე აიღო ხელი?

იცოდე, თუკი ომი არ დაიწყო სამეგრელოში, იმ შენს სამფლობელოს, რაღაც ათიოდე კილომეტრზე რომ გაჭიმულა, ცეცხლითა და მახვილით შემოვესევი. პირადად შენ თვალებს დაგთხრი, ხოლო შენს სასახლეში ჩემს არმიას დავასახლებ!

არჩევანი შენზეა; ას რა გულიანად გავიცინებ, თუკი შემენინააღმდეგები. ისე გახსოვდეს, ზავს და მონობას სისხლისღვრა მირჩევნია!“

წერილს რაღაც ნიშნები ესვა ზედ. კაცმა არ იცოდა ბეჭედი იყო, ლუქი თუ გერბი. წარმართული კი მასზედაც ისახებოდა კარგად!

p.s. არ გიხაროდეთ, თუკი პორფირს და ბისონს გამოგიგზავნიან, რადგან იგი სისხლის დათხევას მოასწავებს!!!

¹ არმალანი – საჩუქრა.

შეზღუდვით წამოდგა დიდი მთავარი და განმარტოვებით მდგომი ინსტრუმენტისკენ მიიწია. ერთი ცვლილება აღმოაჩინა: არსად იყო ეტრუსკული ლარნაკი და არც დარუნდია შარვაშიძე მოსჩანდა სადმედან. თითქოს ეს სასახლე მთელი თავისი სიმდიდრითა და სიდიადით უტოლდებოდა არაფერს. რაგინდ შიმუნვართა, კარისკაცთა და მსახურთა გუნდი გელოლიავებოდეს, რა აზრი აქვს დიასახლისის გარეშე თუნდაც ვრცელ პალატს...

მყუდროების დარღვევა ინება დიდმა მთავარმა და როიალს მიუახლოვდა...

(არ დაგავიწყდეს მკითხველო, რომ ეს XVII საუკუნის შუა ხანებშია. ჯერ კიდევ არ შემოსულა ფრანგული კულტურიდან როიალი, საათი... და ვინ იცის რამდენი ფუფუნების სანინდარი ნივთი. ჩემს რომანში რომ კლავესინს როიალს ვუწოდებ ეგებ მომიტევოთ.)

ჰოდა, ამ კლავესინს თავისი უხეში თითებით შეეხო. დარუნდიას საყვარელ მუსიკას დაუპირა აულურტულება, მაგრამ უცებ მოაგონდა, რომ მარტოოდენ მას უხდებოდა სამეფო აღმატებულების წინაშე გენიალობის დადასტურება. ამასთან, მსმენელიც არ ჰყავდა მთავარს და ვის საამებლად დაეკრანეტავი?!

ბიბლიოთეკაში მიირბინა, ეგებ მისთვის საყვარელ წიგნს კითხულობდა მშვენიერი ბანოვანი. უნდოდა თავი დაეჯერებინა, რომ არ იყო მთლად მარტო.

მთელი სასახლე შემოირბინა და როცა მისთვის წმიდათანმიდავ ვერ აღმოაჩინა, ყველაფერი აწონ-დაწონა, შეაფასა მოვლენები და დარწმუნდა, რომ თავისი უმძაფრესი სიყვარული დაკარგა...

თაკარა მზემ თავის შარავანდედში გახვია მთელი დედამიწა...

ეს ზეციური არსება არ ზოგადა თავის სხივებს, რათა გაეთბო ყოველი სულდგმული. სავალალო ის იყო, რომ ღვთაებრივ ძალას ყველა ერთნაირად არ ეწაფებოდა. რა გასაკვირია, როგორ შეიძლება გული გაუთბეს დაწყევლილი ბედის ადამიანთ?

ნესტან-დარეჯანს სიმთვრალემ გადაუარა. ასჯერ მშვენიერი ჩანდა ფხიზელი ქალბატონი იმასთან შედარებით, როგორადაც გუშინ მოგვევლინა.

მშვიდი, თუმც კი ოდნავ ამღვრეული სახე ბალიშებს შორის ჩაერგო... გარეთ ატმები ჰყვაოდნენ მარტოოდენ. აყვავებულს ვერ ვუწოდებდით, უფრო ფეთქავდნენ და ლიცლიცებდნენ ქრიზანთემები.

ჩიტების ჭიკჭიკი გაცილებით საამურად ჩაესმა, ვიდრე ხმა მინორნარევი კლასიკის და დაწყდა გული, რომ არ იყო პეპელა, რომ არ იყო კალია...

- ყველაზე ძნელია იყო ადამიანი და სწორედ ეს სიძნელე ერგო ზეცისგან.

„ყველა ხალისობს; ჩიტსაც უხარია ცხოვრება და ობობასაც. მხოლოდ მე ვარ მწუხარე“, – გაიფიქრა ნესტანმა და დარაბების გასაღებად წამოიწია ზეზე. უნდოდა გაზაფხულის სურნელი შემოსულიყო! ია-იების და ენძელების სუნით განემსჭვალა სასტუმრო დარბაზი. „თურმე სიცოცხლე ამ ფონზე მშვენიერი ყოფილა!“ – და სარკმლიდან იწყო თვალთვალი. თან ცოტათი მალულად გარეშემო მიდამოებს ათვალიერებდა. ისე იყურებოდა, თითქოს ჭოვრი ეჭირა ხელთ და ასე სარკმლიდან მომზირალ უბედურ პატარძალს ჰგავდა მისი ცხოვრებაც. ბედი ყველაზე მეტად დასცინოდა ამ საბრალოს. არადა საწუთო ლამაზ თოჯინად ესახებოდა, რომელსაც თავის ბავშვურ განცდებს უზიარებდა. თუმცა ამ უსულო საგანივით

ყრუდ ისმენდა მის უმანკო ვედრებას თავზეხელალებული დრო...

ცხოვრებას სიმფონიურ მუსიკას ამსგავსებდა, სამწუ-ხაროდ გვიან მიხვდა, რომ როდესაც კლავესინზე რაღაც ჰან-გებს იმეორებდა, თურმე აკორდებს აკლებდა. ალბათ ამიტომ იყო შესრულებული მელოდია არაჰარმონიული...

და რა იყო მაინც მისთვის წუთისოფელი? – აკვანი, რო-მელზეც გაიზარდა, ეზიარა საწუთოს „საიდუმლო სერობას“, თუმც ძალიან გვიან აღმოაჩინა, რომ სარწებელზე¹ მისი უბე-დურება ირწეოდა, მაგრამ არასგ ზით იძინებდა ტკივილი...

„ცხოვრება ისეთი ლამაზი როდია, როგორადაც გაჩ-ვენებს თავს..“ – ამ სიტყვებით წყვეტდა ფიქრს ბედნიერებაში ხელმოცარული ბანოვანი. ხან ერთი ფიქრი აეკვიატებოდა, ხან მეორე. ითმენდა, რადგან ჭეშმარიტი სისხლი ქართველი მანდილოსნისა მის ძარღვებში მოძრაობდა. და არ იფიქროთ, რახან გიორგი მის წარმომავლობას ჩრდილს აყენებდა და ლოთ-მეძავთა შობილად იხსენებდა, მართლა ეგეთი ყოფილ-იყო!...

„ათასობით ქალია ჩემზე უბედური. მე რა, რჩეული ხომ არა ვარ, რომ მათზე უკეთესი დავიმსახურო? – ადამიანი ვარ და დათმენა ყოველი ჩვენგანის ვალია ერთგვარი!“

ბევრჯერ სცადა წასვლა, მაგრამ აგონებოდა ერთი შე-გონება, რომლისაც სწამდა და რომელსაც ეჭვგარეშე ენდო-ბოდა:

„ბეღურა ყველაზე ერთგული ფრინველია, რომელიც აუტანელ ყინვასა და სუსხშიც კი არ ტოვებს თავის ოჯახს, კერიას და სამშობლოს... შესაძლოა გაიყინოს, მოკვდეს, მაგ-რამ მისთვის ეს არაფერია; მაშინ, როცა მერცხლები პირ-ველი გარბიან ქვეყნიდან....

მოგეხსენებათ, თუკი მთელი ქვეყანა ფეხქვეშ გაიგე და ერთ დღეს ყოვლისმფლობელი გახდი, ის დრო მოგენატრება, როცა ყველაზე ძლიერ გიჭირდა. სულ ყოველთვის კარგად ყოფნა, თუკი მენდობით, საშინლად მოსაბეზრებელია.

მაგრამ ეგ ქალი რომ არასდროს იყო კარგად?.. დღე-ნიადაგ რაღაცის შემყურე და მომლოდინე გახლდათ! ყველა-ფრისთვის მზად იყო, რამეთუ ამისთვის წინდანინ ემზადებო-და. ისიც ესმოდა, რომ კარგს არაფერს უნდა დალოდებოდა.

დარდნარევი ქალბატონი ზეზე შეიმართა. ძვლებმაც უანგიანი რკინის კარებივით დაიჭრიჭინეს. იგრძნო, რომ მძიმედ მოსიარულე თოვინას ჰგავდა!..

როცა გამოსავალს ვერ პოულობდა და ადამიანური ამაოება გენიოსის დარად მოადგებოდა, უბრალოდ ატმის კო-მპოტს სვამდა ან შოკოლადის ნამცხვარს შეექცეოდა. უნდო-და საკუთარი გრძნობები და განცდები უსულო საგანზე გადა-ეტანა. თუმც ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ფიქრისგან ერთი ადამიანიც არ იქნებოდა გატანჯული.

არვინ ჰყავდა გულშემატკივარი, არც დამხმარე. ჰგავდა ყველასგან განმარტოვებით მდგომ დედა-ხეს, რომელიც უწყლობისაგან ჭკნებოდა და კვდებოდა.

ბრაზი საკუთარ თავზე მოსდიოდა, რომ შეეძლო უკე-თესი მომავლის მოპოვება, სანაცვლოდ კი ბედნიერება თა-ვადვე უარყო. მისი უდიდესი შეცდომა ის იყო, როცა მეგო-ბრად და ქმრად ბერიკაცი ლიპარტიანი აირჩია. ამ კაცს ერთი ადამიანიც არ გაებედნიერებინა ქვეყანაზე და რაღა წესტან-თან გახდებოდა ტარიგი!

მათი სახლი უსიერი ტყის მახლობლად იდგა. მეზობლე-ბიც არ ჰყავდა, რომ საბრალო ქალბატონს თავისი გულის-ნადები გინმესთვის გაენდო.

იცოდა, რომ თავისუფალი ცხოვრება და ქუჩა-ქუჩა წანწა-ლი ქალზე ძლიერ მამაკაცს უხდებოდა. ლიპარტიანისეული სამყაროსგან გაქცევა კი წარმოუდგენელი და შეუძლებელი გახლდათ. გარეთ გასვლაც ეკრძალებოდა წესტანს. და ჰგავდა ბანოვანი დატყვევებულ მონას, რიგით პატიმარს ტუსაღს, რომელსაც ყველაფერზე ძლიერ თავისუფლება მონატრებოდა.

ალბათ ამიტომ იყო, რომ ყოფილი რეგენტის ძველმან სამოსებს გამოალაგებდა და სრულიად მალვით საერო თუ

¹ სარწებელი – ს.ს. ორბელიანის თქმით და განმარტებით იგივე აკვანია.

¹ ტარიგი – უმანკო კრავი.

სასულიერო ტანისამოსს ამოფარებული უღრან ტყეებში სასეირნოდ მიეშურებოდა. ხან დათვს, ხან რომელიმე მძვინვარე მხეცს გადაეყრებოდა, მაგრამ ყველაზე დიდი ნადირიცა და მონადირეც თვითონ სოფელი შეიქნა ამ ქალბატონისთვის...

მოაგონდებოდა ბავშვობა და უცებ პირქუში ხდებოდა. რა კარგი იყო, როცა პეპლებს გამოუგებოდა უცოდველი ასული და გატაცებით ეამბორებოდა მოხელთებულთ. მაგრამ წავიდა ის დრო. სრულიად გარდაქმნილიყო მისი შინაგანი მეც, მისი ბუნებაც... მხეცებზე, ჯიქებზე მონადირე, კაცის სამოსს ამოფარებულ ბანოვანზე აბა რას იფიქრებდით? ნუთუ არ შეეძლო ისევ დაეგეშა მიმინოები ან პეპლები მოხელთა ოჯიჯით¹.

საქმე ისაა, რომ დრო ადამიანს აკერპებს და ბავშვურ უმანკოებას სტაცებს. სასაცილოდაც მიიჩნევდა თავს ახლა რომ სილაში ეთამაშა ან ბავშვური სისადავით ერბინა...

ისე მსუბუქად არ დადიოდა, როგორც უწინ. არამედ მძიმედ მოარული სულის დაღლას ძალუმად გრძნობდა.

შინაგანი სამყაროს ცვალებადობამ და ნირის შეცვლამ გააოგნა დედოფალი. ბალახებში ჩაიცუცქა და მკვდარ ციყვს უწყო მოფერება.

„დიდხანს მემალებოდი სოროში, მაგრამ მაინც მოგინადირე ბედკრულო!“ – ჩაიჩურჩულა და თავისი ცხოვრებაც ამ მკვდარ ცხოველს შეადარა, რომლის დარად ემალებოდა გიორგი ლიპარტიანს.

გული აუცრუვდა ნადირობაზე. სამოსები ხის სოროში დამალა და გაშლილი სადედოფლო სამოსით შეიმოსა. სასახლეში ხელცარიელი და სასონარკვეთილი დაბრუნდა. სულიერი მღელვარებაც შეეტყო და ხატებთან საუბარი იწყო. წმინდა გიორგის ხატთან მიეძინა საბრალოს...

•••

აბა რას გაუგებ ქალს; ვითომდა ზღვა ვარო და აღელვება მეპატიებაო. აღელდა... აბორგდა...

მერმე ქარი ვარო და ზუზუნი იწყო... აქაც არავინ შეაფერხა... მერმე დაიჩემა მარგალიტად მიმიჩნიეთო და ყველას აიძულებდა ხელიხელსაგოგმანებ არსებად ქცეულიყო. ბოლოს ფრინველი ვარო და იმ მამაკაცის ცხოვრებიდან გაფრინდა, რომელიც მარად დღე ანებივრებდა თავის საყვარელ ფერიას...

ამ ლალი ფრინველივით გაფრინდა დარუნდია შარვაშიძე ლევან დადიანის ცხოვრებიდან. მხოლოდ მოგონებებში თუ გაცოცხლდებოდა ეს ქალი, თორემ სხვა მხრივ თითქმის მკვდარი იყო, მთავრისათვის.

ქალი ჰალუცინაციაა... ქალი ოცნებაა... ქალი მირაჟია... ქალი ქიმერაა... ქალი ედემია, ქალი საოცრებაა, ქალი სასწაულია, ქალი მზეა, რომელიც ანათებს საჭიროებისამებრ, ქალი წამალია, რომელიც ერთნაირად ესაჭიროება სნეულსაც და ჯანმრთელსაც. ქალი მუსიკა – თავისივე ტემპით ახმიანებული. ბოლოს ოდიშის დიდმთავარის, დედაკაცი არარაობად ესახებოდა!...

თავის ფიქრებში წარმოიდგენს ყოფილ მეუღლეს.

- „არარაობა რომ ყოფილიყო, განა იფიქრებდი მასზე?“
– ეკითხება თავის თავს ქვეშეცნეულად, იდუმალად. და არ ელოდება პასუხს, რადგან კითხვის დასრულებამდე პასუხი მოძებნილი აქვს. არარაობა კი არა მისი ნუგეში და იმედია. თურმე მთლად კარგად ვერ შეისწავლა დედოფალი, თორემ როგორ დაეჭვდებოდა მის სიმართლესა და პატიოსნებაში. და პირველად ინანა, რომ აფხაზეთამდე, ენგურამდე მაინც არ მიაცილა თავისი ერთადერთი სიყვარული...

„აღარ არსებობს ჩემთვის არავინ და არაფერი. მხოლოდ შენა ხარ ჩემი მასულდებულებელი დარუნდი. იქნებ დამავიწყდა და არ მითქვამს, რომ ჩემთვის ჰაერზე მნიშვნელოვანი ხარ? მაგრამ მიხვდა, რომ თქმა ძალიან დააგვიანა, რადგან ისე გააძევა თემმა, როგორც შეჩვენებულსა და მოღალატეებს

¹ ოჯიჯი – მრგვალი ბადე. სიტყვის წარმომავლობა მეგრულს უკავშირდება.

ექცევიან ძირითადად! მაგრამ მან არ შეარცხვინა?! რისთვის ეხვეოდა სახალხოდ იმ შეჩვენებულს?!

ეს ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვის არცხვენს და ვინ ცდება გადაწყვეტილების მიღებისას. ზოგი არჩევანში ცდება, ზოგიც... ისიც საკითხავია ვინ გარბის პირველი უთანხმოების უამს და ვინ რჩება ბოლომდე ერთგული, ვინ არის მსხვერპლი, ვინ მძევალი და ვინ ყალთაბანდი.

თავისი უბედურება სამყოფად ჰქონდა ლევანს, რომ კიდევ სხვა არ დაემატებინა. სწორედ რომ ამ უბედურებამ დაფშვნა და გაანადგურა ისე, როგორც დრო-უამისგან და წლებისგან ნამსხვრევებად ქცეულ ეტრუსკულ ლარნაკს მოსდის ხოლმე!..

თითქოს ქალი იყო მისთვის ყველაფერი და როცა წავიდა მისგან დარუნდია შარვაშიძე, მთლად დაცარიელდა. უაზრო თვალები შერჩა, - სივრცისგან გატიხრული და ყინულის ლოლუებად ქცეული. მიხვდა, რომ მძიმედ მოარული ფიტული გახდა...

თურმე უნდა წასულიყო, რომ დაეფასებინა?! ეს რა წესი აქვთ ადამიანებს. „მიწაზე ჩამოსულ ლმერთში ეძიონ ადამიანური, ამიტომაა, რომ ხშირად ლმერთს გაადამიანებენ, ხოლო ადამიანს გააღმერთებენ“. შემოქმედი რომ არარსებული ფენომენი ყოფილიყო, კაცი მაინც იპოვიდა სათაყვანებელს და მას შესწირავდა თავის ცხოვრებას. მაშინ ალბათ ზოგი ყვავილებს დანამავდა; ზოგი ვარსკვლავებს აღიარებდა ღვთაებად, ზოგიც რას და ზოგიც რას. სხვა არ ვიცი, მაგრამ ლევანი კი უთუოდ დარუნდიას მიიჩნევდა კერპად და ხშირად ხელმოცარული მის ფეხქვეშ გაერთხმებოდა, თუნდაც ამ ხატს არ ჰქონდა თმა, ცხვირი, ყური...

ცნობისმოყვარეობა ჰქლავდა დიდ მთავარს. აინტერესებდა, როგორ იყო სეტემბანის მხოლოდშობილი ასული... ალბათ მასზე ნაკლებ არც თქვენ გაინტერესებთ მკითხველო!..

პირველ რიგში გაუბედურებული, სვედამწარებული და ცხვირმოჭრილი მთავრის ასული უნინდელივით პატივითა და ხელგაშლილობით არ შეპრძანებულა აფხაზეთს...

თუკი ადრე სეტემბანი შვილის მზეთუნახავობითა და არამინიერი სილამაზით თავს იწონებდა, ახლა დადიანისგან უარყოფილი ასულის მიღება მხოლოდ გვიან ღამით ინება, რადგან რცხვენოდა ყოვლის. უპირველესად კი აფხაზ-ჯიქ-თა გაჭაშნიკებას ერიდებოდა.

გვიან ღამით სეტემბანისეულ სასახლეს როხროხა ეტლმა ოდესლაც თავნება დედოფალი ჩამოსვა.

მძიმედ მოარულმა დარუნდიამ ძლივს აიარა სასახლის უსასრულო კიბეები. სულ ბოლოში კირითხუროს თუ მოქანდაკეს უზარმაზარი სვეტისგან ხახადაღებული ლომი გამოესახა. ნაქანდაკევს მიეყრდნო დედოფალი, სული მოითქვა და ის იყო განმარტოებას აპირებდა, რომ სეტემბანის ძახილი შემოესმა და თვალმა უნებურად იწყო ტირილი. სახე დაემანჭა, იმდენად უშნოდ და შემზარავად გამოიყურებოდა, რომ მამამ ლამის ვერ იცნო თავისი გამოზრდილი.

- ნუთუ ეს შენა ხარ დარუნდი? – გულში მიიხუტა მამამ ქალიშვილი. მოხუცს ცახცახი აუვარდა. ტანში ურუანტელი უვლიდა და გრძნობდა თავისავე დანაშაულს. სასჯელად კი აირა განუმზადეს ზეციურმა ძალებმა!..

- შვილო, შვილოო, - გაპეიოდა სიმწრით ბერიკაცი – ისე, რომ მისი მოთქმა და ჩივილი ცასა და ქვეყანას მოულბობდა გულს...

ეს რა დაგმართეს ავაზაკებმა, დარუნდი... ეს რა მოგსვლია და როგორ გაუმასხარავებიხარ წყეულ ბედისწერას. ვინ გაგიმეტა მსგავსი მშვენება ასე დასამახინჯებლად, ვინ?!.

განგებამ არ დაგაკლო სილამაზე, ზეცისგან მოგენიჭა, ჩემგანაც გამოგყვა რაღაც და როგორ მისცეს ავაზაკებმა თავს იმის უფლება, წაერთმიათ შენთვის ის, რისი მოცემაც არ შეუძლიათ? როგორ იცოცხლებ ანი? ან რა აზრი ექნება შენს სიცოცხლეს. ღმერთო, ღმერთო, რად არ მომასვენე ამ სიბერის უამს და რად მასვი წუთისოფელ ესოდენ მწარე ბადაგი¹. მოვმკვდარიყავი, ოღონდ ეგ არ მენახა. როგორ ავიტანო ასეთი დამცირება, მამი?

¹ ბადაგი – ტკბილი მოდულებული. ხოლო ტკბილნი ასე განიმარტება: ძველი ყურძნის წვენი.

განა მარტო შენ მოგკლეს? მეც მომკლეს შენთან ერთად! მაგრად ჩაიხუტა ქალიშვილი და სათუთად უწყო კოცნა. როგორ მონატრებოდა ასული, მაგრამ ასეთი დარუნდისა ნახვა არ სწავლდა მას. გული ტოკავდა, გული... სხეულიც ტორტმანობდა, ღელავდა და ნერვიულად აცეცებდა თვალებს. „როგორ, ჯალათი შეგეხო თავისი უწმინდური ხელით? ანდა ეს იყო იმ არაკაცის დანაპირები? ხომ დაგპირდა ქორწილის დღეს, რომ მთელი ცხოვრება დაგიცავდა, მე კარგი, მომატყუა, მაგრამ სულიერ მამასაც შეჰვიცა ურწმუნომ!.. – არა, ამას ვერ გადავიტან ალბათ!..“

დედოფალი კი გახევებული იდგა. მამისგან უარყოფილი და ნაადრევად განდევნილი ასული მაინც არავის ადანაშაულებდა. ყველანაირად ნირშეცვლილი ქალი პალატაში უხერხულად გრძნობდა თავს... თითქოს პირველად იმყოფებოდა სრაში, ისე გაოგნებული აცეცებდა თვალებს, ზღვასავით სევდიანსა და უძიროს...– ნახე მამი, ის კარადა ისევ იქ დგას; შენი საყვარელი წიგნი მაგიდაზე დევს კვლავინდებურად; ის ვაზა, მე რომ ბავშვობაში გავბზარე, როგორ არ გაბეზრებს თავს. აჯობებს მოიშორო მამიკო! მაგრამ კლავესინი? ის რომ არაა? რა უსახურია მის გარეშე სასახლე...ვამბობდი კიდეც მკითხველო, „გაივლის დრო და განადგურებული სეტემან შარვაშიძე უკან გამოითხოვს მეთქი იმ ინსტრუმენტს, რომელიც მეფური პატივით მიაბრძანეს დადიანთა საუფლოში, მაგრამ რა აზრი ექნება; თავისი ცხვირმოჭრილი ასული ვერ დაუკრავს უწინდელივით ლამაზად და საამურად.“

გაივლის დრო და მარტოსული მთავართაგანი ყველა ნივთს უკლებლივ გაიმეტებს მზითვთაგან, მაგრამ არასეზით დათმობს როიალს, რამეთუ იგი დარუნდისა მოაგონებს, ხოლო მასზე ახმიანებული „მეგრული ნანა, თავის სათაყვანო დედას...“

ურიკასავით დანჯლრეული ცხოვრების შესახებ დარუნდიამ მამასთან იწყო ჩივილი: „წლების შემდეგ ვეზიარებედნიერებას სეტემან და წამის მეათედებში წარმტაცეს იგი„....

მოვიდნენ ცულებით, ნამგლებით, ხანჯლებით, ნიჩებებით და ჩემს ბედს უწყეს „მოპირკეთება„.. ყოველი ფასეული მომპარეს და მიწას, ღრმა ორმოს დაფლეს. ყორნებივით მომჩ-

ხაოდნენ „როსკიპს..“. როგორ ავიტანო ამდენი დამცირება ღმერთო. რა დაგიშავე, რომ ასე მაზლვევინე ცოდვათა მიტევებისათვის.

სახეზე მამის თხოვნით მანდილი აიფარა. ძაძისფერი სრულად გადაეტმასნა ჯერ კიდევ ნორჩ სახეზე და ყველაფერთან ერთად მალავდა სევდით მოციმციმე თვალებს, რადგან არ უნდოდა მამის განაწყენება.. მისი ისედაც ამღვრეული ცხოვრებით სტკენდა მოხუცს გულს, მითუმეტეს ფიზიკური სიმახინჯით რომ არ მოეკლა მთლად!..

უცრად მოაგონდა სეტემან შარვაშიძეს ქალიშვილის ამღვრეული თვალები. აი მაშინ, ძალად გათხოვების შესახებ რომ ამცნო და ბრაზმორეულმა რომ შესჩივლა:

„ნავალ და არასოდეს შემოვდგამ ამ სამთავროს ფეხს, მაგრამ გახსოვდეს, თუკი რამე შემემთხვა ბრალი საკუთარ თავს დასდე, რომ ასე უჟამოდ გასწირე დარუნდია; - მამის კალთას ამოფარებული ქალიშვილი, მამისგანვე ნაადრევად უარყოფილი,...“

სინდისშეწუხებულმა აფხაზმა მთავარმა მხოლოდ ეს გაივლო გულში:

„ნეტა ესოდენ შერცხვენილი მართლა არ დაბრუნებულიყავი დარუნდია..“ და თვალცრემლიანმა მისაღებ ოთახში სრულიად უნუგეშო ქალიშვილი მარტოკა დატოვა...“

დარუნდიამ კი შინ მისვლისთანავე იგრძნო, რომ სეტემანი მეფური პატივით აღარ ცხოვრობდა უკვე.

სასახლე მოუწესრიგებელი იყო, ბალი მოუვლელი. ცერემონის მოყვარულ აფხაზ მთავართან ბოლო დროს ვერავინ ბედავდა სტუმრობას. მუდამ უგუნებოდ იყო სეტემან შარვაშიძე, რომელიც ბედისა თუ უბედობის ლაბირინთებში პარალელებს ავლებდა და მთელ განვლილ ცხოვრებას ისიგრძეგანებდა. ფიქრობდა, სად იყო მტყუანი და სად მართალი.

საჭმელიც უბრალო იყო; ოქრო-ვერცხლის აზარფეშები, ბროლის თასები და ლალ-იაგუნდთა სასმისები უბრალო ჭიქებმა ჩაანაცვლა. პურობისას ვერ იფიქრებდით, რომ ეს-ოდენ ღარიბულ ჭამადს¹ ოდესლაც ძლევამოსილი სამთავროს

¹ ჭამადი – საჭმელი.

აფხაზი მთავარი, - სეტემბან შარვაშიძე და ასევე სახელოვანი სამეგრელოს თავნება დედოფალი შეექცეოდა.

ეგ ქალი ფუფუნებაში იყო გაზრდილი, მაგრამ დრომ როგორც კი მოითხოვა მისგან რაღაცასთან შეგუება, კი არ ამბოხდა, არამედ მორჩილების ნიღაბი მოირგო.

ოქრო-ვერცხლის ჩანგლებზე იყო გამოზრდილი, მაგრამ ახლა უბრალო ჭურჭლეულობაზეც მადიანად ილუკმებოდა. მერედა სად წავიდა ის სიამაყე, რომელიც მთავრის ასულს თან სდევდა ყოველგან? – იგი გაერა... ტირანმა და ვერანმა დრომ შეჭამა. სიამაყე მაშინ უხდებოდა დედოფალს, თორემ ახლა რა ჰქონდა საამაყო. გადაპრანჭულიც კი იქნებოდა დღევანდელი თვალთახედვიდან ისევ ისე მედიდურად, თავკერძულად რომ ევლო სასახლის დერეფანში¹. რამეთუ მაშინდელ დარუნდიასა და ეხლანდელს შორის უფსკრული იყო უზარმაზარი და არავის შეეძლო ამ ქალისთვის უწინდელი პორტრეტის დაბრუნება.

•••

ასე გადიოდა წლები. ერთი მშვენიერი, ლამაზი ქალბა-ტონის ცხოვრება ულიმდამო ქვეწარმავალივით მიიზღაზ-ნებოდა. ყოველი დღე უსახური და უსაძაგლესი გახლდათ. მარტოდ მყოფი ღვთაება ამურს შესთხოვდა მისი მოკვდავი გულის სიყვარულის ისრით განგმირვას...

არსად იყო მშვილდოსანი ამური, მხოლოდ ლიპარტიანი უწამლავდა სულს და უგმირავდა გულს.

იქნებოდა შუალამის ათი საათი, როცა სალიპარტიანოს ვიღაც ბრგე,² ხანშიშესული დარბასისელი მოადგა. სახეზე მღელვარების ნიშნები აღბეჭდვოდა. უჩინარი ლანდები ტორტ-მანობდნენ, ცეკვავდნენ ნაიარევ ბაგეზე. ისმოდა მგლების და ტურების ყმუილი.

ყოფილ რეგენტს კარისკაცნი დაეთხოვა. ამიტომ სახლი თითქმის დაუცველი იყო და ნებისმიერს შეეძლო იქ შთაჭრა.

უცნობმა შესვლისთანავე თვალი მოჰკრა შეზღონგზე მწოლიარე, სანახევროდ შიშველ ნესტანს, გაზაფხულის ყვა-ვილთა ნორჩ კვირტსავით რომ გაეშალა და გადაედერდა სა-კინძე, საიდანაც მშვენიერი მკერდი დამფრთხალ ქურციკსავ-ით გამოსჭვიოდა.

იმდენად მშვენიერი და ლამაზი იყო, რომ აფროდიტედ¹ დასახავდა ხელოვნებაში გაზრდილი კაცი...

სტუმარს უცნაური ჟინი დაეუფლა ამ ქალთან ალერსისა და შეშურდა გიორგის, რომ ამ ბანოვანთან იზიარებდა სარე-ცელს. რომ ბერიკაცის დამჭკნარი ბაგე უერთდებოდა დედოფ-ლისას.

ნესტანი მაცდურად იმზირებოდა, ისე, როგორც ბიბლი-ური ევა.

თვალთმაქცურ გამოხედვაშიც შეატყობდით, რომ ბედ-ნიერ ცხოვრებასა და კეთილისმყოფელ მეუღლეზე ოცნებობდა.

სტუმარი ზედმიწევნით კარგად იცნობდა გიორგის არე-ულ ცხოვრებას და ხშირად ეჭვობდა, მასთან მოკავშირეობა-ზე ფიქრობდა და აზმნობდა².

„ამ კაცს საკუთარი ცხოვრება ვერ მოუწესრიგებია და ხალხის ბედს როგორ განკარგავს?“ აჯობებს პირადული მოი-ნესრიგოს, სანამ საკაცობრიო ტვირთს შეეჭიდებოდეს, მო-იკიდებდეს...

სტუმრის მოსვლის შესახებ ვერაფერს გაიგებდა გიორ-გი, რომ არა ერთი გარემოება. წყურვილის მოსაკლავად სამ-ზარეულოში დააპირა ჩამოსვლა. ჯერ მისაღები ოთახის გავ-ლა გადაწყვიტა, რადგან კარები ჩაურაზავი დარჩენოდა.

როცა სასტუმრო ოთახში შევიდა, ხედავდა, რომ იმე-რეთის მეფე დედოფალ ნესტანს ზემოდან უცნაურად დამ-ზერდა.

ეს თქვენ ხართ ხელმწიფევ? – თითქოს ვერ იცნო ყოფილმა რეგენტმა ძმაღნაფიცი.

¹ დერეფანი – ფარლია სახლი.

² ბრგე – კაცი მშვენიერად მაღალი და მოხდომილი; ტანოვანი (ს.ს. ორბ.).

¹ აფროდიტე – ზღვის ქაფიდან შობილი ქალლმერთი.

² აზმნობდა – ჰგონებდა, ფიქრობდა.

მეფეს ესირცხვილა, ასეთ ვითარებაში რომ გამოიჭირა ლიპარტიანმა.

- დიახ, მე ვარ – ამოილუდლულა სირცხვილნაჭამმა. სასაუბროდ გეახელ, ვიფიქრე დესპანთა და შიკრიკთა ნაბჟუტურევს ჩემი მოხსენება აჯობებს მეთქი. ეგებ მალემსრბოლებმა ვერ მოიტანონ კარგად დანაბარები. ხომ იცი, შორი გზაა, უნიჭოები კი მანძილის სიშორის გამო გზადაგზა ივიწყებენ ნაბრძანებს...

- „წყეულო, გამოიღვიძე, - ხელით შეანჯლრია მძინარე დედოფალი„. ახალგამოლვიძებული ნესტანი ბუს მართვესავით აჭყიტებდა თვალებს... ყავის მოხარშვა უბრძანა და ვახშმის¹ მომზადება. დიდო მეფეო, უკვე გვიანია და საკლავს ვერ მოგართმევთ; გთხოვ ნუ განრისხდებით ძმობილო. განათქვენ, მეფეებიც ყოველდღე ხარ-ირმის ხორცო მიირთმევთ?

ხელმიწერმ არაფერი უპასუხა. შეადარა ამ წუთას თავისი კნეინა ამ მშვენიერ ბანოვანს. მშვენებით მისი ნახევარიც არ იყო, მაგრამ მასზე ვაცილებით ბედნიერი. წესით ხომ ყველა ერთნაირად ბედნიერი უნდა იყოს, მაგრამ წუთისოფელი რთულად და სხვაგვარად არის მოწყობილი და აბა რას გავუგებთ ჩვენ, უბრალო მოკვდავნი...

გაახსენდა გიორგის, რომ მეზობელ, სამუშაო ოთახში სანთელი დარჩენოდა. დედოფალს რომ ხმა ვერ გააგონა, ბოდიში მოიხადა სტუმრის წინაშე და მცირედი ხნით წასვლის ნებართვა ითხოვა.

დიდხანს არ დაუყოვნებია. შორიდან კაცის სილუეტი მოიზლაზნებოდა. არა, კი არ მოდიოდა, არამედ მოემართებოდა. თავის სიმძიმე წლებს მოათრევდა ზურგით მოხუცი ლიპარტიანი. ხელთ გრავნილი ეჭირა. მზერა ამაყი ჰქონდა, მაგრამ მსგავსი გამომეტყველება მასზე ძლიერ დადიანს შეშვენდა. გამოხედვა ჰქონდა უზომოდ მკაცრი, უსაზღვროდ საშიში; ამ გარინდული მზერით პირველივე მნახველს გულს მოუკლავდა. გამოხედვა, რომელშიც კაცობრიობის და უნინარეს კი ძმისწულის ზიზღს ამოიკითხავდით.

¹ ვახშამი – მწუხრი საჭმელი გლეხურად.

ეს კაცი რომ სიკეთისთვის ყოფილიყო შექმნილი და ლირ-სეულად ემსახურა თავისი ქვეყნისათვის კუთვნილი პოტენციითა და ნიჭით შეუძლებელსაც შეძლებდა. მაგრამ პირველ ყოვლისა გიორგი იყო – ლიპარტიანი; კაცი, რომელიც ბოროტ საქმეთა საკეთებლად მოავლინა განგებამ.

დედოფალმა ლანგრით მოართვა ყავა მეუდლეს, დაიბარა ვახშამი მალე იქნება მზადო. კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ გიორგიმ ზიზლნარევი მზერით აიძულა დედოფალს დაეტოვებინა სასტუმრო ოთახი.

ქალი უსიტყვოდ დამორჩილდა ნაბრძანებს და ფეხაკრეფით გაიბარა ოთახიდან. იცოდა, რომ ფეხსაცმლის ქუსლის კაკუნიც გიორგის ისედაც ამღვრეულ ფსიქიკაზე ძალუმად მოქმედებდა. ამიტომ ფეხის ნვერებით დადიოდა. ბოლოს იმდენად შეეჩვია, რომ ქცევა ჩვეულებად იქცა და ამ ნაკლის აღმოფხვრას ამაოდ შეეცდება წლების შემდეგ ლევანი...

- აი, მარტონი ვართ და შეგვიძლია ვისაუბროთ. ნუ გენალვლება, ხმამაღლა ისაუბრე, რადგან ვერავინ გაგვიგებს მაინც. მაგრამ მერმე დაფიქრდა და ნათქვამი ასე შეასწორა:

-აჯობებს ფრთხილად ვიყოთ, ეგებ კედლებმაც მოისხან ყურები. „ხო იცი, სასახლე ჭაა, - რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს. ხოლო ექოთი რამდენ რამეს იტყვის თურმე ბრძენკაცი...“

გიორგის მჭევრმეტყველებას ისმენდა მხცოვანი იმერთა ხელისუფალი. ასევე დაუძინებელი მტერი ლევან დადიანისა. ასე ეუბნება ახლა გიორგის; ყოფილ რეგენტს სამეგრელოს სამთავროსას...

- „ხედავ, რაოდენ მოღონიერდა შენი ძმისწული“, - მერმე მოყვება ენაქაქანა კაცი ლევან დადიანის პოლიტიკურ მისწრაფებებზე და მიზანდასახულობაზე. პოლიტოლოგივით შეაჯერებს ერთმანეთთან მის ნათქვამს, ნავარაუდევსა თუ რეალურად განხორციელებულს, რითაც ყოფილ რეგენტს გონებას მოუწამლავს...

ზომიერად იჭერს თავს ოსმალეთთან, ელჩობა გაგზავნა მოსკოვს, მიმოწერა ქონდა იტალიასთან, უნინარეს კი რომის პაპთან. ჭკვიანია, ნიჭიერია, ბრძენკაცია; ჩვენდა საუბედუროდ

შეუძლია ნებისმიერი ხათაბალიდან თავის დახსნა, ზედმოჭრილი პაპა, - აი ის გაიძვერა ალექსანდრე, კახეთის მეფე, - მებრძოლი და მუხლჩაუხრელად მშრომელი. ლევანივით სხვა სამთავროთა დამბეჩავებელი.

ალბათ გაიგეთ, რომ აფხაზეთიც მორჩილია უკვე. აფხაზ-ჯიქებს განუცხადა თურმე – ანდა დამმორჩილდით, ან თქვენი თავებით გოდოლს ავაშენებო.

- მეც ეგრე მოვიქცეოდი, - გაამართლა ამ წუთს თავისი სისხლი და ხორცი, მაგრამ მისთვის საძულველი პერსონა. აბარა გვონია, თავზე ხელი უნდა გადაუსვა თანამებრძოლთ? ლომმა რომ თავის ბოკვერს ალერსი დაუწყოს ღირსებაშელა-ხული მხეცი იუკადრისებს, დამცირებად ჩათვლის და განზე გადგება. ჰოდა, აჯობებს სანამ მახვილს დაგკრავენ, თვითონვე დაასწრო.

ერთი ეგ იყო, რომ გულნატყენი იყო იმერეთის მეფე გიორგი III-ზე. გამუდმებით თავის ძმისნულს კახთა მეფეს ამსგავსებდა. რა იქნებოდა, რომ ნიჭიერ დადიანში ჭკვიანი ლიპარტიანის ელემენტები ამოეცნო?!

ქართლი დაიმოყვრა. 1633 წელს მეფე როსტომს დაუკავშირდა და მას თავისი და მარიამი მიათხოვა. მოგეხსენება გიორგი, რომ ეს პოლიტიკური ქორწინება იყო. ჯერ ერთი, სიძედ მეფე არჩია, მეორეც, ირანთან კავშირი დაამყარა საიდანაც ფულად სუბსიდიებს იღებდა.

დიდად ნინაალმდეგი ვიყავი ამ ქორწინების, მაგრამ ბალდადთან დავმარცხდი და ტყვედ ჩავვარდი. რომ არა შენი მონდომება და გამოსასყიდი, ალბათ დღეს აქ არ ვიქნებოდი.

გურია ხომ 1625 წლიდან მის ხელთაა. გურიის მთავარი სიმონი ტახტიდან ჩამოაგდო, მის ნაცვლად კი მასთან დაახლოებული კათალიკოსი მალაქია გურიელი აიყვანა.

გოჭოურასთან 1623 წელს მომხდარმა ომმა და ჩემმა მარცხმა კიდევ ორმაგად გააძლიერა შენი ძმისნული.

ჩვენი მოკავშირეობა ვგონებ ისევ ძალაშია. ასე მცონარებით და უმოქმედობით შენი ძვირფასი ძმისნული დიდხანს იპარპაშებს თავისუფლად. კლდე-დღეზე მეფეც შესაძლოა გახდეს და მერე ნახე შენ რა ბედი გველის. ჩვენ წაგვართმევენ

სასახლეებს, გავიყიდიან ცოლებს, შეგვაფურთხებენ სულ-ში და ჩვენს სხეულებს ჩამოკიდებენ ჭყონდიდზე.

ამას ნინათ ხმები დავყარე, ვითომ კათოლიკე გახდა. მეგრელი ქრისტეს თაყვანისმცემელი არიან. ძირითადი მოსახლეობა მართლმადიდებელია. ვითიქრე კათოლიკე მთავარს ზურგს შეაქცევენ მეთქი. თუმცა იმ წყეულმა წირვალოცვაზე სიარულს მოუხშირა, ხალხში უცნაური რწმენა დანერგა; ისე, რომ წმინდა გიორგის ხატივით ენდობიან ყველაფერში. მოსახლეობა ისე მოუნუსხავს იმ გრძნეულ დევ-კაცს, რომ მორჩილებაში ჰყავს ყოველი და მათზე დიდ სულიერ ზეგავლენას ახდენს. უცნაურია, მაგრამ თითქმის ყველა ოდიშელი აღიარებს და ფეხთ ეგება ლევან დადიანის კულტს...

ბოროტება რომ მხრებს უმძიმებდეს განა აღიარებდნენ მეგრელი? ვერ ვირწმუნებ, ვითომ მარტოოდენ ცეცხლითა და მახვილით ახერხებდეს სამთავროში მშვიდობის დამყარებას. მართლაც რომ უცნაურია. მარტოოდენ ღვარძლკაცაცა რომ იყოს, რად ემთხვეოდნენ ლევანს მეგრელი წმინდანივით, რად დაწერდნენ ხატებს, რომელზეც მარტივად ამოიცნობთ მმართველს, რად ემსახურებიან ასე ღირსეულად?

რაღაც უცნაური ელექსირი აქვს, მოიპოვა და მოძებნა მუხტი, რითაც ახერხებს მოვლენათა მსვლელობას. ისე თამაშობს პოლიტიკაში, ვითომ ჭადრაკის დაფას განაგებდეს. ჩვენდა სამწუხაროდ, არც ერთი თამაშობა არ წაუგია.

ერთი თვისება აქვს ლევანს – ესაა თვითრწმენა; სწამს, რომ ბატონია ყოვლისა. ასეთი ძლიერი კრედოს, მრნამსისა და საკუთარი თავის გაღმერთებით მოახერხა ყველა ფათერაკის დაძლევა. განა კაცია ლევანი? – ესაა მანეკენი, რომელიც ყოველ საუკუნეში გამოდგება, თითქმის ყველა დროში მმართველი თუ არა გავლენიანი, მანდატის მქონე პერსონა იქნებოდა. რამეთუ მასში მეუფება ტივტივებს უნინარეს, ვიდრე სხვა ნიშნები. და არ მიკვირს ესოდენ ძლიერი პოტენციის მქონემ მიაღწიოს წარმატებას.

აბა რას დააკლებს წუთისოფელი ესოდენ ძლიერსა და შეუპოვარს. საწუთრო მხდალებს აჩიავებს, აშინებს და იმონებს, თორემ ძლიერთან მიახლოებასაც ვერ ბედავს.

ისიც გავიფიქრე, ბუნებით ამაყს რაიმე ვერაგულს გავუკეთებ, ისეთს, რომელიც ჩირქს მოსცხებს მის კაცობას-მეთქი.

ალბათ გსმენია ვეზირთუხუცესი კორტუგა, ჩემგან ვითომდა გაძევებული. დედოფალ დარუნდიასთან საყვარლობის ინსცენირება მოაწყო. ზოგადად ქალები მებრალებიან, მაგრამ... ეს ისეთი ჭორია, რითაც უცილობლად გავამწარებდი ლევანს.

მაგრამ იმ აშარმა არ დაიჯერა. იეჭვა, რომ ჩვენი ნამოქმედარი იქნებოდა. სამაგიეროდ ხალხი დააჯერეს ჩემმა მსახურებმა, ვითომდა მართლა მეძავი იყო.

პატივმოყვარე ხალხმა ვერ აიტანა ესოდენ სოდომური სირცხვილი და ალბათ გსმენიათ, რომ სახელოვანი შარვა-შიძის ასულს როგორ წარკვეთეს ცხვირი. მართლა ცოდვა იყო მსგავსი მშვენება, მაგრამ არ მითხრა რომ გული გეტინა. შენ რომ ლევანის პირველი სატრფო მოაკვლევინე, ანალოგიურია ვგონებ ამ ამბის.

ნასიამოვნები გიორგი ლიპარტიანი სავარძელში მჯდო-მარე თვალი ისახავდა იმ მომენტს, როცა საბრალო დარუნ-დიას ჯალათი ცხვირს კვეთდა. ასევე წარმოიდგინა გამწარე-ბული ძმისწულის პირტრეტი. გულმხიარული ყალიონს შვე-ბაგაცლილი ეძალებოდა.

ასე გადაუჩურჩულა იმერელმა ლიპარტიანს:

-დადიანის პირადი ცხოვრება ისე გავიგეთ ფეხქვეშ, რო-გორც ღორებმა ბრილიანტები. მოგუდულად იცინოდა. შემ-ზარავი მიმიკრიისა და უცნაურად დაკუნთული სახის ნაკვთე-ბის მქონე ღვარძლკაცა...

მერე ისევ დადუმდა, ისევ ოდიშზე ჩამოუგდო ბანი. ახლა ასე ეუბნება გიორგი იმერთა მეფეს:

- რა ხდება ოდიშს, დადიანისეულ სასახლეს?!

გიორგი III დუმს. ეძებს ისეთ სიტყვებს, რითაც გაახა-ლისებს ნახევრად ცოცხალ ყოფილ რეგენტს:

- „ტურები ყმუიან და შორიახლო ბინადრობენ დათვე-ბი„, სმა არ ჰყავარებია თურმე ლევანს, ახლა კი გალოთებულა.

ასე გაიძახის თურმე გამუდმებით: - „ქალები თუ დამიფლეთენ გულს, თორემ ყვავ-ყორნები რას დამაკლებენ თუ იციო!....“

- ოჳო! – შესძახა მხიარულად ლიპარტიანმა. ეგ რა დე-ვიზი გამოუგონია, - ისეთია, რომ ამგვარი რწმენით ცხოვრე-ბას ვერც უკეთ მოიწყობ და ვერც გაიუარესებ...

ერთი ეგ იყო, რომ უზომოდ სძაგდა ლევანი, სამაგიეროდ მისი ყველა ქმედება სამაგალითოდ მიაჩნდა.

„რადგან მას ქალმა დაუფლითა გული და ბრძოლაზე ხელი ააღებინა, იქნებ მეც ეგრე გადამთელოს ბედისწერამ?! მაგრამ არა... ნესტანი ასე როგორ გამწირავს? მარტოოდენ შიში დაამუხრუჭებს წყეულ დედაკაცს...“

მერე ისიც მოაგონდა:

- „მგლები ყმუიან და შორიახლო ბინადრობენ დათვებიო!“, ნუთუ ასე გაუჭირდა და გავერანდა მთავრისეული სასახლე. ღმერთო რა ბედნიერება!

ბარბაციო წამოდგა, ფანჯრიდან გაიხედა; უაზრო თვალებით აშიშვლებდა გარესამყაროს. გარყვნილი ბუნებისა იყო და წარმოსახვაც შელახვოდა ძლიერ...

ბოლო დროს მსუბუქად ჩაცმა დასჩემდა, იმიტომ რომ მძიმე სამოსთა ტარება ღლიდა უზომოდ.

ახლა ახალი წინადადება წამოაყენა მეფემ.

- „სუფრა გავმართოთ აქ სალიპარტიანოს. მწყერისა და ნადირის ხორცი ჰყვარებია თურმე. დაე, აქ მოვიწვიოთ. მხედარნი ჩავასაფროთ შორიახლო. პურობის ჟამს იარაღი ავყაროთ მასა და მის გარშემომყოფთ...“

თათბირი შუალამისას დასრულდა. ისე გაიყარნენ, როგორც დღე-ღამე გაიყრებიან ერთურთისაგან. და ორთავე გულმხიარულნი იყვნენ, რამეთუ ფარისევლური გეგმით ხაფანგში ეწადათ დადიანის მოხელთვა. თან ერთხელ და სამუდამოდ იზეიმებდნენ გამარჯვებას...“

•••

სახედაბურული დარუნდია შარვაშიძე ჭყონდიდის ხის ქვეშ მთვლემარე იგონებდა ლევან დადიანს; ბოლოს რომ შეხ-

ვდა ქმარი უზომოდ გარდაქმნილად მოეჩვენა. ისე ეჩურჩულებოდა, ვითომ ბაიებსა და ველის შროშნებს ეამბორებოდა;

- თურმე ადვილად შეძლებიათ ჩემი გაწირვა დარუნდია. მარტოობისთვის განწირული მთავარი კიდევ რამდენს აიტანდა შენ რომ არ გემუხთლა და თანამოსაყდრეობაზე ხელი არ აგელო... ხმა მისი იყო რუდუნებით მოხვეწარი; დევივით როხროხა და კლდის ქარაფებს მიხეთქილ ზღვასავით საზიზღარი. ახლა კი მდუმარების სამოსს გახვეული ქვეშეცნეულად ბუტ-ბუტებდა მინორულ ჰანგებს.

უნდა დარუნდიას ლევანისათვის ნუგეშის მიცემა. ზუსტად ისეთივე მახვეწარი ტონალობით ეუბნება:

- ყველამ რომ გიმუხთლოს ძალლსავით გიერთგულებ ლევან! მაგრამ იმდენად უსუსურად უღერს, თითქოს მის მთქმელსაც არ სწამდეს მისი...

არ მჯერა მაინც. სულ იმ ეჭვების ბრალია, რომელშიც გავეხვიე მე... ასე მეუბნებოდა მამაჩემი, ნუ მიენდობი დედაკაცებს, რადგან როგორც კი ყველაფერს ხელთ იგდებენ, გული უცრუვდებათ და გველებივით იცვლიან პერანგს.

შიშნარევი დარუნდია თრთოლას აეტაცნა. ამჩნევდა, რომ ლევანი რაღაც შემზარავს უპირებდა. კორტუგასთან დალატს აბრალებდნენ დედოფალს, თან ეს შეთითხნილი ამბავი თავადაც აღიარა მერაბმა და ბოლოს, ყველა სამხილი მისდა ნინაალმდეგ იმიზნებოდა.

ბედს მივენდობი და მდინარის დინებას ავყვები, გაიფიქრა შარვაშიძის ასულმა. პასუხად ეს უთხრა ლევანს:

- მეეჭვება, რომ გული იმაზე მეტად დაგიფლითო, ვიდრე დღეს გაქვს დაფლეთილი. ყველაფერს იმსახურებ და ამასთან არაფერს, რადგან შეტევა გჩვევია და დათმობის მოძულე ხარ... გული მწყდება, რომ იმაზე ნაკლებ გიყვარვარ, ვიდრე ეგ შენი საოცნებო ოდიში.

იმდენად უძლურია შენი ჩემდამი ტრფობა, რომ პირველივე წარმოჩენისთანავე მომიშორებ. ვვონებ სამართლიანი მიზეზი გიპოვნია და ანი ვინ შეგაჩერებს დევკაცს.

„მოარულ ჭორებს უფრო უსმენ, ვიდრე ნალვლიანად, ღამის ბინდ-ბუნდში დარდნარევი ქალისგან ამუსიკებულ როიალს.“

გაცილებით ბევრს ითხოვ სხვისგან, რადგან შენსავით უძლეველი გგონია ყველა. არ დაგავიწყდეს, რომ ქალი ვარ პირველ ყოვლის და ის, რაც მამაკაცის უზნომაგარ მკლავებს შეუძლია, - „ქალის უნაზესი ხელები მასთან უძლურია და აუმოქმედებელი.“

შენ ვერ ხვდები, რომ სულიც კი მოგყიდე. მარტოობენ შიშისთვის? ქალის სამყარო და შინაგანი განცდები თვალთ დაგიხატე, ბრილიანტებივით მოგიფინე. შენ კი მაინც გგონია, რომ ასე იოლად დაგიკორტნი მაგ გულს?

„მე არწივი არ გეგონო ლევან და არც შენ გიხდება მსხვერპლად თავის მოჩვენება“, ძალაუფლება შენს ხელთაა, და ვერ გამიაზრებია რა გაშინებს...

დიონისე, ღვთაება დიონისე. ეგ წყეული ლოთი განა არ იყო ლირი? რა დაიჩემე ქალი თუ დამიფლეთსო გულს. სიყვარულის უფლებას თუ ნაართმევ დედაკაცს, მხეცადაც იქცევა. ნადირი კი რა ნადირია, თუ სხვას არ მოიხელთებს...

არ დაიჯერო, რომ გილალატე. აჯობებს ერთხელ მაინც გაუმართო საკუთარ თავს დაკითხვა; განსაჯე, რამდენი ვქმენ შენთვის და როგორ შეგიყვარე.

და თუ მაინც ინამებ, რომ მეძავის სისხლისა ვარ, ისე მოიქცი, როგორც გენებოს. აწონ-დაწონე ყოველი და უსაფუძვლოდ ნუ განმაგდებ შენი ცხოვრებიდან, თორემ ერთურთს მოწყვეტილი გავნადგურდებით. ძნელბედობის უამს მე რომ არ მეწუგეშებინე, ეგ შენი სამშობლოც მიწის ნაფლეთებად და კოლონად ქცეული იქნებოდა. და მეეჭვება, რომ ჩემი განდევნის შემდეგ წარმატება ისევ მოიპოვო, ხოლო მოპოვებული – შეინარჩუნო. რაც არ უნდა დამმართო, თუნდ ვერაგული სასჯელით გამისწორდე, მაინც მეყვარები, რადგან კაცი კი არა ღვთაება ხარ, რომლის მოსვლის მიზეზს ვერასდროს გაიგებს კაცობრიობა და ვერც იმას, რა გაწუხებდა მთელი ცხოვრება....“

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები უბედურებისგან იტანჯებიან, ცხოვრებას არაფერი ენაღვლება და თავისი ტემპით, აუჩქარებლდად და უდრტვიწველად მიემართება წინ და წინ, ისე, რომ უკან გამოხედვაც არ უნდა. ან რა დარჩენია წარ-

სულში? იგივე, რაც მომავალში უნდა ნახოს, ამიტომ ურჩევნია წინ გაიკვლიოს გზა...

ხის ქვეშ გარინდული დედოფალი წარმოიდგენს დადიანისულ სასახლეს და შეშლილივით დაინუებს მოთქმას. თავის ამღვრეულ სიტყვებში ხშირად წარმოთქვამს „ლევანს“, „მანუჩარს“, და ახალშობილ ალექსანდრეს, რომელიც ავადმყოფი მოევლინა ქვეყნიერებას. ამ საბრალოს აფხაზეთში ჩაედგა სული. ხოლო სამეგრელო ჯერაც არ ენახა თვალად. (ამ ამბის შემდეგ რამოდენიმე თვემ განვლო.)

სევდამოსილი და ფიქრით გართული ღვთისმშობლის ხატს შეევრდომება, რომელსაც მთელი თავის ცხოვრებას გადაუშლის. იმ წუთიდან, როცა უმანკო თითებით სილაში ითითხნებოდა და იმის ჩათვლით, რომ ვითომდა ბედნიერ გოგონას როგორ წაართვეს ცხოვრება...

••••

გრძნეული დევკაცი ნელა მიუყვებოდა წუთისოფლის მიხვეულ-მოხვეულ გზას. ისე იყო გათიშული, რომ ვერაფერს გრძნობდა გარდა ტლანქ ძალასთან შერკინებისა.

იდგა განმარტოვებით და ფიქრობდა, სად იყო ბედნიერება ან რა იყო იგი. ეს არსებული ფენომენი რაღაც მისტიურად მიიჩნია და გული დაწყდა იმაზე კი არა, რომ დღესდღეობით არ იყო ბედნიერი, არამედ იმაზე, რომ არასოდეს უგრძნია იგი...

სულის სიტლანქესთან შეგუება აღმოჩნდა ძნელი ასატანი, თორემ ყველა დანარჩენს იოლად აიტანდა.

დაიღალა ისე, როგორც არასდროს. - „მე მუდამ დაქანცული ვიყავ, მაგრამ ასე ძლიერ კი აღარ....“

არ უნდა მიეცა საკუთარი თავისთვის იმის უფლება, რომ უბედური ყოფილიყო.

თითქოს ყველაფერი ჰქონდა საიმისოდ, რომ თავი უბედნიერესად ეგრძნო. მაგრამ, მაშინ, როცა დადგა ფაქტებისა და მოვლენების წინაშე აღმოჩნდა, რომ მისი წარმოსახვითი ბედნიერება ცრუ და შეთხზული ყოფილა. ანუ ეს იყო გრძნო-

ბა, რომელიც გამოეგონა. არწმუნებდა თავს, ვითომ სრულად ჰქონდა ცისგან ყველაფერი მონიჭებული. და მოულოდნელად მაშინ დაიმსხვრა და გაცამტვერდა, როცა საყვარელი არსება წარტაცი მდუმარე და მარად გაულიმარმა ღვთაება ფორტუნამ! აი მაშინ, მწარე ფიქრებს მიეცა და როშავდა ბუნდოვნად. ამდენი ნეოლოგიზმი და მაინც დგას მტკიცედ და შეურყევლად.

თითქმის არაფერი უნდოდა გარდა მარტოობისა. შეჩვეოდა საკუთარ თავთან ჩურჩულს და იმდენად დაახლოებოდა და მოეხელთა ეს გრძნობა, რომ თითქმის სიცარიელეს გრძნობდა, როცა აუარებელ ხალხში იყო.

ითვლიდა წამებს, წუთებს, საათებს. დროს ანაწევრებდა. საკუთარ უბედურებას ამრავლებდა, როგორც უსასრულო რიცხვებს.

••••

ბოროტს და ღვარძლიანს არასოდეს უსმენს ღმერთი, მაგრამ სატანა ყოველთვის ექომაგება...

ამ სატანისეულ გამოვლენას ზოგჯერ ბრძენკაცი ადვილად ხვდება. ასე იყო ლევან დადიანის შემთხვევაში.

როცა დესპანებმა ამცნეს, რომ სტუმრად ეპატიურებოდა რეგენტი გიორგი ლიპარტიანი, სიმწრით ახარხარდა დადიანი და უმალ იეჭვა, რომ ბებერი გაიძვერა კარგს არაფერს უქადდა. თითქმის მთელი ცხოვრება მზაკვრულ, მუხანათურ გეგმებს დედაზარდლის ქსელივით ბეჭავდა, ქსოვდა. სხვისი უბედურებით კმაყოფილი ხალხში მაინც ღვთისმოსავად ცხადდებოდა.

ლევან დადიანი რომ ეშმაკი პოლიტიკოსი არ ყოფილიყო, ხაფანგში უეჭველად გაებმებოდა, მაგრამ კარგად იცნობდა ბიძას, პირმოთნესა და ცბიერს, ამიტომაც მუდამ ფრთხილობდა....

ასეთი გეგმა ჰქონდა მთავარს. ჯარითურთ წავიდოდა სალიპარტიანოს. ახლომახლო ჩაასაფრებდა მსტოვრებსა და მეომრებს, თვითონ კი იარაღაყრილი ენვეოდა ბიძას სტუმრად. პურობისას, შეზარხოშებულ სტუმარ-მასპინძელთ მისი ჯარი

შემოეწყობოდა. თავდაპირველად ხანძარს გააჩაღებდნენ და ყოველივეს ცეცხლის ალში გახვევდნენ, ამით რასაკვირველია მთავრის და სტუმრების ყურადღებას მიიპყრობდნენ.

ასე დასახა გუნებაში ლევანმა, რომ ბიძა სასახლის გვირაბით გაიქცეოდა. ამიტომ სუფრაზე დედოფლის გვერდით დაჯდომა არჩივნა, რომ სიტყვა დაეტყუებინა მისთვის...

მთავრის გეგმაში ესეც შედიოდა: იმერეთის მეფეს და გიორგი ლიპარტიანს თვალებს ადგილზევე დათხრიდა, ხოლო დანარჩენთ დილეგს დაალპობდა. უმშვენიერეს მანდილოსნებს თავის ერთგულ მოკავშირებს ხასებად დაურიგებდა...

•••

ორშაბათი დილა გათენდა, გულმოკლული მთავარი მისალები ოთახის სარკეში იმზირებოდა. სარკიდანაც ირეკლებოდა ასაკი და მომქანცველი სახე, - უაზროდ მოტეხილი და დანაოჭებული.

მას უსათუოდ სჭირდებოდა ვინმე, ვინც თანაუგრძნობდა, გაამხნევებდა, სიცოცხლის აზრს შემატებდა, თორემ ასეთ სიცარიელეში ფიქრობდა, რომ არავის სჭირდებოდა, არც ერს, არც ხალხს, არც ვინმე ქალს...

შავ, მამაპაპურ სამოსში გამოეწყო და ჰგავდა სიშავის ანგელოზს, სადაც მიდიოდა რისხვა და ცეცხლი მიჰქონდა.

ამ ბოლო დროს უზომო ძალაუფლების მქონემ პოზიციები განამტკიცა დასავლეთით, აღმოსავლეთიც ფერხთ ეგებოდა. ესოდენ დიდი წარმატების მქონემ დაიმორჩილა სვანები, აფხაზნი, დაიმოყვრა ქართლი ერთი სირთულის რუბიკონს წააწყდა, მაგრამ მასაც დღე-დღეზე გადალახავდა. ერთადერთი აუღებელი ციხე-სიმაგრე იმერეთის სამეფო გახლდათ! თუკი ამ სამეფოს თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევდა, მაშინ გამეფებასაც შეძლებდა და იმედოვნებდა, რომ სამევრელოს დარად აალორძინებდა მთელ იმიერ და ამიერ საქართველოს.

ამდენი წლის შემდეგ ისევ ახსოვდა ჭაბუკური მეხსიერების ლაბირინთებს ალექსანდრე კახთა მეფის ნაჩიჩინები.

„დავით აღმაშენებელივით ძლევამოსილი ყოფილიყავ და იმდროინდელი ძლიერება და შარავანდედი ქვეყნისა დაგებრუნებინოსო!“ რატომდაც ლევანის ყოვლისშემძლეობის უზომოდ სწამდა პაპას და ხშირად ჭაბუკის მახვილგონიერებით აღფრთოვანებულს უთქვამს:

- „თუ ერთიანს ვერ გახდის საქართველოს, თავისავე მონაგებსა და დადიანისეულ სამფლობელოებს მაინც განაძლიერებსო,,.

პაპის წინასწარმეტყველება ჯერ-ჯერობით ცხადზე უცხადესი იყო.

უზომოდ ნერვიულობდა თურმე გზად მიმავალი მთავარი, რადგან დღეს გადაწყდებოდა თავისი ქვეყნის მომავალი.

„ვერაფერი ვიხილე ჯერაც ისეთი, რაც მთავრობაზე ხელს ამაღებინებს. მაგრამ წარმოიდგინეთ, ერში მომრავლდნენ ჯოჯოები, სისხლისმწოველი პარაზიტები და იცით რას მთხოვენ? – გვირგვინი მოვისხსნა თავიდან და შევწირო მათ...

არაფერი შეუძლიათ, გარდა ამბოხებისა, ჩვენი რელიგიაც არ მოსწონთ და არც მლვდელმთავრები. ასე გაიძახია: „რისთვის გამოიგონეს აღსარება იმ შავანაფორიანმა ღმერთებმა? – რათა ადამიანთა სულიერი სამყარო დაიმორჩილონ და შეამოწმონ, რამდენად ენდობიან ჯვარს, რომ მერმე მით შემოგიტიონ უბედურებო, ჯვარი და ეკლესია კარგი იარაღია თქვენთვის....“

და ერთი რამ მეეჭვება, უცილობლად დაგითმობდით ტახტს, რომ არა თქვენი კაცომძულეობა. როცა რწმენის ლაპარს აქრობთ და ხალხს მასონობისაკენ მოუწოდებთ, როცა გნადიათ სიწმინდეები მოუფინოთ ღორებს, სამთავროზე კი წილი იყაროთ და იმგვარად გაინაწილოთ, როგორც კვართი უფლისა ჩვენისა, როცა გვინიათ, რომ უომრად იცხოვრებთ ბედნიერნი, შეურცხვენებულნი და თავისუფალნი, - ამგვარი კრედოს მქონეთ მოგართვათ ყოველივე ლანგარზე?

ეგ გაიძვერა გიორგი ხალხში ღვარძლსა თესავს, ამიტომაც ვერ იმკის იფქლს საბოლოოდ! თუ ადამიანთ ყოველივეს წაგვრი, მაშინ ამბოხდება მხოლოდ. მე კი არა თუ წავართვი,

არამედ უსასყიდლოდ დავურიგე მიწები, გავხსენი სალარო, დავაპურე ობოლნი.

ალბათ ამადაც ვუყვარვარ ხალხს... მე რომ პურის ნაცვლად მშვენიერთათვის იარაღი მიმეძლია, ის თოფი ჩემდა წინააღმდეგ გაისვრიდა. კარგი ბელადი დიდხანს მართავს ქვეყანას და იცი რას უნდა უმადლოდეს იგი ამას? მან მართვის სადავების ჩაბარების დღიდან ისწავლა საქმის კეთებაც... ხოლო როცა ბელადი ხალხის გულისნადებს ისმენს და კეთილ საქმეთა თანაზიარია, მას ასე უბრალოდ გაწირავენ?!

იმას კი არ უნდა მისტიროდე, რაც დაკარგე, არამედ იმას, რომ კიდევ მეტს დაკარგავ უმოქმედობით. არ უყვართ მომტირალი ხელისუფლები. რადგან ბრალს გულწილობაში სდებენ, ხოლო ქალაჩუნა არსად ეჭირვებათ, არც სახლში და არც ომში.

და მაინც, როგორ უნდა აეშენებინა ლევანს ქვეყანა?

ანუ მე, ამჟამინდელ მესვეურს სამეგრელოს სამთავროსას, უნდა მესმოდეს, რას მთხოვს მომჩივანნი და როგორი ტონალობით საუბრობს ხალხი მთავარზე. სხვას რომ თავდაჯერებისაკენ მოვუწოდო, თვითონ უნდა იყო თავდაჯერებული, ხოლო თუკი სიყვარულს ქადაგებ და ასწავლი ყოველ სულიერს, მერწმუნეთ, ერთხელ მაინც უნდა განიცადოს თქვენმა სულმა ლვთაებრივი ქროლვა...

დემონსტრაციები... ამბოხებები... ტირანია... სისხლი... ახალი ხელისუფლალი, ახალი კანონებით. თვეების შემდეგ კი აღმოაჩენთ, რომ ძველისგან ახალი არაფრით გამოირჩევა. და ნანობთ, რომ ასე დაიხარჯენით, რომ ამდენი იომეთ უშედეგოდ!

თავისთვის ფიქრებში გართული მთავარი ფიქრობდა:

რა შეუძლია ბებერ ლიპარტიანს? როცა ძლიერ გაუჭირდება ქალ-ვაჟებს გაჰყიდის, მერე სახნავ-სათესებს, მერე კულტურას, ბოლოს სამთავროს; ამას ისე იზამს, რომ ხალხს ძველი მმართველის ნამოქმედარი ეგონება. შეიძლება ათმა წელმა აგალორძინოს ან მიწას დაგფლას, ათი წელი გზაც არის მწვერვალიდან უფსკრულამდე და უფსკრულიდან – მწვერვალისაკენ. ხოლო თუ გინდა არ სძულდეთ ზოგჯერ მაინც უნდა ემსახურო ერს ლირსეულად.

არაფერი სწადიათ ადამიანებს გარდა განდიდებისა, სახელის მოხვეჭისა და სიმდიდრისა. თვით მდაბიოც თავის მხრივ, შესაძლოა ჩუმად სიმდიდრისაკენ ისწრაფვის, ხოლო მდიდარი ზეალმატებული ფუფუნებისაკენ. გინახავთ კაცი, რომელიც პირიქით ინატვრიდეს?

ეგ გიორგიც მიაღწევს მიზანს და მერე ნახე, როგორ გადაუქროლებს ჩემი პაპისპაპის და წინაპართა მიერ სისხლის ფასად აგებულ სიწმინდეებს. რადგან არაფერს გააჩერებს, რაც დადიანთან იქნება კავშირში; შეიძლება სასახლეც გადანვას და მის ნაცვლად ახალი ააგოს, თუკი გუნებაში დაუჯდება და რაღაც ხმა ჩასძახებს, რომ ის არათუ ლიპარტიანის, არამედ დადიანის კუთვნილებაა.

გზად მიმავალი ხვენებდა. დიდად არ ებრალებოდა საკუთარი თავი, მაგრამ მიჩვეოდა მაინც მეუფებას. ლომი იყო და სოროში რომ მოეთავსებინათ, ბოლმისგან უეჭველი მოკვდებოდა.

დიდყაცი იყო ლევან დადიანი და ბიძას რომ დილეგს ამოელპო, თავს ლაფის დასხმად მიიჩნევდა. გარდა ამისა, მემკვიდრე მცირენლოვანი იყო. ენანებოდა თავისი გვარი ამოსაძირკვად, ვერ ეპულებოდა იმას, რომ ყოფილი რეგენტი გიორგი ლიპარტიანი გაბატონდებოდა სასახლეში, ხოლო დადიანები გაქრებოდნენ პირისაგან მიწისა...

ამასთან, ოდიშს შეეძლო გამხდარიყო ძლევამოსილთაგანი და მთავრის ოცნებას შესხმოდა ფრთები. განა მარტო მეფობა ეწადა დადიანს? არამედ სურდა ერთიანი საქართველო ეხილა და ალექსანდრე მეფის ნახვენარი და ნაჩიჩინები აესრულებინა...

როგორც კი სალიპარტიანოს მიუახლოვდა ლევანი, აურაცხელ საზოგადოებას მოჰკრა თვალი. გული დაწყდა, რომ დღეს აქ მარტოკა მოდიოდა, რომ მის გვერდით არ იდგა უმშვენიერესი ბანოვანი დარუნდია შარვაშიდე...

ეზოში ვიღაც ქალბატონი ძალლს ასეირნებდა. ფინია იყო, რომელსაც საწყალობლად შემოჭდობოდა ხაჯალური. სრულიად უადგილო იყო ამ ძალლისთვის საბელის მობმა, რადგან მძიმე ჯაჭვს ძლიერ ათრევდა პირუტყვი, თან ერთობ მოსუნდა ემსახურო ერს ლირსეულად.

ჭეროდა საცოდავს... იხრჩობოდა, თუმც კი გულქვა ბანოვანი მაინც არ აქცევდა ყურადღებას.

- „ამ ძალლივით საწყალობელი გახდება შენი ცხოვრება ბებერო მელაძუავ! მარტობა კი ისევე შეგანუხებს და მოგახრჩობს, როგორც ამ პირუტყვს ეს საბელი. აი მერე კი ისევე გულქვად, ცივად დაგაკვირდები, როგორც ეს მანდილოსანი იყურება ზევიდან. რამეთუ ძალგიძს წამართვა ის, რასაც შევნირე ჩემი ცხოვრება. გსურს შენი გერბი აღიარებინო და მის წინაშე დააჩიქო მეგრელნი, ახლად შეთითხნილი გააღმერთონ, ისე, რომ მისი წარმომავლობაც და სადაურობაც ვერ გაიგონ!....“

ახლოს მიიწია ლევან დადიანი ქალთან. ცხენზე ამხედრებული ნაქანდაკევს ჰგავდა, - ასევე ქვისგან დამზადებული შედევრივით მრისხანედ მომზირალი! მაცდურად დასცერდა ქალის მშვენიერ სილუეტს, უმშვენიერესს მოყვანილობას და წინ გამოწეულ ორ უნატიფესს მკერდს.

- ქალბატონო, ქალბატონო, - აი დაიძახა ლევანმა და სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ დიაცის სილუეტი მისკენ მობრუნდა. ამასობაში ლევანმა ცხენს სადავეები მოჰქაჩა, აღვირს ხელი აუშვა და ჩამოქვეითდა. შემდეგ მზერა მიაპყრო იმ უცნობს, მის წინ რომ იდგა, სიცხისგან თუ სიმორცხვისგან შეწითლებული...

ამღვრეული, ალენილი სახე და მდუმარე გამომეტყველება ქალს ცოტათი ამახინჯებდა. გასაოცარი ის იყო, რომ მას ცალ-ცალკე ლამაზი არაფერი ჰქონდა, მთლიანობაში კი ლამაზად წარმოჩინდებოდა. ან ერთიანად მიმზიდველი იყო ან პირიქით.

დიდი მწუხარებისა და მოჩვენებითი ბედნიერების პაექრობისას და ურთიერთმეტოქეობისას არ იცოდა შეფაკლულ სახეს რა გამომეტყველება მიეღო.

მოთმინებადაკარგულ მთავარს ვერ გაეგო, ვინ იყო ეს მშვენიერი მანდილოსანი. ის კი სიხარულისგან ჰკიოდა: „ლევან, ლევან, - ნუთუ შენა ხარო?“ მოალერსებასაც აპირებდა, თავზე ხელი გადაუსვა, მაგრამ მოულოდნელად ესირცხვილა; წარმოიდგინა, რომ ეს ის ლევანი არ იყო, სასახლის კარზე მის-

თვის ბედის სინაბარა დარჩენილი ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭი. ბოლოს და ბოლოს არც თვითონ იყო ოცდაერთი-ოცდაორი წლის ნესტან-დარეჯან ჭილაძე!...

თითქოს სულ სხვაგვარად წარსდგა მთავარი მის ცნობიერებაში. უკვე წლების შემდეგ, მის წინაშე იდგა მხარბეჭიანი, ასაკში შესული მამაკაცი, - მოვალეობის გრძნობით გულდამძიმებული მმართველი.

უნდოდა აფხაზთა მთავრის ასულზე სიტყვა ჩამოეგდო, მაგრამ მოაგონდა, რომ დიდი ხანი იყო, რაც ლევანის ცხოვრებიდან წასულიყო. ამიტომ აზმნობდა:

- არ ესიამოვნება ოდიშის მმართველს, თუკი მასზე ბანს ჩამოვაგდებო. სხვა კითხვა კი არაფრით მოსდიოდა თავში და იდგა მდუმარედ.

რადგან ქალმა არაფერი ჰკიოთხა მთავარს, ლევანმა პირიქით გადაწყვიტა გამოსაუბრება და ასე წასჩურულა:

- „ეგ რა დაგმართნია დედოფალო, რომ შუადლის თაკარა მზეზე საბელმობმულ ფინია ძალლს დაატარებ. „დედოფლობა“, არ გცოდნია თუ დმერთი გაგრისხვიათ სალიპარტიანოს? სულ სხვა სიმაღლეზე უნდა იდგე დღეს მაინც ნესტან!...“

- ფარისევლობა? ოხ, ეს დაწყევლილი ფარისევლობა. ნუთუ თქვენც ამას ითხოვთ სახელოვანო მთავარო? ისედაც ბევრს ვითმენ და ვმალავ! მოჩვენებითი ნიღაბი ბედნიერი ქალისა ჯერაც ღირსეულად დამაქვს. ნუთუ ეგ არ კმარა, რომ კიდევ ახალი საზრუნავით დავიმძიმო სული?

„მოჩვენებითი ნიღაბი ბედნიერი ქალისა“, - ეს არეული წინადადება უმალ დაალაგა და თანმიმდევრობა შეუცვალა; იფიქრა, ვითომ დედოფალს რაღაც შეემალა თქმისას, რამეთუ სწამდა, რომ ღიპარტიანთან ბედნიერად ცხოვრობდა. ამის მიზეზად კი ნესტანის ნებაყოფლობით ქორწინებას მიიჩნევდა...

„ნიღაბი მოჩვენებითად ბედნიერი ქალისა“... მაგრამ ეგ ხომ იგივეა... ნუთუ მართლა მოჩვენებითია ყოველივე, რაც გარს ახვევიათ მათ? ამ გადაადგილებულმა სიტყვებმა სხვაგვარი აზრი ვერ შემატეს წინადადებას...“

დაენანა ეგ ქალი მოჩვენებითი ბედნიერებისათვის. რა უნდა ჰქნას კაცმა, რომ სრულად მიაგნოს ბედნიერებას? იბ-

რძოლოს თუ გულხელდაკრეფილი იჯდეს. „ალბათ უნდა იმოქმედოსო,, - დაასკვნა თავისითვის მთავარმა, რადგან სძაგდა მცონარე, საქმისა და შრომის უმოყვარეო ადამიანი.: არ უყვარდა ერთ ადგილას დაყუდება; რომ ქართული ანდაზისა არ იყოს, „დაგუბებულ წყალში ხავსი და მყვარები¹ მრავლდებიანო,,.

- ალბათ დაიღალე ლევან! ნამგზავრი ხარ. წვეულება კი საცაა დაიწყება. შინ შევიდეთ, თორემ მზის გაბანგული სხივები უცილობლად რეტს დაგხვევს.

ბანოვანი სასახლისკენ მიტრიალდა. თავის ფინიას მოთოვა უწყო და ნელი, თუმცა კი ცოტათი ნერვიული მოძრაობით დაადგა შორეულ ბილიკს, ეკალ-ძაძვებითა და კენჭებით მოფენილს...

სასახლეში დარბაისელ საზოგადოებას მოეყარა თავი.

ლევან დადიანის ხილვისას შიშმა და მდუმარებამ მოიცვა ოთახში შეკრებილთა გულნი. კარგად ესმოდათ მზაკვრებს, რომ ლევანს რისხვა და მახვილი მოჰქონდა, ამიტომ აფორიაქებდათ მისი სტუმრობა.

მთავარი კი ამ ადამიანების ნაცვლად ვეებერთელა ჭალს მისჩერებოდა. ითვლიდა ნათურებს, ჭალის ორნამენტებსა და მოყვანილობას, ძვირფასი ხრუსტალის ელვარებასა და ბზინვას თვალმოუცილებლად აკვირდებოდა. ან უნიკალურ, თუმც კი დამტვერილ წიგნებს მიაჩერდებოდა კითხვის მოტრფილე კაცი... და გაუჩნდა სურვილი, რომ მის საკუთრებად ექცია.

მართლაცდა ძნელი იყო ამ სახლის საგანძური დასაწვავად გაემეტებინა, მაგრამ ლევანი სადაც პირად ბედნიერებასაც უარყოფდა, იქ წიგნები და ნივთები რა მოსატანი იყო...აქ შეკრებილთა იმედი და სასო სულ მალე გამოჩნდა პალატის დერეფანში. თითოეულ სტუმარს (გარდა ლევანისა), სიმდიდრესა და თანამდებობას ჰპირდებოდა. მანდატის მიღების სურვილით აღტყინებულ ხალხს კი მთავრის განგმირვაც ხელის აუთრთოლებლად შეეძლო...

¹ მყვარი ბაყაყი

ამდენ ზიზღნარევ თვალებს როგორ დავემალო და სადნავიდე? - ფიქრობდა გუნებაში ლევანი. კმაყოფილი კი იმით იყო, რომ ნესტანის მზერაში თანაგრძნობის რაღაც დოზას პოულობდა. და ის უხაროდა, რომ ეს ქალი ისეთივე უმანკო დარჩენილიყო,, როგორც ოდიშის სამთავრობო კარზე...

ახლოს მიიწია დედოფალთან და ყურში ჩასჩურჩულა: „ერთურთის ბედნიერების სანაცვლოდ, სულთა ხსნისათვის და მოჩვენებითი იდილიის ჭეშმარიტებად გადაქცევისათვის მე შენ დაგეხმარები, სამაგიეროდ კი მომეშველე, რომ ქურციკივით არ დამისხლტეს ბერიკაციი...

•••

წესად ჰქონიათ ქართველებს, პურობის წინ სასულიეროთაგანი ჯვარს გარდასახავდა სუფრას, რასაც ჩვენში კურთხევას უწოდებენ.

ასე მიუჩნევია ყოფილ რეგენტს, რომ კურთხევის გარეშეც შეიძლებოდა. ერთი მიზანი ჰქონდა გიორგის. ძალიან ენადა ვინმე მღვდელი ჰყოლოდა სტუმრად, რადგან თუ ლევანს რაიმე გეგმა ექნებოდა პურობის ჟამს სტუმრების გათოვას მხოლოდ ღვთისმსახურის პატივისცემით არ იკადრებდა. მაგრამ სამრეკლო დიდი ხანი იყო დაეხურა, ხოლო უწინდელი მღვდელი რამოდენიმე დღის წინ გაქცეულიყო. ამის მიზეზს მოგვიანებით მოგახსენებთ.

სუფრის თავში მჭიდუნვარე და ჭირვეული, ბუზღუნა ბერიკაცი იჯდა, მზაკვრული გეგმების მქონემ ზედმეტი მიეთმოეთის თქმას არჩივნა სუფრისთვის პირჯვრის გარდასახვა.

გაოცებული ლევან დადიანი გუნებაში იცინოდა. თუმც ეს სიმწრით გამოწვეული ღიმილი უფრო იყო. ერთი სული ჰქონდა, სასულიერო პირის გმობისთვის და ტრადიციის უარყოფისთვის ადგილზევე აეკუნა. ასე გაიფიქრა მთავარმა::

„ამ კაცმა როგორ უკმეხად შეითვისა ღმერთის წოდება. იქნებ მერმე მოინდომოს და ადამიანთა იღბალს ისე დაუწყოს განრთობა, როგორც დრო-ჟამისგან მოჭმულ რკინასა და

ბრძმედს„... ნუთუ მღვდელთაგან დაილია ეს მხარე, რომ ყორანს გარდაასახვინონ სუფრისთვის ჯვარი და არ აკურთხებინონ პური და ღვინო!...“

წესისამებრ, დედოფალი გვერდით უნდა ჰყოლოდა გიორგის, მაგრამ საკმაო მოშორებით, ქალების გუნდში მჭმუნვარე და სევდიანი ძალით იცინოდა. ამ ქალს ყოველი წევულება მოსწონდა, რადგან მხოლოდ ამ დროს იყო დროებითად დედოფალი. მართალია ფარისევლობდა, მაგრამ ხალხის თვალში მაინც ხომ იყო პირობითად ბედნიერი ბანოვანი. ტყუილად კი არ ცხოვრობდა სასახლეში და ბოლოს და ბოლოს ამაოდ ხომ არ იყო ოდესლაც სახელოვან სამეგრელოს დედოფალი.

გამჭრიახმა ქალის გვერდით მოიკავა ადგილი. ყველას უკვირდა, დიდი მთავარი მამაკაცებთან ყოფნას და სმას ქალებთან ჩურჩულს რომ ანაცვალებდა. სინამდვილეში კი უნდოდა ნესტანისგან გაცილებით მეტი შეეტყო. მართალია, მთლად მასზე დაიმედებული არ იყო, მაგრამ მისკენ მაინც იზიდავდა რაღაც შორეული და უჩინარი ჟინი... ვერ ხვდებოდა დევკაცი, რა ხდებოდა მის გულში. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ბიცოლა იყო მისი. ასე გამოელაპარაკა ნესტანს:

- რატომ არ გყავთ ამ პოლიტიკურ სერობაზე სასულიერო? ხუცესები რა უყო სალიპარტიანოს გამგებელმა?

- ამას წინათ, ლევან, ვიღაც მღვდელთმთავარი ხეზე ჩამოეკიდა, ცაიშის ეპარქიიდან იყო ვგონებ. ამის შემხედვარემ, ჩენენმა მოძლვარმა, მიატოვა სამრეკლო და სადლაც გაიქცა, რომ მამონის მსახურებაზე ხელი აელო და გიორგის თანაზიარი არ გამხდარიყო.

- მაშ როგორ, ხეზე ჩამოკიდა? რა შესცოდა მერედა ასეთი ნესტან?

- ეჱ, აბა რას გაუგებ ლიპარტიანს. ასე თქვა ლევანთან ერთგული მსახურება ანაცვალა ჩემთან ყოფნასო! ის ხუცესი მგონი თქვენსას ქადაგებდა არა?

დევანი დუმდა. გაახსენდა ის დღე, როცა კორტუგა დასაჯა, ხოლო მღვდელმთავარი არსად ჩანდა. იმ დღიდან დაეძებდა, მაგრამ ამაოდ. ახლა კი აღმოაჩინა რომ ბიძამისს უნამებია საბრალო!...

არ მოეწონა ლევანს ისიც, რომ ეგ ქალი ძალიან ბევრს უყვებოდა, რომ ასე უმალ უკარკლავდა ყოველგვარ საიდუმლოს...

ახლა ცნობიერებაში ამოუტივტივდა მამის წერილი... მანუჩარ დადიანს სიკვდილამდე ორი თვით ადრე დაეწერა. რჩევა-დარიგებებით იყო წერილი განმსჭვალული და ერთი უცნაური საიდუმლოც ეწერა. უსტარი ასეთი შინაარსისა იყო:

- „თუკი რამ დაგაბრკოლებს მხოლოდ ქალი იქნება, რადგან მზაკვრები მოზღვავდნენ დედაკაცებში. ფულის გამო ოცი ნლის ქალიშვილი ვიღაც უკბილოზე თხოვდება. ეგ ბანოვანი კი იმას გაიძახის, რომ არა თუ ანგარებით, არამედ სიყვარულით ვთხოვდებიო. ჰოდა გახსოვდეს, ამგვარი ქალები დაგიფლეთენ გულს და შენი სისხლით გაძლებიან მჭმუნვარე და ნისლიან ღამეში, მაგრამ მაინც ვერ მიაღწევენ მიზანს, რადგან შენს სულს ვერ შთანთქავენ ვერასგზით!..“

ნუ მიენდობი საკუთარ ბიძას, რადგან არ იცი ვინ არის იგი... დადიანების მოძულეა და წყეული გვარის გამქომაგებელი. გვარი ლიპარტიანი კერპი ჰეგონია, რატომლაც მის ფეხქვეშ მოყრას მუხლებისას აიძულებენ დიდსაც და პატარასაც. რომ იცოდე ლევან, ტყუილად არ მძულდა გიორგი. იმის შემდეგ, რაც მისი საიდუმლო გამულავნდება შენც შეგზარდება იგი...

ხომ ყველას ჰეგონია, რომ ჩემი ძმა არის ვითომდა. სინამდვილეში მდაბიოს სისხლისაა. დედით მეძავი, გვარით უჩინო, შესაძლებლობებით მხდალი; ერთადერთი ნიჭი, რაც მას გააჩნია მელაძუა პოლიტიკოსობაა. მთელი ქვეყანა რომ განაწყენდეს მასზე, სასიკვდილოდ მაინც არ გაიმეტებენ, რადგან საქმეში, ამბოხში, ომში მისნაირები სჭირდება ყველას... ნუ ისწავლი მისგან ნურაფერს, გარდა გამჭრიახი პოლიტიკური ორიენტაციისა. და როცა მთლიანად ამოიცნობ გიორგის, გასრისე, რადგან კაცი კი არა მატლია, ჭიათ, ისეთი, რომელიც სხვათა უბედურებაზე ძლება...

სწორედ ეს დრო დადგაო, გაიფიქრა ლევან II-მ. არარაობად გაქცევ წყეულო მოჩენებავ! შენ რა გეგონა, დიდხანს დამიმალავდი, რომ სისხლით მდაბიო იყავ? ახლა ვხვდები, თუ

რატომ ითითხნებოდი შენთვის და ხატავდი ლიპარტიანის საგვარეულო გერბს; რეგალიებიც კი იშოვე, ვითომდა დადიანთაგან გამორჩეული. თურმე რაოდენ მდაბიო და უსახური ყოფილხარ საპრალო ბიძავ! ინატრე, რომ პირველივე ჯერზე არ დაგურა გულზე მახვილი. მაგრამ მაინც გაგანამებ. ყველაზე მშვენიერს წაგართმევ გიორგი, ყველაზე სათონსა და წმინდათაწმინდას.

„სასჯელად კი ერთს გაგინესებენ ზეციური ძალები. სულ მარტოსულივით იცხოვრებ და შეგზიზღდება ცხოვრება..“

მერმე ფიქრებიდან გამოერკვა. გვერდით მყოფ დედოფალს ისევ გადაუჩრჩულა: „მარანი თუ გაქვთ აქ?!..“

იჭვნეულმა დედოფალმა მღელვარება შეატყო მთავარს.
- „ღვინო სამყოფად არის სუფრაზე ბატონო და მიკვირს რად მოგნდომებია მარანი?!..“

ეს ისე თქვა, თორემ თვითონ არ უწყოდა განა ყოველი. ლევანი სამთავროს მმართველი იყო და არა კარის მერიქიფე, რომ ხელადებით ღვინო ეზიდა.

- კარგს არაფერს გიქადის გიორგი ლიპარტიანი, ჩემთან კი თავს მშვიდად იგრძნობ.

ქალი დაფიქრდა. შიშის დემონი იღვიძებდა მასში. „ვაი თუ ლევანმა ჩემში ახალგაზრდული ჟინი აღძრასო..“ ამ ბინძური აზრის გავლებისათვის შერცხვა საკუთარი თავის წინაშე, რომ ქმრის ძმისნულს დედაკაცური თვალით შეხედა.

ლევანის გარეგნობამ მიიზიდა, უფრორე იმან, ხელი რომ გამოუწვდინა დასახმარებლად. და მოეწონა მთავარში ის, რომ ქალის დამცველობაზე პრეტენზია განაცხადა...

გიორგისთან ყოფნისას სულ რაღაცის ეშინოდა. თავს დაუცველად გრძნობდა. თან ლევან დადიანმა ამ ერთ წუთში იმაზე მეტი შესთავაზა, რასაც მთელი ცხოვრება ვერ შეაძლევდა გიორგი ლიპარტიანი.

- მარანი სასახლეშია თვითონ. მარანი ჰქვია პირობითად, თორემ ღვინისა და არყის გარდა ყველაფერი მოუთავსებიათ იქ! მუზარადები, ჩაჩქანი, თოფ-წამალი, ხმალ-ხანჯალი, ზარბაზანიც კი ჰქონდა უწინ. ყოველ ღამით, სანთლის მხრიოლავ შუქზე ათვალიერებს ამ ექსპონატებს, ამაყობს ფასდადუდე-

ბელი საბრძოლო აღკაზმულობით და ოცნებობს ალბათ იმ დღეზე, როცა გაგასამართლებთ თავისებურად!...“

- „ნახე, როგორ უფლეთს ბებერს გულს, როგორ ღალატობს გიორგის“, ამ მანკიერი თვისების აღმოჩენამ შეაშინა და ააფორიაქა მთავარი.

ზარბაზნების ხსენებამ კორტუგა მოაგონა ლევანს. ადამიანი, რომელმაც მის ცხოვრებას დაალენა ფრთხის, რომელმაც შეაფურთხა სულში და თავისი საყვარელი დარუნდია წარტაცა..., რომელმაც პირველმან აამბოხა ხალხი მთავრის წინააღმდეგ!

არაფერია იმაზე შემზარავი, როცა ცოლის სიყვარულში გეზიარებიან და გედავებიან, გტაცებენ. ამის გადატანა ღირსეულ მამაკაცებს ყოველთვის უჭირთ, არც ულიოსნი ხვდებიან მოცინარნი.

ამიტომ აზრი გაუჩნდა, „როგორც კი ცეცხლი გაჩნდებოდა სასახლეში, ნესტანს თავის ბედაურზე შემოსვამდა და სამეგრელოსკენ გაიტაცებდა. ამასობაში თავისი ჯარი შემოეწყობდა პალატს, დააცარიელებდნენ მარანს და დადიანისეულ კოლექციას შეჰქმატებდნენ!...“

თურმე წინასწარ სმენოდა ლევანს ამ მარნის შესახებ და ამიტომ იყო მისი ცნობისმოყვარება მოუთმენლობით განმსჭვალული...

ბოლის სუნი შემოიჭრა დერეფნიდან და ძლივს მოასწრო ვიღაცამ დაკიველება: - „სასახლე იწვისო!..“

იმავ წამს ზეზე წამოიჭრა დადიანის ხრიკისგან გაოგნებული ყოფილი რეგენტი. როგორ თუ სასახლეს მიწვავს ეგვიგინდარაო და ახლომახლო ჩასაფრებულ ჯაშუშთა მომლოდინეს ხელი ვერ აეშვა ხანჯლისათვის. იდგა, როგორც ვინმე უპოვართაგანი, - უცნაურისა და იდუმალების მომლოდინე აკვირდებოდა იმერეთის ხელისუფალს, რომელიც თავს იცავდა მცველთაგან.

ლევანიც წამოენთო და ბრაზმორეულმა თავის ცხენოსნებს ანიშნა სათითაოდ დაეტუსალებინათ სტუმრები. მხოლოდ გიორგის სცა პატივი. თავისი ასაკისა და მხცოვანების გამო, მაგრამ დამცინავად კი ეუბნება:

- ამბობენ, რომ ქალს ღვთაებრივი ძალა ჰქონია. ჰოდა, ამ ბანოვანის მეშვეობით გაგანადგურებ. რისთვის უნდა და-გინდო მაინც? ერთი მიზეზიც არა მაქს იმისთვის, რომ შე-გიბრალო...

- ბიძა ვარ შენი ღევან! – მყისვე მოუჭრა ლიპარტიანმა. თითქოს ხვეწნა-სათხოვრიანი უფრო იყო მისი ნათქვამი და ღვთისდა მიმართ აღვლენილ ვედრებას ჰგავდა. ეხვე-წებოდა ეს კერპკაცა დამინდეო, მაგრამ ღევანი აღარ ისმენ-და მოხუცის უღურტულს. პირიქით, მის ღირსებასა და პატივს სულში აფურთხებდა.

ბიძა?! – ისე გაიკირვა, ვითომ პირველად სმენოდა ამგ-ვარი მიმართვა. „აბა რა ძა ხარ შენ. ვიღაც მდაბიოს ვინ მოგცა დადიანებთან დამოყვრების უფლება. რა გვარისა ხარ, ისიც არ იცი, უბედურო...“

გიორგი თვალებს აცეცებდა; ამაზრზენი მიმიკრიის მქონე გახევებული იდგა. ცეცხლის სტიქიონში კი უსახურად მოგეჩვენებოდა სასახლე, მთელი თავისი ღირშესანიშნაობებით.

ნესტანი გზააბნეული აქეთ-იქით დაძრწოდა. სასახლის სამლოცველოდან უძველესი ბიბლია გამოიტანა. მხოლოდ ის ვერ გაიმეტა გასანადგურებლად. ოქროს ასოებით ნაბეჭდი ვეება წიგნი ძალზე მძიმე იყო. მისი შინაარსი არ მოეჩვენა ესოდენ დამლლელად, როგორც თვითონ წიგნი...

ღევანმა ქალს მზერა შეაგება. მსტოვრებს ანიშნა მარან-ში დაგროვილი საბრძოლო ტექნიკა გადაერჩინათ, თვითონ კი ქარზე უსწრაფესად დედოფლის თანხლებით ჭადრის ხე-სთან მიირბინა, სადაც შავი ჰუნე მიბმულიყო.

გამოედევნა გიორგი ღევანს და ევედრა, არ წაეყვანა ნესტანი. „შეუბრალებლობა მტერია კაცისა დმისწულო!,“ ნუ იქნები გულბოროტი. მომასვენე ამ სიბერის უამს.

- ნუთუ ამას შენ ბრძანებ, საღიპარტიანოს მეთაური. კაცი, რომელმაც მოჰკალი კოლხი ასული, დამაშორე შარვა-შიძის მხოლოდშობილ ქალბატონთან და ამიოხე სამთავრო, მრავალი წლის ნაშენი, ნამოღვანარი. უარესსაც იმსახურებდი, რომ არა რიდი შენი ასაკისა...

თავაწეული მიაქროლებდა ბედაურს და თავისთან მჯდომ დედოფალზე ფიქრით გაბრუებული თავს ბედნიერად მიიჩ-ნევდა იმ წუთას...

ძლიერი იმპერიის შექმნაზე ოცნებობდა. ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა, სიმდიდრე აურაცხელი ჰქონდა, ცალკე ოქროს მადანი, ცალკე სამხედრო ტექნიკა, ჰარამხანა. შეებ-ლო უძლეველ მტერსაც შეჭიდებოდა. ამდენი რამ ჰქონდა და ამიტომ პირად წარუმატებლობებს და ოჯახურ არეულობას სხვაგვარად ჭვრეტდა. მართლაც ცოტა მიზეზი არ ჰქონდა ბედნიერებისათვის, მაგრამ სრულად ბედნიერებისთვის მაინც ცოტა იყო. არაფერს შეჰხაროდა, რადგან გვერდით არ ჰყავდა თავისი სიყვარული დარუნდია შარვაშიძე...

სამეგრელოში ხალხი ვიშვიშით მიეგება მთავარს. მში-ერ-მწყურვალნი პატიებას თხოვდნენ ღევანს.

მას შემდეგ, რაც დარუნდია შარვაშიძე დასაჯეს და გააძევეს სამთავროდან, ღევანს მოწყალე თვალით არ გადა-უხედავს მეგრელთათვის. ამიტომ მომრავლდნენ უპოვარნი და გლახაკნი...

შეებრალა მოძმენი დიდ მთავარს და უბრძანა ხელქვეითთ პურობა გაემართათ და ამ მიზნით სალიპარტიანოდან წამოღებუ-ლი განძი და ნაალაფარი უპოვართა და მშიერთა ლუკმა გაეხადა.

არ აღიარებდა იმას, რომ მაინც პატიობდა ხალხს დანა-შაულს. ასე განმარტა თავისი წამოქმედარი: „ხალხის კუთვ-ნილი ხალხსვე დაუბრუნდესო!....“

•••

დარუნდია შარვაშიძე სამეგრელოს დედოფალზე მეტად წყვდიადის ანგელოზს ჰგავდა. დიდრონი თვალები გაცილე-ბით მეტის მთქმელი იყო, ვიდრე თვითონ ქალი. სულაც არ იყო საჭირო იმისი ტონალობის გაუღერადება, ან ამეტყველება, რადგან მთელი კბოდე ბანოვანისა ერთიანად გიყვებოდა ამ-ბავს...

მონასტერში, ილორის საყდარს წასულიყო სალოცავად. ცდილობდა ჯავრი და დარდი გულიდან ამოეყარა, მაგრამ მშვენიერი დარუნდია ერთიანად სევდა იყო და აბა როგორ შეძლებდა მასთან გაპაექრებას. ენატრებოდა ლევან დადიანი და კლავესინი, მასავით წრიპინა და ცარიელი მელანქოლია.

შარვაშიძის ასულმა გული აიცრუა ცხოვრებაზე და მთელი სახე გაუკერპდა. უბედურებისგან დაჩიავდა და ნირშეცვლილი ქალბატონი საუბრის ჟამს იყო ცარიელი სიტყვა, ამ სიტყვებით გაპენტილი.

ასე დააჯერა დარუნდიამ აფხაზი მთავარი, რომ არათუ ლევანმა დასაჯა, არამედ ბრძომ გაასამართლა... სეტემბანს არ სჯერდა ქალის, მაგრამ რადგან ლევანს მოციქულები გამოეგზავნა რამდენიმეჯერ და შერიგება ეთხოვა დარუნდიასთვის, ბოლოს გაიფიქრა: დაე, თვითონ განსაჯოს მისმა ასულმა, როგორ სჯობდეს მისთვის. რამეთუ არ ეწადა ხელმეორედ შემცდარიყო.

შერიგების მიზნით პირველი ძე მანუჩარი სამევრელოს კარზე გაეგზავნა ლევანისათვის.¹ მაგრამ, როცა მსტოვრები მოვიდნენ სეტემბანთან და მოახსენეს სასახლეში მიმდინარე ამბები, ბრაზი მოერია მთავარს.

ლევანს ასეთი გეგმა ჰქონდა. უნდოდა გიორგი გაემწარებინა, ამ მიზნით კი ნესტანთან საქორწინო ცერემონიალი აღავლინა. ჯერ ერთი, ღვიძლი ბიცოლა თუ არა გამზრდელი ხომ იყო, ამიტომ ითვიქრა, რომ ამ ამბავს მხოლოდ ყოფილი რეგენტი დაიჯერებდა, თვითონ დარუნდია კი მიხვდებოდა შეთითხნილი ამბავის იდუმალებას.

სეტემბან შარვაშიძე ქალალდის ფურცლებზე თავის განვლილ ცხოვრებას ტკეპნიდა. ათასობით ფათერაკები იწურებოდა ნაურ ღვინოსავით ხავერდისფერ, მუყაოს ქალალდებზე. ოსტატურად გაურბოდა შვილთან საუბარს და სასახლისეულ ცერემონიალს. გაურბოდა ყველას და ყველაფერს, რადგან რცხვენოდა უზომოდ!...

თავისი ოცნებაც დღითი-დღე ფრთხებს იკვეცავდა. ახლა ბებერს მარტოოდენ ერთი სურვილი ამოძრავებდა, - მთავრის ერთადერთი მემკვიდრე (თავისი შვილიშვილი) დაეხსნა და აეღო ზუგდიდის გარნიზონი, ხოლო ისტორიული სასახლე ცეცხლის სტიქიონში გაეხვია. მაგრამ როგორ? საკმარისი იყო ერთი დაეფსტვინა ოდიშის დიდ მთავარს, რომ უმაღ მიახლებოდა ხმელეთის თითქმის ნახევარი. ამ კაცს იღბალიც ჰქონდა, ნიჭიც, ძალაც; ყველაფერი მის ხელში იყო და ამიტომ ძნელად თუ წამოაკვრევინებდნენ ქვაზე ფეხს. განადგურებული და შერცხვენილი კაცის წამონყებული ომი უმაღ ჩახშობილი იქნებოდა, მაგრამ ასე დაესახა სეტემბანს:

ომი აუცილებელი და გარდაუვალია. სახელი და დიდები-სათვის სიბერის ჟამის არ გავიპირძოლებდი, მაგრამ შერცხვენილი ვართ და დროა დავიბრუნოთ უწინდელი პატივისცემა.

ჯაბანნი და ლაჩარნი არ უნდა ვეგონოთ! შვილი ვერ დაიცვაო არც იმას ვათქმევინებთ. დაე დავმარცხდეთ და მოვკვდეთ, ეს ომი საჭიროა საკუთარ თავთან გასამარჯვებლად.

კვირა ღლეა. ცა სულ მოწმენდილია. მზე თავის სიმბურვალეს გრძნობს და იწვის, მაგრამ ღრუბლებიც არ ეგულება თავშესაფრად.

როცა ლევანს ამცნეს, რომ ხიდი უკვე გადმოიარა სეტემბანმა და ომი იწყებაო, არაფერი უთქვამს. მხოლოდ თავის-თვის გაიფიქრა, რომ საბოლოოდ შორდებოდა თავის უმძაფრეს სიყვარულს... რომ ეს ომი არ იყო მისთვის გამარჯვების მომტანი!... სეტემბანს ასე განუზრახავს: ომის წინ ცხვირმოჭრილი ასული ჯარისათვის ენახვებინა. რასაკვირველია, ამით მხედართ ააღელვებდა. თუმც მთლად ისეთი სასტიკი არ იყო, რომ შვილი საკუთარი მიზნებისთვის ხელმეორედ გამოეყენებინა. ისედაც განადგურებული და შეურაცხყოფილი ასული, მამისგან ამგვარ დამცირებას არ მოითმენდა. „აფხაზი მთავარი“ თითქმის დარწმუნდა ამ იდეის არასრულფასოვნებაში. ყოველივე კი თავისი გულის ცვალებადობას მიაწერა, რადგან წარუმატებლობამ მოტეხა წელში...

¹ ლევანმა თავისი ძე საბრალო დედოფალს გააყოლა, რადგან უყვარდა და ეცოდებოდა

აპა, უკვე დგას ერთმანეთის პირისპირ შემარცხვენელი და შერცხვენილი. ჭირის დღესავით ეზარება სიმამრთან ბრძოლა, მაგრამ ბედისწერის აღვირი აქვს ადებული და იქითკენ მიდის, საითკენაც უბიძგებენ. შიში იმდენი არ სახლობს მასში, რამდენიც რიდი.

გავიდა დრო და მიხვდა, რომ სეტემბან შარვაშიძის წინაშე არცთუ მთლად ცამდე მართალი ყოფილიყო. თან მოხუცს დიდ პატივს სცემდა და არ სწადდა ბერიკაცთან ქიმპი. ამ წუთში შემრცხვენელი ლევან დადიანი იმაზე მეტად იყო შერცხვენილი, ვიდრე სეტემბან შარვაშიძის მხოლოდშობილი ასული.

მაგრამ მთავარმა მოთმინება მაშინ დაკარგა, როცა შეიტყო, რომ სეტემბანი გზად ეკლესია-მონასტრებსაც მუს-რავდა. ისე იყო საწუთოზე გულმოსული, რომ თვით ღმერ-თისაც არ ეშინოდა, ხოლო ჯვარცმის ხატებს დასცინოდა და ხარხარებდა.

მუხლჩაუხერელად იბრძოდნენ აფხაზნი და ჯიქნი, მა-გრამ ვერაფერი გააწყვეს უსახური ხმალ-ხანჯლებით. დადი-ანის ქვემეხებმა და ყუმბართმტყორცნემა ჯარის ნახევარი შემუსრა, ხოლო დარჩენილნი აოტნა, გააქცია.

ამ ომში სეტემბან შარვაშიძეს თავი მოჰკვეთეს. საბრა-ლო კაცი უკანასკნელ წამებში დარუნდიასა და აფხაზეთის სახელს გაიძახოდა. დარუნდიას საჩივარიც ახდა. ორი უძვირ-ფასესი ქმნილება „შვილი და სამშობლო“, - ერთიანად გადა-სასლეს მეგრელებმა.

ზარითა და გლოვით შეასვენეს შარვაშიძის სასახლეში ცალკე თავი და ცალკე ტანი.

მთელი ღამე დარუნდია მამას ეფერებოდა. სისხლს სწმენდდა ყოველი მხრიდან.

ქალის შინაგანი სამყარო იმაზე ცივი და მიუსაფარი აღ-მოჩნდა, ვიდრე თვითონ მამისთვის განმზადებული საფლავი...

•••

იმ დღეს, როცა ლევანი საბრძოლველად მიემართებო-და, ნესტან-დარეჯანი მწარე ფიქრთაცემას შესდგომიდა.

ბედნიერად ცხოვრება თურმე ყველას შეძლებია. ფუ-ფუნებასთან შეგუება გაცილებით ადვილია, ვიდრე სიდუხ-ჭირესთან ბრძოლა. სადაც ერთი საამოა, იქ მეორე სამწუ-ხაროა. თუმც სიმდიდრეს ერთი ცუდი თვისება ჰქონია. შეუძ-ლია გააზარმაცოს და გააფუჭოს ადამიანი.

შრომაზე გული აუცრუვდა. საკმარისი იყო ღირსეული კაცის გვერდით აღმოჩენილიყო, რომ ყველაფერზე უარი ეთ-ქვა. ლევანს პატივს ცემდა და სასახლეში თავს ღირსეულად იჭერდა. გადაეჩვია სმას, ტყეში წანწალს, მეეზოვეობას, მდაბი-ოსავით ჭამას, მაგრამ ცერებზე სიარული ვერ მოიშალა ვერას-გზით... თურმე ყველაფრის უარყოფა შეუძლია ადამიანს, თუკი სანაცვლოდ შესთავაზებ მარტოოდენ ბედნიერებასა და თბილ კერიას...

არ გვიდა სახლს, არ რეცხავდა საგვარეულო ჭურჭელს, მაგრამ დამერწმუნეთ, ფუფუნება თურმე ყოველთვის არ შვენის მანდილოსანს. ლიპარტიანის სასახლეში მოფუსფუსე ნესტანი გაცილებით მშვენიერი მომეჩვენა, ვიდრე დადი-ანისგან განებივრებული დარეჯანი. მძულს უაზროდ გათამა-მებული და გაზარმაცებული ადამიანი. ჭირის დღესავით მეზარება.

უხეში თითები მოიწესრიგა. ამღვრეული და მოუწე-რიგებელი სახის ნაკვთები გაცისკროვნდა. ქალი კი არა ანგე-ლოზი იყო. ოღონდ ფრთები რომ ჰქონოდა, მაინც არსად გაფ-რინდებოდა.

„გაფრინდა-და-გამოფრინდა,, მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვდა, მაგრამ ახლა სად წავიდოდა? სახელგანთქმულ მამაკაცთან ცხოვრობდა, რომელიც ქალის სპეტაკი და ნაზი ბუნების თაყვანისმგებელი გახლდათ!... დადიანის სასახლე-ში თავაწეული დადიოდა. პირობითად დედოფალი იყო და რა გასაკვირია..

მთელი წლები ეძიებდა ბედნიერებას და მხოლოდ ახლა
მიაგნო. იქნებ პირიქითაც მომხდარიყო, მაშინ?!

„ქალი ზოგადად ყველაფერს იტანს, მაგრამ ეს არ ნიშნავს,
რომ მონად მივიჩნიოთ იგი.“

შურისძიების გრძნობა იღვიძებდა მასში. პასუხი უნდა ეგო
გიორგის იმისათვის, რომ გამოიყენა, რომ ამდენი წლები ტყვე-
ობასა და უბედურებაში გაალევინა.

სასახლეში შეირბინა, მონეტები გამოიტანა, ეტლი და-
იქარავა, და სალიპარტიანოსაკენ გაეშურა. თან ვეებერთელა
ჩანთა მიჰქონდა. მაკრატლით, ტუშით, სალებავებით, თმის
სამაგრებით სავსე... მართლაცდა ისე გამოიყურებოდა, რომ
ლიპარტიანი ვერც კი იცნობდა. ისევ ფერუმარილი წაეცხო,
უშნოდ გაიღება, სახე დაიმანქა, კაბა ერთი-ორგან მაკრატლით
ჩაჭრა, ხელითაც ჩაფიხრინა, რომ ბუნებრივად გამოჩენილიყო
და წამის მეათედში ძლივს გამშვენებული ქალბატონი და-
ემსგავსა იმ ნესტანს, რომელიც მეეზოვის სამოსებით ამოიც-
ნობოდა სასახლეში...

მიროხოხებდა ეტლი და უცნაური მიზნისთვის აღწევე-
ბული შიგადაშიგ ლუდლუდებდა...

•••

საშინელი სიმარტოვე. ენით აუღნერელი ტკივილი.

იხვენება სიკვდილს და არსად ჩანს სიშავის ლანდი.
არც რწმენა ჰქონდა ჯანსაღად არასდროს, არც მომავალი
ეხატებოდა მშვენივრად.

განა ცოტაა ოთხმოცი წელი? ეს არის სიბერესთან თავ-
კერძობა, დროსთან მედიდურობა. უბრალოდ სუნთქავ, თო-
რემ ვინ იტყვის შენზე ცოცხალიაო.

მოძრაობა ზანტი, საუბარი უშინაარსო, არაფრისმთქ-
მელი. ამ კაცს ახალგაზრდობაში ერთი უჩვეულო თვისება
ჰქონდა, - შეეძლო ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენაზე ემჭევრ-
მეტყველა. ახლა კი, როცა აგონდებოდა თავს დატეხილი უბე-

დურებანი და დროის ყოველი თავხედური გამოლაშქრება
გული მოსდიოდა ბრაზისაგან...

ძლივს გამოგონილ და ვითომდა დახვეწილ გერბს ისე
შესციცინებდა, როგორც საემეფო რეგალიას, რომელსაც
ძლვნად მიართვა თავისი სული. ისევ ძალუძდა ნახატის გარ-
დაქმნა, მაგრამ ილაჯწართმეული, ყავარჯენზე დაყრდნობილი
მოხუცი გრძნობდა თავისავე უძლურებას. შეგეცოდებოდა ეს
უსულო ფიტული, რომ ასე მარტო იყო ქვეყანაზე. არც მსახ-
ურები ჰყავდა, არც მეუღლე ეგულებოდა გვერდით. ახლა ისე
სჭირდებოდა ნესტანი, როგორც არასდროს. გარეთ გასვლაც
ენატრებოდა. ბუნებასთან დაახლოებული არ იყო, მაგრამ
რაღაც ისე იზიდავდა, როგორც ანდამატი¹ რკინას.

ეზმანა², ვითომ მომაკვდავი წევს ლოგინში. თეთრეული
ქათქათაა, თოვლზე უთეთრესი. ზედვე შეატყობთ სუფთა
დიასახლისის ხელს... ოთახი ვარდის სურნელითაა განმსჭვა-
ლული. ლარნაკში მიხაკები და გეორგინები აწყვია. ბუხარში
კი ცეცხლი გიზგიზებს. ავადმყოფს პურს აჭმევს ვიღაც ბანო-
ვანი მნახველებს ოთახში არ უშვებენ, რადგან არ სურს მზრუნ-
ველ მეუღლეს, ხალხის ჭირვეულმა საუბარმა ყური გაუჭედოს
მომაკვდავს...

გამოფხიზლდა... დაინახა, რომ ყოველივე ქიმერა იყო,
სასწაულებრივი მირაჟი და საოცნებო სიზმარი. ისევ დახუჭა
თვალი, რომ ეს ნანატრი ამბავი გაგრძელებულიყო. გულში
კი ეს გაივლო: „იქამდე არ უნდა მიმეყვანა საქმე, რომ სიზმარი
სანატრელად გამეხადა. შემეძლო, მაგრამ უარვყავი. ახლა კი
ღირსი ვარ სამარადესამოდ სატანჯავად!...“

ყავარჯენზე დაყრდნობილმა სარკმელი გამოაღო და
შორიდან მომავალ ქალის სილუეტს მოჰკრა თვალი. არ სჯერა,
ნუთუ ეს ის ქალია, რომელსაც ბედნიერება წაჰგვარა, წარტაცა
და ცხოვრება რომ ჯოჯოხეთად უქცია? ან რა ხდება მის ბე-
ბერ გულში, რომ ვერ იოკებს ჭაბუკურად მოზღვავებულ
განცდას? მოენატრა? უყვარს? მერედა რა გააკეთა, როცა

¹ ანდამატი – მაგნიტი.

² ეზმანა – დაესიზმრა.

მასთან იყო? – სცემა, დაამცირა, შეურაცხყო, დილეგს გამოკეტა... ახლა კი მაინც უნდა ეს ქალი მასთან იყოს, უფრო სწორად მისი იყოს; მხოლოდ მისი და არა საზიარო...

არ ეპიტნავა მარტოობასთან თამაში, მაგრამ მაინც შეეგუა ბედს. „ნესტანის ფუსფუსი მოენატრა და ყველაზე ძლიერ ის სურნელი, რითაც მჭვალავდა ძველთაძველ სრას...“

შორიდან მომავალი სილუეტი ისე მოიწევს, როგორც ძალად მომავალი ტყვე, რომელსაც სიმძიმე ექაჩება და ანვალებს, არ ასვენებს.

მაგრამ რისთვის მოდის? ეჩვენებოდა ლიპარტიანს, რომ ამ ქალს ბედნიერება არ მოჰქონდა არასდროს, და გამონაკლისი ალბათ არც ახლა მოხდებოდა...

ხავერდოვანი ატლასის კაბა გამოჩნდა, სწორედ ის, ძლვნად რომ მოერთმია სულთანს სტუმრობისას... და უკვირს, განა ის, რომ კაბა აცვია? – არამედ ის, რომ შინდისფერი შეურჩევია სათადარიგო სტუმრობისას. შინდისფერი... ძონისფერი... ეს ხომ მისი საყვარელი ფერია, რომლის გამოყვანას შეალია მთელი ცხოვრება. ცუდი ის იყო, რომ მშვენიერი არსება მას შემდეგ მოეწონა და დააფასა, როცა საკუთარმა ძმისწულმა წარტაცა იგი. ასეა, ასე... როცა კარგავ, მაშინ აფასებ. „დაკარგული ყოველთვის გენატრება და გენატრება, როცა კარგავ!...“

დედოფალმა შემოალო სასახლის კარიბჭე და ბერიკაცის მუხლებში მიესვენა. თან ტიროდა სასოწარკვეთით.

- „შეხედე გიორგი, შენმა ავაზაკმა ძმისწულმა როგორ შეურაცხმყო. ჩემს კაბას შეხედე, როგორ დაუფლეთია ვერაგს. ღმერთო, რა დავაშავე, რომ ასე გავიწირე სამარადუამო უბედურებისათვის...“

ყოფილი რეგენტი ხმას არ იღებდა. დიდად არც ეცოდებოდა ნესტანი, მაგრამ ის კი სიამოვნებდა, რომ ქალს სიმაღლეებიდან დაცქეროდა. ნუთუ ისევ დაგჭირდი? – გაივლო გულში.

დიდო მეუფევ, - განაგრძობდა ნესტანი. მომეცი ბინა და ლირს მყავ მიყოლიო მოსამსახურედ. ხომ გამოიმეტებ ჩემთვიმს თუნდაც სარდაფს ან საკუჭნაოს? ხომ იცი, ნესტსაც და დილეგსაც ავიტან, „რადგან დავიბადე იმისთვის, რომ

ვითმინო და ვითმენ იმისთვის, რომ ხელახლა დავიბადო...“ თუკი შენც უარმყოფ, ბაღში მოვიკლავ თავს.

სახეზე ორი ძარღვი აუტოკადა ყოფილ რეგენტს. ასე ეუბნებოდა ცოტათი გამხიარულებული და დაიმედებული ბერიკაცი ბანოვანს:

- „სახლი ცარიელია ნესტან. აქა-იქ თუ მოხდება, რომ სადილი მოვიმზადო. ასეთი ყოფილა ყველა მარტოსულის ხვედრი, რომელიც სიყრმიდანვე მარტოობასთან დაზავებას ეცდება.

უარყყავი დედა, გავაუბედურე საბრალო ანნა, თაჯი და მათზე უფრო ძლიერ შენ. ვატარებდი ბედნიერი კაცის ნიღაბს, სანამ ჩემსავე გამოზრდილს არ გაჰყევე!...

წახვედი და შენზე ფიქრი დავიწიყე. რა ბედნიერი იქნებოდი, რომ ლიპარტიანის მეუღლე არ ყოფილიყავ! უბრალო რომ ვყოფილიყავი, თურმე შევძლებდი შენს გამხიარულებას. ახლა არარა მაქვს საზრუნავი; ბეპერს მშვიდი ცხოვრება მომნატრებია.

მაგრამ გეტყვი ერთს; შენი უბედურება მარტო ჩემს კისერზე არაა. განა თავად არ გამომყევ? მგონია აქ შედარებით ბედნიერად ცხოვრობდი. ბოლოსდაბოლოს ლოთი მამის მზერას ისევ აქაური მარტოობა სჯობია.

მაგრამ, რისთვის ვიცოცხლე ოთხმოცი წელი? ოთხმოცი წამიც არ უნდა მეცოცხლა, რადგან უქმად და ბოროტად გავლიე წუთისოფლის დღენი. ხომ ვერაფერი გავაწყვებელი ომებით და რისთვის ვიბრძოდი მაშასადამე?!. მელაძუაპოლიტიკოსი ვიყავ! ჩემი რჩევებით გადავძირკვე სახელმწიფო. ერთდროულად ყველა სამთავროსთან მეგობრული ურთიერთობა ვიქონიე. ერთზე განაწყენებული მეორეს თვალთმაქცური წერილებით ვაქეზებდი... სავალალო ის იყო, რომ ჩემი ყველას სჯეროდა და სწამდა, რომ ყოვლისშემძლე ვიყავი, - გარდა ძმისწული დადიანისა.

ეს უკანასკნელი ფრაზა ისე ჩაილაპარაკა, როგორც სამწუხარო ამბავს ჰყვებიან ხოლმე. თითქოს მასში გულისტკივილსაც, სინაწულსაც და ბრაზსაც ამოიკითხავდით.

თვითონ ამ ქადაგებას ისე ჩურჩულებდა, რომ გულახ-დილი მსმენელის გარდა ვერავინ გაიგებდა აღსარებას. ამ შემთხვევაში ბანოვანი თითოეულ წარმოთქმულს სიტყვა-სი-ტყვით იძეჭდავდა მეხსიერების ლაპირინთებში...

შენ ყოველთვის ამაყი და მედიდური იყავ, მაშინაც, როცა გამცირებდი, გამასხარავებდი, აბუჩად გიგდებდი. თავდახ-რილი ლაქის როლშიც ვამჩნევდი დიდ დედოფალს. მაგრამ მიკვირს, რად ხარ ჩემს ფერხთ ქვეშ გართხმული?

ამას წინათ, ღარიბულ ოდაში, მშიერ-მწყურვალი, სრუ-ლიად უნუგეშო და უპატრონო რომ ვიყავი, განვლილ ცხოვრე-ბას ქაღალდის ფურცლებივით ვკინძავდი.

ამ კაცს გული არასდროს ჰქონდა, მაგრამ ახლა კი ხვდე-ბოდა დანაშაულს და ეს უმძიმებდა დარჩენილ ცხოვრებას...

- მაშინ გადავწყვიტე მთავართან სტუმრობა. თან შენც მომნატრებოდი ძლიერ. ამბობდნენ, რომ ლევანი გულუხვი იყო ყველასთვის და ღარიბულ, ძველმან სამოსში გახვეულ ადამიანს წესით არ უნდა დახვედროდა ცივად.

მაშინ შენ ხურდები გამოიტანე და ხელში ჩამიბლუჯე. კმაყოფილი ზემოდან დამცექრდი და ეს გხდიდა ბედნიერს...

იცვლება დრო და იცვლება როლები. წესტანი თეატრის დირექტორს ან მთავარ გმირს ჰქავდა, ბერიკაცი კი პაჟს, მსახურთაგანს...

- რისთვის მოხველ... ჩააცივდა ყოფილი რეგენტი წეს-ტანს, მიპასუხე, გიბრძანებ!...

- იმისთვის, რომ შევმუსრო ის, ვინაც მშვენიერი ცხ-ოვრება წამართვა...

გიორგიმ ჩაიცინა. ფარისევლურად მიმოავლო საკუ-ჭნაოს მსგავსს ოთახს თვალი, მერე კვლავინდებურად წარ-მოიდგინა ოდიშის სასახლე, - კუთვნილება დადიანებისა და გული დაწყდა, რომ ამ მიუსაფარ კედლებს შორის კვდებოდა...

•••

ორი-სამი საათის მოსული თუ იქნებოდა წესტანი, რომ დაბინავდა, მოეწყო, სამზარეულო დააწკრიალა... ბალჩიდან მომავალი კამის და პიტნის სუნს „კეთილისმყოფელი“, სურნე-

ლი გაეღვიძებინა, მაგრამ ისიც ახსოვდა, რისთვის მოვიდა სალიპარტიანოს...

მადისალმძვრელი სურნელით განიმსჭვალა მთლიანად სახლაკი.

ლალ-იაგუნდის ბზინვარებამ თვალი მოსჭრა წესტანს. ხელზე მიაპყრო მზერა და შეამჩნია, რომ უზარმაზარი ბეჭედი ეკეთა: უფრო მედალიონის ფორმისა იყო, რომელშიც ინახავ-და სანამლავს. იცოდა, რომ ოდესმე ან სხვას მონამლავდა, ან თვითონ მოიკლავდა თავს. იმდენად სძაგდა მოხუცი ლიპარ-ტიანი, რომ ხელიც არ უკანკალებდა. რა დიდი დანაშაული, თუკი ერთით ნაკლები სოლიერი მოაკლდებოდა საწუთოებას...

- რა გაუკეთებია ჯერ ისეთი, რომ ღირდეს მისთვის ცხოვრება? კედლებს ოცნებით ვხატავდი და იმასაც მიკრძა-ლავდი გაიძვერავ.

უჟამოდ შეინირე სამი მშვენიერი ქალბატონის სიცოცხლე და ასევე ათასობით ადამიანს შეუბილნე სული. „უყვარს, როცა სხვას აფურთხებს, მაგრამ არ უყვარს ფურთხში ბანაობა...“

ლანგარზე კერძი მოათავსა, რომელსაც სპარსული სანამლავი მოაყარა. ისე, როგორც დაფქულ წინაკას მოაყრიან ხოლმე.

გიორგიმ ეჭვის თვალით შეხედა წესტანს, უზომოდ შიო-და, თორემ მის მორთმეულს კბილსაც არ დააკარებდა...

წესტანი იღიმებოდა. ეგ სადილი უფრო ენანებოდა მო-სანამლად, ვიდრე თვითონ ლიპარტიანი...

უეცრად ბერიკაცი მოიკრუნჩხა. ქვეწარმავალივით დაიკლაკნა. ყელი ეწვოდა და სიმწრისგან ქოშინებდა.

წესტანი კი ეუბნება:

- გშიოდა? რა მსუნაგი ყოფილხარ... სულიერად იყავი დამშეული და ხორცის შიმშილიც რომ მიემატა მთლად შეიშალე ბეჩავო!!!

გიორგი უძალიანდება სიკვდილს და ხრინწიანად პასუხ-ობს ქალს:

- „მე შენში ჩავსახლდები წესტან და სინდისი იმეტყ-ველებს ჩემი სახით..“

მაგრამ არ უსმენს ნესტანი უგულო კაცის გულიდან ამო-სულ მოთქმას. მეზობელ ოთაში გადის და მოაქვს ყოფილი რეგენტის მიერ გამოგონილი გერბი. ნელ-ნელა შლის, გულზე აფენს მომაკვდავს და საღებავების მთელ კოლექციას ასხამს თავზე. წამიერი პაუზის შემდეგ ასე მოუთხრობს რეგენტ ლი-პარტიანს:

- აჰა, გერბი, რომელიც ვერა და ვერ დახვეწე შენ. ნახე ასე უფრო მშვენიერია, რადგან ყველა ფერი აღრეულია ერთ-მანეთში. ზუსტად შეგესაბამება შენ. რამეთუ ასეთივე ამღვ-რეული და მოუწესრიგებელი იყო შენი ცხოვრება.

მაგრად გამოიხურა ქალმა სახლის კარები და სიმარ-ტოვემ დაისადგურა ისედაც მყუდროებით მოცულ აგარაკზე. ოთხმოცი წლის მელაძუა პოლიტიკოსი სიკვდილის წინ იმ აზრს ვერ ეგუებოდა, რომ ქალმა დაუკორტნა გული და დაამცირა.

•••

გვიან ღამით დაბრუნდა ლევან II-ის კარზე. თავისთვის განმარტოება არჩია ნესტანმა და მწარე ფიქრთაცემას მიეცა.

წარმოიდგინა გიორგის რეგენტობის და ბატონობის ხანმოკლე, თუმც კი გაუსაძლისი პერიოდი. იქნებოდა ასე ოცდაერთი-ოცდაორი წლისა. არის ვითომდა ბედნიერი მე-ულლე და უბედნიერესი დედოფალი.

ისე ექცევა დადიანს, როგორც დედა ყრმას. პოვიდლოს ქადებს უცხობს, ზედ წარწერებს აკეთებს. ლევანზე ასე ექვსი წლით უფროსი თუ იქნება, მაგრამ ზრუნვას არ აკლებს და ჭეშ-მარიტად იფერებს ბიცოლას მოვალეობებს. ხომ მაინც მიჩვეული იყო ყოვლისდამბურველი ნიღბების ტარებას. რომ არ ნდო-მოდა, მაინც შეეძლო პირფერობა, რადგან ლიქნა მის ხასიათში ძალაუნებურად მას შემდეგ გაჩნდა, რაც გათხოვდა.

ქალმა განვლილი საათები გაისიგრძეგანა. რამოდენიმე-ჯერ მთავარში მშვენიერი ვაჟკაცი აღმოაჩინა და მასთან ტრ-ფიალი ინატრა. მართალია გაირკვა, რომ არც გიორგი იყო ლე-ვანის სისხლ-ხორცი და შესაბამისად დედოფალიც ვერ იქნე-

ბოდა ღვიძლი ბიცოლა, მაგრამ ხომ მისი გამოზრდილი იყო და არ ჰქონდა უფლება თავისავე აღზრდილში მომავალი მეულლე ან კუნთმაგარი მამაკაცი შეეცნო. და როცა ეჭვებმა მოსვენება დაუკარგეს, ხოლო დანაშაულის გრძნობა მოზვავდა გახევ-და და გაირინდა.

მთელი ღამე არ ეძინა საბრალოს. დილით, რიურაჟზე ბალ-ჩაში განმარტოვდა, ჰამაკში მიიძინა ბოლოს, ხოლო შუადღის თავარა მზემ როცა სხეული და სახე აუკაშვაშა წამოდგა, ძლივს მოსვენებულ გონებას ჩუმად ევედრა არ გაეხსენებინა წუხან-დელი ტრაგედია, მაგრამ რაღაც მოსვენებას უკარგავდა. ასე ჩაესმის ბედშავ ბანოვანს:

- „არ უნდა მოგეწამლა. განა მე არ მოვწამლავდი, რომ მდომოდა? ეს რა ჰქმენ ნესტან?.. ეს რა ჰქმენ... ხმა გაძლიერ-და, ექომ იმატა. ვერ მოიშორა მტანჯველი ფიქრები და ინატრა, რომ ლიპარტიანის სიკვდილში თუ მკვლელობაში მისი ხელი არ ერიოს.“

ახლა იგრძნო, რომ სრულიად მარტო იყო და თან ზედმე-ტი... გვიან ღამით რომ სამეფო ინსტრუმენტი ააკვნესა, ლევან-მა ასე სთხოვა თურმე:

„არასოდეს დაუკრა მაგ კლავესინზე ნესტან, რადგან იგი მთავრის უბედო ასულს, დარუნდია შარვაშიძეს მაგონებსო!“

და მიხვდა, რომ ამ სახლში არაფერია მისი. არაფერი აკავ-შირებს მთავართან, სახლის სხვა წარმომადგენელთან.

მაშ, რისთვის არის იქ, სადაც მისი ადგილი არაა?

იმდენად გაძლიერდა შინაგანი ხმა, რომ იძულებული გახ-და ყურები დაეხმო. მაგრამ სინდისი კიოდა და მასთან აბა რას გააწყობდა ბედკრული ქალი.

„არ უნდა მომეკლა მაინც!“ – გაიფიქრა და იქვე ვაზაზე, ხილებს შორის მიმალულ დანას მოჰკრა თვალი!

„აჰა, სად მივყავარ ბედსა თუ უბედობასო“, იფიქრა ჭილაძის ასულმა. ხომ მაინც უნდა დასრულდეს ერთ დღეს ყველაფერი, ხომ უნდა ჰქონდეს გოლგოთას ბოლო.

სინდისშენუხებულმა ბანოვანმა ხელის მტევნები დანით დაისერა, საიდანაც სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა. მაგრამ სასწაულის მოწმეა ბუნება. ქალის სისხლი უფერულია, თეთრზე უთეთრესი... სიკვდილს ჩახედა თვალებში და უმალ დააფასა

ტანჯული სიცოცხლეც. წამიც და ოდესლაც მშვენიერი ნესტან-დარეჯანი დაილია, გათავდა. მორჩა ამ ქალის ცხოვრება ისე, როგორც გათავდება ნაღვლიანი ზამთარი, ან ჭირვეული, გულისმომაკვდინებელი ისტორია.

...თეთრ კაბაზე ვითომდა წითელი ფერი დომინირებდა. გულიც აღარ ფეთქავდა უწინდელივით. რა გასაკვირი... გული რახანია მკვდარი ჰქონდა, მაგრამ ახლა სხეულიც იკრუნჩებოდა.

- „მიშველეეთ, სიმწრისგან გაპკიოდა სასოწარკვეთილი ქალი“, მაგრამ მასში სიკვდილის მძინარე აჩრდილს გაეღვიძა და ლევანი კი არა, თვით შემოქმედიც ვერ იხსნიდა...

სიკვდილამდე წაილუდლუდა: „მაინც მშვენიერი ყოფილხარ ტანჯულო ცხოვრებავ“ და ვერხვის ფოთლებში მიესვენა.

თვალგახილული, ჩიტების ჭიკჭიკის, ბულბულთა სტენისა და პარმონიული ბუნების წიაღში უკანასკნელად იგონებდა ბავშვობას. თუმცა ცუდი ის იყო, რომ კარგი არც უმანკოების ხანაში გადახდენია და შესაბამისად უბედურებისა და ჩაგრის მეტი არაფერი ახსენდებოდა. ისევ წარმოუდგა მამის მრისხანე და დაუოკებელი თვალები, თავის გაზრდილს რომ შემზარავ რასმეს უპირებდა, დედის წყევლიან მოთქმაზე კი თვალები მიბინდა საბრალომ და საუკუნოდ მიიძინა...

•••

ამით არ დასრულებულა მკითხველო ეს ნაღვლიანი ისტორია.

სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებული და ღირსეული მთავარი სამლოცველოს გამოკეტილიყო და ლოცვებს ქადაგებდა. ერთდროულად გლოვობდა საყვარელ ადამიანთა დაკარგვას. ღმერთს ევედრებოდა, რომ ღირსეულად აღსრულებულიყო, თან მშვიდად და გაუტანჯავად...

ნესტანის გარდაცვალებიდან ხუთი თვის თავზე, ძველი ქრონოლოგიით აპნისის თორმეტს გარდაიცვალა მთავრის ვაჟი მანუჩარ დადიანი.

ეს იყო ერთადერთი იმედი ღვანლმოსილი მთავრისა, საიმედო მემკვიდრე, ვისთვისაც შეეძლო მთელი სამეგრელოს ბედ-იღბალი მიენდო.

როგორც ცნობილია, ლევანის მეორე ვაჟი ალექსანდრე აფხაზეთს მოევლინა; ვრდომილი და დასხეულებული, პოლიტიკური მისწრაფებებისაგან გაძრცვნილი გახლდათ. მთავარი არც კი იცნობდა თავის მეორე ვაჟს...

გრძნობდა ლევანი, რომ სამეგრელოს დანაწევრება მოელოდა...

ამბობენ, „შვილის სიკვდილი ხეს ახმობს, თორემ გულიან ადამიანს რას არ უზამსო. ისიც თქმულა, რომ გამოზრდილის სიკვდილი ქვას ფშვნის, თორემ ღვიძლ დედას რას არ უქადისო“...

გაუბედურებულმა და იმედგაცრუებულმა დარუნდიამ აღარ ინამა შვილის ტრაგედია; როგორ, - ბედისწერა მთლად მამასხარავებსო? – ეს წამოცდა პირველად და ვიღაც აფხაზის ეტლით გამოქანდა დადიანებისაკენ.

- თავის შიმუნვარს თხოვა მოევლო სნეული ჭაბუკი-სათვის. „ეგებ ვერ დავბრუნდე ხათუნი და თუკი ისევ შემოგრჩენოდეს სიყვარული ჩემდამი, საბრალოა და გვედრებ არ მოაკლო შენეული სითბო....“

იტირა ცხარე ცრემლებით მსახურმა, მეც თან გამოგყვებიო, მაგრამ მის თხოვნას ყური არ ათხოვა მთავრის უკანასკნელმა სიყვარულმა.

და ვიტყვი ერთს: რაოდენ ბედნიერი იყო ალორძინებული სამეგრელო, ესოდენ უბედური გახლდათ ლევანის საყვარელი ქალი.

რაოდენ მოწესრიგებული იყო მთავრის პოლიტიკური ცხოვრება, იმდენად დანით იყო დასერილი მისი პირადულიც.

როხროხა ეტლი სასახლის შემოგარენში შეჩერდა.

დარუნდიამ ეტლიდან ძლივს, ვაი-ვიშვიშით ჩამოვიდა რაღაც სურათითურთ. ღამის ბინდ-ბუნდში არც კი ჩანდა ტილოზე გამოსახული მშვენება. მთვარის შუქზე გამოჩნდა გვირგვინსანი კაცის პორტრეტი. გობელენზე იყო შესრულებული. ერთი შეხედვით შეატყობდით, რომ მისი შემქმნელი დახვენილი გემოვნებისა და მაღალი იდეალების თაყვანმგე-

ბელი გახლდათ. სიბნელეშიც კი თვალისმომჭრელად ბრჭყვი-ალებდა ლალ-გიშერში და ნახევრად ოქსინოში ჩასმული პორტრეტი.

სწორედ, რომ ეს ის სურათი გახლდათ, რომელსაც წლების განმავლობაში ხატავდა და ქარგავდა მთავრის საყვარელი ქალი – დარუნდია შარვაშიძე. ერთადერთი ნახატი, რომელიც ისტორიას შემორჩა...

და როცა დადიანისეულ სასახლეს წლების თუ საუკუნეების შემდეგ უცნობი ტურისტი მოადგება, იყითხავს, თუ ვინ დახატა ლევან II დადიანი, მაგრამ პასუხი არ მოიძებნება, რადგან ამ სურათის სასახლეში მობრძანების ისტორია მხოლოდ მეეტლეს თუ ეცოდინება, რომელიც უკვე კაი სამი-ოთხი საუკუნის მკვდარი მაინც იქნება. ექსკურსიათმდღოლი დიდი აღფრთოვანებით შეთხავს ზღაპრულ ამბავს, რომ ოდესლაც XVI საუკუნის მიმწუხრსა და XVII საუკუნის შუა ხანებში მთავრის მეუღლე და სეტემბან შარვაშიძის მხოლოდშობილი ასული მამისგან მზითვად მორთმეულ კლავესინზე კაცთა ბედსა თუ უბედობას დამდეროდა, დღეს კი წვიმისგან შელახული ინსტრუმენტი არავის გააოცებს თავისი ორნამენტებით, რადგან ძველებური სილამაზე და ხიბლი დაკარგული ექნება. როიალი, - ერთადერთი მზითვაშორისი საოცრება, რომლის გამოთხოვა ბევრჯერ სცადა ბერიკაცმა შარვაშიძემ ბოლოჟამს...

შემზარავმა კივილმა და მოთქმა-ქვითინმა სასახლეში მყოფთა ყურადღება მიიქცია. აფხაზებს სისხლში აქვთ გლოვისა და მოთქმის ნიჭი და გენიალობა. მათ შესწევთ ძალი სამყაროს ნებისმიერი მკვიდრნი ააცრემლონ. აზრი არა აქვს რას ამბობენ მოთქმის უამს, უბრალოდ შინაგანად გამოსცემენ გლოვის აურას...

შვილის სიკვდილი გულიან ქალს კარგს არაფერს უქადდა. რა ექნა ახლა დარუნდიას? – ეტირა? მერედა ვინ შეაფასებდა მის ცრემლებს და ვინ მოუსმენდა მის გლოვას.

სახე შებურული ჰქონდა. თითქმის არ ჩანდა მისი მშვენიერი სხეული. მერედა სად გაქრა? – დრომ შეჭამა ერთიანად. იგი არ ჰგავდა იმ მშვენიერ დარუნდიას, წლების წინ რომ ნარნარად ფრენდა დადიანისეულ სასახლეს... ვერ იფიქრებდა

მნახველი, რომ ეს ქალი დედოფალი იყო, ოდესლაც სახელმ-ვანი სამთავროს თავნება, განებივრებული დედოფალი. ახლა ცხვირმოჭრილი ბანოვანი, შემზარავი მიმიკრიითა და ცივი, გაყინული მზერით შუა საუკუნეების ნაქანდაკევს ჰგავდა...

რაოდენ გამწარებული იყო, მაგრამ მაინც ცდილობდა სახის დამალვას. რას იტყოდა ხალხი... ხომ დასცინოდნენ უბე-დურ დედასა და ორმაგად გაუბედურებულ ქალს. ხალხს რაში ენაღვლება სხვათა განცდები. ისინი მხოლოდ საკუთარ გრძნობებს უფრთხილდებიან. მათვის სუსტი უბრალოდ არ არსებობს, და თუ იარსებებს, ისე მოიხელთებენ, როგორც ტყის ქურციკთ გულბოროტი მონადირენი.

- „ჰმ, დარუნდია. ლაპარაკობს ერთი, როგორ გაბედა სასახლეში მოსვლა. რა მწარედ გვაფურთხებს მეგრელთ სულში,,

მეორე ექომაგება:

- „რა ქნას, შვილია, თორემ არც მას ეპიტნავება აქ მოსვლა,,
- „ალბათ ნესტანის სიკვდილის შემდეგ (ასე სწამდა ხალხ-საც, ვითომ მთავრის ცოლი იყო ჭილაძის ქალი) იმედი გაუჩნდა შინ დაბრუნებისა.

ასე გრძელდებოდა განკითხვა...

ცრემლები ყოველთვის შვენიდა დარუნდიას, მაგრამ ახლა კი აღარ. ლევან II-მ მზერა შეაგება ყოფილ დედოფალს და დანაშაულის გრძნობით დამთვრალმა თავი დახარა უცებ. უნდა ისევ შეხედოს, მაგრამ... ამ ქალს ჯერ იყო და თავი შეაყვარა, მერმე ჭორებს აყოლილმა იწამა მისი ღალატი. ბოლოს გახელებულმა, ეკლესიის უპატივცემლობისთვის სეტემბან შარვაშიძეს თავი მოჰკვეთა. ანუ ამ ქალბატონს უბედურების, ძაბისა და ცრემლის მეტი ვერაფერი შესთავაზა...

„ნეტა შემეძლოს ნარსულის დაბრუნება?“ – გაიფიქრა მთავარმა.

მერედა რისთვის? – ეჩურჩულება შინაგანი ხმა. „ისევ რომ გაიმეორო ყოველივე?! – არ ღირს ლევან, ძნელია, ერთობ რთულია ყველაფრის ხელახლა გათამაშება, არ გიჯობს განაგრძო მოქმედება?

- მაშ რა ვქნა? ვერ ვუძლებ ქალის მზერას. სინდისი კივის და ვგრძნობ, რომ არაფერი მეშველება.

- ჰოდა, მიჰყევ მაგ ხმას, რომ დასრულდეს ეგ ტანჯული ცხოვრება.

ასე მოგვითხრობს ისტორია, რომ მთავარი ვითომდა სამოცდასამი წლისა აღესრულა. „რომ თავისი მემკვიდრის გარდაცვალებამ შეზარა და გულს ლახტი ჩაიცა და ზედ გადააკვდა.“ რომ შინაარეულობამ და ოსმალო დამპყრობელთან გამკლავება ვერ შეძლო სამეგრელომ. ხოლო ოდიშელებმა ორი კვირა ვერ მოიცალეს მთავრის გასაპატიოსნებლად და დასაკრძალავად...

მაგრამ მისი სიკვდილი სხვაგვარად დამესახა ჭაბუკურ ცნობიერებაში.

ის ხმა, წინათ რომ მოქმედებისაკენ უბიძგებდა მთავარს ეკლესიაში მისვლასაც აიძულებს.

წავიდა... დიდხანს იხეტიალა სალოცავის გარშემო... უკანასკნელად მოავლი თვალი იმ ფრესკებს, რომელსაც შესციცინებდა მარადდლე სევდით მოციმუმიერ თვალებით. სახვენარით აღსავსემ ცოდვათა მიტევება ითხოვა; მერმე, დროუამისგან ფერგახუნებულ ღვთისმშობლის ხატს დაავლო ხელი და გაუჩინარდა...

უკანასკნელად მოინახულა ოქროს მადანი... ის საგანძური და ფასდაუდებელი სიმდიდრე, რითაც შეეძლო ნებისმიერ დროს სამთავროს გადარჩენა ომისა და არეულობის ჟამს ხალხს ოქროს ზოდებით არჩენდა, პურზე და სანოვაგეზე ცვლიდა. სწორედ ამ სიმდიდრის წყალობით იყო, რომ არც ოსმალეთს, არც სპარსეთს, არც რუსეთს და არც სხვა შინამტრებს ქედს რომ არ უხრიდა...

გულმხურვალე ლოცვას შეუდგა ოდიშის დიდი მთავარი...

- „წმინდაო ღვთისმშობელო, წმინდაო ღვთისმშობელო, შენი წილხვედრია ეს ქვეყანა და დაიცავ გულბოროტებისაგან.

„მე არ გამომითხოვია“ ოქროს მონეტები, არც დიდების შარავანდედი მითხოვია.

თუკი რამ საზრუნავი მქონდა ოდიშის სამთავრო იყო. ანი რა ეშველება ნეტა?

როგორ არ მოულბათ გული ზეცის ბინადართ, რომ ასე გადააშენეთ დადიანთა გვარი. მაშ, ვიღამ მართოს ანი სამთავრო? არ მეგულება ღირსეული არც ერთი, თორემ გვირგვინს ჩემივე ხელით დავადგამდი. გვედრებ, მოუვლინე სახელოვანი მთავართაგანი, ისეთი, რომელიც პირად ბედნიერებასაც ანაცვალებს სამთავროს კეთილდღეობას. კმაყოფილი ვარ დედაო იმით, რომ ადამიანური ამაოება და სიყვარული არ დავაყენე სამშობლოზე წინარე და ღირსეულად ვემსახურე მას... ეს რომ თქვა ინანა, რომ ღვთაების წინაშე ტყუოდა. განაქალი იყო დარუნდია მარტოოდენ მისთვის? დარუნდია მეორე სამშობლო გახლდათ მთავრისთვის...

„ყოველი ადამიანის ცხოვრება გოლგოთაა, ოლონდ ერთი განსხვევებით, ყველა ტვირთს სხვადასხვაგვარად ეზიდება. და რა გასაკირია, ადამიანი თვითონ ფენომენია, ამოიცნობ და შეგზარდება...“

უდიდესი ცოდვა ის არის ჩემი, რომ გავაუბედურე და ცხოვრება წავართვი მშენებირ დარუნდია შარვაშიძეს. დ-ა-რ-უ-ნ-დ-ი-ა... წარმოთქმისას გაფიქრებინებდა ვითომ ქალი კი არა, ცოცხალი მუსიკა გახლდათ. ამ გრძელებულ მელოდიას ყური არ ათხოვა დიდმა მთავარმა.

საუკუნეების შემდეგ ყველაფერი გამშვენდება, მაგრამ მე მაშინ აღარ ვიქნები ცოცხალი და ვერც ვერაფერს ვნახავ.

მძულდა ბედს მინდობილი ადამიანი და მეცოდებოდა უფრორე ბედისგან ლაგამამოძუებული კაცი. „თუ ღმერთი და ბედისწერა ერთდროულად აგიჯანყდა რაღა გეშველება მაშინ? ცალ-ცალკე გაუმკლავდები, ერთდროულად კი ვეღარ, რადგან ძნელია ორ ღვთაებასთან ომი.“ ადამიანური სიმარტოვე მაგიურებდა და მრიყავდა. ახლაც სულ მარტო ვართ.. მე და ღვთისმშობელი.

ფიქრმონამლული და ანერვიულებული მთავარი ლოცვას ვერ ანებებდა თავს, რადგან სწამდა, რომ ღმერთი შველოდა და სხვა არავინ.

„ექიმი ხომ ვერ მიშველისო?“ – გაიფიქრა, მაგრამ არც მათ ენდობოდა დიდად, რამეთუ ეშინოდა თეთრხალათიანების.

ახლა რომ შინ იყოს სიკვდილის მომლოდინე შესარიგებლად უამრავი მოვა, მაგრამ ყველას ზურგს შეაქცევს გრძნეული დევეკაცი, რამეთუ ეცოდინება, რომ გველებით, ჯოჯოებითა და ტარაკნებითაა სავსე ეს ქვეყანა.

ოხ, ეს წყეული ღვთაება მარტობისა, - ამოიგმინა ყარიბ-მა¹ მთავარმა. „სულელი კი არ ვარ სინამდვილეს თვალებში შევხედონ და ვერ აღვიქვა, მაგრამ მაცალე ცოტა ხანს, ხო ამჩნევ თავს რომ ვიტყუებ“. მაგრამ არ ესმოდა მისი ვედრების არც მარტობას... ეხ, ცოცხალ მთავარს გაურბოდნენ, ეშინოდათ მისი, მომაკვდავს კი...

ვინ არ მოისურვებს მასთან დაზავებას, მაგრამ ისე იქნება ცხოვრებაზე და ადამიანებზე გულგატებილი, რომ არავის ინდომებს შესარიგებლად.

„და მაინც, ვერასდროს გაიგებს კაცობრიობა, რისთვის მოვიდა ოდიშის დიდი მთავარი და რა აწუხებდა მას მთელი ცხოვრება. მაგრამ ის კი ცხადია, რომ უღირსებს შესწირა თავი, ისეთებს, რომლებმაც მიწა ვერ მოაფინეს გულზე და ოქროს ძენკვი ვერ შეგატოვეს მიცვალებულს, რამეთუ დაენანათ იგი...“

დიდხანს ეძებდნენ მთავრის ნეშტს... ეკლესია-მონასტრებში მოიძიეს, კლდე-ღრენი შემოირბინეს, ზღვისპირა ქალაქებიც დარაზმეს, მაგრამ ამაოდ. თითქოს აღიგავა პირისა-გან მიწისა. ისე გაუჩინარდა ლევან დადიანი, რომ მისამართ-საც ვერ მიაკვლიეს.

ზუსტად ოცდაათი წლის შემდეგ აღმოაჩინეს ოქროს მადანი და კაცის ჩინჩხი, რომელსაც ხელში ქალის სურათი ჩაებლუჯა, კრიალოსანი, შავი თავშალი და მთელი ძალით მიხუტებოდა ღვთისმშობლის ხატს, რომელსაც დადიანთა საგვარეულო ინიციალები ესახა.

ასე ლოცვა-ვედრებაში გაილია ოდიშის დიდი მთავრის სიცოცხლე და შლამიან მღვიმეში, სრულიად მარტოს აღმოხდა სული.

თურმე საბრალოს იმისი შეეშინდა, რომ აღიგვებოდა პირისაგან მიწისა, ამიტომ კლდეზე ბასრი იარალით ამოეტვიფრა:

„ეს მე ვარ, ლევან მეორე დადიანი. სახელოვანი სამთავროს მთავართაგანი. დამკრძალეთ დედის გვერდით, საგვარეულო ბალჩის შემოგარენში და ზოგჯერ მაინც ააკვნესეთ განმარტობით მდგომი როიალი, კუთვნილი ასევე სახელოვანი შარვაშიძისა,,¹

წესის აგების დროს ერთი ისტორიათმცოდნე მთავრის მიერ მთელ განვლილ ცხოვრებას მხატვრის ფუნჯით ხატავდა. ასე აფასებდა დიდი პოლიტიკოსისა და მთავრის, ლევან II დადიანის ცხოვრებას.

„შენ არ გქონია ჩინ-მედლები და ეპოლეტები, მაგრამ მაინც დიდკაცი იყავ, დიად საქმეთა თანაზიარი. და თამამად ვიტყვი ერთს, შენ ყველაზე დიდი ჯილდო იყავ, რაც რომ გააჩნდა ოდიშელებს აქამდე. გაჭირვებამ ვერ დაგაჩიავა და ვერ გაგტეხა...“

ხალხი კი იცინოდა. ისტორიათმცოდნისეულ ქადაგებას დასცინოდნენ და მიიჩნევდნენ შეთხზულ არაკად!

თურმე, როცა სასახლეში შეაბრძანეს უკვე ჩინჩხად ქცეული მთავარი, მსახიობი მეგრელნი უბადრუკ ჭურჭელს ფარისევლურად ალამაზებდნენ და ამაყობდნენ, ვითომ საუკეთესო შეურჩიეს დიდ მთავარს. სინამდვილეში, როგორც კი წვიმა მოხვდებოდა, შესაძლო იყო დაშლილიყო კუბო. მერე ის იყო ოქროს ჯაჭვი ხელიდან ააგლიჯეს და ასე ჩაალაპარაკეს სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებულ კაცს: - „ამისი ფასი მთლად არ გაგიკეთებია სამთავროსთვისო!...“

უჭირდა ვინმეს და უმალ იქ გაჩნდებოდა, გილხინდათ და მაინც არ იშორებდით გვერდიდან. ახლა კი ცრემლებიც გენანებათ მისთვის.

მსოფლიოს ყველაზე გრძნეული დევეკაცი ძლივს მიაბარეს მიწას, ცოცხალი რომ იყო აზანზარებდა ქვეყნიერებას, მკვდარს კი პატივი აყარეს და იწყეს ბოგინი დადიანისეულ სასახლეს...

¹ ყარიბი – მარტოსული, მიუსაფარი.

მაგრამ რა გეგონათ, დაუკრძალავი დარჩებოდა დიდი
მთავარი? უბრალოდ დიდებულად არ დაუმარხსავთ. განა
ბევრი დააკლეს? მაგრამ უკეთესადაც ხომ შეიძლებოდა?

საფლავის ქვაზე ეპიტაფია იყო გამოსახული: „ათას
წელსაც დაგელოდები სამშობლოვ, ოლონდ მოესწრო მშვიდად
ცხოვრებას...“

ასე დასრულდა ლევან დადიანის ცხოვრება...

და ამ ისტორიულ ქარტეხილში ერთხელ კიდევ პოეტური
თვალით გავისიგრძეგანე მთავრის მიერ განვლილი გზა...

მაგრამ რა ბედი ენია დარუნდია შარვაშიძეს?!

თურმე შვილის სიკვდილის შემდეგ მალულად წავიდა
სასახლიდან. უბრალო გამვლელს თხოვა წაეყვანა ფოთში.

გზად მიმავალი ფიქრობდა, რომ ღირსი არ იყო საგვა-
რეულო საყდარს დაკრძალვისა. ცრემლნარევი და დადარდ-
იანებული იმასაც ფიქრობდა, რომ უკადრისი იქნებოდა მის
საფლავზე ვარდ-იას გაეხარა და იადონს ეგალობა. მოენატრა
საბრალო სეტემბან შარვაშიძის ორატორობა, როცა გოგონას
აჯერებდა, რომ ზღვათა მეფის შვილიშვილი იყო...

ეტლი ბოლაზში¹ გაჩერდა.

დედოფალმა აირბინა გემის საფეხურები. კაპიტანმა ქირის
გადაუხდელობისთვის ცხვირმოჭრილი ქალი შეურაცხყო. და-
რუნდიამ ეს გაიძვერა კაპიტანი წამით შეადარა ლევან დადიანს,
რამდენი წელი იყვნენ ერთად და ერთხელაც არ მიუყენებია
სიტყვიერი შეურაცხყოფა. იმაზე აიმღვრა, რომ ასე უტიფრად
აგინძებდნენ სეტემბან შარვაშიძის მხოლოდშობილ ასულს.

ორი ბეჭედი ეკეთა თითებზე. ერთი პაპისეული საგან-
ძური და მეორე, ლევანის მიერ ძღვნად მორთმეული პეპლის
ფორმიანი ძვირფასეულობა. გული დაწყდა დედოფალს, რამე-
თუ ამ პეპლასავით ფრთაფარფატა არ იყო მისი ცხოვრება.

ვერ გაიმეტა დარუნდიამ პეპლის ფრთიანი ბეჭედი და
სანაცვლოდ პაპისეული გადასცა ქირის სანაცვლოდ კაპი-
ტანს.

დაახლოებით ექვსი საათი ეძინა დარუნდიას. ზღვის ბორ-
გვამ გამოაღვიძა. გავიდა ბაქანზე. ერთხელ გადახედა შორეულ
პორტს. მშობელი მიწა დაჰკარგვოდა თვალთახედვიდან. ვი-
ღლაცამ დასჭექა „დროაო“, და დედოფალი ზღვის სილრმეში გა-
დასაშვებად მოემზადა.

მისი ცრემლები ზღვას უერთდებოდა. ტიროდა, განა
მარტოოდენ იმისთვის, რომ ქვრივი იყო ან შვილმკვდარი
დედა? არამედ იმიტომ, რომ ყველასგან მიტოვებული და უარყ-
ოფილი ქალი იყო. ადამიანი, რომელიც სიცოცხლეშივე მოეს-
წრო სიკვდილს და ცოცხალსვე მოაყარა წუთისოფელმა იავარ-
ქმნილი მიწა...

უკანასკნელად ილოცა ბანოვანმა...

- „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ
სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი....“ – ნერვი-
ულობდა და ლოცვისას სიტყვებიც დაავიწყდა. მერე გონება
გაუნათდა და განაგრძო – „ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვე-
ყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და
მომიტევენ ჩვენ თანანადები ჩვენნი, - ვითარცა ჩვენ მი-
უტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ გან-
საცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ“

როგორც კი ლოცვა შეწყვიტა, მოაგონდა თავისი სნე-
ული ვაჟი და აგონიას შეუდგა. მერე თავისი სატრფო გაახ-
სენდა...

„ლევან, ლევან, ლევან – კიოდა ქალი... ღმერთია მოწამე
რაოდენ მიყვარდი. მაგრამ რა ვენა... ბევრჯერ მითქვამს კი-
დეც; შენ დარდნარევი ქალის მიერ ამუსიკებულ როიალზე
მეტად ვიგინდარებისა და თვალთმაქცებისა გესმოდა. ისე
გაგაცამტევერს, როგორც ლარნაკი ეტრუსკული, მაგრამ ვაი,
რომ იმ ისტორიული ვაზისგან განსხვავებით შენგან არაფერი
დარჩა. ახლაც მიყვარხარ ლევან, მიუხედავად იმისა, რომ მამა
მომიკალი. ამიტომაც, უშენობას ზღვის ქვეშ დავანება მირჩევნია
და ამ მშვენიერ მტრედებს, გადამფრენ ჩიტებს სალამს დავა-
ბარებ შენთან... ნეტა როგორ ხარ? თუ ხარ ისეთი ამაყი, რო-
გორც უწინდელ დროში? მე ღმერთიც კი მწამდა შენს გამო
ლევან, მაგრამ ახლა კი...“

¹ ბოლაზი – პორტი.

ზღვისკენ შეტორტმანდა მძიმე სხეული და ტალღებში
მიიმალ-მიიჩქმალა.

„სიცოცხლე ყველას უყვარს და ასე თქმულა, რომ იგი
მაშინაც კია მშვენიერი, როცა თითქმის არაფერში გიმართლებს,
მაგრამ ამ ქალის შემხედვარე მიხვდებოდი სიტყვათა
ცდომილებას; რომ ცხოვრება ყველასთვის ერთნაირად არ ღირს
და არც ფასობს“.

არც კი ებრძოდა სიკვდილს. ან რას შებრძოლებოდა?
მადლი უნდა შეეწირა სიკვდილის ლვთაებისათვის, რომ ასე
უმალ ეწვია. ასეთია განაჩენი მაშინ, როცა არ იცი რისთვის
იცოცხლო...

ღამე იყო... ბნელოდა... ცოტათი წვიმდა კიდეც. ამიტომ
ახლომახლო არავინ იყო. ყველა კაიუტაში გამოკეტილიყო და
შესაბამისად არავის შეუნიშნავს იგი.

სადღაც, დასალიერში, ზღვამ გარიყა უსულო დედაკაცის
სხეული. ვერასგზით ამოიცნეს ვინ იყო ცხვირმოჭრილი
ქალი. მხოლოდ პეპლისფრთიან ბეჭედს აკვირდებოდნენ,
რომელსაც შუაგულში „სამეგრელოს დედოფალს“, ეწერა. მაგრამ
უცხოეთში ვინდა წაიკითხავდა ქართული დამწერლობით ნაწერ
სიტყვებს.

ბეჭედი დაუპრუნდა ოდიშს, მაგრამ საბრალო დარუნდია
არ მიიღო სამთავროს მიწამ, რადგან ასე სწამდათ, რომ
მოღალატე იყო სამეგრელოსი...

დასასრულს ვიტყვი, თუ რამ შეცოდა დარუნდია
შარვაშიძემ და ლევან II დადიანმა, უნდა მიეტევოს ყოველი,
რადგან „ადამიანი ადამიანურ ცხოვრებაზე ვერასოდეს
ამაღლდება ისე, როგორც ქრისტე“....

ეპილოგი...

ჯერ კიდევ იმ ეპოქაში ვართ, სადაც ადამიანებზე მეტად
ნემსიყლაპიები ან ნემსიყლაპია ადამიანები ფასობენ. კარგი
არც ერთ დროში ყოფილა მისაღები.

და როცა ეპოქა გმირის სინაკლებეს განიცდის, ასეთ
რამეს გვირჩევენ: თავად გამოვიგონოთ ვინმე, ვისაც მივან-
დობთ საზოგადოების ბედს, ვარგუნებთ წინამძღოლობას და
ვაიძულებთ ჯვრის ზიდვას. ხოლო ცხოვრების გზაზე ჩვენ
არ მივემველებით. რახან ერის მეთაურია, თავად გაუმკლავ-
დეს სირთულეებს...

ამიტომაც იყო, რომ ხალხი მოვალეობით ტვირთავდა
დიდ მთავარს. „მართლაცდა ადვილია სხვისი ულელის მი-
მაგრება, დახმარება კი ძნელი...“

ამ ადამიანმაც ჭეშმარიტად, შეურცხვენელად განვლო
წუთისოფელი. ემსახურებოდა მამულს და აღმერთებდა და-
რუნდია შარვაშიძეს, - თავის ყველაზე დიდ და ძლიერ სიყ-
ვარულს და მიუხედავად მისი შეცდომებისა, მაინც აღიარებ-
და მის ფენომენსა და ტალანტს.

თითქოს ეგ ქალი იყო მისთვის ბრძოლის ღმერთი, როცა
გვერდით ყავდა, დაუმარცხებელი იყო, ხოლო როცა ხალხმა
გააძევა, გული აუცრუვდა სამთავროზე.

რომანის გმირები განიცდიან მუდმივ დაცინვას ბედის-
წერისგან. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ერთად დაკრძალვაც
არ ეღირსათ ერთმანეთისთვის გულდაფლეთილ ადამიანთ.

ისინი ხომ მარტოობისთვის იყვნენ განწირულნი და აღ-
სასრულიც მარტოობაში მოუწიათ...

დასასრული

2007 წელი 24 ივლისი

ხშირად ადამიანებს ვეკითხები, რომელ საუკუნეში იცხოვრებდით-მეთქი. ისინი კი მპასუხობენ, მეთორმეტეს, მეთხუთმეტეს, მეთვრამეტეს... ერთიც კი ვერ ვპოვე ვინც მეტყვის „მე ამ საუკუნეშიც მშვენივრად ვგრძნობ თავსო.“ ყველაფერი ძველი, ყველაფერი უკან. მკითხველი იფიქრებ-და, თითქოს მეც იმ დროს მივტიროდი, მაგრამ თამამად ვი-ტყვი ერთს, მე ეს ეპოქა უფრო მომწონს... ძველსა და დღევან-დელ საუკუნეს შორის ხიდი გავაგე როიალის სახით. ზოგი იტყვის და ღირსეულიც იქნება ეს კრიტიკა 1611-1658 წლებში როიალი არ იყო და მაგის მსგავსს ინსტრუმენტს კლავესინი ერქვაო. მე თუ გინდა ზეპირადაც განვმარტავ რა წერია ენ-ციკლოპედიურ ცნობარში ამ მუსიკალური ინსტრუმენტის შესახებ და თუ ავტორს ბრალს დასდებთ ალვნერო უნიგნურე-ბაში, დიდად არ ვინალვლებ. იმას კი შევეცდები, რა როლი აკ-ისრია მას ნაწარმოებში.

ეს არაა მარტოოდენ წრიპინა ინსტრუმენტი. იგი თვი-თონაა საწუთროება. გააჩნია როგორ განწყობაზეა და ხომ არ უყურებს გარშემომყოფთ მტრულად. მაშინ, როცა ცხ-ოვრებაზე ცოტათი განაწყენებული დარუნდია შარვაშიძე შუალამის ოთხ საათზე უკრავს. მთავარს მისი ხმა აშინებს და ამბობს კიდეც, ალბათ მთლად ბედნიერი არ უნდა იყოსო. მე-ორე სცენაც შემთხვევით არ არის დაწერილი.

ისევ როიალზე უკრავს დარუნდია, როცა მთავარს თხოვს ამუსიკდეს მასთან ერთად. ლევანი კი შეუფერებლად მიიჩნევს. „როგორ ვიმღერო მაშინ, როცა ასე უჭირს ჩემს მოძმესო. ყველაფრის მიუხედავად ეგ ქალი მაინც უკრავს როიალზე. თითქოს მისი ცხოვრება უნდა ამ გრძნეულ ჰანგ-სავით გააუღრიალოს და მოასმენინოს გარშემომყოფთ... ვამ-ბობ კიდეც რომანში: „სეტემანი ბევრჯერ ეცდება გამოითხ-ოვოს ინსტრუმენტი, მაგრამ არასგზით დათმობს ლევანი. “ ე.ი. ცხოვრებას ვერ მისცემს ვერავის ვერასგზით. მის გარეშე კი რაა აფხაზის სასახლე?

მესამე სცენა არ სჩანს. მხოლოდ ნესტანი იგონებს სიკ-ვდილამდე, დადიანის ნათქვამს, „ნურასოდეს დაუკრავ მაგ როიალზე რამეთუ არც მოსწონს და ამასთან ჩემს დაკარგულ სიყვარულს მაგონებსო.“ რას ნიშნავს ყოველი? გამოდის რომ ქალის სიცოცხლეს არა აქვს აზრი. დარუნდია უკეთ უკრავს, მისი ცხოვრებაც უფრო ფასეული ყოფილა. ნესტანის კი არც გაეგებოდა ამ ქვეყნის. ამიტომაც იკლავს თავს.

აი, ეს იყო ჩემი მიზანი. იმისათვის, რომ მეჩვიდმეტე სა-უკუნიდან ოცდამეერთე საუკუნეს შორის არსებული სიცა-რიელე შემევსო შუამავლად ინსტრუმენტი გამოვიგონე. რომ ამ ხუთი საუკუნის მანძილზე იკვნესოს და იუდეროს დიდის მონძომებითა და რუდუნებით.

ეს მწერლისეული და პოეტური ლიცენციაა და იმდენ-ჯერაა წარმოჩენილი, რომ თუკი მუსიკასთან ახლოს ხარ, უდავოდ მოგინდება თუნდაც ბნელ ღამეში ადგე და პიანი-ნოზე ერთი-ორი აკორდი გააუღრიალო და თუ ეს შევძელი, გამოდის, რომ ტყუილად არ დავიხარჯე...

აკტორისაგან

განმარტებანი

სეტემბან შარვაშიძე – აფხაზეთის მთავარი XVII ს. I ნახევარში. მისი ქალიშვილი ცოლად ჰყავდა სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს, რომელიც თავის სიმამრთან და მამია გურიელთან ერთად ებრძოდა იმერეთის მეფე გიორგი III-ს. შემდეგში ლევან II-სთან ბრძოლაში დამარცხდა.

ლევან II დადიანი – ოდიშის მთავარი 1611-1657 წ. მანუჩარ I დადიანის ძე. 1611-14 წწ. მართავდა რეგენტი გიორგი ლიპარტიანი. 1615 წ. იძულებული გახდა ხარკი გადაეხადა ოსმალეთისათვის. 1612 წელს დაუკავშირდა გურიისა და აფხაზეთის მთავრებს და დაუპირისპირდა გიორგი III-ს – იმერეთის მეფეს სოფ. გოჭოურასთან სადაც გაიმარჯვა კიდეც.

ლევან II დადიანის ბრძოლა დას. საქართველოს გაერთიანებისათვის ქვეყნის გაჩანაგების ერთ-ერთ მიზეზად იქცა 1636 წ. ლევან II შეეცადა ურთიერთობა დაემყარებინა რუსეთთან და ელჩობა გააგზავნა მოსკოვს.

ლევან II-ს კარგად ესმოდა ქვეყნის გარდაქმნის აუცილებლობა. იგი ოდიშის სამთავროში იწვევდა ვაჭრებს და ხელოსნებს, რუსი ქალაქად აქცია და იქ ზარაფხანა გახსნა. ააგო მრავალი ციხე-სიმაგრე, ეკლესია-მონასტრები; მფარველობდა კულტურას. ლევან II დადიანის კარზე გადაიწერა „ვეფხისტყაოსნის“ დღემდე შემორჩენილი უძველესი დათარიღებული ხელნაწერი.

გიორგი ლიპარტიანი – ოდიშის სამთავროს რეგენტი 1611-1616 წწ. ლევან II დადიანის ბიძა. ლევანის მცირენლოვნობის დროს განაგებდა სამთავროს როგორც სალიპარტიანოს გამგებელი და ოდიშის სამთავროს უმაღლესი მოხელე, ატარებდა ლიპარტიანის ტიტულს: რეგენტობის შემდეგ ერთხანს აქტიურად მონაწილეობდა ოდიშის სამთავროს საქმეში. თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა გამგებელმა.

მანუჩარ (I) დადიანი - 1611 წ. ოდიშის მთავარი 1590-1611 წ. ლევან I დადიანის ძე. ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის მამა. ცოლად ჰყავდა ალექსანდრე კახთა მეფის ასული თამარი...

დარუნდია შარვაშიძე – ისტ. პირი, რომელსაც მისიონერები ზოგან თანურიადაც მოიხსენიებენ. ბერძნული ტრადიციიდან გამომდინარე შერცხვენილ, მოღალატე ქალებს ცხვირს კვეთდნენ, ნიშნად დამცირებისა; ლევან დადიანმაც თავის მეუღლეს ღალატისათვის მოკვეთა ცხვირი... ამის შემდეგ შერცხვენილმა ქალის მამამ ომი გაუმართა სიძეს, სადაც დამარცხება იწვნია სეტემბანმა და როგორც ისტორიკოსი გვამცნობს, ლევანმა სიმამრს თავი მოჰკვეთა ეკლესიის უპატივცემლობისთვის...

ნესტან-დარეჯან ჭილაძე – ყოფილი რეგენტის, გიორგი ლიპარტიანის რიგით მე-3 ცოლი, რომელიც ისტორიულ მონათხოვთა საფუძველზე უზომოდ შეუყვარდა ოდიშის მთავარს, რის გამოც ლევანმა ბიძას წაართვა ცოლი. ნაწარმოებში სხვაგვარადაა ასახული ქალის სიკვდილი. ამბობენ, რომ მოწამლეს...

ალექსანდრე კახთა მეფე ბატონიშვილი – ეს არის ლევან II დადიანის პაპა. ალექსანდრე კახთა მეფე გამოირჩეოდა ნიჭიერებითა და პოლიტიკური მისნრაფებებით. როდესაც შაპმა თამარის ხელი ითხოვა, ალექსანდრე დაფიქრდა. არ უნდოდა ქალიშვილი ურნმუნოზე მიეთხოვებინა. ამიტომ შაპს საგანძური გაუგზავნა და პასუხად ასე უთხრა: ჩემი ქალი დანიშნულია სამეგრელოს მთავარზედო. სინამდვილეში კი, ვინაიდან სამეგრელო მას მოკავშირდა ესახებოდა, თან ქრისტიანების საუფლოდ, თავისი ასულის გათხოვება სწორედ იქ გადაწყვიტა.

თამარი – ალექსანდრე კახთა მეფის ასული და მანუჩარ დადიანის მეუღლე...

- იესე დადიანი – მანუჩარ დადიანის ვაჟი, რომელიც გურიელის ქვრივისგან შეეძინა.

- გიორგი III – იმერეთის მეფე. დაუძინებელი მტერი ლევან დადიანისა, რომელმაც 1223 წელს სოფელ გოჭოურასთან მარცხი ინვნია და დაკარგა ტერიტორიის ნაწილი.

- მერაბ ქორთოძე – არსებობს ისტორიული ცნობები იმის შესახებ, თითქოს გახლდათ დიდი მანდატის მქონე, გავლენიანი პირი. ამბობენ, რომ დადიანი იმერეთის მეფის წინააღმდეგ სწორედ მან განაწყო. ჯუზეპე ჯუდიჩესა და არქანჯელო ლამბერტის ცნობით მერაბ ქორთოძე იგივე Cortug -ია, ზოგან კი Paponia-დ მოიხსენიებენ.